

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1/2
1989

ენისა

და

ლიტერატურის

სერია

4. 1989

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შტაბი,
ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 4

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე



ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ენისა და ლიტერატურის
სერია

СЕРИЯ
ЯЗЫКА И ЛИТЕРАТУРЫ



თბილისი
ТБИЛИСИ

4. 1989

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს, გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал основан в 1971 году, выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ალ. ბარამიძე (რედაქტორი),
თ. გამყრელიძე, ალ. გვახარია (მდივანი), ქ. ლომთათიძე, ე. მეტრეველი,
ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური (რედაქტორის მოადგილე)

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლლონტი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Барамидзе А. Г. (редактор),
Гамкрелидзе Т. В., Гвахария А. А. (секретарь), Дзидзигური Ш. В. (зам. редактора),
Ломтатидзе К. В., Метревели Е. П., Цайшвили С. С.

Ответственный секретарь Г. А. Глонти

© „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შიკნე“, ენისა და ლიტერატურის სერია
1989, № 4

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19, ტელ. 37-24-07
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19, телефон 37-24-07

გადაეცა წარმოებას 15. 9. 89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 8. 01. 90; უე 03504;
ანაწყოების ზომა 7×123/4; ქაღალდის ზომა 70×1081/16; მაღალი ბეჭდვა;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 14.0; პირ. საღ.-ვატ. 14.5; საარტიცხო-საგამომცემლო თაბახი 11.66;
ტირაჟი 1500; შეკვეთა 2458; ფასი 1 მან. 20 კაბ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниერება», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

19.226

შინაარსი

წერილები

გ. შეთქვარი, ჯადოსნური ეპოსის მხატვრული სტილის ზოგიერთი საკითხი	5
მ. ქასრაშვილი, რაინდული ინსტიტუტის ერთი თავისებურება კლასიკური ხანის ქართულ ლიტერატურაში	14
თ. ტაბიძე, ყვითელი ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და კლასიკური ხანის ორიგინალურ ქართულ ძეგლებში	25
ნ. დოლიძე, ბიძა-ძმისწულის მოტივი ქართულ ხალხურ ზღაპრულ ეპოსში	33
ზ. გამსახურდია, ვეფხისტყაოსნის სრულყოფილი გამოცემისათვის	39
კ. ბეილი, მულაზანზარი	56
მ. იამანიძე, ე. მურისე მოღვაწეობა საქართველოში	59
თ. ცანავა, „კალისტრატეს მარტილობის“ ქართული კიმენური რედაქციის წარმოშობისათვის	68
გ. ჯაფარიძე, მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით VIII—XIV საუკუნეებში	77
მ. მიქაშავეძე, აიუყის ერთი შენიშვნა და სიუჟეტის ნორმატიულობის პრობლემა შუა საუკუნეების სპარსულ ლიტერატურაში	89
გ. შურდია, „განმარტებული ენის“ სტრუქტურისათვის	92
ა. მარტიროსოვი, ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციისათვის	110
ბ. ცხადაძე, რა(ა) მორფემოიდით გამოხატული დაქვემდებარების ნაირსახეობანი სალიტერატურო ქართულ ენასა და დიალექტებში	126
ქ. დათუკიშვილი, რედაქციის საკითხი ვჩხაზნი და ვფხენი ტიპის ზმნებში	135
ნ. გურგენიძე, რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ თუშურ კილოში	138
ლ. წერეთელი, „მუხის“ სემანტიკური ველის საკითხისათვის პონტური ბერძნულის ციხისწვარულ კილოში	143
ც. ბარამიძე, თაბასარანული ენის ფერთა აღნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები	146

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. დუნდუა, „საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონი“	157
მ. ალექსიძე, დ. შენგინი კორელეს ნაშრომი „ჰაფეზის ღაზლები, კონკორდანსი და ლექსიკონი“	160

საქ. სსრ კ. მარკსის
საზ. საზ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

Статьи

Г. А. Шетекаури, Некоторые вопросы художественного стиля в волшебном эпосе	5
М. С. Касрашвили, О своеобразии рыцарского института в грузинской литературе классического периода	14
Т. Р. Табидзе, Символика желтого цвета в «Висрамиани»	25
Н. Г. Долидзе, Мотив дяди и племянника в грузинском народном сказочном эпосе	33
З. К. Гамсахурди, К совершенному изданию «Витязя в барсовой коже»	
Г. В. Беили, Мулгазанзари	56
М. П. Яманидзе, Деятельность Ж. Мурые в Грузии	59
Т. А. Цанава, К вопросу об источнике грузинской редакции «Мученичества Каллистрата»	68
Г. И. Джапаридзе, Мусульманские деятели VIII—XIV вв. с Нисбой ат-Тифлиси	77
М. Ш. Микашавидзе, Одно замечание Айюка и проблема нормативности сюжета в средневековой персидской литературе	89
Г. О. Шургая, К структуре «толкующего языка»	92
А. Г. Мартиросов, К классификации грузинских диалектов	110
Б. А. Цхададзе, О разновидностях подчинения выражаемого морфемой $\text{ბ}(\text{ბ})$ в литературном грузинском и его диалектах	126
К. Т. Датукишвили, К вопросу редукции в глаголах типа $\text{v}\check{\text{c}}\text{არ}(\text{არ})$ и $\text{v}\check{\text{r}}\text{ხ}(\text{ხ})$	135
Н. А. Гургенидзе, О некоторых тюркизмах в тушинском говоре	138
Л. С. Церетели, К вопросу о семантическом поле «дуба» в дихисджварском греческом говоре понтийского диалекта	143
Ц. Р. Барамидзе, Цветообозначающие лексико-семантические группы в табасаранском языке	146
Критика и библиография	
Н. Дундуа, «Архивно-терминологический словарь»	157
М. М. Алексидзе, Труд Д. Менегини Корреале «Газели Хафиза, Конкорданс и словарный состав»	160

ბიოგრაფიული

 ჯადოსნური ეპოსის მხატვრული სტილის
 წარმოშობის საკითხი

ხალხური პროზა ხატოვანების თვალსაზრისით ხალხური პოეზიისაგან განსხვავდება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ ხალხურ პროზაში გამომსახველობითი საშუალებანი უფრო ზომიერადაა გამოყენებული, ვიდრე ხალხურ პოეზიაში! ხალხური პროზის თავისებურება აგრეთვე მის თხრობით მანერაშიც ვლინდება და ეს კი იმას ნიშნავს, რომ აქ თხრობას სადასიცვაობა, სასაუბრო ენასთან, ცოცხალ მეტყველებასთან სიახლოვე ახასიათებს. გენეზისის მიხედვით პროზორიტეტი ხალხურ პროზას ეკუთვნის, ქრონოლოგიურად პროზა პოეზიას უსწრებს, პოეზია პროზიდან მომდინარეობს¹.

ხალხური პროზის მხატვრული ენა მთელი თავისი სპეციფიკურობითა და მრავალფეროვნებით ზღაპარში იქნა რეალიზებული. და ეს ბუნებრივია, რადგანაც ზღაპარში როგორც ხალხური პროზის ძირითად უბანზე „ისახა არა მარტო რეალური ცხოვრება, არამედ მხატვრულად აღიბეჭდა ხალხის ოცნება ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნაზე, ზედნიერებაზე, სრულფასოვან შემოქმედებით ცხოვრებაზე“².

გამომსახველობის საშუალებანი ზღაპრული ეპოსის სამ მთავარ სფეროში — ცხოველთა, ჯადოსნურ და საყოფაცხოვრებო ზღაპრებში სხვადასხვა დოზითა და აქტივობით არის გამოვლენილი. როდესაც ამ საკითხს ვარკვევთ ასპექტში განვიხილავთ, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ფიგურალურობა, სახეობრივი აზროვნება ყველაზე ფართო გაქანებას ჯადოსნურ ზღაპარში პოულობს. აქ ფანტაზია, წარმოსახვის ცხოველყოფილება კულმინაციურ წერტილს აღწევს. ყურადღებას იქცევს არა მარტო მხატვრული ენა, როგორც ასეთი, არამედ მხატვრული აზროვნების აღტყინება და უსაზღვრობა.

იგივე მომენტები ვარკვეულწილად ნიშანდობლივ თვისებებს შეადგენს ცხოველთა ზღაპრებისთვისაც, თუმცა აქ ის უფრო ნაკლები დიაპაზონით შეინიშნება. მათში ჩვეულებრივ ყველაზე მეტად მეტაფორიზაციის ხერხი იხმარება, კერძოდ კი მეტაფორიზაციის ის განშტოება, რომელიც ე. წ. პერსონიფიკაციას წარმოადგენს.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო ზღაპრებს, აქ მხატვრული ფანტაზია შეზღუდულ ხასიათს ატარებს, მაგრამ გამომსახველობის საშუალებები აქაც ამა თუ იმ ინტენსივობით არის მოხმობილი.

ჯადოსნურ ზღაპრებში კი, ვიმეორებთ, ხატოვანებას, მხატვრულ აქსესუარებს ფართო ასპარეზი ეთმობა. აქედან პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ტროპული მეტყველების ისეთი პოპულარული ელემენტი, როგორიცაა **შედარება**. სანამ მის შესაბამის კონკრეტულ საილუსტრაციო მაგალითებზე გადავადლოდეთ, წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ შედარება, რომელიც ფოლკლორული პოეზიის რეპერტუარში ტიპურადაა გავრცელებული, ხალხური პროზის ნიმუშებში, კერძოდ, ჯადოსნურ ზღაპრებშიც იშვიათად იხმარება. ეს გარემოება საერთოდ იმით არის განპირობებული, რომ პროზა და საკუთრივ ხალხურ პროზა ძირითად აქცენტს ფაბულურ შინაარსზე, თხრობაზე აკეთებს და იგი შეგნებულად ერიდება მხატვრული ხერხების ჭარბად, თვითმიზნურად გამოყენებას. საჭიროების გარეშე მოხმობილი შედარება კი არა მარტო თხრობის



ბუნებრივ მიმდინარეობას ამძიმებს, არამედ თხრობას ხელოვნურ იერსაც სძენს. ზოგჯერ შედარება ზღაპრის კონტექსტში ბუნებრივიადაა „ჩასმული“ მსმენელის მიერ იგი ადვილად აღიქმება. ამას ხშირად ხელს უწყობს ისიც, რომ ხსენებული ტიპის შედარება სასაუბრო ენაში იხმარება და, ამრიგად, იგი სიახლის მიხედვით რაიმე „ჩიუტობას“ ან „უცნაურობას“ არ ამქლავნებს. ამ კატეგორიის შედარებაა გამოყენებული ჯადოსნურ ზღაპარში „მზის ასული“. აი, ისიც: „მოვიდა ისეთი ჩვეილი, რომ უკეთესი არ იქნებოდა, აღელდა ყანა ზღვასავით. აღელდა პატრონის გულიც სიხარულით, იმ ყანის მნახველი“⁴. შედარება — ყანა ზღვასავით აღელდა — საკმაოდ გრანდიოზულ სურათს გვიხატავს იმ ვაგებით, რომ ყანა ღელვის მიხედვით მასზე უამრავჯერ უფრო დიდ მოვლენასთან — ზღვასთან არის შეფარდებული. ამით ისრდება წარმოსახვის ემოციური მომენტი და მსმენელზე ამ მხატვრული შტრიხის ხემოქმედების ძალაც. ეს, ასე ვთქვათ, პიპერბოლური შედარებაა, რადგანაც ყანის ღელვა ზღვასთან შეპირისპირებით გაზვიადებულიადაა წარმოდგენილი.

არის შემთხვევა, როდესაც შედარება მეტაფორულ ხასიათს ატარებს და შესადარებელი ობიექტის თვისებაც უფრო სხარტად, პლასტიკურად არის გამოკვეთილი. მსგავს პრინციპს შეიცავს სხვა ჯადოსნურ ზღაპარში რეალიზებული შედარება: შევარდენივით ბიჭი. იგი ასეთ წინადადებაშია მოთავსებული: „წამოდგა ხელმწიფის შვილი და ნახა, რომ ქალის მაგივრად შევარდენივით ბიჭი იდგა იმის წინ“⁵ („ზღაპარი ცხრა ყაჩაღისა“). შედარების მეორე ობიექტი (შევარდენი), რომელსაც ლიტერატურის ზოგიერთი თეორეტიკოსი სახეს⁶ ან პრედიკატს⁷ უწოდებს, ნაცნობი საგნების სამყაროდან არის მოხმობილი და მის კონკრეტულ შეგარებას უფრო აიოლებს. ყოველდღიურ სასაუბრო ენაში ჩვენ მართლაც არაერთხელ გვსმენია: ის ლომივით ჭაბუკია, ეს გოგო მიმინოსავით მალია და ა. შ. ბევრჯერ ვაგვიგონია შევარდენთან ვისმე შედარებაც. ამ დროს ადამიანზე შევარდენის ისეთი თვისებებია გადატანილი, როგორცაა, სისწრაფე, შეუპოვრობა და სხვ.

მეტაფორული შედარების ნიმუში გვხვდება „ისრის-მასრის სანდლის ქალშიც“. აქ ეაყმა „დაინახა, რომ ქალის ასავალ კარებში აფთარსავით ძაღლები არიან“⁸. მაშასადამე, აფთარის საშუალებით ძაღლების სიავე თუ წარმოსადგობა კიდევ უფრო მაღალ მხატვრულ რანგშია აყვანილი.

„ბროწეულის ზღაპარში“ მთაბეჭდილების გაძლიერების მიზნით გრძნეული ორმო სიმხურვალით თონესთან არის შედარებული⁹; აქვე — დევი დაეცა „როგორც დიდი მორი“¹⁰. ამ უკანასკნელ შედარებას აშკარა სატირული ელფერი დაჰკრავს.

ჯადოსნურ ზღაპრებში შედარების დახმარებით მეტწილად ქალის სილამაზეა ასახული. მართლაც ერთგან „ქალმა გადმოშალა გიშერივით შავი თმა“ („ისრის-მასრის სანდლის ქალი“)¹¹, სხვაგან ბიჭმა ნახა, რომ ერთი დიდი კოშკის „აივანზე... მთვარესავით ქალი იყო გადმომდგარი“ („ბროწეულის ზღაპარი“)¹² და ა. შ. გვხვდება ქალის სიმწყაზრისა და ჰაეროვნების მასშტაბური დახასიათების ფაქტებიც. ჯადოსნური ეპოსის პოპულარულ ნიმუშში „სასწაულმოქმედი პერანგი“ მოცემულია ასეთი პასაჟი: „ზღვაში ერთი დიდი სასახლე იყო და მთლად ბრწყინავდა: როგორც ცეცხლი ისე ანათებდა“¹³. აქ ქალის სილამაზე შენიღბულად ფიგურირებს, მაგრამ ეს შენიღბულობა შემდგომ ფრაგმენტში ვაცხადდება. აქ ხელმწიფის შვილი დედაბერს ეკითხება: ეგ ზღვაში რა ანათებსო? „ეგ ოქროს სახლია, — უპასუხებს დედაბერი, — შიგ ხელმწიფის ქალი ცხოვრობს, მრავალკეცი საბურველი აქვს პირზე ჩამოფარებული, მაგრამ მაინც ეგრე ანათებს მისი სილამაზეო“¹⁴.

ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჯადოსნურ ზღაპრებში შედარებათა ობიექტები ძირითადად ნაცნობი სამყაროდან არის მომარჯვებული, რაც მათზე ადვილად აღქმასა და პოპულარობას მეტ ბიძგს აძლევს. აღვნიშნეთ ისიც, რომ ამგვარი შედარებები ამა თუ იმ სახით, ჩვეულებრივ, ყოველდღიურ სასაუბრო მეტყველებაშიც იხმარება. ასეთი შედარებები არა ორიგინალური, არამედ ტრადიციული შედარებებია და ისინი უცვლელი თუ შეცვლილი ფორმით სხვადასხვა ზღაპარში გამოიყენება. ე. ი. აქ გვაქვს მზა მხატვრული ფორმულება, რომლებსაც გარკვეული კონსერვატიულობა ახასიათებს. ეს გარემოება კი იმაზე მიუთითებს, რომ „მთქმელ-მომღერლები თავიანთ სამეტყველო პრაქტიკაში იმ მხატვრულ, პირად განწყობასა და გემოვნებას შეესატყვისება, რასაც თვითონ კარგად იცნობენ და ფლობენ“¹⁵.

აქა-იქ ზღაპარში არის შედარება, რომელსაც ხელოვნურობის დაღი აზის და იგი ნაძალადეგობის, არაფოლკლორულობის ხასიათს ატარებს. ვიმოწმებთ ასეთი შედარების ნიმუშებს: ჯადოსნურ ზღაპარში „ორმოცშვილიანი ხელმწიფე“ ნათქვამია, რომ ერთ მშვენიერ დღას ხელმწიფე და ვეზირები „მოსახდნენ ცხენებს მამლებივით; ხეებში წყალოვით, მთებში ქარივით, გაუდგნენ თვალ-უწვდენელ ტრიალ მინდორს“¹⁶. იმავე ზღაპარში ასეთივე ხელოვნური, არაფოლკლორული წარმომოხსენების სხვა შედარებაც ფიგურირებს. აქ ფაბულის ერთი ეპიზოდის თანახმად არწივმა მზის ქვეშ მწოლიარე კაცს „გადააფარა თავისი ფრთები კარავივით“¹⁷. ჩვენი აზრით, ციტირებული შედარებები მთქმელის, მწიგნობრის მიერ არ უნდა იყოს შექმნილი, ეს ტროპული სახეები მთხრობლის მეტყველების ხალხურ მანერას არ გამოხატავს. ჩვენი ვარაუდით, ასეთი სტრუქტურის შედარება ჩამწერის მიერ ზეპირსიტყვიერი ნაწარმოების სტილისთვის შედეგს წარმოადგენს, სადაც ჩამწერის კალამი ამ შედარებებს თვითნებურად, ღვარჭნილად შეგებია.

როგორც ამ პარაგრაფის შესავალში შევნიშნეთ, შედარება ჯადოსნურ ეპოსში ძალზე ნაკლებად არის გავრცელებული. შეიძლება ითქვას, რომ ჯადოსნური ზღაპრების ერთ ნაწილში იგი საერთოდ არც გვხვდება. ზოგიერთ ზღაპარში კი მხოლოდ და მხოლოდ ერთი ან ორი ნიმუშის სახით არის წარმოდგენილი.

გ. ნ. პოსპელოვის აზრით, შედარება ზეპირ პოეზიაში მხატვრული პარალელისმის საფუძველზეა წარმომობილი¹⁸. ამ დასკვნით მკვეთრად ესმება ხაზი ფოლკლორულ ნაწარმოებში შედარების ბუნებრივ ადგილსა და ლოგიკურ გამართლებას, რითაც თვით ზეპირსიტყვიერი პროზის, საკუთრივ ჯადოსნური ეპოსის, გარეგნული სტილური ფონიცი იქსოვება.

ჯადოსნურ ეპოსში გარკვეულ გავრცელებას პოულობს მეტაფორაც, რომელიც თავისი იმანენტური ბუნებით შედარებას ენათესავება. „ხალხური მეტყველებისათვის დამახასიათებელია მეტაფორების სიჭარბე, — წერს ალ. ლლონტი და განაგრძობს, — მთელი ბუნება ხალხურ ეპოსში გაპიროვნებულია. ადამიანის ნიშან-თვისებანი გადატანილია ბუნების მოვლენებზე, ხოლო ბუნების ნიშან-თვისებანი — ადამიანზე. ადამიანისა და ბუნების სხვა მოვლენათა სამყარო აქ განურჩეველია — ამიტომ მეტაფორულ გამოთქმათა სიუხვე ხალხურ ნოველა-მოთხრობებში კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ. აქ ტყე მღერის, მთა თმას ივარცხნის, კლდე იღება და იკეტება... მეტაფორული გამოთქმებით განსაკუთრებით მდიდარი ჯადოსნური ზღაპრებია“¹⁹.

ეს უკანასკნელი მომენტი ჯადოსნური ეპოსის მხატვრული სტილის ერთ-ერთ არსებით თავისებურებასაც შეადგენს. ნაშრომის მოცულობის განსაზღვრულობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია დაწვრილებით შევიჩერდეთ ცალკეულ ტიპურ მეტაფორებზე, რომლებიც კი საანალიზო ტიპის ზღაპრულ სამყაროშია გაფანტული, მაგრამ ამ მხატვრული სახის რამდენიმე ნიშანდობლივ ნიმუშს მაინც

მოვიყვანთ და ეს კი, ვფიქრობთ, ზოგად წარმოდგენას მაინც მოგვეცემს ჯადოსნურ ზღაპრებში მისი გამოყენების სპეციფიკასა და ნაირსახეობებზე.

პირველ რიგში საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ ორბიტის ზეპირ მოთხრობებში მცირე რაოდენობით მოიძებნება ცხოველთა მეტაფორიზაციის შემთხვევებიც. ეს მომენტი აქ არ ატარებს ისეთ პრინციპულ, მთლიან მასშტაბურ ფაბულურ ხასიათს, როგორც ამას ადვილი აქვს ცხოველთა ეპოსში, სადაც ცხოველთა პერსონიფიკაცია ამ უნარის ზღაპრების წამყვან სპეციფიკურ თვისებადაც კი გვევლინება. ამის საპირისპიროდ კი ცხოველთა მეტაფორიზაცია ჯადოსნურ ზღაპრებში მხოლოდ ეპიზოდური როლით იფარგლება, მაგრამ ეს ეპიზოდური გავლენა ხშირად საკმარისია, რომ ამან სიტუეტურ მონაკვეთს თავისი სურნელება მიაგოს.

ჩვენი ზოგადი მოსაზრების კონკრეტული დასაბუთების მიზნით მოვმართოთ ჯადოსნურ ზღაპარს „სამმეტევან ჭაბუკიშვილი“. აქ მელიის გაპიროვნებაა მოცემული. იგი ადამიანურად მეტყველებს და მეწისქვილეს რამდენიმე მახვილგონივრულ რჩევა-დარიგებას აძლევს²⁰. ჯადოსნურ ეპოსში ფანტასტიკურ ცხოველთა სამყაროდან ყველაზე მეტად ამ თვისებით ზღაპრული რაშები არიან მომადლებული. ფრინველებიდან კი ყველაზე ხშირად ფასკუნჯია პერსონიფიცირებული. საკუთრივ რაში და ფასკუნჯი ჯადოსნურ ზღაპრებში ისე ბევრჯერ არიან ადამიანური ენით ამეტყველებული, რომ შესაბამისი კოლორიტის აღსანიშნავად აქ ეს დეტალი ბევრ საგულისხმო რამეს გვეუბნება და სათანადო მაგალითების ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა.

შედარებით ნაკლებად გვაქვს არწივის პერსონიფიკაცია. ერთ-ერთ ჯადოსნურ ზღაპარში („ზღაპარი მონადირისა და დიდი არწივისა“) „მოზიდა მშვილდს. მონადირემ, დაუმიზნა ისარი (არწივს). არწივმა უთხრა: — ნუ მომკლავ, მხარი მაქვს მოტეხილი, წამიყვანე სახლში, მომიარე, მომარჩინე; ბარტყი ვარ და ბოლოს მეც გამოგადგებიო“²¹. სხვა ზღაპარში („ორმოცშვილიანი ხელმწიფე“) კი არწივმა ფრთა გამოიძრო, ეს ფრთა ხელმწიფის შვილს მისცა და უთხრა: „აიღე ეს ფრთა და რაწამს ახსენებ ჩემს სახელს, თუ შენ იქ გავჩნდებიო“²². ასევე ადამიანური ენით მეტყველებს ერთ-ერთ ზღაპარში („გლეხი კაცი და ჩიტო“) ჩიტიც: აქაც ჩიტმა თავისი ბუმბული გლეხკაცს აჩუქა და ადგილიც დაუნიშნა: „იქ მოდი, ჩემი სახელი ახსენე და მაშინვე იქ დავიბადებო, რასაც მოხვ, შეგისრულებო“²³.

„მზის ასულში“ მზეც არის გაპიროვნებული. აქ მზე ადამიანურად აზროვნებს და ლაპარაკობს²⁴. „სასწაულმოქმედ პერანგში“ კი ადამიანური მეტყველების უნარით ყვავილები არიან აღჭურვილი. აქ მზეთუნახავის ბაღში „იმისთანა ყვავილებიც იყო, რომ ლაპარაკობდნენ. ერთი ამბობდა: მე რომ შემჭამო, მოკვდები. მეორე ამბობდა: მე რომ მკვდარს დამადო, გაცოცხლებდო და სხვა“²⁵.

საერთოდ ხალხური ეპოსის, კერძოდ ჯადოსნური ზღაპრის, პოეტურ არსენალში **ჰიპერბოლა** ერთ-ერთ საპატიო ადგილს იკავებს. საგნებისა და მოვლენების, პერსონაჟთა თვისებების ჰიპერბოლიზება, მხატვრული გაზვიადება არაერთ ჯადოსნურ ზღაპარს წამყვან გამომსახველობით ხაზად გასდევს. თუ ქრონოლოგიური ასპექტით განვიხილავთ, ხატოვანი გადაჭარბება ჯადოსნური ხალხური პროზის ნიმუშებს შორეული წარსულიდანვე, მათი წარმოშობის დროდანვე შეენივთა და შეეისისხლხორცა. და ეს გასაგებიცაა, რადგანაც აღნიშნული ტროპის აქ არსებობის აუცილებლობა თვით ამ ტიპის ზღაპრის ფაბულითა და ფიგურალური თავისებურებით არის შეპირობებული. ჯადოსნური ზღაპრის ფანტასტიკურ პერსონაჟთა თავგადასავალი ჰიპერბოლას საჭიროებს²⁶.

ბევრი ეს ფანტასტიკური პერსონაჟი გასაოცრად დიდ ღონეს ამჟღავნებს

და თავისი ამ არაჩვეულებრივი გოლიათური ღონით მსმენელებში უსასწოროდ განცვიფრებას იწვევს. მსგავს ფაქტს ვხედავთ ჯადოსნურ ზღაპარში „ირმისაჲ აჲ ირმისამ ასფუთიანი ჯაჭვი გაწყვიტა და გაიქცა“²⁷. თუმცა მაშინ ჯერ კიდევ მცირეასაკოვანი ბავშვი იყო. შემდეგ ხელმწიფის შვილთან ერთად სანადიროდ რომ დადიოდა, ზევით ისარს ასროდა და მიწაზე ჩამოვარდნილი ისრის „ამოძრობა ხელმწიფის შვილს არ შეეძლო, ირმისა კი ადვილად ამოაძრობდა ხოლმე“²⁸.

ასეთივე ბუმბერაზული ძალ-ღონით სხვა ზღაპრული პერსონაჟი — უხვი-როც არის შემკობილი („ზღაპარი უხვიროსი“). ამის დასამტკიცებლად მრავალი კონკრეტული შემთხვევიდან თუნდაც ისიც კმარა, რომ მას ალმასის ცული რომ მოუტანეს, „შემოჰკრა იქვე კედელს და სულ მიფშენიდა. გაუკეთეს ათფუთიანი. ისიც მიამტვრია. ბოლოს ოცფუთიანი გაუკეთეს, გაიღო მხარზე და ვასწია დევების ტყისკენ. მივიდა ტყეში, შემოჰკრავს წიფლებს, სულ ჩხირბნევით ამტვრევს“²⁹.

ღონის გამოცდის ანალოგიურ პრინციპს ემყარება სხვა ზღაპრული პერსონაჟიც („დედაბრის შვილი“). აქაც ღონის თანდათანობითი გაძლიერების აღმავალი ხაზია დემონსტრირებული, ოღონდ ღონის გამოცდის ობიექტად მშვილდ-ისარია ნახსენები. ზღაპრის ეპიზოდის თანახმად, „დედაბრის შვილი ძალიან ღონიერი იყო. ქვას რომ ხელს მოუჭერდა, მაშინვე ფქვილად აქცევდა“³⁰. ამის შემდეგ დედაბრის შვილმა ჯერ თხუთმეტლიტრიან მშვილდებსაც „ასე უყო“. „ბოლოს გააკეთებინეს ორმოცლიტრიანი. ეს კი კარგად მოხვდა ხელში დედაბრის შვილს; გადაიკიდა მხარზე და გაუდგნენ გზას“³¹.

უკანასკნელად განხილული ორი ნიმუშის ფაბულური განვითარება და ფინალი ერთნაირია. თუმცა მეორე ზღაპრის მთავარი მოქმედი პირი — დედაბრის შვილი კიდევ უფრო შთამბეჭდავ გოლიათურ საქმეებს ჩაიდენს. ფაფურაკიანი თავგადასავლების საძებნად დამავაზრებელი იგი სამჯერ ისვრის ისარს. მისი ნატყორცი ისარი შვიდ, რვა და ცხრა მთას გადაივლის და შესაბამისად შვიდ, რვა და ცხრა ძმა დევების ბაღში ჩაესობა³².

ამავე ზღაპარში ჰიპერბოლიზაციის სხვა ფაქტებიც გვხვდება. დავიმოწმებთ რამდენიმე მათგანს: წყალიხვრება მდინარის პირას ზის და ნაღვლობს, წყალი მწყურია და ვერ დამილევა, ერთი ყლუბი რომ გამომივიდეს, მეორე აღარ გამომივაო; ჭიანჭველების მაყურებელს ყური მიწაზე უდევს, ესმის ჭიანჭველას მოტეხილ ბარკაღს როგორ უხვევენ და ამაზე ეცინება; ცაჭვრეტია ცისკენ იტყირება, შარშან ცაში ისარი შევტყორცნე, ახლა დაბრუნდა და ველი, როდის ჩამოვარდება, ან ქარი საით მიხრისო; გორიგლეჯია ერთ გორას მოგლეჯს, სხვა მთაზე აიტანს და დააგორებს³³.

ჯადოსნურ ზღაპარში აქა-იქ ბუმბერაზული ღონით დვეიც გამოირჩევა. ერთგან დევი ამოსუნთქვისას ცეცხლს ამოყრის („დედაბრის შვილი“), რის გამოც მას შესაფერისი სახელი დევკაჟიანი ჰქვია. სხვაგან — „დევი წამოვიდა, მთა მთას სთხლიშა, გორა გორას“³⁴ („კოჭლი მონადირის შვილი“) და ა. შ.

გოლიათურ ძალას ზოგჯერ ფრინველიც ავლენს. „მონადირისა და დიდი არწივის ზღაპარში“ დიდი არწივი სამ მუხაზე ზის და სამივე მუხა უჭირავს³⁵. ეს მხატვრული გაზვიადება კიდევ უფრო მაღალ ფიგურალურ ეფექტს აღწევს, როდესაც იმავე ზღაპრის შემდგომი ეპიზოდით შევიტყობთ, რომ ეს დიდი არწივი ჯერ კიდევ პატარა, უმწეო ბარტყი ყოფილა. ამრიგად, ეს ჰიპერბოლა ფარულ შინაგან ალოგიზმს შეიცავს და მისი რეალური გააზრება მხოლოდ შემდეგ ხერხდება. ასევე ჯადოსნური ეპოსის ნიმუშებში ხშირად არის ჰიპერბოლიზებული ფასკუნჯიც.

საანალიზო ტიპის ხალხურ ზეპირ მოთხრობებში მხატვრული გალაჭობების მეთოდი სხვადასხვა სულიერ არსებათა თუ უსულო საგანთა მიმართაც არ გამოყენებული.

დახასიათების ისეთი ტროპული ხერხი, როგორიცაა **ეპითეტი** ჯადოსნურ ეპოსში საკმაო რელიეფურობით იხმარება. ბევრი ეპითეტი ზღაპრული პერსონაჟის ფსიქოლოგიურ სამყაროს ძუნწად, ლაკონიურად გვიჩვენებს და ამით თავის მხატვრულ ამოცანას თვალსაჩინო კონკრეტულობით ასრულებს.

მსგავსი ვითარება შეინიშნება ჯადოსნურ ზღაპარში „მეცხვარე ბრმა დევი და ფეიქრის შევირდი“. აქ სამიოდე ეპითეტის მოშველიებით მოხდენილად ინდივიდუალიზებული ღარიბი ცოლ-ქმრის შვილის შინაგანი ბუნება: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ღარიბი ცოლ-ქმარი. ჰყავდათ ერთი ბიჭი, მაგრამ ისეთი **ჭოუტი, კერა** და **გაუგონარი** იყო, რომ დედ-მამას არაფერს არ უგონებდა“³⁶.

ზოგიერთი ზღაპრის შესავალშივეა აქცენტირებული ეპითეტი, რომლითაც მთავარი პერსონაჟია დახასიათებული. მაგალითად: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი **საწყალი** კაცი. ცხოვრობდა სოფელში და ძალიან **გაჭირვებული** იყო“³⁷ („საწყალი კაცის ზღაპარი“). ეპითეტი **საწყალი** ლაკონიურად მიუთითებს ზღაპრული პერსონაჟის ცხოვრებისეულ სიდუხჭირესა და სიღატაკეზე, რაც შემდგომ ფრაზაში ახალი ეპითეტით **გაჭირვებული** კიდევ უფრო მეტადაა გაძლიერებული.

„ბროწეულის ზღაპარში“ ერთადერთი ეპითეტური სიტყვის მოშველიებით ზედმიწევნით შეკუმშულადაა მოხაზული ზღაპრის მოქმედი პირი ვაჟის ფსიქოლოგიური თვისება. ეს ეპითეტია **უჭიათი** და იგი ადამიანის ურჩ, მოუქნელ ხასიათზე მიანიშნებს³⁸.

ჯადოსნურ ზღაპრებში ფერთა ეპითეტი საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული და აქ მისი გამოყენება გარკვეულწილად კოლორიტულ იერს იძენს. საქმე ის არის, რომ ფერებს ამ კატეგორიის ზღაპრულ სამყაროში უმთავრესად საკრალური ფუნქცია აქვთ დაკისრებული და, მაშასადამე, მათი ახსნა რელიგიური აზროვნების ცალკეული საფეხურების გათვალისწინებას ვარაუდობს. შემოო დასახელებულ ზღაპარში „მეცხვარე ბრმა დევი და ფეიქრის შევირდი“ ფერებს სწორედ გრძნეული შინაარსი აქვთ მისადაგებული, — ისინი ავისმომასწავებელი იდუმალი იმპულსებით არიან გამსჭვალულნი, რაც წინასწარი გაურკვეველი შიშის გრძნობას იწვევს.

ამ ზღაპრის ფაბულით გადმოცემულია, რომ დევი შვილობილ ვაჟს აფრთხილებს: შავ მთაზე ცხვარი არ გარეკო, თორემ იქიდან ცოცხალი ვეღარ დაბრუნდებიო. მაგრამ ბიჭმა „გათენდა თუ არა, გარეკა **შავი** მთისაკენ ცხვარი. **შავ** მთაზე რომ ავიდა, ნახა, ერთი **შავი** მეცხვარე გამოვიდა, **შავი** კომბალი უჭირავს, **შავი** ნაბადი ასხია, **შავი** ცხვარი ჰყავს და **შავი** ძაღლები“³⁹.

ბიჭი თავისმა მოხერხებულობამ იხსნა, მან **შავ** მეცხვარესთან შეხვედრა საკუთარი თავის სასარგებლოდ წარმართა და მასთან ნარდის თამაშში მთელი მისი ცხვრის ფარაც მოიგო. ასეთივე ხერხით მან ხელში ჩაიგდო **წითელ** მთაზე **წითელი** მეცხვარის **წითელი** ცხვარი⁴⁰. ანალოგიური შედეგით დამთავრდა **თეთრ** მთაზე **თეთრ** მეცხვარესთან შეხვედრა⁴¹.

აქ ფერების გარკვეული ფუნქციები და კომბინაციები ზღაპრის სხვა ეპიზოდებშიც გვხვდება. ოღონდ აქ პერსონაჟები, გეოგრაფიული გარემო და მოქმედების მიზანსწრაფულობა სხვაგვარ პროექციაშია განლაგებული.

ასე, მაგალითად, დევი (მამობილი) ვაჟს (შვილობილს) გამოთხოვების წინ ეუბნება: რაკი არ იშლი და ჩემი სახლიდან წასვლას აპირებ, ბარემ წასვლას წინ ჩემს თავლაში შეიარე და იქიდან სამი რაში წაიყვანეო. შევიდა ბიჭი თავ-



ლაში და სამივე რაში ნახა. „ერთი შავია, ერთი წითელი და ერთი თეთრი. შავს ერთი ხელი შავი ტანისამოსი და იარაღი აქვს უკან დაკრული, წითელს — წითელი და თეთრს — თეთრი. გამორეკა, ერთზე შეჭდა, ორი თან წაიყვანა“⁴²

მოგვიანებით ვაჟი (ზღაპრის ამ პასაჟეჟში უკვე ქაჩალ-მებატის სახელით ცნობილი) სხვადასხვა ხიფათიანი დავალების შესასრულებლად სამივე რაშს რიგრიგობით გამოიხმობს. აი, როგორ არის აღწერილი პირველი შემთხვევა სათავედ ეპიზოდში: „წამოვიდა ბიჭიც მინდორში, გამოხსნა თეთრი რაშს ქაღალა, ახსენა და იმ წამში იქ დაიბადა. ჩაიცვა თეთრი ტანისამოსი, თეთრი აბჯარი აისხა, მოახტა რაშს, გააფრინა“⁴³.

ფერთა მსგავსი შეხამებით აღინიშნება წითელი და შავი რაშით ქაჩალ მებატის მიერ სხვა ფათერაკიან დავალებათა შესასრულებლად გამგზავრებაც.

მთელ ზღაპარში თავიდან ბოლომდე ფერთა მონაწილეობით გარკვეული მოზაიკური სურათი იხატება, მაგრამ თვით ცალკეულ ფერთა საკრალური ფუნქცია არც კონტექსტითა და არც ქვეტექსტით არსად არ არის მინიშნებული თე გამომზეურებული. შეიძლება ამას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ზღაპრის ეპიზოდები, სადაც ფერები მონაწილეობენ, ადამიანი-პერსონაჟის პოზიციებთან წარმატებით გვირგვინდება და, ამრიგად, ფერთა მაგიური ფუნქციის გამოყვანებისათვის ჯეროვანი პირობები აღარ იქმნება.

ფერთა იგივე რეალიები ნაწილობრივ საცნაურდება ჯადოსნურ ზღაპარში „შვე-თეიმურაზი, მზე-თეიმურაზი და მთვარე-თეიმურაზი“. აქ შვე-თეიმურაზი მზე-თეიმურაზს შესაბამის შეკითხვაზე ასე უპასუხებს: „— ვინა ვარ და მე განლაკარ შვე-თეიმურაზი, შავი ცხენის შვილი და შვე მთაში გაზრდილი“⁴⁴.

თუ ზემოთ განხილულ ზღაპარში სხვადასხვა ფერის რაშების მაგიური ფუნქცია არ არის დიფერენცირებული, სამაგიეროდ ქვემოთ დამოწმებულ ზღაპარში „ბროწეულის ყვავილი“ ეს ფუნქცია სხვადასხვა ფერის რაშებთან უკვე დანაწევრებულადაა წარმოდგენილი. აქ წითელ რაშს მხედარი მალა ზესკენელში ამოკაყვს, თეთრი რაში მხედარს შუასკენელში დაატარებს, შავი რაში კი მასზე მჯდომს ქვესკენელში ჩაიყვანს⁴⁵. ჩვენი ვარაუდით, ცალკეულ სკენელთა მიმართ ფერების გამოყენებაში განსაზღვრული ლოგიკაა დაცული. რადგანაც ზესკენელი მზის სამფლობელოს განსახიერებს და მზე კი წითელი ფერისაა, ამიტომ მას ასევე წითელი ფერის რაში უკავშირდება; შუასკენელი ამქვეყნიური სივრცეა, აქ დღევ არის და მისი სივრცე მზის სხივებითაა განათებული; შესაბამისად შუასკენელთან თეთრი ფერის რაში „თანამშრომლობს“. ქვესკენელი კი, რომელიც სიბნელის, სიშავის სიმბოლოა, ასევე შავი რაშის სამოგზაურო ასპარეზადაა ქცეული.

საანალიზო ტიპის ზღაპრებში გამოიყენება აგრეთვე **სიმბოლური მინიშნება**იც. მათ, ცხადია, თავისი მხატვრული ფუნქცია განეკუთვნება და ამრიგად, კომპოზიციურ ქარგაში მათი ჩართვა თვით ზღაპრის შინაარსობრივი ტენდენციებით არის ნაკარნახევი. ზღაპარი „ცხრა ძმა“ შეიცავს ასეთ სიმბოლურ მინიშნებას, რასაც თავისი სიუჟეტური მოტივაცია მოეპოვება. აქ „ძმებმა ერთხელ სანადიროდ წასვლა დააპირეს და დედას უთხრეს: — ჩვენი წავალთ, თუ ვაჟი გაგიჩნდეს, უღელი გამოდგი ბანზე და თუ ქალი — ჯარაო“⁴⁶.

აღნიშნული სიმბოლური მინიშნებაც მხატვრული წარმოსახვის შედეგია, რადგანაც აქ ერთი სავანი გარკვეული ამბის ასოციაციას იწვევს. ოღონდ ეს ასოციაცია სათანადო პირობითობას ემყარება. პირობითობა კი წინასწარ შემუშავებული სქემის განუხრეკლ დაცვა-შენარჩუნებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სქემის თავდაპირველი მნიშვნელობის ინტერპრეტაციამ საპირისპირო აზრამდე მივიყვანოს და მართლაც: შემდგომ, ბოროტი ძალს მიერ ამ სქემის თვითნებური სუბიექტური შეცვლა სიმბოლურ მინიშნებასაც

აუკუღმართებს, რასაც დასახელებულ ზღაპარში ამბის ტრაგიკული განვითარება მოსდევს.



გამიზნულ სიმბოლურ დანიშნულებას გულისხმობს ზღაპრის — „უღონო და ხელმწიფის შვილი“ — ერთი ფრაგმენტი. ამ ფრაგმენტის თანახმად, ერთი მოხუცი ქალი „თეთრ გორგალს შლის და შავ გორგალს ახვევს“. თავის ამ საქმიანობას თვითონვე ასე განმარტავს: „შუალამემ გადაიარა, ახლა შავი უნდა დაეახვიო და თეთრი გაეშალო, მალე გათენდება“⁴⁷. მაშასადამე, ქალის სიტყვებით ამ გორგლების სიმბოლური ფუნქცია კონკრეტულ ახსნას პოულობს.

ჯადოსნურ ეპოსში გამოიყენება სხვა ხასიათის გამომსახველობითი საშუალებანიც, რომლებზეც აქ აღარ შეეჩერდებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ პოეტის კური ატრიბუტები ამ კატეგორიის ზღაპართა მხატვრული სტილის კოლორატული გამოვლინებებია, სადაც სახეობრივ წარმოსახვას ფართო გასაქანი ეძლევა. აქ ზოგადი მასშტაბით ბარემ იმასაც დაეძინო, რომ ხატოვანება ხალხურ პროზის რეპერტუარში სხვა ნიუანსებს ამყვანებს, ვიდრე ამას ადგილი აქვს საკუთრივ ხალხურ პოეზიაში. „საფუძველი პროზისა და პოეზიის ენისა ერთია, ესაა ენის სიტყვარი და სტრუქტურა, მაგრამ მათი სხვაობა მაშინვე იჩენს თავს, როცა გამომსახველობის მხატვრულ საშუალებებზე მიდგება საქმე, — აღნიშნავს ალ. ლლონტი და ასკენის, — ამ საშუალებების გამოყენებაში აშკარაა ვედა პროზისა და პოეზიის ენობრივი სპეციფიკა“⁴⁸.

ხება რა ხალხური პროზის ნიმუშებში მხატვრული ენის განვითარებისა და სრულყოფის საკითხებს, ალ. ლლონტი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ამ ნიმუშთა მხატვრულ არსენალში აქტიური და პასიური ფონდის არსებობასთან დაკავშირებით. „ისტორიული განვითარების პროცესში, — წერს იგი, — იცვლებოდა, მდიდრდებოდა და იხვეწებოდა სალაპარაკო ხალხური ენის გამომსახველობის საშუალებანი. მოქმედები, მომღერლები, მოშირიენი თავიანთი რეპერტუარისათვის მკაცრად არჩევდნენ გამომსახველობის საშუალებებს. ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ენის მხატვრულ სამკაულებში იმთავითვე გამოიყოფოდა აქტიური და პასიური ფონდი. პირველი მოქმედებაში იყო, მეორე დავაწყებას ეძლეოდა. გასაგები მიზეზების გამო მხატვრული გამომსახველობის საშუალებათა მთელი სიმდიდრის მხოლოდ მეტად მცირე ნაწილია ასახული ხალხურ ეპოსში“⁴⁹.

ჯადოსნური ზღაპრის პოეტის, მხატვრული ენის ცალკეული ასპექტებზე უფრო ფართო პლანით კვლევა-ძიება ჩვენ ეროვნული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ გადაუდებელ სადღეისო პრობლემად გვესახება. ასეთი ხასიათის მეცნიერული მუშაობის ჩატარება უეჭველად ნაყოფიერ შედეგს მოგვცემს და შესაბამისად ამ დარგში ჩვენი მიღწევების დიაპაზონსაც კიდევ უფრო გააფართოებს.

დამოწმებული ლიტერატურა

1. ალ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975, გვ. 3.
2. იქვე, გვ. 5.
3. Русские народные сказки, М., 1956, გვ. 1.
4. ხალხური სიბრძნე, I, თბ., 1963, გვ. 100.
5. იქვე, გვ. 415.
6. Б. В. Томашевский, Стилистика и стихосложение, Л., 1959, გვ. 209.
7. Ф. М. Головенченко, Введение в литературоведение, М., 1964, გვ. 172.
8. ხალხური სიბრძნე, I, გვ. 471.
9. იქვე, გვ. 400.
10. იქვე, გვ. 401.

11. იქვე, გვ. 471.
12. იქვე, გვ. 403.
13. იქვე, გვ. 237.
14. იქვე, გვ. 237—238.
15. ალ. ლლონტი, ხალხური ენისა და სტილის საკითხები, გვ. 115.
16. ხალხური სიბრძნე, I, გვ. 243.
17. იქვე, გვ. 248.
18. Г. Н. Поспелов, Теория литературы, М., 1940, გვ. 39.
19. ალ. ლლონტი, ხალხური პოეზიის ენისა და სტილის საკითხები, გვ. 25.
20. ხალხური სიბრძნე, I, გვ. 61—63.
21. იქვე, გვ. 110.
22. იქვე, გვ. 249.
23. იქვე, გვ. 341.
24. იქვე, გვ. 100.
25. იქვე, გვ. 239.
26. ალ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, გვ. 27.
- 27—28. ხალხური სიბრძნე, I, გვ. 54.
29. იქვე, გვ. 130.
- 30—31. იქვე, გვ. 150.
32. იქვე, გვ. 151—152.
33. იქვე, გვ. 154—155.
34. იქვე, გვ. 363.
35. იქვე, გვ. 110.
36. იქვე, გვ. 143.
37. იქვე, გვ. 285.
38. იქვე, გვ. 401.
- 39—40. იქვე, გვ. 144.
41. იქვე, გვ. 145.
42. იქვე, გვ. 146.
43. იქვე, გვ. 148.
44. იქვე, გვ. 88.
45. იქვე, გვ. 401.
46. იქვე, გვ. 119.
47. ხალხური სიბრძნე, II, თბ., 1964, გვ. 143.
- 48—49. ალ. ლლონტი, ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, გვ. 114.

Г. А. ШТЕКАУРИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ХУДОЖЕСТВЕННОГО СТИЛЯ В ВОЛШЕБНОМ ЭПОСЕ

Средства художественного изображения в волшебных сказках использованы более умеренно, так как в них главный акцент перенесен на фабулу, на момент повествования, на описание разных эпизодов и приключений персонажей. Из элементов тропической речи здесь распространены сравнение, метафора, эпитет и др. А что касается гиперболы, то она в репертуаре произведений указанного народного эпоса находит довольно широкое применение, что обусловлено самой спецификой внутренней сюжетной природы анализируемых фольклорно-прозаических текстов данного типа.

Художественные компоненты в рассматриваемых народно-прозаических образцах реализованы в основном из арсенала традиционных поэтических орнаментов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

მარინე ანსრადილი

 რაინდული ინსტიტუტის მართი თავისებურება კლასიკური
 ხანის ქართულ ლიტერატურაში

შუა საუკუნეების, კერძოდ კლასიკური ხანის (XI—XII სს.), ლიტერატურული მემკვიდრეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება წინარე ხანის მწერლობასაგან. ამ პერიოდში დასავლეთის ქრისტიანულ ქვეყნებში წარმოიშვა და განვითარდა რაინდობის ინსტიტუტი, რამაც ხელი შეუწყო საერო ლიტერატურის აღმავლობას. საერო კულტურის მატარებელი იყო ფეოდალთა კლასი. ახალი კულტურა, რომელიც ამქვეყნიურ ცხოვრებაზე იღებდა ორიენტაციას, ვითარდებოდა საეკლესიო-ასკეტურ იდეოლოგიასთან მუდმივი კონფლიქტის პირობებში. ეს ბუნებრივია, რადგან ახალმა ეპოქამ, ახალმა კულტურამ წარმოშვა ლიტერატურის ახალი გმირი, ანუ ახალი სახე იდეალური ადამიანისა — რაინდი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა აქამდე ლიტერატურაში გავრცელებულ ადამიანის იდეალს. სასულიერო მწერლობამ იცოდა ადამიანი, რომელიც ხორცის დათრგუნვის გზით ცდილობდა ჭეშმარიტებასთან მიახლოებას; „ზესთა სოფლისაკენ“ სწრაფვა ყველა ადამიანურ სურვილს აღემატებოდა. რაინდისათვის კი ამქვეყნიური ცხოვრებაც თავისთავად ღირებულია და სწორედ იგია ჭეშმარიტების შემეცნების უშუალო წყარო. რაინდული ლიტერატურის გმირი ამქვეყნიურ რეალობაში ცხოვრობს — უყვარს, სძულს, იბრძვის, ამარცხებს, იმარჯვებს, კლავს, მოძმეს დახმარების ხელს უწყვის. იდეალური რაინდი შემკულია უმაღლესი მორალური და ფიზიკური თვისებებით, საყოველთაო მიზანძვის ობიექტია და მოეთხოვება რაინდული იდეალების სამსახური. იგი კეთილშობილი და დიდსულოვანია, მკაცრად იცავს ბრძოლის ჰუმანურ წესებს, ეტიკეტს, ერთგულია სუზერენის, ზრუნავს სახლისათვის, ჰყავს სიყვარულის ობიექტი. „Как прекрасный жизненный идеал, рыцарская идея являет собою нечто особенное. В сущности, это эстетический идеал, сотканный из возвышенных чувств и пестрых фантазий. Но рыцарская идея стремится быть и этическим идеалом: средневековое мышление способно отвести почетное место только такому жизненному идеалу, который наделен благодетельем и добродетелью“.¹

X—XII საუკუნეების საქართველოში, მსგავსად დასავლეთ ევროპისა, ვითარდება საერო მწერლობა, რომელიც ტიპოლოგიური თვალსაზრისით მრავალ საგულისხმო ელემენტს შეიცავს. ქართულ სარაინდო ლიტერატურაში ჰაგიოგრაფიის „სულიერ“ გმირს ახალი საერო, ამქვეყნიური გმირი ცვლის, რომელიც თანაბრად არის შემკული უმაღლესი ფიზიკური და სულიერი თვისებებით.

ადამიანის ეს ახალი მოდელი ყალიბდება ქართული მწერლობის კლასიკურ ხანაში. საგმირო-სარაინდო ეპოსში „ამირანდარეჯანიანში“ იკვეთება რაინდთა ტიპური სახეები, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ რაინდის სახე ახალი შტრიხებით ივსება და სრულყოფილ ფორმას იღებს. ამ ორი ნაწარმოების ამ თვალსაზრისით შესწავლა თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ფეოდალური მონარქიის აყვავების ხანაში საქართველოში არსებობდა მძლავრი სარაინდო ინსტიტუტი თა-

¹ И. Хейзинга, Осень средневековья, М., 1988, гл. 72.

ვისი წესებით, ჩვევებით, ეტიკეტით, ქცევის ნორმებით. „აღრე ფეოდალიზმიდან დაწყებული მთელ შუა საუკუნეთა დასასრულამდე რაინდობა იყო არ მხოლოდ იდეალი, არამედ საფესვებით რეალურად მოქმედი ძალა სახელმწიფოებრივ-სოციალურ ცხოვრებაში. რაინდის ოფიციალური დანიშნულება საკარო-ცხოვრების კეთილდღეობის უზრუნველყოფა და სამეფო პიროვნების დაცვა, მაგრამ მისი როლი გაცილებით დიდია საზოგადოებრივ ცხოვრებაში; რაინდული ყოფა კულტურული განვითარების მნიშვნელოვან იმპულსს წარმოადგენდა“².

შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის სარაინდო ლიტერატურის ყველა ძეგლში რაინდის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელია ერთგულება. ერთგულება აქ გავრცელებულია როგორც ფეოდალურ კლასობრივ პირამიდაში მოვალეობების ზუსტი შესრულება ვასალისა და სუზერენის მიერ. 1020 წელს შარტრას ეპისკოპოსმა ფილბერტმა ჩამოაყალიბა რაინდის მოვალეობანი სუზერენისადმი. ვასალი მოვალე იყო არ დაეშვა სუზერენის ფიზიკური ხელყოფა, ზიანის მიყენება მისი სამკვიდრებლის, ღირსებისა და ინტერესებისათვის, არ შეეზღუდა მისი თავისუფლება და მოქმედებისუნარიანობა. გარდა ამისა, რაინდი ვალდებული იყო რჩევა-დარიგებით დახმარებოდა თავის ხელისუფალს³. ყველა ამ პუნქტს იცავენ დასავლეთ ევროპის სარაინდო ლიტერატურის გმირები.

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ მთავარი მოქმედი გმირები რაინდები არიან და მათ მთელი რიგი საერთო იდეალები ამოძრავებთ. მათგან ერთ-ერთი უმთავრესია პატრონ-ყმობის იდეალი. ქართული კულტურისა და ლიტერატურის კლასიკური ხანა განვითარებული პატრონყმური ფეოდალიზმისა და ფეოდალური მონარქიის ხანას ემთხვევა. სახელმწიფოს სათავეშია მეფე, რომლისადმი ერთგულება და თავგანწირვა სამშობლოს ერთიანობისა და ძლიერების დაცვას მოასწავებს. პატრონსა და ყმას შორის პუმანური დამოკიდებულებაა. ისინი ერთად იბრძვიან სიყვითლისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად. სრულყოფილი რაინდის ერთ-ერთი განუყოფელი და აუცილებელი თვისებაა ფეოდალური იერარქიული კიბის მკაცრად დაცვა — პატრონის უანგარო სამსახური და ყმისადმი კეთილშობილურ-შემწყნარებლური დამოკიდებულება. როგორც „ამირანდარეჯანიანის“, ასევე „ვეფხისტყაოსანის“ გმირები პატრონისადმი არაჩვეულებრივი ერთგულებითა და პატივისცემით არიან გამსჭვალულნი, მეტიც, ქართულ ძეგლებში პატრონ-ყმათა შორის მამაშვილური სიყვარული და დამოკიდებულებაა. ქვემოთ განვიხილავთ პატრონისა და ყმის მიმართებას, მათ მიერ ეტიკეტისა თუ ქცევის ნორმების დაცვას მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“.

„ამირანდარეჯანიანის“ მთავარი მოქმედი გმირები, ანუ „ჰაბუკები“, დიდებულითა წრეს ეკუთვნიან. ისინი თავიანთი რაინდული საქმიანობის შედეგად ხშირად მეფეებიც ხდებიან. „პატრონი ჩვენნი არა ძველითგან ხელმწიფენი არიან, აზნაურნი იყვნეს და ჰაბუკობითა ვაკეთდეს და გამეფდეს“⁴, — ეუბნება ომაე მადისძეს სუფიდავლე ლარისპანისძის კარის დიდებული. ასევე გამეფდნენ ბადრი იამანისძე, მზეჰაბუკი, ამირან დარეჯანისძე. თხზულების გმირი რაინდები თვითონ არიან ყმათა პატრონები და ამავე დროს მსახურებენ პატრონს — მეფეს, რომელთა ყმები არიან. რაინდი თავისი პატრონის ყმაა, მისი ინტერე-

² გ. იმედაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბ., 1968, გვ. 85.

³ М. Оссовская, Рыцарь и буржуа, М., 1987, გვ. 86.

⁴ მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1969, გვ. 107. ტექსტი ყველგან მიითთებულია ამ გამოცემის მიხედვით.



სების დამცველია, ის არის პატრონყმური ურთიერთობის საყრდენი. ამირან დარეჯანისძე დიდებული აზნაურია. „არა კარგი არს აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილი“ (გვ. 68), — უთელის იგი ხოსრო ხაზართა მეფის ძეს. აზნაური თავისი პატრონის ყმაა. ასევეა ამირანიც. იგი ბაღდადის ამირა მუმლის ყმაა, მისი ინტერესების დამცველია და უსიტყვოდ ასრულებს პატრონის დავალებებს. სამაგიეროდ, როგორც გამორჩეული თავისი ჭაბუკობით და პატრონისადმი თავადლებით, ამირანი ამირა მუმლის განსაკუთრებული ყურადღების საგანია. „დღესა ერთსა ამირამან ხელი გაიხსნა და არცა ნადირობსა გავიდა და არცა სერი-ნადიმი გარდაიხადა. დიდებული უხმნა და ნადიმი საწოლსა გარდაიხადა. ამირან დარეჯანისძესა სკარამანგისა სასთაული დაუდვა, ახლოს დაისვა, რომე ხელი მისწვდებოდის. სხვანი დიდებულნი, ვითა ხამდა, ეგრე დასხნე“ (გვ. 99), — წერს მოსე ხონელი. ამირა მუმლი საჭიროების დროს ამირანთან სახლში მისვლასაც არ თაკილობს და გაცემულ ჭაბუკს ეუბნება: „შენსა ასრე მოვალ, ვითარცა მამისა ჩემისასაო“ (გვ. 56). ამირა მუმლის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს პატრონსა და ყმას შორის არსებულ მეგობრობაა. მამაშვილურ დამოკიდებულებას, ურთიერთსიყვარულს. „კლასობრივი პარმონია საზოგადოებრივ ურთიერთობაში, პატრონსა და ყმას შორის მეგობრული განწყობილება „ამირანდარეჯანიანის“ იდეალია“⁵.

რაინდი მოვალეა დაიცვას თავისი პატრონი და მასთან ერთად თავისი ქვეყანაც. იგი მზად უნდა იყოს ყოველგვარი გასაჭირისათვის პატრონის ნებასურვილის შესასრულებლად. „ამირანდარეჯანიანის“ ჭაბუკების იდეალი უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის ბედ-იღბალთან. მათთვის განმსაზღვრელია მეფე-პატრონის ნება და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა. თხზულება თავიდან ბოლომდე გასრულს განსაკუთრებული მოწიწება მეფე მონარქისადმი» (ლ. გრიგოლაშვილი)⁶. რაინდი, როგორც ფიზიკურად ძლიერი და ხელშეუხებელი ადამიანი, აუცილებელია საზოგადოებისათვის, რათა მან ყოველგვარი ფაფქი და გასაჭირი პატრონისა საკუთარ თავზე მიიღოს. „ამირანდარეჯანიანში“ აშკარაა რაინდის პატრონისადმი სამსახურის და მორჩილების კულტი. რაინდისათვის სამეფო პიროვნება ხელშეუხებელია. მეფის ხელყოფა ყოველად დაუშვებელია. მტერიც რომ იყოს, მას მოსაკლავად არ გაიმეტებენ. „მიწვივა ამბრი არაბი ხანთა მეფესა და შეიპყრა. ვითა ცნა, რომე ესე ხანთა მეფე არისო, გარდახდა და თაყვანი-სცა ამბრი არაზმან და თქვა: მე მონა ვარ და შენ — დიდი ხელმწიფე, და არა ეგების ჩემგან შენი არცა სიკვდილი და არც პატიმრად წაყვანა. გაუშვა მეფე და წავიდა, და არცაღა ლაშქარსა ჰხოცდა“ (გვ. 43). ასევე ინდობს ორთაბრძოლის დროს ამირანი სინდთა მეფის ძეს, დელამთა მეფის ძეს. იგი შენიშნავს: „ღმერთმან იცის, მე ნებითა ჩემითა არა ვებრძვი ხელმწიფეთა, მით რომე არამცა ფათერაკი წამეკიდა და მოკვდეს რომელიმე ხელითა ჩემითა. არა კარგი არს აზნაურთაგან ხელმწიფეთა სიკვდილი“ (გვ. 68). ხოსრო ხაზართა მეფესთან შერკინებისას ხოსრო მუხთლად ცდილობს ამირანის დამარცხებას; გაცეცხლებული ამირანი ამარცხებს მტერს, მაგრამ ინდობს მას და არ კლავს: „თუმცა ხელმწიფე არ ყოფილ იყავ, მო-მცამკვდარ იყავ ხელითა ჩემითა“ (გვ. 69), — ეუბნება იგი დამარცხებულ მტერს. რაინდი მუდამ მზად არის დახმარების ხელი გაუწოდოს მეფეს, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ამირანი აღუთქვამს ამირა მუმლის — „რომელსაცა ქვეყანასა შემიჩინოთ, თავი ჩემი არა შევიწყალო, ანუ აღგისრულო საწა-

⁵ გ. იმედაშვილი, ამირანდარეჯანიანი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1966, გვ. 10.

⁶ ქართული მწერლობა, ტ. II, თბ., 1987, გვ. 540.



დული და ანუ მოვიკლა თავი“ (გვ. 57). ამბრი არაბი ფიცს აძლევს არაბთა მეფეს: „დღედ სიკვდილამდის ჩემამდე არა შევიწყლო თავი ჩემი და სისხლნი შენი ჩემნი მსახურებისათვის შენისა“ (გვ. 50). „ამირანდავჯანიანის“ რაინდებმა ყველა მეფეს ეკრძალებიან, მაგრამ მათთვის უპირველესი მაინც უშუალოდ მათი ქვეყნის პატრონია. ამბრი არაბმა ერთხელ დაინდო ხანთა მეფე, მაგრამ მეორედ როდესაც შეიპყრო, აღარ აპატია თავისი პატრონის წინააღმდეგ ბრძოლა. იგი ასე მიმართავს ხანთა მეფეს: „მეფეო, მოგწეწე, ერთხელ შეგიპყარ და გაგიშვი. აწ კვლა მოხვედ პატრონისა ჩემისა სიკვდილად. აწ რალა გიხსნის. ჰკრა ხრმალი და მოკლა იგი მეფე ხანთა“ (გვ. 53).

19.226

რაინდები თვითონაც არიან ყმების პატრონნი. ჰაბუქს ჰყავს ერთგული ყმები, რომლებიც ეხმარებიან მას ბრძოლის დროს. ყმას აქვს მოვალეობანი, რომელსაც იგი ასრულებს, იცავს ქცევის წესებს, ეტიკეტს. ამირანს მუდამ თან ახლავს ექვსი ყმა-სავარსამისძე, აბან ქამანისძე, ალი მოჰამადისძე, ყამარ ყამარელი, ასან ბადრისძე და ქაოზ ქოსისძე. ეს ჰაბუქები ამირანის გვერდით არიან და მასთან ერთად ებრძვიან დევებს, ვეშაპებს, მტრის მრავალრიცხოვან ლაშქარს. თუ მტერი შედარებით სუსტია, ამირანი თვითონ არ იბრძვის, ყმები იბრძვიან. ჰაბუქი მხოლოდ ღირსეულ მეტოქეს ებრძვის. ასევე დახმარებას უწევს ბადრი იამანისძეს ინდო ჰაბუქი, ნოსარ ნისრელს ალი დილამი, მუჰ-ჰაბუქს რაიბ ნოზადი. როდესაც ხიფათი გამოჩნდება, პატრონი ყმას ავალებს მის გადალახვას, პატრონმა იცის ყმის ფიზიკური შესაძლებლობა. ბადრი იამანისძე უფლებას აძლევს ინდო ჰაბუქს შეებრძოლოს მწითურ ჰაბუქს, მხეცს, რომელსაც „ცხვირსა რქა ედგა დიდი“ (გვ. 16), შაოსან კაცს ლომთან შეაბრძოლებს, მაგრამ მძინარე ჰაბუქთან შებმის ნებას არ აძლევს ინდო ჰაბუქს. „ინდო ჰაბუქი ლამოდ შებმასა და ბადრი იამანისძემან ეგრე არქვა: არა, ძმაო, აწ ჩემდა არისო“ (გვ. 14). პატრონი და ყმა ვარკვეული ეტიკეტის დამცველებად გვევლინებიან. თუ ჰაბუქის ყმა მოისურვებს მტერთან შებმას, მან ეს ჯერ პატრონს უნდა მოახსენოს და მხოლოდ მისი თანხმობის შემდეგ შეუძლია ბრძოლის დაწყება. გამარჯვებულ ყმას პატრონი-ჰაბუქი მადლობას უხდის. როდესაც ალი დილამმა დიდი ლაშქარი დახოცა და გააქცია, დაბრუნებულ ყმას „მადლი უბრძანა ნოსარ“ (გვ. 25). მადლობას უხდის ლომების დახოცვისათვის შაოსან ჰაბუქს ბადრი იამანისძეც: „მადლი მიბრძანა და წაედიო“ (გვ. 16). ბრძოლის დროს პატრონი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ეხმარება ყმას, რაც სამაგიერო სამსახურს გულისხმობს. ბადრი იამანისძე, როდესაც ინდო ჰაბუქს თეთრი ვეშაპისაგან იხსნის, ეუბნება მას: „ძმაო, ასრევ შენ მიშველე, რა გამიჭირდესო“ (გვ. 17). ასევე ამბრი არაბიც, როდესაც თავის გამზრდელსა და ყმას აბუტარს დაიხსნის, ეუბნება მას: „აბა, ლომო ჩემო, ოდეს დამეჭიროს, ასრევ შენ მიშველეო“ (გვ. 37). ყმა კი, რომელსაც პატრონი დახმარების ხელს უწყდის, ხოტბას ასხამს რაინდის უზომო ვაჟკაცობას: „მადლი ღმერთსა, რომელ შენ ეგეთი ჰაბუქი დავბადაო“ (გვ. 17), — ეუბნება ინდო ჰაბუქი ბადრის. აბუტარიც ქებას ასხამს ამბრი არაბს და ეუბნება — „არა ნახულ არს ჰაბუქი შენებრიო“ (გვ. 37). ჩვეულებრივ, ჰაბუქი არ უშინდებოდა არანაირ ფათერაკს; იგი ყოველთვის მზად იყო თავი გასაჭირში ჩაეგდო. მისი ყმა ხშირად უფრო შიშის თვალით უყურებს მომავალ ორთაბრძოლას, მაგრამ მას არა აქვს წინააღმდეგობის ვაწყვის უფლება. ჰაბუქი მისი სუზერენია. ბალხეთს ამირანთან ერთად საომრად მიმავალი სავარსამისძე იძულებულია დაემორჩილოს პატრონს, საკუთარი სურვილის საწინააღმდეგოდ: „მე დამიმძიმდა დიდად, ამისთვის რომე, საჭირო გზა იყო, და ბალხამ ყამისძე — ლომი და გამარჯვებული ჰაბუქი და ჩემგან დაშლა არა ეგებოდა. მოვახსენე: ვითა გწადიან, ეგრე ქენითო. ბრძანა (ამირანმა): გამომიჩხევია და წავი-“

პაქ. სსრ კ. მარქსის



დეთო“ (გვ. 17). მეტიც, ბადრი იამანისძის ყმებმა ინდო ჭაბუკმა და უსინჯა იცოდნენ, რომ დევთა ქვეყანაში იმყოფებოდნენ და დიდი სიფრთხილგ

თებდათ, მაგრამ მათ თავიანთ პატრონს ვერ შეჰკადრეს ეთქვათ: „შიში არისო და ნუ დასდგებითო“ (გვ. 23), რამაც ბადრი იამანისძე დევებს ჩაუგდო ხელში. ყმები არ იყვნენ მიმაგრებული თავისი პატრონის პიროვნებასა და მიწაზე. პატრონის ამორჩევა მათ თავიანთი სურვილით შეეძლოთ: თუ ძველი პატრონი არ მოსწონდათ, შეიძლებოდა სხვას „შესწყნარებოდნენ“. ამის მაგალითებო გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“. როდესაც ამირანმა წითლოსანი ჭაბუკი მოკლა, მისმა ყმებმა ამირანს მიმართეს: „აქათგან მონანი ვართ შენნი, რასაცა გვიმსახურებთ, წინაშე ვართ. უბრძანა დარეჯანისძემან: თქვენ, ძმანო, არცა ვავენებო. აწ, თუ გმარჯვიათ, ჩემ თანა წამოდით, თვარა თავისუფალნი ხართ, რა გინდა ქმენით. მათ თაყვანის-გვესს და წავიდეს“ (გვ. 79). ასე შეეწყნარა ყმად რაბი ნობადი სამ ძმადნაფიც არაბს, ხოლო მათი დახოცვის შემდეგ მზე-ჭაბუკს. ომად მადისძის ჭაბუკობით მოხიბლული ამირა მუშლი სთავაზობს მას: „დადეგ ჩემ თანა და საჭურჭლეთა სამად გაგიყოფ და მესამედსა შენ მოგცემ“ (გვ. 103). მაგრამ ომად მადისძე უარს უთვლის ამირას, არ შეეწყნარება მას და მაინც თავის პატრონს უბრუნდება. ყმად შეწყნარების ტიპური ნიმუშია მზე-ჭაბუკთან მოსული ექვსი ყმის სათხოვარი: „ჩვენ ღარიბნი ვინმე კაცი ვართ, ამხანაგნი ერთმანერთისანი, და ცოტანი ერთგან დაზრდილ ვართ. და ვისაცა შევსწყნარებთ, პატრონი ვერვინ მოგვწონებია. აწ გვასმია ჭაბუკობა და სიკეთე შენი, მოსრულ ვართ წინაშე შენსა, ესდენი ხანი დავგიყოფინ. მით არა მოგახსენეთ, გავციდიდით ჭაბუკობასა შენსა. აწ გნახეთ ჭაბუკი ეგეთი, რომე არცა ვის სხვას უნახავს და არცა ჩვენ გვინახავს: აწ დავგიჭირენ და, რაცა ჩვენსა გვარსა კაცსა სხვისთვის არა ემსახუროს, ის თქვენ გვიმსახურეთ. და თუ საჭაბუკო საქმე დავგივარდეს, ესე ბრძანით თუ: ისი კაცი ჭაბუკად კმა არიანო. მზეჭაბუკი დიდი მეფე იყო და ჭაბუკობისა მოყვარე. ეგრე უბრძანა: ილდად გამხარებია თქვენი მოსვლა, და ჭაბუკობისათვის მიყვართ. აწ, ვითარცა ძმანი ხართ ჩემნი და არა ყმანი, ეგრე დავგიჭირნეო“ (გვ. 156).

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ სრულყოფილად არის ასახული საქართველოსათვის დამახასიათებელი პატრონისა და ყმის ჰუმანური დამოკიდებულება. ასევე აღწერილია ფეოდალთა ყოფა — რაინდთა გამუდმებული ბრძოლები სახელმწიფოს დაცვისა და გათავისუფლების მიზნით, მშვიდობიანი ცხოვრება სამეფო კარზე, ნადირობა, ნადირობა, ლხინი, მეკლისები, ტურნარები. ყოველივე ამაში მონაწილეობენ როგორც მეფეები, ასევე რაინდები. «ამირანდარეჯანიანი» აიდეალებს პატრონყმური ურთიერთობის სიწმინდეს: ჩვენი თხზულება დიდი სიყვარულით ასახავს ფეოდალურ-პატრონყმური საზოგადოების იმ ფენის ყოფითს მხარეს, რომელიც მტკიცე ბურჯად უდგა ცენტრალისტური იერის მქონე ფეოდალურ სახელმწიფოს»⁷.

„ამირანდარეჯანიანში“ პატრონყმობის მძლავრი ინსტიტუტია მოცემული, რომელიც საფეხურებად არის დაყოფილი და თითოეული წრის წარმომადგენელს თავისი უფლება-მოვალეობანი გააჩნია. იდეალური რაინდის ერთ-ერთი მახასიათებელია ამ უფლება-მოვალეობათა დაცვა, სუხერენისაღმი მორჩილება და ყმათა შეწყნარება. თხზულების მთავარი გმირები, როგორც დავინახეთ, ფეოდალიზმის გარკვეულ იერარქიულ საფეხურებზე დგანან და პატრონყმური ინსტიტუტის ხელშეუხებლობას იცავენ.

⁷ აღ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, თბ., 1945, გვ. 54.

სარაინდო რომანის განვითარების შემდეგ საფეხურზე შეიქმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც მოსე ხინელის მიერ ჩაყრილ სიძირეებზე კვლავ ჩანს აღმოცენებული და ქართული სარაინდო ლიტერატურის მწვერვალია.

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილი ამბავი ვითარდება ქართული პატრონ-ყმური სოციალური ყოფის ფონზე. რუსთაველი ხოტბას ასხამს სამართლიან და ძლიერ სახელმწიფოს, სადაც პატრონყმური სოციალური კიბის უმაღლეს საფეხურზეა მეფე, რომელიც პოემაში აღიარებულია ღვთის სწორ არსებად. პოემის მთავარი მოქმედი გმირები რაინდები არიან. ისინი კეთილშობილად წრეს ეკუთვნიან. რაინდის სახის სრულყოფაში, როგორც მისი ერთ-ერთი ელემენტი, მაღალი სოციალური მდგომარეობაც იგულისხმება. ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი არისტოკრატიის უზენაეს ფენას ეკუთვნიან, ისინი მეფეები ან თითქმის მეფეები არიან და ამავე დროს მსახურებენ უმაღლეს პატრონს — მეფეს. პატრონ-ყმათა შორის იდეალური დამოკიდებულებაა. მაშინ, როცა შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფო უამრავი შინაომებითა და ფეოდალური გათშეულობით იყო მდიდარი, რუსთაველის პოემაში ხოტბაშესხმულია ერთიანი მძლავრი ცენტრალიზებული ფეოდალური სახელმწიფო. «რუსთაველი შესტრფის გაერთიანებულ, შემჭიდროებულსა და ჰუმანური მმართველობის ნიადაგზე განმტკიცებულ ძლევამოსილ სამშობლო ქვეყანას. ფეოდალური განდგომილებისა და პარტიკულარიზმის წინააღმდეგ რუსთაველი ავთანდილის პირით აცხადებს — „ხამს მეფეთა ერთგულება, ყოფა გვმართებს ყმასა ყმურად“⁸. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდები დიდი მამულებისა და მრავალრიცხოვანი ყმების მფლობელები არიან. ავთანდილს „ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა, ვარე კლდე იყო, ვიამბობს ზღუდესა უქვიტიკიროსა“ (148, 1—2)⁹. ასევე ციხე-ქალაქის მფლობელია ტარიელი — „ქალაქი მქონდა მაგარი, მტერთაგან მოურევარი“ (552, 3—4), — ამბობს იგი. თავის ციხე-ქალაქში ავთანდილს ჰყავდა ლაშქარი, დიდებულები, ჰქონდა „საჯდომი და ტახტი მისი“ (174, 2). ავთანდილს ორგვარი მოვალეობა აქვს — პატრონისა და ყმისა; თავის მაგივრად სამფლობელოში სამი წლით დატოვებულ შერამდინს ავთანდილი ამ მოვალეობათა შესრულებას თხოვს:

„ლაშქართა და დიდებულთა აღაშქრებდი, პატრონობდი,
დარბაზს კაცსა ვაჰზაენიდი და ამბავსა მთას სცნობდი,
წიგნსა სწორდი ჩემ მაგიერ, უფასოსა ძღვენსა სძღვენობდი,
აჲა სადმე არყოფასა ჩემსა მათმა არ ავრძნობდი“ (154).

გარდა იმისა, რომ ავთანდილი თავისი სამფლობელო მამულის ერთპიროვნული და ხელშეუხებელი მმართველია, იგი ამავე დროს მეფის უერთგულესი ქვეშევრდომია. „ვეფხისტყაოსნის“ რაინდებს ახასიათებთ განსაკუთრებული კრძალვა და პატივისცემა მეფისადმი. ავტორი ტარიელის პირით პირდაპირ აცხადებს, რომ „ვიინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან“ (433, 3). „ვეფხისტყაოსანში“ მეფე ღვთის სწორია. ტარიელის დასახმარებლად გაპარულმა ავთანდილმა შენიშნა: „გამოპარვით წამოსვლითა ღმრთისა სწორნი მოვიმღურვენ“ (846, 3). რუსთაველი რაინდს არასოდეს აპრობოლებს მეფესთან და მით უმეტეს არ აკვლევინებს მას, თუნდაც იგი მტერი იყოს. ტარიელმა

⁸ ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, თბ., 1966, გვ. 165.

⁹ აქაც აღ შემდეგშიც „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები დამოწმებულია პოემის საიუბილეო გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1966.

ხელმწიფობის გამო დაინდო როსტევან მეფე, რომლის მონები მტირალი რაინ-
დის შეპყრობას ლამობდნენ:



„მოვიხედენ, მომეწია რა პატრონი შენი, ენახე,
ხელმწიფობით შემებრალნეს, ამაღ ხელი არ შევახე,
თვალთა წინა გამოვექეც, მეტი არა შევეზრახე“ (291, 1, 2—3).

ტარიელმა დაამარცხა რამაზ მეფე, მაგრამ შეიწყალა და აპატია მტრობა. მეფე ყოველგვარ სიტუაციაში რაინდისათვის ხელშეუხებელია. მეფესთან რაინდის ურთიერთობა გარკვეული ქცევის წესების, ეტიკეტის დაცვასაც მოითხოვს. თხზულებაში რაინდი მხოლოდ მეფეს მიმართავს თქვენობით. ავთანდილი პირდაპირ ვერ შედის მეფესთან, როდესაც ქვეყნიდან უცხო მოყმის საქმენელად მიემართება; იგი ეჯიბს ავზავნის პატრონთან, რომელიც უწინაც არაერთხელ შეუგზავნია და მხოლოდ მას შემდეგ ბედავს ეახლოს როსტევანს, რაც მის კეთილგანწყობას და თანხმობას შეიტყობს. ასევე ვეზირს ავზავნის მეფესთან ტარიელის დასახმარებლად მიმავალი ავთანდილი. რადგან იცის, რომ როსტევანს არ სურს მისი გაშვება, ავთანდილი თვითონ არ ეახლება მეფეს და როდესაც შეიტყობს, რომ იგი მის გაშვებას არ აპირებს, იპარება, მეფეს კი ანდერძს უტოვებს. ასევე ეკრძაღვის მეფე-პატრონს ტარიელიც. იმდენად არის მასში გამჭდარი მეფისადმი რიდი და პატივისცემა, რომ იგი სიტყვას ვერ შებედავს მას, როდესაც სამეფო თათბირზე ნესტანის გათხოვების გადაწყვეტილებას გააცნობენ, თუმცა მისთვის ეს საბედისწერო ამბავი სიკვდილს უდრის:

„რომე პირველვე დაესვენა, მათ ესე შეეტყუებოდა,
ერთმანერთსაცა უჭკრეტლეს, სიტყვაცა აგრე სწეგბოდა.
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოღენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა“ (505).

რაც შეეხება მეფეებს, ისინი რაინდებისადმი განსაკუთრებულ სიბოძას და სიყვარულს ამჟღავნებენ. ხატაელებთან გამარჯვების შემდეგ ინდოეთში მისულ ტარიელს მეფე გამოეგება, შეაქო და მტკივანი ხელი შეუხვია. მეორე დღეს კი, როდესაც ტყვეთა პატიება მოინდომა, ტარიელის გარეშე ვერ გადაწყვიტა, უხმო მას და ჰკითხა: „შეუნდობო ხატაელსა, მას აქამდის შენამტერსა“ (462, 4). შვილივით უყვარს როსტევან მეფეს ავთანდილი, მასთან განშორება დიდ ტკივილს აყენებს. იგი მამაშვილურად ეამბორება სპასპეტს:

„მეფე ყელსა მოეხვია, გარდაკონა ვითა შვილი
სხვა მათებრი არ ყოფილა არ გამზრდელი, არ გაზრდილი“ (145, 1—2).

ყმის უპირველესი მოვალეობა პატრონის სამსახურია. თინათინი, როდესაც უცხო მოყმის საქმენელად ავზავნის ავთანდილს, შეახსენებს, რომ პირველ რიგში ავთანდილს ავალდებულებს ყმური, სამსახურებრივი მოვალეობა:

„ასრე ვითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამაღ ორად:
პირველ, ყმა ხარ, ზორციელი არავინ გეყავს შენად სწორად,
მერმე, ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჰორად;
წადი, იგი მოყმე ძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“ (129).

ასევე თავისი პატრონის, თუმცა ამავე დროს მიჯნურისაც, დავალებას არ ურულებს ტარიელი, როდესაც იგი ხატაელებთან საბრძოლველად მიდის თუ

ხვარაზმშაპის ძეს კლავს. „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს სწამთ, რომ „პატრონისა სამსახური არაოდეს არ წახდებიის“ (771, 4).

„ვეფხისტყაოსნის“ გმირები, მართალია, მეფეთა ყმები არიან, მაგრამ თავის მხრივ მათაც ჰყავთ ყმები, რომელთაც პატრონობენ. ავთანდილს ჰყავდა ერთგული ყმა შერმადინი, რომელსაც სამი წლით წასულმა პატრონმა თავისი სამფლობელო ჩააბარა. ტარიელის დასახმარებლად მეორედ მიმავალი ავთანდილი ყმას ავალებდა:

„აწ მეფეთა სამსახურად პირველ თავი დაამზადე,
სიყეთე და უკულებლობა შენი ერთობ გააცხადე;
სახლი ჩემი შეინახე, სპათა ჩემთა ეთავადე,
სამსახური აქამდისი, კვლა გავლენა გააკვლადე“ (770).

შერმადინი ავთანდილის ყმაა და ვალდებულია შეასრულოს პატრონის ნება. „ვეფხისტყაოსანში“ პატრონსა და ყმას შორის იდეალური დამოკიდებულება, გამოირიცხულია ყოველგვარი უთანხმოება, ჯანყი, განდგომა. პირიქით, მათ დამოკიდებულებაში სრული ჰარმონიაა.

„ავთან უმოყვრესი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა“ (153, I), — ეუბნება ავთანდილი შერმადინს. შერმადინი მწარედ განიცდის პატრონთან ყოველ განშორებას. ავთანდილის გაპარვის გამო იგი მწარედ ტირის. „პატრონისა ვერა-მჭკვრეტმან ყმამან რამცა გაიხარნა“ (803, 4), — შენიშნავს რუსთაველი. ავთანდილსაც განსაკუთრებით უყვარს თავისი პატრონი — როსტევეან მეფე. ძალიან ბუნებრივად და სევდიანად ჟღერს ავთანდილის სიტყვები, რომელიც მას, ტარიელის საძებრად მეორედ წამოსულს და სამშობლო ქვეყნიდან გამოპარულს, ასმათთან საუბრის დროს აღმოხდა:

„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკილი, მოწყალე, ცა წყალობისა მოთველი“ (847, 1—2).

ამ სიტყვებით ამჟღავნებს რაინდი თავისი პატრონის დიდ სიყვარულსა და მონატრებას. „ვეფხისტყაოსანში“ ყმას შინაგანი თავისუფლებიდან გამოკვეთილი ერთგულების გრძნობა ამოძრავებს პატრონისადმი, როგორც მაშისადმი. ამგვარი დამოკიდებულება რელიგიური გრძნობის დონემდე იკვეთება „ვეფხისტყაოსანში“. პატრონის ერთგული სამსახური და ყმისადმი ჰუმანური დამოკიდებულება იდეალური რაინდის უმნიშვნელოვანესი თვისებაა. „ვეფხისტყაოსნის“ პატრონ-ყმათა შორის დამოკიდებულება სიყვარულსა და ერთგულებას ემყარება. „სჯობან ყოველთა მოყვარულთა პატრონ-ყმანი მოყვარულნი“ (1439), — შენიშნავს შოთა რუსთაველი.

მსგავსად მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“, შოთა რუსთაველის პოემაშიც მრავლად გვხვდება ნადირობისა, ნადიმისა თუ ლხინის აღმწერი ეპიზოდები. ეს, როგორც ჩანს, უმეკველი მახასიათებელია ფეოდალურ პატრონ-ყმური ყოფისა. „ვეფხისტყაოსანში“ ერთმანეთის გვერდით ნადირობს პატრონი და ყმა, როსტევეანი და ავთანდილი, ტარიელი და ფარსადანი, მეფე „სამამაცო ზნეთა“ უბადლო მცოდნეა. დიდ ადგილს უთმობს შოთა რუსთაველი ლხინთა აღწერას. რაინდები, გარდა იმისა, რომ ნადიმობენ, ომებიდან გამარჯვებით დაბრუნების შემდეგ სასახლეში იღვხენ.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი სახელმწიფოს იდეალსა და პატრონ-ყმათა ურთიერთდამოკიდებულებას რეალური საფუძველი ჰქონდა XII საუკუნის საქართველოში, სადაც, ისტორიკოსის სიტყვით „იყო ყოველგან მშვიდობა, წარმატება, დღითი-დღე შემატება სამეფოთა ღმრთით დაცულისა

მეფისა თამარისი, ხოლო სპანი მისნი განსუენებასა, ნადირობასა და ბურთობასა. თვთ თავადნი და წარჩინებულნი მარადის მეფეს წინაშე იყენიან, განსუენებლიან და აღიესებლიან საბოძურითა მეფისა მიერ მათისა“¹⁰.

მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანსა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ასახული პატრონყმური ინსტიტუტის განხილვა გვიჩვენებს, რომ ზოგ ეპიზოდში მეღაღადებდა რაინდული ქცევის ეტიკეტი, რომელიც კლასიკურ ხანაში უკვე ჩამოყალიბებული ჩანს და იდეალური ჭაბუკი მკაცრად იცავს მას. ეტიკეტისადმი რაინდის მორჩილება ჩანს მის საუბარში, მიმართვის ფორმაში სუზერენისა და ყმისადმი, ქცევაში, ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ ბრძოლის ველზე. ეტიკეტი ყალიბდებოდა დროთა განმავლობაში. ეს იყო წეს-ჩვეულებათა ერთობლიობა, ზრდილობისა და ქცევის ნორმები, რასაც რეალური ჩვევები, თვითონ ცხოვრება აყალიბებდა. დ. ლიხაჩოვი აღნიშნავს: „Следует отметить, что взятым из жизни, из реальных обычаев этикетным нормам подчинялось только поведение идеальных героев. Поведение же злодеев, отрицательных действующих лиц этому этикету не подчинялось“.¹¹

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ლიტერატურული ეტიკეტის დაცვა მწერლის მიერ. ეს ეხება ძირითადად პატრონყმური ინსტიტუტის არსებობას და გვხვდება როგორც „ამირანდარეჯანიანში“, ისე „ვეფხისტყაოსანშიც“. როგორც ზევით აღნიშნავდით, „ამირანდარეჯანიანის“ რაინდები თვითონ პატრონებიც არიან და ყმებიც. მოსე ხონელს კარგად აქვს შეგნებული მისი გმირების ფეოდალური იერარქიული კიბისადმი მორჩილება და მათ სოციალურ მდგომარეობას უკავშირებს კანონზომიერად გამოყენებულ ლიტერატურულ მასალას. ყოველთვის, როდესაც ერთმანეთს ესაუბრებიან ფეოდალური იერარქიის ერთ საფეხურზე მდგომი რაინდები, მოსე ხონელი ხმარობს შემდეგ სიტყვებს: ჰკითხა, უთხრეს, პრქვა, არქვა. „და არქვა ამბრი არაბმან მას ინდოსა ჭაბუკსა... არქვა მან ინდომან ჭაბუკმან ამბრი არაბს“ (გვ. 49). თუ რაინდი მეფეს ესაუბრება, მისი მისამართით ნათქვამია, რომ მან მეფეს „მოახსენა“, მეფემ კი მას „უბრძანა“. „უბრძანა ამირ მუმლმან ამირანს... მოახსენა ამირან დარეჯანისძემან ბაღდადეღსა ამირ მუმლსა“ (გვ. 59). ხოლო თუ ჭაბუკი მიმართავს თავის ყმას, იგი მას „უბრძანებს“, ყმა კი „მოახსენებს“: „მოახსენა ინდომან ჭაბუკმან: ენახო იგი კარავი, ვისი არისო. უბრძანა (ბაღრი იამანიძემ): წადი ნახეო“ (გვ. 13).

მსგავსი მდგომარეობაა „ვეფხისტყაოსანში“. რაინდი, როდესაც მეფეს მიმართავს, მის შესახებ ნათქვამია, რომ მან მეფეს „ჰკადრა“ ან „მოახსენა“:

„ყმამან ჰკადრა: მოახსენებ და ფარმანი მიბოძეო,
რაცა გკადრო, არ გეწყინოს, არ გარისხდე, არ გასწყურო“ (65, 2—3).

იმავე სიტყვებს იყენებს რუსთაველი იმ შემთხვევაშიც, როცა რაინდება მიჯნურებს მიმართავენ. ეს გასაგებიცაა, რადგან გარდა იმისა, რომ ტარიელი და ავთანდილი ნესტანისა და თინათინის მიჯნურები არიან, ისინი ამავე დროს იერარქიულად მათზე დაბალ საფეხურზე დგანან და მათ მიმართავენ, როგორც პატრონებს. ხოლო თუ ვინმეს მიმართავს მეფე, ავტორი აღნიშნავს, რომ მეფემ „ბრძანა“. „მეფე ბრძანებს: ამის მეტსა ნუ იქმ აბა!“ (360, 1). თუ რაინდი თავის ყმას მიმართავს, მაშინ იგი „ბრძანებს“, ხოლო ყმა მას „ჰკადრებს“ ან

¹⁰ ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 112.

¹¹ Д. Лихачев, Поэтика древнерусской литературы, М., 1979, გვ. 88.

„მოახსენებს“. „უბრძანა: აპა, შერმადინ“ (149, 1); „ესე ესმა, ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდი, მოახსენა მარტოობით ჭირსა რადმცა შევეუშინა დი“ (772, 1—2).

როდესაც ერთმანეთს რაინდები ესაუბრებიან, მათ შესახებ ნათქვამია, რომ ავთანდილმა, ტარიელმა, ფრიდონმა „თქვა“, „უთხრა“, „ეტყვის“: „ტარიელს ეტყვის ავთანდილ“ (935, 1), „ფრიდონ უთხრა (ავთანდილს): დასაშლელი ჩემგან არა არ გეთხრობის“ (1005, 1). თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ, როდესაც „ამირანდარეჯანიანი“ ამგვარი ხმარება სიტყვებისა კანონიზებულია და გამონაკლისები არ გვხვდება, შოთა რუსთაველი, მართალია, ძირითადად იცავს ამ ეტიკეტს, მაგრამ „ვეფხისტყაოსანში“ იგი ზოგჯერ დარღვეულია.

ჩვენ მიერ მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანისა“ და შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიდან“ მოხმობილი ტექსტის მაგალითები ადასტურებს, რომ რაინდის ერთ-ერთი უპირველესი მოვალეობაა პატრონყმური ინსტიტუტის დაცვა. ეს მოტივი ჩვეულებრივ დამახასიათებელია შუა საუკუნეების საგმირო-სარაინდო ეპოსისათვისაც. არაბულ საგმირო-სარაინდო ეპოპეაში „სირატ ან-თარა“ („ანთარას ცხოვრება“) განსაკუთრებით არის ხაზგასმული პატრონისადმი სამსახურის აუცილებლობა. განუსაზღვრელია ანთარას თავგანწირვა და ერთგულება მეფისა და თავისი ტომისადმი. წარმოუდგენლად დიდია იმ ბრძოლათა რიცხვი, რომლებსაც ანთარა აწარმოებს თავისი ტომის მტრების წინააღმდეგ. განსაკუთრებული პატივისცემით და თავდადებით ეპყრობა იგი მეფე ზუხეირს და მის შვილებს. მიუხედავად იმისა, რომ მეფის ზოგიერთი შვილი აშკარა მტერია მისი და ხშირად ცდილობს ანთარას დაღუპვას, იგი განუხრებლად გამოდის მის დასაცავად და არაერთხელ იხსნის პატრონს განსაცდელისაგან. არაფერი არ უშლის ანთარას ხელს იმაში, რომ განსაცდელის ეპოს თავისი ტომის — აბსიტების გვერდით აღმოჩნდეს. ხშირად მეფისა და მისი შვილების მიერ გაქვებული შეიტყობს რა მტრის თავდასხმის შესახებ, ანთარა სასწრაფოდ მოდის თავის ნათესავთა დასახმარებლად¹².

XII საუკუნის ფრანგული საგმირო ეპოსის ერთ-ერთი უმშვენიერესი ძეგლი „როლანის სიმღერაც“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის რაინდის მეფისადმი სამსახურის შესახებ. თავდადებულია მეფე-პატრონისა და სამშობლოსათვის რონსევალის ბრძოლის გმირი როლანი, რომელიც სიცოცხლეს სწირავს „ძვირფას საფრანგეთს“. მისთვის განმსაზღვრელია და მთავარი მეფე შარლის ნება. როლანი ეუბნება ძმადნაფიც ოლივიეს:

„ჩვენი ვალია, რომ ვემსახუროთ
მეფეს და გვერდით გადავფაროთ.
ჩვენი ვალია, სენიორისთვის
რომ ავიტანოთ შიმშილიც, ტანჯვაც,
სიცოცხეც, სიცხეც, რადგან მისია
ჩვენი სულიც და ჩვენი სხეულიც“¹³.

მწარედ განიცდის დისწულისა და უპირველესი რაინდის როლანის დაღუპვას მეფე, მაგრამ მისი წუხილი უპირველესად იმით არის გამოწვეული, რომ როლანის დაკარგვით შეიძლება დაკნინდეს საფრანგეთის მეფის დიდება და ძლიერება:

„თავს აიშვებენ და აღსდგებიან
საქსონელები და უნგრელები,

¹² Жизнь и подвиги Антары, М., 1968.

¹³ როლანის სიმღერა, თბ., 1982, გვ. 66.

ბულგარელები, აფრიკელები,
რომის, პუის და პალერმოს მკვიდრნი.
მომემატება საფიქრებელი
და ბევრ რამეზე უარსაც ვიტყვი.
ვიღას გაყევება ჩემი ლაშქარი
თუ წინამძღოლი არ ეყოლება»¹⁴.

კლასიკური ხანის ქართულ ძეგლებში ასახული პატრონ-ყმათა ურთიერთდამოკიდებულება, მართალია, თითქოს ემსგავსება ზემოთ აღნიშნულ თხზულებებში აღწერილ პატრონისა და ყმის მიმართებას, მაგრამ იგი მაინც მკვეთრად განსხვავებული თავისებურებით ხასიათდება. ქართულ პატრონყმურ ინსტიტუტში პატრონსა და ყმას შორის ურთიერთობას საფუძვლად უდევს სიყვარული და არა ფეოდალური იერარქიული კიბის სხვადასხვა საფეხურზე მდგომ ადამიანთა სოციალური მოვალეობის გრძნობა. ეს თავისებურება თუმცა შედარებით მკრთალად, მაგრამ მაინც ჩანს მოსე ზონელის „ამირანდაგრჯანიანში“, ხოლო შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ კი პატრონ-ყმათა ურთიერთ-სიყვარული გამოკვეთილი და აქცენტირებულია. პოეტი არაერთხელ უსვამს ხაზს პოემაში პატრონისა და ყმის მამაშვილურ სიყვარულს. „ვეფხისტყაოსანში“ ასახული სამყარო ამაღლებული და იდეალურია. იდეალური და ღვთაებრივია რაინდთა მიჯნურობა, მეგობრობა. ასევეა პატრონყმობაც. პატრონისა და ყმის ურთიერთდამოკიდებულება პარმონიული და წმინდაა, რადგან სიყვარულს ემყარება, სიყვარული კი რუსთაველის სიტყვით „აღგვამაღლებს“.

М. С. КАСРАШВИЛИ

О СВОЕОБРАЗИИ РЫЦАРСКОГО ИНСТИТУТА В ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ КЛАССИЧЕСКОГО ПЕРИОДА

Резюме

Рассмотрен вопрос взаимоотношений между сюзереном («патрон») и вассалом («кма») на примерах памятников классической эпохи — «Амирандагрджаниани» Мосэ Хонели и «Витязя в барской шкуре» Шота Руставели. Делается вывод, что эти взаимоотношения характерны тем, что в их основе лежит любовь, а не только социально-долга со стороны людей, стоящих на различных ступенях иерархической лестницы. Эта особенность с большой силой выражена в поэме Руставели. Поэт многократно подчеркивает почти родственные взаимоотношения между вассалом и сюзереном.

Изображенный в поэме Руставели мир возвышен и идеален. Идеальны и божественны любовь и дружба руставелевских героев, и даже между неравными взаимоотношения гармоничны и святы, ибо, по мнению Руставели, они основаны на любви.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ცაიშვილმა

¹⁴ როლანის სიმღერა, გვ. 151.

თამარ ტაბიძე

 ყვითელი ფერის სიმბოლიკა „ვისრამიანსა“ და კლასიკური
 ხანის ორიზინალურ ქართულ ძეგლებში

ყვითელი ფერი განეკუთვნება ქრომატულ ფერთა ჯგუფს. იგი სპექტრში ნარინჯისფერსა და მწვანეს შორის არის. ყვითელი ფერი სინათლესთან ახლოს მდგომი, ნათელი და თბილი ფერია. დასავლეთის ლიტერატურის ფერით სისტემებში დომინირებს ოქროსფერი (იგივე მსუყე ყვითელი), რომელიც არის სიმდიდრის, წარჩინებულობის და სინათლის ფერი (შღრ. წითელი — სამეფო ფერი, ძოწისფერი და თეთრი — სიწმინდის, ბედნიერების ფერი). იგივე შეიძლება ითქვას შუა საუკუნეების დასავლურ ფერწერაზე (ფერთა ტრიადა: წითელი, ოქროსფერი და თეთრი). ხშირად ეს ფერები გამოხატულია ძვირფასა ქვებით: წითელი იაგუნდი, ძოწი, ყვითელი იაგუნდი, ქარვა და სხვა.

ხშირია ყვითელი ფერის ხმარების შემთხვევები ძველ ქართულში. ძველი ქართული ძეგლები არჩევენ მუქ ყვითელ ფერს ღია გაცრეცილი და მკრთალი ყვითლისაგან. მუქი და მსუყე ყვითელი ფერი გამოხატულია სიტყვებით ნარინჯისფერი, ოქროსფერი, იაგუნდისფერი, მზისფერი. მკრთალი, ღია ფერის ყვითელი კი — ზაფრანისფერი, ქარვისფერი, ამარტისფერი. ასეთივე ყვითელი ფერისაა ნარგისი და სპეტი. ისინი გამოხატავენ ზაფრას, სნეულებას, ავადმყოფობას.

„ვისრამიანში“ ყვითელი ფერის სიმბოლიკა რამდენიმე ასპექტით წარმოგვიდგება, ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანში“ და ამ პერიოდის სხვა ქართულ ძეგლებში.

ყვითელი ფერი „ვისრამიანში“ გამოხატავს მწუხარებას, ზაფრას, დარდსა და სნეულებას.

1. ყვითელი ღაწვები და პირისახე. იხ. „ვისრამიანში“: „ჩემისა საქმისა მოწამე ჩემნი ღაწუნი ყუითელნი“ (238, ვ)¹. გორგანის „ვის ო რამინში“² გვაქვს ორი ყვითელი ღაწვი (დო გუნეიე ზარდ): „მოედ, რომელ ღაწუნი ნახენ ჩემნი წითელნი და აწ ყუითელნი, ათისა წლისა სნეულისა მსგავსი“ (284, ვა).

სპარსულ ტექსტში ეს ადგილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მოდი, ჩემი სახე ნახე დინარის მსგავსი. ორიგინალისეული დინარი (ყვითელი ფერის ფულის მონეტა სპარსეთში) ქართველ მთარგმნელს შეუცვლია სიტყვა ყუითელით. ჩანს, ამით მეტი სიცხადე შეიტანა „ვისრამიანში“, რადგან ქართველ მკითხველისათვის შესაძლოა დინარი, როგორც ფულის ერთეული, უცხო ყოფილიყო. იხ. აგრ.: „კიდევანობამან გამიმქლავნა ზუაშიადი ჩემი, სისხლითა და ცრემლითა სწერს ყუითელსა ღაწუსა ჩემსა ზედა“ (283, ვ). შღრ. გორგანისთან: „სისხლიანი ცრემლებით წერს ჩემს პირისახეზე“. ამ ადგილას, როგორც ვხედავთ, „ვის ო რამინში“ საერთოდ არ არის ნახსენები ყვითელი ღაწვები.

¹ აქცე და ქვემოთაც „ვისრამიანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: „ვისრამიანი“, ალ. გვახარას და მ. თოდუას რედაქციით, თბ., 1962.

² აქცე და ქვემოთაც „ვის ო რამინის“ სპარსულ ტექსტს ვიყენებთ შემდეგი გამოცემიდან: Vis va Ramin of Fakhr Al-din Gorgani, persian critical text composed from the persian and Georgian oldest manuscripts by Magali A. Todua and Alexander A. Gvakharია edited by Kamal S. Aini, Iranian Culture Foundation. „101“, Tehran, 1970. მოყვანილი სპარსული ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია ჩვენ მიერ.

ქართველმა მთარგმნელმა უფრო სრულად და ფერწერულად დაგვიხატა ვისის სულიერი მდგომარეობა, რასაც სავსებით უსვამს ხაზს მისი ყვითელი ლაწვების ამ მხრივ „ვისრამიანის“ ბევრი ადგილი გამიორჩევა პასაჟის უფრო ზუსტი გადმოცემით, ვიდრე სპარსული ორიგინალი: „რა თულათაგან ცრემლნი გარდმოყარნის, ყუითლისა პირისაგან ჯანგი ჩამოპრცხის“ (142, 25). სპარსულში გვაქვს ყვითელი პირისახე (როხე ზარდ), რაც სავსებით შეესაბამება თარგმანს: „რა ვისმან შემოხედა და თავისი დედა ნახა ათრთოლებული და გაყუითლებული, გაუწყრა დედასა და ეგრე უთხრა“ (44, 1-2).

„გაყუითლებულის“ ნაცვლად სპარსულ ტექსტში გვაქვს — ზაფრანა (მოლ-ზაფარ).

„ასრე გაყუითლდა და ფერი წაუვიდა, რომელ უსულოსა ჰკუნდის“ (60, 35). გორგანისთან ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი: ხან აწვიმებდა ცრემლებს ყვითელ ვარდზე. ორიგინალისეული „ყუითელი ვარდი“ — ლაწვები მთარგმნელმა გადმოგვცა პირდაპირ სიტყვით გაყუითლდა.

„ნახე გულისა ჩემისა მოწამე ჩემი გაყუითლებული პირი და ზედა წითელნი ცრემლნი“ (278, 28). იხ. ორიგინალი: ნახე ეს წითელი ცრემლი და ჩემი ყუითელი სახე.

„მიწყვი ვარდი მზე იყო და აწ გამთუარევედა, მისებრვე დაყუითლდა... და ეგრე უსუმელ-უჭმელად შეიქმნა“ (279, 35-36). თუ „ვისრამიანის“ ამ ადგილს შევედარებთ ორიგინალს, აქ საპირისპირო მომენტს ვნახავთ: — ყოველთვის მთვარე იყო და მზედ იქცა, ისეთივე ყვითელი, უძილო და უჭმელი. ასევეა ეს ადგილი გადმოცემული მორისონის ინგლისურ თარგმანში:³ She had always been a moon: then she became a sun; like the sun yellow, neither sleeping nor eating (გვ. 329).

როგორც ვხედავთ, ვისი იყო მთვარე, რომელიც დარდმა მზედ აქცია, გაყუითლა და დააჭკნო; ქართულ თარგმანში კი, პირიქით, „ვარდი (იგულისხმება ვისი. — თ. ტ.) მზე იყო და აწ გამთუარევედა“.

ქართულ ენაში მზე ოდითგან სილამაზის გამოხატველი იყო. ამდენად ქართველი მთარგმნელისათვის ჩანს უფრო ბუნებრივია მზე — ვისის მთვარეულ ქცევა („გამთუარევედა“). მთვარე, როგორც მნათობი, შედარებით მზესთან უფრო ნაკლებია და მეორეხარისხოვანი (როგორც სიმბოლო).

იხ. აგრ. „ფერიანი ღუინი სიყუითლესა ფეროვნებად შემეცულის“ (150, 25). სპარსულ ტექსტში გვაქვს პირდაპირ: ფერადი ღუინო ლაწვებს ფერს (ფერადოვნებას) მისცემს.

„რა ესე ამბავი მოაქსენა შაჰი მოაბადს ზარდმან, გაყუითლდა პირი მეფისა და გაწყრა“ (46, 14-15). „ვის ო რამინშიც“ გვაქვს „გაყუითლდა“. აქ მთარგმნელი ზუსტად იმეორებს ორიგინალს.

„ვისი პირ-შუენებიანი თულათაგან სისხლსა იდენდა, ლაწუნი ოქროსფერ ჰქონდეს, თულათაგან ათასისა ღრუბლისა ღუარნი გარდმოსდიოდეს და ერთისა სულისაგან ათასი ფერი შეპირებება გამოვიდოდა“ (183, 27-28). „ვის ო რამინში“ ეს ადგილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: მისი სახე სისხლში მოსვრილი დინარის ფერი (ხუნ ალუდე დინარ), მისი ორი ბაგის აყიყი ფირუზის-ფერი გამხდარიყო (ფირუზად ქვეულიყო). როგორც ვხედავთ, სისხლიანი დი-

³ აქაც და ქვემოთაც „ვის ო რამინის“ ინგლისური თარგმანის ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: Vis and Ramin, translated from the Persian of Fakhr Ud-Din Gurgani by George Morrison, Columbia University Press, 1972, New-York and London.

ნარის ფერი (ე. ი. ყვითელში გარეული წითელი) ქართულში გადმოცემულია სიტყვით — „ოქროსფერი“. ზემოთ დინარი ქართულ თარგმანში შეცვლილი ყვითელით, აქ კი — ოქროსფერით.

იხ. ავრ. „სულნელი თმა შენი ჩემსა ოქროსაებრ დაყუთილღებულსა ყელსა მომხუთე“ (135, 27-28). სპარსულში გვაქვს „ზარინ“ — ოქროსფერი. ქართველმა მთარგმნელმა „ოქროსაებრ დაყუთილღებული ყელი“ მოგვცა. ამდენად, სიტყვა „დაყუთილღებული“, რომელიც ორიგინალში არა გვაქვს, დაუმატა თარგმანს.

„ტანი ჩემი თმისაებრ დაწლობილა და პირი ოქროსაებრ გაყუთილღებულა“ (75, 18-22). აქაც გორგანის „ვის ო რამინში“ პირი პირდაპირ ოქროსაა შედარებული (ზარ. ოქრო).

„გული ცეცხლითა სავსე მაქუს და სული კუამლითა, ტანი თმისაებრ დამწულარი და პირი ოქროსაებრ შეღებული“ (220, 22-24). შდრ. „ვის ო რამინს“: გული ცეცხლით სავსე და სული — კვამლით, ტანი თმისავით და დაწვები ოქროთი მოსვრილი (სპ. ზარ ანდუდ). აქ მთარგმნელი პირდაპირ იმეორებს ორიგინალს.

იხ. ავრ. „შეჭირვებისაგან თმისა ჰვავს, ოქროითა შეღებულსა“ (83, 6-7). სპ. ზარ ანდუდ — ოქროთი მოსვრილი, შეღებილი.

„შეჭირვებისა ცეცხლმან დამილია გული და დაწულთა ზედა გამდნარი ოქრო დამსახა“ (142, 19-20). აქაც სპარსულში გვაქვს ზარინ როზ — ოქროსფერი სახე.

„ტირილისაგან ტანისამოსი მისი სისხლითა დასურლი იყვის და კუნვისაგან პირი მისი ოქროის ფერი“ (72, 21). ვნახთ სპარსული ტექსტი: ტირილისაგან მისი სამოსი სისხლანი ვახდა (სისხლში მოსვრილი), კუნვისაგან პირისახე (ზარ ანდუდ — ოქროთი მოსვრილი) ოქროთი მოსვრილი გაუხდა. აქაც ქართველი მთარგმნელი პირდაპირ იმეორებს „ვის ო რამინს“.

„იგი... ტყუე-ქმნილ იყო და ვეცხლისფერი ტანი მისი ოქროსფერად გასრულ იყო“ (239, 37). შდრ. „ვის ო რამინს“: ვერცხლის ტანი (სპ. თანე სიმინაშ) ოქროს პირად (სპ. ზარინ ჩეპრ) იქცა. შდრ. ინგლისური თარგმანი: Her silvery body had gone gold on the surface (გვ. 282).

ვისის პირისახე შედარებულია ყვითელ ოქროს, რომელიც მწუხარებისაგან გაცრეცილია და ფერგამკრთალი. გამწარებული ვისი სწერს რამინს: „ნახე ერთხელ კულა ჩემი პირი, რომელ არა ვეჭუ თუმცა მსებრი ანუ ყუითელი ოქრო გენახა“ (208, 31). შდრ. გორგანისთან: — ნახე ერთხელ კიდევ ჩემი სახე, თუ ქვეყნად გინახავს ასეთი ოქრო. ქართულ თარგმანში გვაქვს ყვითელი ოქრო. სპარსელ პოეტს მხოლოდ ოქროთი აქვს გამოხატული (იხ. ზემოთაც) სახის მწუხარება, სნეულის ფერი. ამ განსხვავებას ქმნის ერთი გარემოება, ქართული სინამდვილისათვის ოქროს ფერი არის ნათელი, ვამკვირვალე ფერი. იგი სილამაზეს გამოხატავს და დაკავშირებულია ძვირფას მეთალთან, მის ბრწყინვალეობასთან, სპარსულისათვის კი ოქროსფერი არის სნეულის ფერი, ისევე როგორც ყვითელი. სპარსთა აღქმაში ოქროსფერი დაკავშირებულია ოქროს (მეტალის) ყვითელ ფერთან, რაც სიუშნოვედ აღიქმება (მაგ., ისევე როგორც ზაფრანისფერი). ვფიქრობთ, სწორედ ამ განსხვავების გამო სპარსელისათვის ოქროსფერი (მაგ. სნეული) არაჩანსალი ფერია, ზოლო ვერცხლისფერი, რომელიც უკავშირდება თეთრ ფერს, სილამაზეს გამოხატავს (მაგ., ვერცხლისფერი სნეული, ვერცხლის მკერდი).

სწორედ ამიტომ ქართველი მთარგმნელი „ვისრამიანში“ ხშირად ცდილობს ოქროს ან ოქროსფერს ყუითელი ან დაყუთილღებული (ყუითელი ოქრო, ოქროსაებრ დაყუთილღებული) დაუთოს, რითაც ქართველი მთარგმნელისათვის უფრო ბუნებრივი მხატვრული სახე იქმნება. „ვისრამიანში“ ოქროსფერის გა-



მოყენება უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლური მხატვრული მეტყველები ორიგინალის ვადმოღების შედეგია და ქართული მხატვრული აზროვნებისთვის დამახასიათებელი არ არის.

„ვეფხისტყაოსანში“ ოქროსფერი არ გვხვდება. ქართულ ორიგინალურ ძეგლებში გვხვდება პირ-ოქრო რიდე, ოქრო-ქსოვილი, ოქრო-ატლასი და სხვა, რაც ამა თუ იმ საგნის სილამაზესა და სიძვირფასეზე მიუთითებს (ყოველივე ეს გვხვდება „ვისრამიანსა“ და „ვის ო რამინშიც“, მხოლოდ აქ უკვე იგივე პოზიტიური მნიშვნელობით — ოქროს სამკაული, ოქროთი ნაქარგი სამოსი, ოქრო — ძვირფასი მეტალი). ნეგატიური მნიშვნელობით ოქროსფერი (როგორც ფერი) „ვეფხისტყაოსანში“ არ გვხვდება.

ოქროს ფერი არ გვხვდება „თამარიანსა“ და „აბღულმესიაში“.

„ამირანდარეჯანიანში“ ოქროსფერი ერთგანაა მოხსენიებული: „და ერთი ქურციკი ნახეს, რომე რქანი ესხნეს ოქროსა ფერნი, თუალნი და ჭლიკნი — შავნი, მუცელი — თეთრი და ზურგი ძოწეული“ (5, 1)⁴. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ XII საუკუნის ორიგინალურ ძეგლში „ამირანდარეჯანიანში“ მოხსენიებული ოქროს ფერი (რქანი) ხაზს უსვამს საზღაბრო ქურციკის სილამაზეს და მის განსაკუთრებულობას. ამდენად უნდა ვიფიქროთ, რომ „ვისრამიანის“ ოქროსფერი სპარსული „ვის ო რამინის“ გავლენის შედეგია და ქართული სინამდვილისათვის იგი უცხოა.

2. **ყუთიელი ვარდი** სიმბოლურად გამოხატავს პირისახეს, დაწევებს, აგრეთვე თვით მთავარ გმირებს — ვისსა და რამინს, რომელთა სიწითლეც დარდმა გააფერმკრთალა.

„სასათული პირისა მისისაგან ყუთილთა ვარდითა ავსილ იყო“ (201, 34). ორიგინალისეული ყვითელი ვარდი (სპ. გოლე ზარდ) ზუსტადაა ვადმოტანილი „ვისრამიანში“.

ვისი სწერს რამინს: „შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყუთიელი. მრავალჯერობა ვარდთა მიწყით ერთსა წალკოტსა შიგან ჯამს. მოე, ჩემო, შენითა სიწითლითა ჩემი სიყუთლე დაფერე“ (215, 2-5). შდრ. სპარსული გოლე სორხ — წითელი ვარდი და გოლე ზარდ — ყვითელი ვარდი.

იხ. აგრ. „შენ წითელი ვარდი ხარ და მე — ყუთიელი. შენ სიხარულითა გაფურჩუნილი და მე — ჭირითა“ (212, 1-3). შდრ. გორგანისთან: — „შენ წითელი ვარდი ხარ და მე ყვითელი, შენ სიხარულით გაფურჩქნული ხარ და მე — დარდიო.“

რამინის ტანი ერთგან შედარებულია ყუთიელ-თეთრ ვარდს: „რამინის პირი და ტანი აწ ყუთიელ-თეთრი ვარდია“ (247, 14-15). სპარსულში გვაქვს: კეთილ-შობილი რამინის სახე ვარდნარია (ყვავილნარია), სიცივემ ვარდის ფურცელს ზიანი მიაყენა. სპარსულში გვაქვს ვარდნარი, ქართულში კი მეტაფორულად რამინის ტანი ყუთიელ-თეთრი ვარდია.

როგორც ვნახეთ, ყვითელი ვარდი ფერნაკლულია, ის დარდს გამოხატავს, სნეულის ფერია.

„ვეფხისტყაოსანში“ სუფთა ყვითელი ფერი, როგორც სნეულის ფერი, გვხვდება ორჯერ: ფრიდონი ეკითხება ტარიელს: „რამან შეგქმნა მოყვითანოდ“ (591, 3)⁵; ავთანდილი ტარიელის შესახებ ამბობს: „ვპოვე ვარდი მოყვითანო, შუქმკრთალი და ფერ-მიხილი“ (985 3).

⁴ აქაც და ქვემოთაც „ამირანდარეჯანიანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლვეა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.

⁵ აქაც და ქვემოთაც „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, საიუბილეო გამოცემა, თბ., 1966.



3. ყუითელი სამოსი ერთგან გვხვდება „ვისრამიანში“. ძიძა სწერს შაჰროვს ვისის შესახებ: „რახომცა უსწორო ტანისამოსი შეუყერო, სამოცსა ფერსა აუღეს დასდებს: ყუითელი თუ მივართო, ამას იტყვის სნეულთა სამოსია; თუ წითელი მოვილო, ესე საბოზოა; ლურჯი — მგლოვიარეთა ჰვერობსო, თეთრსა — ბერთა სამოსად იტყვის და ორფერსა — მწიგნობართად“ (39, 9-13).

„ვის ო რამინის“ ამ ადგილას იკითხება: ყუითელი არის სამოსი ცული რეპუტაციის (მსუბუქი ყოფაქცევის) ადამიანისა, ლურჯი არის მგლოვიარეთა სამოსი, თეთრი არის სამოსი ღრმად მოხუცებულთათვის, ორი ფერია სამოსი მწიგნობართა.

ასევეა ორიგინალის ეს ადგილი წარმოდგენილი ინგლისურში:

„This is yellow, fit only for those of ill repute (g. red for harlots): this is blue, for those in mourning; this is white, which suits crones, this is two colored, for scribes (გვ. 28).

შდრ. აგრეთვე რუსული თარგმანი: „Вот это, желтое, — для потаскухи! Вот это, белое—под стать старухе! Пусть плакальщицы щеголяют в сием! Двухцветное—к лицу писцам, рабыням“ (გვ. 45).

ქართველმა მთარგმნელმა ყუითელი ფერი ამ შემთხვევაში განკუთვნილი ცული რეპუტაციის, ამორალური ქცევის ადამიანების სამოსისათვის თარგმნა სნეულთა სამოსად („თუ ყუითელი მივართო ამას იტყვის სნეულთა სამოსია“). როგორც ჩანს, ქართველისათვის თავად ყუითელი ფერი სნეულების, ვარამის, ფერნაკულლების, ავადმყოფობის ფერია. ამდენად, მთარგმნელმა ბუნებრივად მიიჩნია სპარსულში გატარებული აზრი ყუითელი ფერის შესახებ შეეცვალა. ხოლო ის, რაც ორიგინალშია ნათქვამი ყუითელი ფერის სამოსის შესახებ, მიაკუთვნა წითელ ფერს („თუ წითელი მოვილო ესე საბოზოა“). ჩანს, ქართველისათვის წითელი ფერი უფრო სიყვარულის, ღვინის, დროსტარების, სიმდიდრის, მსუბუქი და ლალი ემოციების გამოხატველი ყოფილა. საერთოდ. მწერლობაში წითელი სიყვარულის ფერია (განსხვავებით წითელი ძოწუელი — მეწამული — სამეფო ფერი). ამდენად, მთარგმნელმა უპირატესობა წითელ ფერს მიანიჭა, როდესაც საუბარი იყო მსუბუქ ემოციებზე, ხოლო ყუითელი ფერის სამოსი სნეულთა სამოსად წარმოვიდგინა.

ყუითელი ფერის სამოსი ერთგან გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. ინდოეთში დაბრუნებული ნესტანი ეუბნება დედას: „წითელ-ყუითლითა დაგავდე, აწ შაოსანსა გხედაო“ (1628, 2)⁶. აქ წითელ-ყუითელი (ხაზი აქვს სიჭრელეს გასმული) მხიარული ფერია, რომლითაც იგი უპირისპირდება შავს — ძიძას.

ყუითელი ფერის სამოსი გვხვდება „ამირანდარეჯანიანში“. იხ. ბასრელი ვაჰტანის შეხვედრა ამირან დარეჯანისძესთან: „და იგი ჭარმაგოსანი კაცი და სხუანი ბევრნი კაცნი ჭარმაგთა ჯორთა სხდეს ყუითლითა აკაზმულობითა და თესა პირ-ოქრო რიდე ეხურა“ (276, 6).

ომად მადისძის შესახებ ნათქვამია: „კაცი ვინმე მოვიდოდა ყუითლითა აკაზმულობითა, ჯორსა ჯდა და მძიმე ოქრო-ქსოვილი ტანსა ეცუა, და პირ-ოქრო რიდე თავსა ეხურა“ (394, 6). ან — „და ვნახეთ, რომელ სახლი იყო სხვა ერთი და მუნთ გამოვიდა დიაცი ყუითლითა მოსილი, ხელთა ოქროსა სინი ეპყრა და ზედან ოქრო-ქსოვილი ეხურა“ (803, 7, დამატ.).

⁶ აქაც და ქვემოთაც „ვის ო რამინის“ რუსული თარგმანის ტექსტი და ნუმერაცია დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: Фахриддин Гургани, Вис и Рамин, поэма, перевод с персидского Семёна Линкина, М., 1963.

⁷ ინდო-ხატაელთა ამავე. ქვემოთ მოყვანილი ციტატები დამოწმებულია შემდეგი გამოცემიდან: შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი, პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., 1937.



„ამირანდარეჯანიანში“ სამივე შემთხვევაში ყვითელ ალკაზმულობას და ყვითელ სამოსს მოსდევს პირ-ოქრო რიდე, ან ოქრო-ქსოვილი. ეს ყვითეფერი სამოსი რადიკალურად განსხვავდება „ვისრამიანის“ და „ვის ო რამინის“ ყვითელი სამოსისაგან. იგი არის ფაქტობრივად მოოქროსფრო-ყვითელი ფერი, რომელსაც ამშვენებს პირ-ოქრო რიდე, ოქრო-ქსოვილი. ეს არის ძვირფასა, ნათელი ოქროსფერი სამოსი, რომელიც ხაზს უსვამს სიმდიდრეს და ბრწყინვალეობას (შდრ. ზემოთ ოქროსფერი სპარსულში — უარყოფითი ტენდენციის მატარებელი). ეს სამოსი ისევე ძვირფასი და ლამაზია, როგორც „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეჯანიანის“ ყვითელი იაგუნდი. ეს არის ზალასი ყვითელი ფერი (შდრ. „ვეფხისტყაოსნის“ „წითელ-ყვითლითა დაგაგდე“ წითელ ფერს მოსდევს ყვითელი). ასეთი მნიშვნელობით ყვითელი ფერი „ვისრამიანში“ არ გვხვდება. არ არის იგი არც „ვის ო რამინში“, თუმცა „ვისრამიანის“ ყვითელი სამოსიც თავისი დანიშნულებით განსხვავდება „ვის ო რამინის“ ყვითელი სამოსისაგან.

შდრ. ვეფხისტყაოსნის ნარინჯისფერი, რომელიც პოემაში ნათელი და მდიდრული ფერია. ნესტანს აცვია ნარინჯისფერი ჭუბა. იხ. „მას მზესა ტანსა ემოსნეს ნარინჯის-ფერნი ჭუბანი“ (473, 1).

ყვითელი ფერი საერთოდ არ არის „თამარიანსა“ და „აბულუმესიაში“.

„ვისრამიანსა“ და „ვეფხისტყაოსანში“ ყვითელ ფერს ხშირად ენაცვლება ზაფრანის ფერი (ზაფრანა — шафран — ყვითელი სურნელოვანი მცენარე), ამარტის ფერი (ამარტა — ყვითელი ფერის თვალი პატიოსანი). გარდა ამისა, „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდება ქარვისფერი (მაგ., „ბროლი და ლალი გასრულვარ ქარვისა უყვითლესადრე“. (138, 2); მოხსენიებულია სპეტი (ყვავილი) რომელიც აგრეთვე სწეულების და სიყვითლის ფერია; ხავსსაა ვეფხისტყაოსანში შედარებული ლაწეები (მაგ., „ვარდი შექმნილა ზაფრანად, ლალი მარო ვითა ხავსა“ (1590).

ზაფრანის ფერი. ქვემოთ მოვიყვანთ მაგალითებს „ვისრამიანიდან“: „(რამინმა) ...საყლონი გარდაიხინა, ძოწულოსა მსგავსი ფერი ზაფრანად გარდაექცა, ათროლდა, ვითა თავ-მოკუეთილი მფრინველი“ (78, 30-31); „სიმჭლითა ნემსისაებრ გაწუილდა და შეჭირვებითა ზაფრანისაებრ გაყუთილდა“ (64, 20-21); „თავისა საქმეთა და გულსა ზედა ტიროდის, ზაფრანსა ზედან ხუავრიელად მარგალიტსა ასხმიდის“ (202, 10-12); „ლაწუთათუის ზაფრანი ევალა და მარგალიტსა ხეავრიელად აწუიმებდის“ (186, 4-5); „სადაცა მათრაცი ვერ მიმჭხუდარ იყო, ლილასა დამსგავსებოდა, ტანი და ჯორცნი მისნი თეთრ-წითელი ზაფრანსა, ლილასა და ყაყაჩოსა დამსგავსებოდეს“ (158, 14-16); „ტიროდა სულ-შეუღებლად, გაზაფრანებულსა პირსა ზედა მარგალიტსა აწუიმებდა“ (146, 25-26); „პირსა მისსა, ძოწისა მსგავსსა, ზაფრანის ფერი დაედვა წყრომისა და სიმძიმილისაგან“ (46, 16); „ზაფრანის ფერი პირი გაუვარდდა, ვისის ნახვისა ღონეთა ძებნა შეექმნა“ (143, 25); „მისი ვარდის-ფერობა ზაფრანად გაეციდია და მისნი ფრჩხილნი — ლილის ფერად“ (246, 33); „ლაწუისა ჩემისა ფეროვნება გაზაფრანებულა“ (284, 7); „მისი ვარდის ფერობა გაზაფრანა და თულათა მისთა მარგალიტი ხოვრიელად ამარტსა ზედა დაასხეს“ (144, 10); „პირი მისი, ვარდისა მსგავსი, ზაფრანად გარდაექცა და ბავე, წითლისა იაგუნდისა მსგავსი, ცის-ფერად შეექმნა; სიცოცხლისაგან უიმედო იქმნა“ (61, 33-35).

გორგანის „ვის ო რამინში“ გვაქვს „ზაფრან“ — ზაფრანა, რაც ზუსტად შეესატყვისება ქართულ თარგმანს.

ძოწისფერი, ვარდისფერი, პირისახისა და ლაწეების გაზაფრანება დარდის, წუხილის ნიშანია.

შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „ზაფრანის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა



ბანამან“ (351, 1); „აწ ზაფრანია, ვის წინას ვერ ვარდი ჰვუნდის, ვერ ია“ (844, 3); „ვარდი სრულად შექმნილიყო ზაფრანად“... (493, 2); „ქაცვი ლერწამი მან, ზაფრანა იმსგავსოს ფერად მინამან“ (680, 2); „რას შეუქმნიხარ ზაფრანად შენ, ფერად მსგავსი ლალისა“ (1145, 4); „შეცვალა ვარდი ზაფრანად, ლაქვარდის-ფერად — იანი“ (1265, 4).

ზაფრანისფერი „ვეფხისტყაოსანშიც“ სნეულების ფერია. „ამირანდარეჯანიანში“, „თამარიანსა“ და „აბდულმესიაში“ ზაფრანისფერი საერთოდ არ გვხვდება.

ამარტისფერი. „ვისრამიანში“ ამარტა ორჯერ არის ნახსენები: „მისი ვარდის ფერობა გააზაფრანა და თულთა მისთა მარგალიტი ზოვრიელად ამარტასა ზედა დაასხეს“ (144, 11). „და თუ ამარტა ლაწუთა და ბაგეთა მოსდევს ვინ, მაშინვე წითლად იაგუნდად შექმნის“.

გორგანისთან გვაქვს: თუ ამარტას ბაგეებს შეახებდა (ვისი), მაშინათვე ამარტა იაგუნდად იქცეოდა. ე. ი. ვისი იმდენად ლამაზი იყო, რომ ყვითელი ქვის, ამარტის შეხება, ქვას იაგუნდად (იგულისხმება წითელი იაგუნდი) აქცევდა.

„ვეფხისტყაოსანში“ ამარტა გვხვდება ერთგან: „ამარტის ფერად შეცვალა ბროლი ცრემლისა ბანამან“ (263, 1). ე. ი. ბროლი (პირისახე) ცრემლებისაგან ამარტისფერი (ყვითელი) გახდა.

ბზისფერი (იგულისხმება ბზე) არის მოყვითალო ფერი. გამოხატავს წუხილს, დარდს. იმავე შინაარსისაა, რაც ზაფრანისფერი, ყვითელი, ამარტისფერი. „ვისრამიანში“ იგი გვხვდება ერთგან: „პირი მისი, რომელ მთუარისაებრ ელვარე არის, უგულობისა და ჭირისაგან ბზის-ფერად შექმნია“ (83, 11). ვნახოთ, როგორ არის ეს ადგილი წარმოდგენილი „ვის ო რამინში“: „მისი პირი, რომელიც ელვარებით მთვარესავითაა, დარდისა და უგულობისაგან ბზის ფერა გამზლარა“.

როგორც ვხედავთ, ბზისფერი დარდისა და სნეულების ფერია.

ამრიგად, „ვისრამიანში“ გვხვდება სუფთა (ნეიტრალური) ყვითელი ფერა, რომელიც გამოხატავს დარდს, ფერნაკლულობას, სხეულის არაჯანსაღ მდგომარეობას (ყვითელი პირისახე და ლაწეები), გვხვდება ყვითელი სამოსი (მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანებისათვის), ყვითელ ფერს ცვლის აგრეთვე ოქროსფერი, რომელიც იმავე მნიშვნელობისაა (ოქროსფერი სხეული, პირისახე და ლაწეები სნეულებას გამოხატავს); გვხვდება აგრეთვე ზაფრანისფერი, ბზისფერი.

„ვეფხისტყაოსანში“, „თამარიანსა“ და „აბდულმესიაში“ არ გვხვდება ოქროსფერი, „ამირანდარეჯანიანში“ გვხვდება ერთხელ (იხ. ზემოთ). „ვეფხისტყაოსანში“ სუფთა ყვითელი ფერი (როგორც სნეულების ფერი) გვხვდება ორჯერ. პოემაში ნესტანსაცვია ნარინჯისფერი ჯუბა. რაც შეეხება წითელი და ყვითელი სამოსის ტარებას, იგი „ვეფხისტყაოსანში“ სიხარულისა და ღვინის მომასწავებელია. „ვეფხისტყაოსანში“, ისევე როგორც „ვისრამიანში“ ყვითელ ფერს ხშირად ენაცვლება ზაფრანისფერი. გვხვდება აგრეთვე ქარვა, ამარტა, სპეტი და ხავსი.

ამრიგად, ხალასი, სუფთა ყვითელი არის მეფური ფერი, ხოლო მკრთალა, ვაკრცილი ყვითელი — სევდის, სნეულების და მწუხარების ფერია. წითელ-ყვითელი არის სიხარულის, ბედნიერების, ღვინის და მეფური დიდებულებას (ოქროქსოვილი, ძოწისფერი, მეწამული) ფერი; რაც შეეხება ყვითელ-მწვანეს (მაგ., ხავსის ფერი), იგი სნეულების და სევდის ფერია.

ამდენად, როგორც ზემოთ ვნახეთ, „ვეფხისტყაოსანის“ ყვითელი ფერის სიმბოლიკას მეტი კავშირი აქვს დასავლურ სიმბოლიზმთან, სადაც მსუყე ყვ-



თელი და ოქროსფერი ფერით გადმოიცემა სიმდიდრე, დიდებულება; ვიდრე
 „შუა საუკუნეების აღმოსავლურ მწერლობასთან (ამ შემთხვევაში ვეყრდნობა
 „ვისრამიანსა“ და სპარსულ „ვის ო რამინს“), სადაც ყვითელი და ოქროსფერა
 გამოხატავს მხოლოდ სევდასა და სნეულებას. თუმცა „ვისრამიანშიც“ ოქრო-
 ქსოვილი, ოქროთი ნაქარგი სტაერა-ატლასი და ოქროს საკაულები ძვირფასე-
 ულობას წარმოადგენს და ის არისტოკრატიის ჩაცმულობის მუდმივი ატრი-
 ბუტია.

Т. Р. ТАБИДЗЕ

СИМВОЛИКА ЖЕЛТОГО ЦВЕТА В «ВИСРАМИАНИ»

Резюме

Символика цвета имеет большое значение для изучения художественной системы произведения.

Анализ символики желтого цвета в «Висрамиани» дан путем сопоставления с грузинскими памятниками средневековья (XII век) «Вепхисткаосани», «Амирандареджаниани», «Тамариани» и «Абдулмеснани».

Основное значение желтого цвета — передать болезненность, скорбь, бледность, которые всегда отражаются на лице. Золотистый цвет в «Висрамиани», так же как и желтый, передает скорбь и болезненность. Что касается золота как металла, золотых изделий, золотой вышивки и атласа, они обозначают величие, красоту и величие царской одежды.

Встречаются определения: желтое лицо и щеки, желтая роза, которая символически обозначает лицо и щеки (желтая роза — Рамин и Вис), желтая одежда, одежда больных (в персидском тексте желтую одежду носили женщины легкого поведения). Синонимами желтого цвета являются шафранный, золотистый и соломенный. Все они передают несчастье и боль.

Чистый желтый цвет в «Вепхисткаосани» встречается дважды. Часто упоминается шафранный, янтарный.

В «Тамариани» и «Абдулмеснани» мы не встречаем желтого и золотого цвета, нет золотистого цвета также в «Вепхисткаосани».

В «Вепхисткаосани» насыщенный желтый цвет — царский цвет, блеклый желтый — цвет болезни и скорби. Наряду с красным, желтый цвет — цвет счастья, радости и веселья (желтое + пурпура).

Основное различие в символике цвета между «Висрамиани» и «Вепхисткаосани» состоит в том, что желтый (золотистый) в «Висрамиани» — цвет болезни, несчастья (там нет градации между оттенками желтого цвета), а желтый цвет в «Вепхисткаосани» или обозначает болезнь (блеклый желтый, зеленоватый), или же, наоборот, радость и веселье, особенно в альянсе с красным. Думается, что этим он ближе к западному символизму, нежели к восточному.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
 ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებული ვეფხისტყაოსნის აკადემიური
 ტექსტის დამდგენი კომისია

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
 დენტმა ა. გვახარიაძემ

ნანა ღოღობიძე

ბიძა-ძმისწულის მოტივი ქართულ ხალხურ ზღაპარულ ეპოსში

ორი ქურდის სიუჟეტი არნე-ანდრეევის საძიებლის ნოველისტური ზღაპრების ჯგუფში 950-ე ნომრითაა წარმოდგენილი. ბიძა და ძმისწული („რამპს-ნიტის საგანძური“) ქურდობენ მეფის ხაზინაში; ბიძა თავმოკვეთილია, მეფის მსახურები ცდილობენ დაიჭირონ ძმისწული, მაგრამ ამაოდ. იგი ასწავლის ქვრივს, როგორ დაიტეროს ქმარი (გატეხოს კოკა) და სხვ. ამ ზღაპარს რომ ძალიან შორეული ძირები აქვს, საძიებელშიცაა აღნიშნული. ვარაუდობენ, ორი ქურდის მოტივი ეგვიპტურ ხალხურ სიუჟეტში იღებს სათავესო.

პროფ. ალ. ღოღობიძე იკვლევს ამ ნოველის წარმოშობის ისტორიას და აღნიშნავს, რომ „რამპსინიტის ზღაპრის“ უძველესი ვარიანტები შემონახულია ქურუმთა გადმოცემებსა და ანტიკური პერიოდის ბერძენ ისტორიკოსთა ჩანაწერებში¹. ჰეროდოტეს (484—425 წწ. ჩვ. წ-მდე) ისტორიის მეორე წიგნში (II, 121) აღნიშნულია, რომ ეს ზღაპარი ავტორს ჩაუწერია ეგვიპტელი ქურუმებისაგან. „ჰეროდოტეს ნაშრომიდან ორი ქურდის მოტივი გავრცელებულია ბერძნულ ხალხურ ეპოსში და ამ უკანასკნელის გზით ევროპასა და აზიის ხალხებსაც შეუთვისებიათ. ორი ქურდის მოტივების პარალელები ეგვიპტურ, ბერძნულ და ქართულ ეპოსთან ერთად გვხვდება რუსულ, გერმანულ, პოლონურ, სერბიულ, რუმინულ, სომხურ, ყირგიზულ, სირიულ, ოსურ ხალხურ ნოველებში“². ორი ქურდის მოტივები (განძის მოპარვა მდიდარი მეფის ხაზინიდან, ერთი ქურდის ხაფანგში ვაჭმა, მისთვის თავის მოკვება, თავმოკვეთილი ცხედრის გამოფენა თვალსაჩინო ადგილას და მცველების მიჩენა) მსოფლიო ფოლკლორშია გავრცელებული და უძველეს სიუჟეტთა რიგს განეკუთვნება.

ალ. ღოღობიძე ნაშრომში „ქართული ხალხური ნოველა“ განიხილავს ორი ქურდის მოტივის წარმოშობის, გავრცელებისა და თავისებურების საკითხებს. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ეს მოტივი პოპულარულია როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის ხალხთა ეპოსში. ძველი ბერძენი ავტორის პავზანიის (III ს.) ცნობით, ორხომენის მეფე ერკინის შვილები, ტრომინი და ალაბედი, ცნობილი არქიტექტორები, მეზობელ მეფეს, გირგეს, განძისაგან უშენებდნენ. მათაც ქვა კედელში ისე ჩააშენეს, რომ სულ ადვილად გამოიღებოდა. მძებმა აქედან დაიწყო საგანძურის ძარცვა. მეფემ მოაწყო ხაფანგი, რომელშიც გაება ალაბედი. ტრომინმა მას თავი მოჰკვება და მიიძალა. ამრიგად, რამპსინიტის ზღაპრის მოტივები ანტიკურ საბერძნეთშიც ყოფილა ცნობილი. მკვლევარი განიხილავს ამ ზღაპრის პოლონურ, სომხურ, ყირგიზულ, რუმინულ, ოსურ, თურქულ, სირიულ და სხვა სიუჟეტებს, განსაკუთრებით — რუსულ ვერსიას, რომელიც გამოირჩევა თავისი ორიგინალობით.

მკვლევარი აღნიშნავს, რომ ორი ქურდის მოტივის სადაურობის დადგენა დიდი ხანია სპეციალისტთა დისკუსიის საგანს წარმოადგენს. „მიუღერი მხარს უჭერდა ბერძნული ვერსიის პრიორიტეტს, ფურთეიმი იცავდა ეგვიპტური ვერ-

¹ ალ. ღოღობიძე, ქართული ხალხური ნოველა, თბ., 1966, გვ. 93.

² იქვე.

³ კლინგერის მიხედვით, Клиггер, Сказочные мотивы в истории Геродота, Киев, 1903, გვ. 176—179; ალ. ღოღობიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94.

3. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 4.



სის პირველადობას. არის მესამე, მითოლოგიური ახსნაც. ქურდი მიჩნეულა განძის მფლობელ ღვთაებად. ამ თეორიის დამცველი გუბერნატის ფიქრის რამე ქურდი არის კეთილი ძალა, მოქმედებს სამართლიანად — მტერს ართმევს. გადაძალად სიმდიდრეს. ასევე იქცევა ღვთაება ინდრა რიგვედის მიხედვით. იგი ვაიკებს თუ არა მოტაცებული განძის ადგილსამყოფელს, ამხსნევს კლდეს, შედის გამოქვაბულს და გამოაქვს განძი⁴. მაგრამ მკვლევარს ასეთი ახსნა არამეცნიერულად მიიჩნია. იგი თვლის, რომ ამ ზღაპრებს კავშირი აქვთ არამითური ძალების მისნურ მოქმედებასთან, არამედ სრულიად რეალურ, საყოფიერო ამბავთან — მოხერხებული ქურდის თავგადასავალთან.

„ქართულ ეპოსში ორი ქურდის ტრადიციული მოტივები ადრე დამუშავებულია. ავტორ-მოქმედებს ნაცნობი დეტალებისათვისაც კი ადგილობრივი სული ჩაუდგამთ, შეუგუებიათ ადგილობრივი ყოფის ნორმებისათვის. ამ მოტივების შემცველი ქართული ხალხური სიუჟეტები უადრესად კოლორიტული ნაწარმოებებია, რომლებიც ასახავენ ადგილობრივ, რეალურ ცხოვრებას“, — ასკვნის მკვლევარი⁵.

„ორი ქურდის“ ვარიანტები ჩაწერილია საქართველოს როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ რაიონებში. გვაქვს ზღაპრის გასული საუკუნის ჩანაწერები. უმიკაშვილის არქივში ინახება 1878 წელს ჩაწერილი დუშეთური ვარიანტი, რომელიც გამოქვეყნებულია „ხალხური სიტყვიერების“ IV ტომში. ერთ-ერთი ძველი ვარიანტი შეტანილია ვლ. აღნიაშვილის კრებულში⁶. ბ. ნიჟარაძემ 1871 წელს უშგულში ჩაიწერა ზღაპრის სევანური ვარიანტი. ესეც უმიკაშვილის IV ტომშია გამოქვეყნებული. გვაქვს მოგვიანებით ფიქსირებული ვარიანტებიც, რომლებიც ჩაიწერეს: 1946 წელს ქ. გორში ელენე ვირსალაძემ, 1961 წელს სოფ. ნაფარულში ე. ასლამაზაშვილმა, 1961 წელს რუისპირში ხ. კეშელავამ, სოფ. ოთხვისში (ჭიათურა) ბესარიონ ბაძგარაძემ და სხვა.

თუ თვალს გადავავლებთ ამ ზღაპრის სხვადასხვა მოტივს, რომლებიც შეადგენენ მოხერხებული და ეშმაკი ქურდის ზღაპრის სიუჟეტს, დავინახავთ, რომ მიუხედავად მათი მდგრადობისა, ისინი არ არიან აბსოლუტურად უცვლელი, ვარიანტები უხვად შეიცავენ განსხვავებულ მოტივებს.

უმიკაშვილისეული ვარიანტის მიხედვით, ერთ ქალს ქურდი და ავაზაკი შვილი ჰყავდა, რომელიც ქათმებს იპარავდა; ერთმა დედაკაცმა დაწყველა: „ვინც ჩემ ქათმებს მპარავს, იმას გამოასხი ჩემი ქათმის ბუმბულიო“. მართლაც, გამოესხა ქურდს ქათმის ბუმბული. მაგრამ დედამისმა სთხოვა დედაკაცს, დაელოცა მისი შვილი, რომ ბუმბული გასცენოდა და გასცინდა ბიჭს ბუმბული. იწყებს ეს ბიჭი მას აქვთ ქურდობას. დაეამხანაგება ერთ კაცს და ქურდობენ ერთად. იმ კაცმა თავისი ოსტატობა უჩვენა ბიჭს, მტრებს ფრთა მოჰპარა. ამასობაში ბიჭმაც უჩვენა მისი ძალა, ზეზე ასულს ნიფხავი ისე ჩახადა, ვერაფერი გაიგო კაცმა. მერე მიადგნენ მეფის ხაზინას, გაქურდეს. მალე მეფემ მახე დაუდგო ქურდებს. ბიჭი გულთმისანი იყო, გაიგო და ამიტომ წინ ის კაცი გაიგდა. კაცი კუპრით საესე კასრში ჩავარდა. სთხოვა, თავი მოშერი და ჩემს ცოლს წაუღეო. წაუღო ბიჭმა თავი. მალე ტანსაც მოგიტანო, დაპირდა ქურდის ქვრივს. კუპრიდან ამოღებული უთავო ტანი მეიდანზე დაჰკიდეს, ვინც იტირებს, ჭირსუფალი იქნებაო. მოუნდა ცოლს ქმრის დატირება. ბიჭმა ურჩია, წადი, კოკა გატეხე და ვითომ ამის გამო იტირეო; მართლაც კოკა გატეხა, ტირილი დაიწყო. მცველებმა კოკის ათი შაური მისცეს და გაუშვეს. ბიჭმა ამ კაცის ვირს აპკიდა

⁴ აღ. ლ. ო. ნ. ტ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 99.

⁵ იქვე, გვ. 101.

⁶ ქართული ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, თბ., 1979, გვ. 21.

ღვინო, არაყი და წავიდა მცველებთან. შეუამხანაგდა, დაათრო, ჩამოსხნა ტან, აპკიდა ვირს და გაუშვა. თვითონ იქვე მიიძინა მცველებთან. გაიღვიძეს, აღარც მკვდარია, აღარც ვირი. ბიჭს ვირის საფასური გადაუხადეს და გაუშვეს. დამარხა ბიჭმა ქურდი, გაიყო ნაპარევი ქერიეთან და დედასთან წავიდა. სთხოვა დედამ, დაანებე ქურდობას თავიო, მაგრამ ჩემი ხელობა ეგ არიო, უთხრა ბიჭმა. გაუშვა დედა სანოვაგით დატვირთული ღვთისმშობლის ხატთან საკითხავად, რა ქნას მისმა შვილმა. ბიჭმა იქ მისვლა მოასწრო, სანამ დედამ ხონჩა მიიტანა. ევედრება ქალი ღვთისმშობელს, ჩემ შვილს ქურდობა მოაშლევინეო, ბიჭმა კი გამოძახა საკურთხეველიდან: „წაღი, წაღი, დედაკაცო, თორემ პანდურით გავხეტამარო“. მერე წყავა მეჯვარედ ერთ კაცს, გაძარცვა პატარძალი, სიძე ბანზე დაკიდული დატოვა. წავიდა და თან წაიღო პატარძლის მზითვი. ცხოვრობდა ამის შემდეგ ბედნიერად⁷.

ეს ვარიანტი განსხვავებულია სხვათაგან რამდენიმე მოტივით: ბიჭის ბუმბულით შემოსვა, მისი მეჯვარედ ყოფნა, ბიჭის გულთმისნობა, დედის ღვთისმშობელთან მისვლა. ყველა განსხვავებული მოტივი არის ზღაპარში ქურდობის განხორციელების ხერხი. შეიძლება შეიცვალოს ქურდობის საგანი, იარაღი, გაქურდული პერსონაჟი, გმირის საქციელის მოტივირება, მაგრამ ეშმაკური ჩანაფიქრის განხორციელების საერთო ხერხი უცვლელი რჩება. ასეთი ოსტატური ხერხები გაქურდვისა ზღაპარმა ბევრი არ იცის. თითოეული მათგანი არის ღერძი, რასაც ეყრდნობა სხვადასხვა მოტივით განსხვავებული ვარიანტები. ქურდობის განხორციელებისათვის აუცილებელია დახვეწილი უნარი, ოსტატური მოხერხება, გაბედული შეტევა, ერთი სიტყვით, მექანიკური, მაგრამ ჭკვიანური მოქმედება. ქურდი აგროვებს ოქროს, რომელიც მისი გამოჭერისთვისაა დაბნეული. ისე აგროვებს, რომ არც კი იხრება, ფეხსაცმელებზე იკრავს. იპარება სხვადასხვა გზით მეფის ხაზინაში, შეუძინველად ხდის საცვალს ბიჭს, აძრობს ფრთას მტრედს და სხვა. ამ მოტივებში ჩვენ ვერ ვხვდებით პაროდულ შინაარსს, ესენია ქურდობის განხორციელების მექანიკური ხერხები, რომლებიც შორს დგანან ქურდობის ტრადიციული ელემენტებისაგან და ახლოებენ ზღაპარს საყოფაცხოვრებო მოთხრობასთან. ამიტომ ამ გზით განხორციელებულ ქურდობაზე ზღაპარში მხოლოდ გაკვირთ არხს ლაპარაკი.

სვანურ ვარიანტში „ბიძა და ძმისწული“, რომელიც ბესარიონ ნიყარაძემ ჩაიწერა და გადმოაქართულა, მოთხრობილია, რომ ბიძა-ძმისწულმა გაქურდეს კეისრის პურის ბეღელი. კეისარი ცდილობს ყადის რჩევა-დარიგებით ქურდების დაჭერას. ჩავარდა ბიძა ორმოში, მოაჭრა თავი ძმისწულმა ბიძას: მოხერხებულმა ძმისწულმა ანძაზე ჩამოკიდებული ბიძის უთავო გვამს ფულეები მიაყარა და ამით ხალხს მაგალითი მისცა. მალე უამრავი შესაწირი ფული მოგროვდა ბიძის ცხედართან. ძმისწულმა მოხერხებულად ჩაიგდო იგი ხელში. მკვდარს დაშარხა და დიდი ფულის პატრონიც გახდა. კეისარმა დაიწყო ქურდის ძებნა. ყადის რჩევით ხან კამეჩები მიაყენა კარს, ხან ვეზირები, მაგრამ ამოდ. ყადმა ურჩია, სიძედ დაისვიო. ქურდი კეისრის სიძე გახდა. მალე მოხერხებულმა სიძემ სიმამრს აღმოსავლეთის კეისარი და მისი ცოლი მიჰგვარა კიღობანში ჩაწყვედულები. „ეს კაცი აღმოსავლეთის კეისრის სამეფოში წავიდა და იქ გამეფდა, თავის სიმამრს კი მისი სამეფო დაუტოვა“, — ასე მთავრდება ზღაპარი. აღსანიშნავია ის, რომ ამ ზღაპარში ქურდი სახელმწიფოს სთავებში ექცევა. ხომ არ არის ეს ჯადოსნური ზღაპრის პაროდია? ა. ნ. ვესელოვსკი ამტკიცებს, რომ ჯადოსნური ზღაპრის ქურდმა გაიარა ევოლუცია და მიუახლოვდა საყო-

⁷ პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, თბ., 1946, გვ. 106—110. 35



ფაცხოვრებო ზღაპრის გმირს — ქურდს⁸. ისტორიული განვითარების სურათი საყოფაცხოვრებო ზღაპრების მოხერხებულსა და მოუხელთებელ ქურდებზე ყველაზე მეტად ეთნოგრაფიულმა მასალამ შემოგვინახა. ეს მასალა დაგვეხმარება გავარკვიოთ ამ ზღაპრების წარმოშობის საკითხიც. ქურდის გამბედაობით, მოხერხებით, ქუთითა და წარმატებით აღტაცებას ზღაპარში, შესაძლოა, ადამიანთა ყოფაში აქვს გადგმული ფესვები. გ. შურცი განაზოგადებს სხვადასხვა მონაცემს ჩამორჩენილი ხალხების ყოფით კულტურაზე. იგი წერს: „განვითარების ადრეულ საფეხურზე საკუთრების ხელყოფას არავენ აქცევდა ყურადღებას, გაძარცვულს თვითონ უნდა ეზრუნა ქონების დაბრუნებისათვის. ვაზელის ნახევარკუნძულზე, ახალ პომერანიაში გაქურდული, თუ არ უნდოდა მეტი ზიანი ენახა, ქურდს უკეთებდა ფულად საჩუქარს, რათა თავისი ნებით დაებრუნებინა მონაპარი. ქურდი ამაყობდა კიდევ თავისი ეშმაკური საქციელით“⁹. შურცი იქვე აღნიშნავს, რომ არსებობენ ქურდობის ღმერთები, რომლებსაც სრულიად აშკარად და გულწრფელად სცემდნენ თაყვანს. პასხის კუნძულებზე ჰყავდათ ქურდების ღმერთი. ცნობილია ისიც, რომ ძველად ბევრი კულტურული ხალხის რწმენაშიც ქურდების ღმერთი არსებობდა. ყოველივე ამის გადმონაშთს ვხვდებით თანამედროვე ევროპის ხალხთა ყოფაშიც. ბრაკონიერები გერმანიაში, ბრიგანტები სამხრეთ ევროპაში — არ ითვლებიან ბოროტმოქმედებად, პირიქით, ხალხი გმირების მსგავსად ასხამს მათ ხოტბას¹⁰. რა თქმა უნდა, ადამიანთა ყოფიერებაში ქურდების დასჯის უამრავი მაგალითია, მაგრამ ეს ის ქურდები არიან, რომელთაც ხელში ჩაიგდებენ. ამიტომ არსებობს ქურდობას წამახალისებელი, მოუხელთებელი ქურდების გმირებად აღიარების დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ზღაპრებს მოხერხებულსა და მოუხელთებელ ქურდებზე გენეტიკური ძირები პრეისტორიულ ეპოქაში დაეძებნებათ.

როგორც აღნიშნეთ, „ორი ქურდის“ ციკლის ზღაპრებში მოქმელი ქურდობაზე ნაკლებად ლაპარაკობს. მისი მიზანია ქურდის ფათერაკებიანი და რისკით სავსე თავგადასავალი მოგვითხროს. აღნიშვილისეულ ვარიანტში ქურდს, მეფის სიძე როცა ვახდება, ბევრჯერ მოუწყევს მოხერხებითა და საზრიანობით ხიფათიდან თავის დაღწევა. მეზობელი ხელმწიფე არ მოასვენა ქურდის განდიდებას, დასცინა ქურდის სიამარს. ქურდმა გადაწყვიტა შური ეძია. მივიდა ღამიკინავი მეფის სახელმწიფოში, შეიკერა ზინზილაყვებიანი ფერადი ტყავის სამოსი და მიქელ-გაბრიელის სახით გამოეცხადა მეფე-დედოფალს. სამი დღის ვადა დაუღო: უნდა სამოთხეში წაგიყვანოთო. მართლაც, მესამე დღეს ჩასვა კილობანში და გააფრთხილა, მუსიკის ხმას რომ გაიგონებთ, ცეკვა დაიწყეთო. მოიყვანა სიამარის სასახლეში, ჩამოხადა ვირს კილობანები. ამ დროს გაისმა მშვენიერი ჰანგები. „ქურდმა ახადა კილობანს თუ არა, ამოცვივდნენ ტიტლიკანა მეფე-დედოფალი და მოჰყენენ ტლინკვას. ხალხი კი უყურებს იმათ სისულელეს და სიცილით იხიცება“¹¹.

ზღაპრის მიზანია ყურადღების გამახვილება არა ქურდობაზე, როგორც სოციალურ მოვლენაზე, არამედ ადამიანის, ამ შემთხვევაში ქურდის, საზრიანობასა და გონებამახვილობაზე. ზღაპარი დასცინის საზოგადოებას, რომელშიც ქურდი ტრიალებს: მეფეებს, ვეზირებს, ჯარისკაცებს — გონებალუნგებსა და

⁸ Веселовский А. Н., Заметки и сомнения о сравнительном изучении средневекового эпоса, М., V, გვ. 31—34.

⁹ Шурц Г., История первобытной культуры, Спб, 1910, გვ. 865—866.

¹⁰ იქვე, გვ. 866.

¹¹ ვ. აღნიშნული, დასახ. კრებული, გვ. 108.

მოუხერხებელ ადამიანებს, რომლებსაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ატყუებს მოხერხებული და ეშმაკი ქურდი. ამ ზღაპრის ქურდები მოუხელთებელნი არიან ხელისუფალთა მიერ. ქურდის ქურდობაზე დაკერა შეუძლებელია. მას ვერავინ ჯობნის მოფიქრებაში, ხიფათიდან თავის დაღწევის უნარში. იგი გონიერია, ამტომ თვითონვე მიდის მეფესთან და ეუბნება: ქურდი, რომელსაც ეძებთ, მე ვარო. ერთ-ერთ ვარიანტში მეფე არ უჯერებს ვაჟს, რომ ქურდია და გამოცდას მოუწყობს. დაავალებს თავლიდან ცხენების მოპარვას. თავლას განსაკუთრებულად გაამაგრებს და უამრავ მცველს მიუჩინს, მაგრამ ვაჟი ყველას მოატყუებს¹² და ცხვირწინ ააცლის ცხენს მცველებს¹². სხვა ვარიანტში ქურდს მეფე ავალებს საათის მოპარვას, მერე — ცოლის მოპარვას. ქურდი ოსტატურად ასრულებს ამ დავალებებს. (გადასამალავად გამგზავრებული დედოფლის ეტლის წინ ერთ ჩექმას დაავადებს. მეეტლე დაინახავს, მაგრამ ცალი ჩექმა რად მინდო, გზას გააგრძელებს. მალე მეორე ჩექმასაც დაინახავს. მიატოვებს ეტლს დედოფლიანად და მეორე ჩექმის ასაღებად დაბრუნდება. ამასობაში ქურდი დედოფალს გაიტაცებს). მეფე აღტაცებულია ქურდის ჭკუით და ქედს ხხრას მის წინაშე¹³. მთქმელს არასოდეს ავიწყდება ქურდის გამპირახობას დაუპარისპიროს საზოგადოების ნაწილისა და ხელისუფალთა გონებაჩლუნგობა. ისინი სასაცილონი არიან თავისი მოუფიქრებლობითა და სიტლანქით; სასაცილონი არიან უთავო მკვდრის ყარაულები, რომლებსაც ქურდი დაათრობს და მკვდარს მოპარავს; საცოდავები არიან ვეზირები, რომლებსაც მეფე ქურდის საძებნელად დაგზავნის; უსუსურნი არიან მეზობელი ქვეყნის მეფე-დედოფალი, რომლებსაც ქურდი კიდობანში ჩასვამს ტიტლიკანებს და მუსიკის ხმაზე ტლინკაობას აწყებინებს. ხალხი დასცინის გონებაშეზღუდულებს და აღტაცებულია ნათელი გონებითა და გამპირიახი ადამიანებით, როგორებიც ამ შემთხვევაში ჩვენი ზღაპრის მოუხელთებელი ქურდები არიან.

950-ე ტიპის ზღაპრში (ბიძა და ძმისწული, რამპსინიტიის საგანძური) ჩვენ ვხვდებით ამ თემატიური ჯგუფებისათვის დამახასიათებელ ყველა საერთო მოტივს. არის სხვა მოტივიც: მომავალი ქურდის გამოცდისა უფროსის ან ბიძის მიერ, დედოფლის მოტაცება გზაზე დაყრილი ჩექმებით, მეზობელი სახელმწიფოს მეფე-დედოფლის კიდობანში ჩასმა, ზინზილაკებიანი ფერადი ტყავის ტანისამოსის შეკერვა და მიქელ-გაბრიელად გამოცხადება და სხვა. ამ მოტივების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გაგრძელდეს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა არა ზღაპრის საერთო მოტივები, არამედ მხოლოდ ამ ზღაპრისათვის დამახასიათებელი მოტივები. ესენია — ქურდობა ხაზინაში, ხაფანგში გაბმა, ერთ-ერთის თავის მოჭრა, უთავო ცხედრის დატირება, ცხედრის გატაცება, ფეხსაცმლის ძირით ქურდის მისატყუებლად დაყრილი ოქროს მითვისება, გაქურდული მეფის ქალიშვილის ცოლად შერთვა. ყველა ეს მოტივი, რომლებიც ჯერ კიდევ პეროდოტემ მოგვითხრო, როგორც წესი, ქურდების ციკლის სხვა ზღაპრებში არა გვხვდება. 950-ე ტიპის ზღაპარი მკვეთრად არის გამოყოფილი თავისი საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მოტივებით, დანარჩენი მოტივების შეტანა ზღაპარში მთქმელის ფანტაზიის ნაყოფია, საყოფაცხოვრებო ზღაპრის მოდელი არ არის ჯადოსნური ზღაპრის მოდელივით მყარი. მთქმელს შეუძლია გაშალოს თავისი ფანტაზია და ახალ-ახალი მოტივები შექმნას. საძიებელში ქურდობის მოტივი, გარდა 950-ე ტიპისა, გვხვდება 1540, 1541, 1525-ე და სხვა ტიპის ზღაპრებში. ყველგან ქურდობა განხილულია როგორც სოცია-

¹² ფ. არქ. № 620, თვითჩამწერი ბ. ბაქარაძე, ჭიათურა.
¹³ ფ. არქ. კ 14, გვ. 325, მთქმ. ფეიქრიშვილი, ს. რუსიპირი.



ლური მოვლენა. „რამპსინიტის საგანძური“ დაცლილია სოციალური ფუნქციონირების საგან. აქ ქურდობა არის გონებამახვილობის გამოვლენის ხერხი და არა საზოგადოებრივი ბოროტება. მოუხელთებელი ქურდი არის საზრიანობისა და ჭკუამახვილობის განსახიერების საშუალება და არა „საზოგადოების მტრად, ავაზაკად მიჩნეული მოვლენა, რომელიც უნდა გაირიყოს“¹⁴.

„რამპსინიტის საგანძურის“ განხილვისას ალ. ლლონტი ასკვნის: „ხალხი სასტიკად გმობს ქურდობას, როგორც სოციალურ ბოროტებას და ქურდის სახის გამოსაკვეთად მიმართავს სატირის ბასრ იარაღს“. მართალია, ქურდი ყველგან საზოგადოების მტრადაა მიჩნეული და ხელისუფლება მას სასტიკად ებრძვის, მაგრამ ეს ხდება ჩვენს ყოფაში, ხოლო ზღაპარში ხალხმა ქურდი დახატა გონებამახვილობის სიმბოლოდ და ქურდობა გამოიყენა ამ გონებამახვილობის გამოვლენის საშუალებად. არც ერთ ზღაპარში ქურდი არ ისჯება, არ იკვეთება, პირიქით, იგი საზოგადოების თავში ექცევა მისი ჭკუისა და მოხერხების წყალობით. ქურდობა „რამპსინიტის საგანძურის“ ზღაპრებში არის მხატვრული ხერხი, რითაც ხალხმა გამოხატა თავისი აღტაცება გამჭრიახი გონებისადმი და ზიზღი გონებაშეზღუდული ადამიანების მიმართ.

Н. Г. ДОЛИДЗЕ

МОТИВ ДЯДИ И ПЛЕМЯННИКА В ГРУЗИНСКОМ НАРОДНОМ СКАЗОЧНОМ ЭПОСЕ

Резюме

«Сокровищница Рампсината» — древнейший и очень популярный сюжет. Он входит в отдел новеллистических сказок под № 950 международного сказочного указателя Аарне-Андреэва.

В статье рассмотрены сюжеты этой сказки в грузинском народном сказочном эпосе и сопоставлены с фольклорными сюжетами других народов. Исследование сюжета приводит к выводу, что воровство в сказках «Сокровищница Рампсината» является художественным приемом, с помощью чего народ проявляет свое восхищение светлым умом, презрение к человеческому тугодумию.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილება
წარმოადგინა შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა

¹⁴ ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრ., გვ. 152.

ზ მ ი ა ლ ბ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა

მ ე ფ ხ ის ტ ყ ა ო ს ნ ის ს რ უ ლ უ ო ფ ი ლ ი ბ ა მ ო ც ე მ ის ა თ მ ის

მეთორმეტე საუკუნის ქართული პოეზიის ნიმუშთა ტექსტოლოგიურა კვლევის ურთულეს პრობლემათა გაშუქებაც შეუძლებელია ერთი, თუნდაც დიდტანიანი, გამოკვლევის ფარგლებში. ამჯერად ჩვენი მიზანია აზრის გამოთქმა ზოგიერთ ტექსტოლოგიურ პრობლემაზე, უფრო კონკრეტულად, დაზუსტებების შეტანა „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული ადგილების წაკითხვასა და ინტერპრეტაციაში, აგრეთვე კრიტიკული განხილვა რუსთველოლოგიური კვლევის ზოგიერთი მონაცემისა ვახტანგ მეექვსის დროიდან დღემდის.

ტექსტოლოგიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბებამ და მისი მეთოდების დანერგვამ მოგვცა პოზიტიური შედეგები „ვეფხისტყაოსნის“ და ოდების ტექსტის დადგენაში, იგივე ითქმის ლინგვისტურ-ფილოლოგიური კვლევის გაღრმავებაზე XX საუკუნეში, რომელიც დაედო საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ საკითხების კვლევას. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ თავიდანვე ურთიერთს დაუპირისპირდა ორგვარი მიმართულება, ორგვარი გზა ინტერპრეტაციისა: მწერლური და მეცნიერული. მწერლურმა ინტუიციამ და მეცნიერულმა ანალიზმა მრავალი საკვანძო პრობლემა გადაწყვიტა, მრავალ ბუნდოვან საკითხს მოჰფინა ნათელი, მაგრამ ამავე დროს მწერლური დაუდევრობა და მეცნიერული პედანტიზმი ხშირად ხელისშემშლელადაც გვევლინებოდა ტექსტოლოგიური პრობლემების სწორი გააზრების გზაზე. იშვიათია მკვლევარი, რომელსაც მშვიდობიანად გაეცლოს ამ სცილასა და ქარიბდას შორის. ამის გამო საჭიროა დეტალური გაანალიზება კვლევის ამ ორივე სახეობის შედეგებისა, მათი შედარებისა და ურთიერთშეჭერების საფუძველზე პოვნა ახალი სინთეზისა, რაც დაგეგმბარება ტექსტოლოგიური პრობლემების სწორ გადაწყვეტაში.

ჩვენი მიზანი არ არის ამჟამად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ტექსტოლოგიურ პრობლემის განხილვა, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემის ავტორიანი დახასიათება. ჩვენ შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ ტექსტოლოგიურ პრობლემას და მასთან დაკავშირებით ძირითადად ვისაუბრებთ ვახტანგისეულ გამოცემაზე, თანამედროვე გამოცემათაგან კი საიუბილეო გამოცემაზე და 1957 წლის გამოცემაზე, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ამ ორ გამოცემაში თავი იჩინა პრინციპულად ორმა სხვადასხვაგვარმა მიდგომამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი. ერთი მიზდინარეობა, რომლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია აკად. ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ენას განიხილავს ძველ ქართულთან ორგანულ კავშირში, თუმცა ამავე დროს აღიარებს მას საშუალო ქართულ ძეგლად და მოითხოვს ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი გრამატიკული და ორთოგრაფიული თავისებურებების შენარჩუნებას „ვეფხისტყაოსანში“; მეორე მიმდინარეობა თვლის, რომ რუსთველის ქართული უფრო ახლოს არის ახალ ქართულთან და შესაძლებლადაც კი მიაჩნიათ ახალ-ქართული ენობრივი ნორმებისათვის მისადაგება „ვეფხისტყაოსნის“ ენისა. ჩვენ ქვემოთ შეეცდებით დავასაბუთოთ, თუ რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა „ვეფხისტყაოსნისადმი“; ზემოხსენებული ორი გამოცემა რაკი პრაქტიკულად გვაძლევს ამ ორი ძირითადი მეთოდის თავისებურებებს, ამიტომაც გადავწყვიტეთ მათი ურთიერთშედარება, თუმცა გზადაგზა ვისაუბრებთ „ვეფხისტყაოსნის“ სხვა გამოცემებზეც.



1. ვახტანგ მეექვსე როგორც ტექსტოლოგი. პირველი რუსთველოლოგი

ვახტანგ მეექვსის ღვაწლი დიდია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამოცემის შემთხვევაში. ვახტანგ მეექვსემ სწორი ალლო აულო პოემას; იგი პირველი ჩასწავლა მას ალეგორიულ მნიშვნელობას და საღვთისმეტყველო სიღრმეს, რასაც ვერ ამჩნევდა ზოგიერთი სასულიერო პირი იმ ეპოქისა. ეპქვარეშეა, აგრეთვე, ვახტანგის დიდი განსწავლულობა, მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ, რომ ე. წ. აღორძინების ეპოქაში (რომელსაც ალბათ უფრო შეეფერება გამოთქმა „დაკნინების ეპოქა“) გაწყვეტილი იყო ორგანული კავშირი იმ სულიერ და კულტურულ ძირებთან, რომელთაც წარმოშვეს „ვეფხისტყაოსანი“. დაკნინების გზაზე იღვა თავად ქართული ენა, რომლის ზედმიწევნით მცოდნე იმ ეპოქაში თითქმის აღარავინ მოიპოვებოდა, ხოლო საუნჯე ჩვენი მწერლობისა — „ვეფხისტყაოსანი“ განერყვნათ გადამწერლებს, გაემარტივებინათ, შეეცვალათ თავდაპირველი გამოთქმები, შეეტანათ უამრავი შესწორებები და ინტერპოლაციები. დიახ, ეს იყო ხანა ვეფხისტყაოსნის ჯვარცმისა, გოლგოთისა, რომელზედაც „ვეფხისტყაოსანი“ თვით მისმა კეთილისმუსრველებმა აიყვანეს. მათ კეთილი განზრახვით თავისდა უნებურად განძარცვეს ერის საუნჯე, ვხა მოუტრეს მომავალ თაობებს მისი ნამდვილი პირველსახის აღდგენისაკენ. ეს ყოველივე კი შედეგი იყო იმ დიდი ეროვნული ტრაგედიებისა ქართველ ხალხს რომ დაატყდა XIII—XVII საუკუნეებში. ამ ავბედითმა ხანამ გაანადგურა ამა მხოლოდ მატერიალური, არამედ სიტყვიერი კულტურაც, ვინაიდან ჩაკვდა ყოველგვარი კულტურული ტრადიცია, გამეფდა უმეცრება, ჩატყდა ხიდი ერის წარსულსა და აწმყოს შორის და, ბუნებრივია, ეს „ვეფხისტყაოსანსაც“ დაეტყო.

როდესაც ვსაუბრობთ ვახტანგ მეექვსეზე, როგორც ტექსტოლოგზე, ეს ტერმინი ძალზე პირობითად უნდა ვიხმაროთ, ვინაიდან იმ ეპოქაში ტექსტოლოგია როგორც მეცნიერება, ჯერ არ არსებობდა. სამწუხაროდ, ვახტანგმა და მისმა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ „ვეფხისტყაოსნის“ გადარჩენა, მისი თავდაპირველი სახით აღდგენა ვერ მოახერხეს, ვინაიდან იმ ეპოქაში არც ვახტანგ მეექვსეს და არც სხვა ვინმეს არ შესწევდა ძალი და ცოდნა ამგვარი საქმის აღსრულებისათვის. საქართველო რუსთველის ეპოქისა და საქართველო ვახტანგის ეპოქისა თითქოსდა ორი სხვადასხვა სამყაროა, რომელთაც ძალზე მცირე რამ აერთებთ და აკავშირებთ და რომელთა შორის ურთიერთგაგების ხიდის გადგმა არც ისე იოლი აღმოჩნდა. მართალია, დიდად დასაფასებელია ის, რაც ვახტანგმა და მისმა კომისიამ გააკეთეს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის კრიტიკისა და გამოცემის საქმეში, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავხუჭოთ თვალი იმაზე, რომ ისინი ბევრით ვერ წავიდნენ წინ „ვეფხისტყაოსნის“ სხვა „მჩხრეკელებზე“ და რომ მათი გამოცემაც ფაქტობრივად წარმოადგენს პროფანაციას „ვეფხისტყაოსნისას“, რაც უმთავრესად გამოიხატება პოემის ტექსტის მოდერნიზაციაში, მის მისადაგებაში XVII საუკუნის დაკნინებულ ენობრივ ნორმებთან, რის შედეგადაც პოემაში მრავალი დამახინჯებაა, ხშირია ახალი გრამატიკული და ორთოგრაფიული ფორმები, დაკარგულია XII საუკუნის ქართული ენის სპეციფიკა, შერყვნილია თავად სტილი რუსთველისა. მიუხედავად თავისი კრიტიკული მიდგომისა, ვახტანგი დიდ გავლენას განიცდიდა XVII საუკუნის ხელნაწერებისას და ფაქტობრივ ყოველთვის ეყრდნობოდა მათ, ვინაიდან სხვა წყარო არ გაჩნდა, ამის გამო მის გამოცემაში ვხვდებით გრამატიკულ ფორმათა იმგვარ აღრევასა და დამახინჯებულ ტექსტობრივ წყაითხვებს, რომელნიც XVII საუკუნის ხელნაწერებიდან მომდინარეობენ¹. ამასთან, დედანი, რომელიც ხელაჭქონდა ვახტანგს და რომელიც მან საფუძვლად დაუდო თავის გამოცემას, გარ-

¹ იხ. ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ისტორია, თბ., 1984.

კველი დამუშავებისა და გაცხრილების შემდგომ არის აგრეთვე პროფანირებული ტექსტი „ვეფხისტყაოსნისა“, გვიანდელი საუკუნეების ვადამწერთა ნაღვაწი. ცხადია, ვახტანგის მიერ პროფანირება „ვეფხისტყაოსნისა“ ნაწილობრივ თვითნებობამდის არ მისულა, მაგრამ ძირითადი ტენდენცია ვახტანგის ტექსტოლოგიური მუშაობისა მიიწევი არის „ვეფხისტყაოსნის“ ერთგვარი გამარტივება და XVII საუკუნის ცნობიერებისა და ენობრივი ნორმებისადმი მისადაგება. ვარიანტებს შორის ვახტანგი ირჩევდა უფრო გასაგებ წაკითხვებს, ხოლო რაც მისთვის გაუგებარი იყო, უკუაგდებდა. ასე მაგალითად, აკად. ა. შანიძის გამოკვლევით დადასტურდა, რომ ვახტანგი კომენტარების წერისას სარგებლობდა პოემის ერთ-ერთი რედაქციით, რომელშიც მან მრავალი არასახარბიელო ცვლილება შეიტანა. მისი გამოცემის ტექსტი განსხვავდება ამ დედნისაგან და მასში შეიმჩნევა სწორედ ზემოხსენებული გამარტივებისა და მოდერნიზაციის ტენდენცია. ასე მაგალითად, ხსენებულ დედანში (ე. ი. ხელნაწერში, რომლის საფუძველზეც ვახტანგი წერდა თავის „თარგმანებს“) მე-3 შაირში წერებულა: „მას არა ვიცი **შემართო** შესხმა ხოტბისა ხშირისა“, სწორედ ამ შემართვის განმარტავს ვახტანგი. „შემართვა“ შებედავს ჰქვიანო“, მაგრამ მუშაობის შემდგომ პროცესში შემართო-ს ნაცვლად დაუწერიათ „შევეკადრო“, ე. ი. უფრო თანამედროვე და გასაგები ფორმა ამჯობინეს.

დედანში ყოფილა: „მას თინათინის გონება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“. „გონების“ ამგვარად ხმარება, როგორც ზმნისა, აშკარად არქაული ფორმაა; ამის გამო დაბეჭდილ გამოცემაში იგი შეცვლილია „შვენებით“, „მას თინათინის შევენება ჰკლევდის წამწამთა ჯარისა“.

დედნის სიტყვა „ნიშატი“ ვახტანგისათვის უცნობი ყოფილა, როგორც თავად აღიარებს: ნიშატი არ ვიცოდით („ნიშატი“ საკმაოდ გავრცელებული სიტყვაა „ვისრამიანში“, საშუალო ქართულის სხვა ძეგლებში და ნიშნავს — სიხარულს, შევებას).

ვახტანგის დედანში ყოფილა: „მისთა ნიშატთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა“ (ჩტლა), გამოცემულ ტექსტში კი „ნიშატის“ ნაცვლად „ნიშანია“: „მისთა ნიშანთა სიცოცხლე მართ მისი მიიბარესა“. ე. ი. ვახტანგმა ამჯობინა ის ვარიანტი, რომელიც „ნიშანს“ იძლეოდა.

ამავე პრინციპით ამჯობინეს „შესხმა ხოტბისა შერისას“ „შესხმა ხოტბისა ხშირისა“, „მირთმა ხამს მათ მიშერისას“ — „შშიერისა“ და ა. შ. აქედანვე მომდინარეობს ძველი ქართული ფორმების გადაკეთება, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის გაღარიბება, პროვინციალიზმების დატოვება ტექსტში (მამაცეს მამაქარვები, მამხვდეს და სხვა). ჰაე და სან პრეფიქსების უადგილო, არასწორი ხმარება და სხვა. მაგალითისათვის მოვიყვანოთ მე-10 სტროფი, რომელიც შემდეგნაირად არის წარმოდგენილი ვახტანგთან:

„თვალთა მისგან უნათლოთა: ენატრამცა ახლად ჩენა,
აჰა, გული გამიჯნურდა, მიხდომია ველთა რბენა,
მოაქეთ ვინ ხორცთა დაწვა კმარის მისცეს სულთა ღუნენა,
სამთა ფერთა საქებელთა ლამის ლექსთა უნდა ღუნენა“.

ამ სტროფში ფორმა „მიხდომია“ აშკარა დამახინჯებაა ფორმისა — „მიძხდომია“, რომელიც გვხვდება სხვა ხელნაწერებში, ხოლო „კმარის“ მოდერნიზაციაა ფორმისა — „კმა არს“, რომელსაც აგრეთვე გვაძლევენ სხვა ხელნაწერები. ასევე გვხვდება 76-ე სტროფში „მაღლა მხლტომელის“ ნაცვლად „მაღლა მხტომელი“, 74-ე სტროფში „მოსლვა ნადირთას“ ნაცვლად „მოსვლა ნადირთა“, 72-ე სტროფში „ბროლ-ბადაწმოსანის“ ნაცვლად „ბროლ-ბალახოსანი“, 77-ე სტროფში „ჰვავსო ალვას, ედემის ხეს“ ასეა შეცვლილი: „ჰვავს ალვა ედემის



ზეს“, რაც უაზრო და არარუსთველური ფრაზაა, 82-ე სტროფში „უნის ვითა მღერა ნარდისა“ შეცვლილია გამოთქმით „უჩანს, ვით მღერა ნარდისა“, აკრებზე უცხოა რუსთველის ეპოქის ენისათვის. ასევე არაბუნებრივი ფორმა „წინაშენ მდგომარე“ „წინაშე მდგომარეს“ ნაცვლად (91); რუსთველის ენისათვის უცხოა ფორმები: „შესხდენ მეფე და ავთანდილ“ (96), უნდა იყოს „შესხდეს მეფე და ავთანდილ“; „შეიგნა მისვლა მეფისა (96), უნდა იყოს „მისვლა“; „აგრე კვალ წმიდალ წახდომა კაცისა ვითა დევისა“ (98), უნდა იყოს „წარხდომა“; „ვერ ვის ძალ უცს განკურნება“ (99), უნდა იყოს „ძალ უც“; „სადაცა ერნ მხეცთა სვრიდა“ (100), უნდა იყოს „სრვიდა“; „ნეტარ რასა იქს ქალიო“ (104), უნდა იყოს „იქს“, „აწაღა ფერნამკრალიო“ (104), უნდა იყოს „აწელა“; „მამაქარევი სეედისა“ (108), უნდა იყოს „მომაქარევი“; „მისმან შუქმან გაანათლა“ (109), უნდა იყოს „განანათლა“; „შესაპყრობლად შეუზრახენ“ (110), უნდა იყოს „შეუზრახენ“; „უბრძანეს წადით, პატიყთა თავიშა რად დარიდეთა“ (115), უნდა იყოს: „უბრძანეს წადით, პატიყთა თავიშა რად დაპრიდეთა“; „მეფე ბძანებს“ (118), უნდა იყოს „ბრძანებს“; „არ ერდვან შეუყრელისა“ (121), უნდა იყოს „არ ერთვან“; „შენ გენუკეე მონახვასა“ (128), უნდა იყოს „გენუკეე“; „ჟმა წავიდა სიშორესა, თუცა მისა ვერ გასძლებდა“ (138), უნდა იყოს „მისსა“; „თქვენ ხლმითა დაგიმონია“ (142), უნდა იყოს „ხრმლითა“; „გცოდნია, გავივლენიან“ (151), უნდა იყოს „გცოდნიან, გავივლენიან“; „ამისთვის გნუკეე სმენასა“ (155), უნდა იყოს „გნუკეე“; „წიგნსა სწერდი ჩემავიერ“ (156), უნდა იყოს „ჩემ მავიერ“; „უფასოსა ძღვენსა სძღნობდი“ (156) — „სძღვნობდი“; „იყავ მართ ვითა მთვრალია“ (148), უნდა იყოს „იყავ მართ ვითა მთრვალია“; „არ საქმე სასურველია“ (158), უნდა იყოს „სასურველია“; „ჰინახულისა“ (1319), უნდა იყოს „ჰირნახულისა“; „მარგალიტი არვის მიხედეს უსასყიდლო უვაჭრელად“ (162), უნდა იყოს „უსასყიდლოდ, უვაჭრელად“; „დაზრდილნი და ზოგნი ზრდილნი“ (165), უნდა იყოს „გამზრდელნი და ზოგნი ზრდილნი“; „დავკყო მარტო და ლარიბად“ (167), უნდა იყოს „მარტოდ და ლარიბად“; „ვარდთა ზრვიდეს არ აჰკნობდეს“ (168), უნდა იყოს „ვარდთა ზრვიდეს, არ აჰნობდეს“; „თქუა თუ მე მასცა ვიახელ“ (178), უნდა იყოს „ვეახელ“ და ა. შ. ამგვარი მაგალითები მოყვანა კიდევ უხვად შეიძლება, მაგრამ ჯერჯერობით ამას დავჯერდეთ. ამრიგად, ნათელია, რომ ვახტანგისეული გამოცემის მთავარი ზადი, ისევე, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ სხვა ხელნაწერებისა, არის პოემის ენობრივ ფორმათა გათანამედროვეება, გამარტივება, რუსთველის თავანჯარა ქართულის შეცვლა მეჩვიდმეტე საუკუნის დაკნინებული და შერყენილი ენით. ყოველივე ეს კი იმის შედეგი იყო, რომ ამ პერიოდში დაკარგული იყო ცოდნა რუსთველის ეპოქის ქართულისა, გვიანდელმა გადაწერებებმა დაკარგეს ამ ენის ძირითადი თავისებურებანი, ხოლო ვახტანგმა და მისმა კომისიამ ვეღარ აღადგინეს პოემაში ენობრივი ფორმები თავიანთი თავდაპირველი სახით. ასე რომ, ჩვენ ვერ დავეთანხმებით სახელოვან ფრანგ ქართველოლოგს, მარი ბროსეს, რომელიც ამბობდა, თითქოს ვახტანგ მეფემ პისისტრატეს მსგავსი სამუშაო ჩაატარა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე. სამწუხაროდ, იმ ეპოქაში ჩვენში ვერ დაიბადებოდა ქართველი პისისტრატე, ვინაიდან ამას ვერ უწყობდა ხელს ეპოქის საერთო მეცნიერულ-ფილოლოგიური დონე.

2. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგია ახალ დროში. XIX საუკუნეში შეინიშნება კიდევ უფრო დიდი რეგრესი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტებთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. ამ ეპოქაში „ვეფხისტყაოსნის“ პროფანაციამ და მოდერნიზაციამ არნახულ მასშტაბებს მიაღწია. ვახტანგ მეექვსის ეპოქაში შემორჩენილი იყო ტრადიციული გაგება ზოგი ადგილის წაკითხვისა, სახელ-

მწიფო და ეკლესია არსებობდნენ და ქართულ ენაზე ფუნქციონირებდნენ, ხოლო ენის დაკნინება და წარსულთან ორგანული კავშირის გაწყვეტა ჯერ არ იყო იმ ზომამდე მისული, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში. ამ ეპოქაში ქართული სახელმწიფოსა და ეკლესიის განადგურებამ, ქართული ენის სისტემატურმა დევნამ დალი დასვა კულტურული ცხოვრების ყოველ სფეროს. გამეფდა ტოტალური ქაოსი და უმეცრება, რის შედეგადაც უკვე თვით გამოჩენილ მწერლებს აღარ გააჩნდათ ცოდნა სალიტერატურო ენის ნორმებისა და კუთხურ-პროვინციული მეტყველება შემოპქონდათ მწერლობაში, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგების იმპაინდელ დონეზე მეტყველებს მისი 1888 წლის გამოცემა, რომელიც უკან გადადგმული ნაბიჯია თვით ვახტანგის გამოცემასთან შედარებით. აქ „ვეფხისტყაოსანი“ XIX საუკუნის ენის პროკრუსტეულ სარეცელზეა. მწერალთა ამ კომისიას არ გააჩნდა არავითარი ცოდნა პოემის ტექსტის ისტორიისა, ძველი და საშუალო ქართული ენისა, მიაუფრო რუსთველისეული ქართულის ნორმებისა, არ გააჩნდა არავითარი მეთოდი, არ ხელნაწიფებოდა მეცნიერულ-კრიტიკული დამუშავება ტექსტისა, ამიტომ მან XIX საუკუნის ქართულის ნორმების მიხედვით გაასწორა ტექსტი და ისე გამოსცა. ესეც მორიგი ჯვარცმა იყო „ვეფხისტყაოსნისა“, რომელმაც, ცხადია, გადააქარბა ვახტანგისეულ პროფანაციას. ჩვენ აღარ მოვიყვანთ მაგალითებს XIX საუკუნის გამოცემებიდან, ჭნაიდან მათ ჭარბად შეხედებით თანამედროვე რუსთველოლოგიურ (ტექსტოლოგიურ) ლიტერატურაში. ამჯერად ჩვენი მიზანია საუბარი თანამედროვე ტექსტოლოგიის ამოცანებზე, აგრეთვე ამ ზოგიერთ ნაკლზე, რომელიც გააჩნიათ „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე გამოცემებს, განსაკუთრებით კი ე. წ. საიუბილეო გამოცემას.

მეოცე საუკუნეში ტექსტოლოგიურმა მეცნიერებამ, ცხადია, დიდი ნაბიჯი წადგა წინ, დაიწყო მეცნიერული შესწავლა ძველი ქართული ენისა და ლიტერატურისა, განვითარდა ქართული ფილოლოგია და ენათმეცნიერება. ნ. მარის, ა. შანიძის, კ. კეკელიძის, იუსტინე აბულაძის და სხვათა ეპოქალურმა გამოკვლევებმა ფეხზე დააყენა ტექსტოლოგიური მეცნიერება, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შესწავლაშიც დაიწყო ახალი ერა. ხელნაწერთა უვანდისობის გამო ახალი დროის მეცნიერებმა სულ უფრო და უფრო იმარჯვენს კონიექტურული მეთოდი, რომლის გამოყენებაც, მართალია, ხშირად დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს არის ერთადერთი გამოსავალი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიის იმ ჩიხიდან გამოსაყვანად, რომელშიც იგი მოექცა უკანასკნელ საუკუნეებში. ცხადია, ამ მეთოდს უნდა იყენებდეს მხოლოდ და მხოლოდ ძველი ქართული ენის სპეციალისტი მეცნიერი, ფილოლოგიური და ლინგვისტური ცოდნით აღჭურვილი მკვლევარი, რომელიც ზედმიწევნით იცნობს არსებულ ხელნაწერებს და ტექსტოლოგიურ პრობლემებს, მაგრამ ამავე დროს მას უნდა გააჩნდეს პოეტური ადლო, შეგრძნება ენის ესთეტიური ფენომენისა, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს პოეტიკაში და ლიტერატურათმცოდნეობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალმხრივობა გარდაუვალი იქნება. ნ. მარის, ა. შანიძის, იუსტ. აბულაძის კონიექტურებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მათ მაინც ბევრი პრობლემა დარჩათ გადაუწყვეტელი. მრავალი ადგილი „ვეფხისტყაოსნისა“ წაუკითხავია, ბუნდოვანი და გაურკვეველი, მრავალი არსებული კონიექტურა გადასახედი, რაც, ჩვენი აზრით, იმის შედეგია, რომ მეოცე საუკუნეში ურთიერთს დაუპირისპირდა მეცნიერული და მწერლური მიდგომა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტისადმი, მათ შორის დავამ და აზრთა სხვადასხვაობამ მიგვიყვანა ფაქტობრივად ორ ცალმხრივ მიმართულებასთან ტექსტოლოგიაში, რამაც უდავოდ დიდი დალი დასვა „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე გამოცემებს. ეს უწინარეს ყოვლისა ითქმის „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. საიუბილეო გა-



მოცემზე, სადაც ენათმეცნიერულმა მიდგომამ აშკარად გაიმარჯვა. სიტყვა „საიუბილეოსთან“ ჩვენში დაკავშირებულია ყოველივე საუკეთესო, რჩეულ რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვცტყვით სხენებულ გამოცემაზე, თუმც მან რატომღაც კანონიკური უფლებები მოიპოვა დღეს. სამწუხაროდ, იგი უკან გადადგმული ნაბიჯია, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემასთან შედარებით. ამჯერად ჩვენი მიზანია ამ გამოცემის სიავკარგეზე მსჯელობა, ანალიზი ცალკეული ადგილებისა ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, აგრეთვე პარალელების გავლება სხვა თანამედროვე გამოცემებთან, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემასთან (ალ. ბარამიძის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის რედაქციით), რომელიც ჩვენ მიგვაჩნია შედარებით სრულყოფილ გამოცემად.

თამამად შეიძლება თქვას, რომ საიუბილეო გამოცემაში აირეკლა ყველა უარყოფითი ტენდენცია თანამედროვე ტექსტოლოგიისა და ორთოგრაფიისა, მიდრეკილება გამარტივებისკენ, თანამედროვე დაქინებულ-დამახინჯებული ენობრივი ფორმების ფეტიშიზაციისაკენ, რუსთველური ფორმების იგნორირებისაკენ. საიუბილეო გამოცემა არის ერთგვარი ადაბტაცია „ვეფხისტყაოსნისა“, იგი მიზნად ისახავს, როგორც ჩანს, უფრო „გასაგები“ გახადოს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი, ან მხედველობაში ჰყავს მხოლოდ მოზარდთა აუდიტორია, რომელიც, გამომცემელთა ზრით, „ვერ გაიგებდა“ ნამდვილ რუსთველისეულ ქართულს. ვარიანტებს შორის გამომცემელნი თითქოს განზრახ ირჩევენ ყველაზე მეტად შერყენილ ადგილებს და აკანონებენ მათ. ასე რომ თითქმის ყველა აბსურდი და კურიოზი, რომელიც გადაწყურთა უყურადღებობისა და უვიციობის წყალობით გვხვდება სხვადასხვა ხელნაწერებში, საიუბილეო გამოცემაში თავმოყრილი და კანონიზებული.

მიუხედავად თანამედროვე ტექსტოლოგიის დიდი მიღწევებისა, დღეს ფრიად საგრძნობია ცალმხრივი, ენათმეცნიერული მიდგომა ტექსტისადმი, რომელიც სავსებით არ ითვალისწინებს პოეტური ენის თავისებურებებს, ენის ესთეტიკურ, ეფფონიურ ფუნქციას: რუსთველის პოეტური ენა, მართალია, დღეს ჯეროვნად არ არის შესწავლილი, მაგრამ აშკარაა, რომ პოემის ახალ გამოცემაში იგნორირებულია პოეტური მეტყველების კანონები. ტექსტის გასწორება ხდება თანამედროვე (და არა ძველ) ქართული ენის გრამატიკული ნორმებს მიხედვით, რაც ხშირად აღარბიებს ტექსტს, რუსთველის ლექსს და სიტყვას ჟღერადობას და მომხიბლავობას უკარგავს. კვლავ გრძელდება პროფანაცია ტექსტისა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ ვახტანგის ეპოქაში. (პოეტური ენისადმი თანამედროვე ენათმეცნიერული მიდგომის ყველა მანკი აირეკლა ე. წ. ქართული ენის „ორთოგრაფიულ ლექსიკონში“, რომელიც დოგმათა კრებულად იქცა არა მხოლოდ თანამედროვე ენისათვის, არამედ, რატომღაც მის მიერ დაკანონებულ ფორმებს უსადაგებენ ხშირად წარსულის ლიტერატურულ ძეგლებს, რაც ყოველად დაუშვებელია. საერთოდ ეს ლექსიკონი ისეა შედგენილი, თითქოს პოეზია, მხატვრული ლიტერატურა საერთოდ არ არსებობდნენ; იგი არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ ნიუანსებს, რომელსაც მოითხოვს პოეტური მეტყველება, „ლიცენცია პოეტიკა“ და რაც აუცილებელია საერთოდ პოეტური სიტყვის სრულყოფისათვის).

ამ ტენდენციის გამარჯვება „საიუბილეო გამოცემის“ კანონიზება ჩვენში, მისი აღიარება ერთადერთ ქართულ, ვითომდაც სრულყოფილ, გამოცემად, რომლის ტექსტის გულდასმითი ანალიზი გვარწმუნებს იმაში, რომ იგი უწინარეს ყოვლისა ეყრდნობა ისევ ვახტანგ მეექვსის გამოცემას და ძირითადად იმეორებს მის შეცდომებს. განა რუსთველოლოგიის წინსვლამ ამ ორნახევარი საუკუნის მანძილზე არ უნდა მოგვეცეს საშუალება იმისა, რომ დაიძლიოს ის დონე, რომელზედაც იყო რუსთველოლოგია და „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტო-

ლოგია მეტრამეტე საუკუნის დასაწყისში? გამომცემელთა მცოცავი ემპირიზმი თვალსაჩინოა, ვინაიდან ისინი, ვახტანგ მეექვსის გარდა, სხვა გადამწერთა შეცდომებსაც იმეორებენ, არ ანალიზებენ მათ, არ ცდილობენ აღდგენას მართებული რუსთველური ფორმებისას და ამა თუ იმ ფორმას ნდობას უტყვადებენ მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად უფრო ხშირად გვხვდება იგი ხელნაწერებში; თუმც ავიწყდებათ, რომ ამ ხელნაწერთა გადამწერნი თავად ცდებოდნენ. სინამდვილეში, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების კარგი ანალიზი გვარწმუნებს, რომ მართებული ფორმები უფრო ნაკლებ ვარიანტებში გვხვდება, ვიდრე უმართებულო. საიუბილეო გამოცემაში დაკანონდა: „უბოროტო ვის ასმია რაცა კარგი საეშმაკო“ (879), რაც აშკარა აბსურდია. ვით შეიძლება ქრისტიან პოეტს და მოაზროვნეს თეოდიციით და სატანისმიერი ძალე-ნიანადმი სიძულვილით განმსჭვალულ პოემაში ეხმარა ასეთი გამოთქმა? ნუთუ რუსთველი კარგს საეშმაკოდ თვლიდა და საეშმაკო — კარგ მოვლენად მიაჩნდა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვარიანტების უმრავლესობა მხარს უჭერს ამგვარ წაკითხვას და სწორედ ამის გამო აირჩიეს იგი გამომცემლებმა. თუმც ვარიანტებში გვაქვს აგრეთვე „საქმე საეშმაკო“ (JKOUVZG), რაც ერთადერთი სწორი წაკითხვაა ამ ადგილისა². ასე რომ, ტექსტოლოგიური კვლევისას მხოლოდ ემპირიული მონაცემები როდია მთავარი, არამედ აუცილებელია ავტორის მსოფლმხედველობის გათვალისწინება. ეს ყოველთვის საიმედო ჩიარადანია მართებული წაკითხვის შერჩევისას. ასე შეარჩიეს ეს 1957 წლის გამოცემის ავტორებმა ალ. ბარამიძემ, ავ. შანიძემ, კ. კეკელიძემ, სადაც გვხვდება „რაცა საქმე საეშმაკო“ და არა „კარგი საეშმაკო“. (აქ ნაკლებ სავარაუდოა „კარგის“ ხმარება წესის, რიგის, კატეგორიის მნიშვნელობით, როგორც ამის ფიქრობს ზოგი რუსთველოლოგი).

საიუბილეო გამოცემამ დააკანონა მრავალი შერყენილი ადგილი, რომელთაგან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს მოვიყვანთ. მაგ., „მწაღდა მაგრა ვერ შევმართე შექიდება, შემოხვევა“ (546). მრავალჯის აღნიშნულა, რომ სატრფო ფალავანი არ არის, რომ შეეჭიდო, მიუხედავად ამისა, გამომცემლებმა ეს ფორმა არჩიეს, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ **ყველა** ხელნაწერი იძლევა „შეჭიდებას“ (ხოლო ზოგი „წაჭიდებას“ და „შეჭიდებასაც“). ჩვენი აზრით კი კონიექტურა „შემოჭდომა“ უფრო მართებულია. ასევეა, მაგალითად, ფორმა „ავფრინდე“ „ნესტანის წერილში“: „მომცნეს ფრთენი და ავფრინდე“. ასე ალბათ თანამედროვე პილოტი იტყვიდა თვითმფრინავით აფრინისას და არამც და არამც მეთორმეტე საუკუნის ადამიანი. სამაგიეროდ ფორმა „ავფრინდე“ გვხვდება 13 ხელნაწერში და მხოლოდ ერთში გვხვდება მართებული ფორმა „აღვფრინდე“, ამის გამო საიუბილეო გამოცემამ დააკანონა „ავფრინდე“. ასევე არასწორაა ფორმა „დაჯე წერად ჭირთა ჩემთა“ (962), რაც თანამედროვე კინტოურ-ქალაქური ჟარგონული მეტყველების იერს ატარებს. საიუბილეო გამოცემაში დაკანონებულია ეს ჟარგონული ფორმა, თუმც ენათმეცნიერებს გამორჩენიათ მხედველობიდან, რომ იგი გრამატიკულადაც არასწორია, ვინაიდან აქ საქმე გვაქვს წართქმით-ბრძანებით კილოსთან მეორე პირში, რაც მოითხოვს დ-ით დაბოლოებას, უნდა იყოს **დაჯედ** და არა დაჯე. მაგრამ ეს ყოველივე, როგორც ზემოთ აღვნიშნე, „ვეფხისტყაოსნის“ ენის გამარტივება-გაპრიმიტიულების ტენდენციის შედეგია. ჩვენი მოსაზრების კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად მოვიყვანთ ციტატას ფსალმუნიდან: „ჰრქუა უფალმან უფალსა ჩემსა, **დაჯედ** მარჯუენით ჩემსა“ (ფსალმ. 109). ასევე გვხვდება ვარიანტებში შერყენილა

² ვარიანტები მითითებულია წიგნის მიხედვით: „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები“, ალ. ბარამიძის საერთო რედაქციით, თბ., 1964.



ფორმები „მარის“ (უნდა იყოს „კმა არს“), „ქვე მკრდამდის“ (უნდა იყოს „მკერდამდის“), „გესმის ჩემი ნაუბარი?“ (უნდა იყოს „გესმას ჩემი ნაუბარი“ როგორც ეს O და G ვარიანტებშია). უმრავლეს ვარიანტში გვხვდება „ამამი-გონებდე“ (უნდა იყოს „მომიგონებდე“), ასევე გვხვდება „გზანი დახვდეს შე-კაშმულნი“ „შეკაფულნი“ ნაცვლად და სხვა.

თანამედროვე ტექსტოლოგიაში დიდი დავაა ჰე და სან პრეფიქსების მართებული ხმარების შესახებ, რაზედაც ამჯერად ჩვენც გვსურს შევაჩეროთ ყურადღება. აკად. აკ. შანიძე მართებულად აღნიშნავდა, რომ ანტონ პირველს ხსენებული პრეფიქსების გრამატიკულ ფუნქციაზე მცდარი წარმოდგენა ჰქონდა და ამის გამო ავრცელებდა მათ ზმნის ყოველგვარ ფორმაზე, სადაც კი ჰქონდა საშუალება მათი გამოყენებისა (ა. შანიძე, ანტონი I-ის გავლენა სალიტერატურო ქართულზე, თბ., 1954, გვ. 50). ხსენებული დებულების პირველ ნაწილს ჩვენც ვიზიარებთ, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ანტონის ეპოქაში ქართული გრამატიკა არ იყო მეცნიერულად დამუშავებული და იგი ვერ გაერკვეოდა სწორად ამ პრეფიქსების გრამატიკულ დანიშნულებაში. მაგრამ ამასთან ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივეემულ მეცნიერს იმაში, რომ ანტონისათვის ამა თუ იმ ფორმის ხმარებისას ყოველთვის ამოსავალი წერტილი იყო გრამატიკული კანონი. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ანტონი იყო, უწინარეს ყოვლისა, მწერალი, პოეტი, ენის მხატვარი, იგი ენის ესთეტიკურ მშენებლას არაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე პედანტურ დაცვას გრამატიკის კანონებისას. ამის გამო იგი ხშირად ხმარობდა ჰეს და სანს იქ, სადაც მათ გრამატიკული ფუნქცია არ გაჩნდათ, ვინაიდან ამ ბგერებს გაჩნიათ აგრეთვე ექსპრესიული, ეფფონიური დანიშნულებაც, როგორც ამას აღნიშნავს თვით ა. შანიძეც, რასაც ქვემოთ დავინახავთ. ასევე ვხვდებით ამ მოვლენას ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებშიც, სადაც გვხვდება ჰეს და სანის შემცველი პარალელური ფორმები.

დღევანდელი ტექსტოლოგები, ენათმეცნიერული დოკუმენტით რომ ხელმძღვანელობენ, მოითხოვენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან ჰეს და სანის გაძევებას ყველგან, სადაც მათ გრამატიკული ფუნქცია არ გაჩნიათ. (თუმც მათ ხშირად ამ გრამატიკულ ფუნქციაზეც არა აქვთ სწორი წარმოდგენა, როგორც ქვემოთ დავინახავთ). ზოგიერთს იმგვარად წარმოუდგენია საქმე, თითქოს რუსთველს „ვეფხისტყაოსნის“ წერისას წინ ედო გრამატიკის სახელმძღვანელო და გრამატიკულ კანონებს უფარდებდა თავის ლექსს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ანალიზი კი გვარწმუნებს საპირისპიროში, რომ რუსთველს ძალზე თავისებური მიდგომა აქვს გრამატიკის კანონებისადმი, გოეთესეული ვაგებით ახასიათებს „მიმძლავრება ენის მიმართ“, ოღონდ ამ კანონების დარღვევა ხდება არა უმეცრების შედეგად, არამედ ზედმიწევნითი ცოდნის შედეგად. მაგალითად, არც ერთი გრამატიკული კანონით არ არის გამართლებული არსებითი სახელის ხმარება ზედსართავისთვის დამახასიათებელ შედარებით ხარისხში. რუსთველთან კი ვხვდებით გამოთქმას „აწ მოყვარე გიპოვნეივარ, დისაგანცა უფრო დესი“. „დესი“ აშკარა დარღვევაა გრამატიკული კანონისა. იგივეა „რა“ ნაცვალსახელის ხმარება შემდეგნაირი ფორმით — „ვერა შევიგენ რა იყო ანუ ნაქმარი რაულად“. ფორმა „რაულად“ არსად შეგვხვდება გარდა „ვეფხისტყაოსნისა“. „გული ჩემი ასა დავეს“, „ასე“ შეცვლილია „ასა“-თი; დროთა შეთანხმებას გრამატიკული კანონის დარღვევაა, მაგალითად, ასეთი სტრიქონი: „მერმე წასლვა არა მწადდა, ამაღ მივალ არ ფიცხელი“ (547).

„რამან შექმნა მოყვითანოდ, ვარდგიშერი რომე პრგავსო“ (599). აქ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ვარდ-გიშერი რგავს რამეს, სინამდვილეში

კი ივლისსმება, რომ ვარდ-გიშერი თავად არის რგული, რაც არც ერთი გრამატიკული კანონით არ არის გამართლებული, ისევე როგორც შემდეგ ფორმა: „ესე ესმა ცრემლი ცხელი შერმადინსა თვალთა სდინდი“, უნდა იყოს „სდინდა“ და ა. შ. ასე რომ, რუსთველი ხშირად ცვლის გრამატიკულ კანონებს „ლიცენცია პოეტისას“ მოთხოვნებისამებრ. ასეა არა მხოლოდ პოეზიაში, არამედ ხელოვნების სხვა დარგებშიც. მაგალითად, გვახსენდება ბეთჰოვენის თქმა, რომ არ არსებობს კანონი კომპოზიციისა, კონტრაპუნქტისა თუ ჰარმონიისა, რომლის დარღვევაც არ შეეძლოს კომპოზიტორს უფრო მაღალის, უფრო ზეაღმატაის მისაღწევად. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებში ჰაე და სან პრეფიქსები ხშირად უმართებულოდაა გამოტოვებული. ამის გამო ვახტანგ მეექვსემაე უმეტესწილად გამოტოვა ეს პრეფიქსები, რითაც ფრიად გააღარბა ევფონიური ჟღერაობა ამ დიადი სიმფონიისა. დაეიწყეთ ჯერ იმით, თუ ქართული გრამატიკის თვალსაზრისით რამდენად მართებულია ჰაე პრეფიქსის ყოველ ნაბიჯზე გამოტოვება „ვეფხისტყაოსანში“. ასე, მაგალითად, საიუბილეო გამოცემაში, „ნესტანის წერილში“ ვხვდებით ფორმას: „ხედავ, ჩემო, ვით გაგყარნა სოფელმან და ჟამმან კრულმან“ (1295). 1957 წლის უამოცემაში ამ ადგილას არის „ჰხედავ“. ასევეა მხოლოდ ერთ ვარიანტში (1), თუმც ვახტანგისეული გამოცემა და სხვა ხელნაწერები მხარს უჭერენ ფორმას „ხედავ“, რას გამოც საიუბილეო გამოცემაშიც „ხედავ“ ამჯობინა. მაგრამ განა სწორია ძველი ქართულის თვალსაზრისით ასეთი ფორმა? არამც და არამც, იგი თანამედროვე გამარტივებული ფორმაა, რომელიც არც გრამატიკულად, არც ესთეტიკურად არ არის გამართლებული. ასე, მაგალითად, სინური ხელნაწერი (Sin-89) მეოთხრმეტე საუკუნეში გადაწერილი, ბასილი დიდის ჟამის წირვისა გვაძლევს ფორმას „ჰხედავ“, ისევე როგორც ფორმებს: „განჰმარტოს“, „შეჰვედროთ“ და სხვა. ასე რომ, სწორედ მეოთხრმეტე საუკუნის ენის თვალსაზრისით არ არის გამართლებული ფორმა „ხედავ“. (აღსანიშნავია რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1926 წლის იუსტ. აბულაძისეული გამოცემა მხარს უჭერს ფორმას „ჰხედავ“, „მიჰმართე“ და ა. შ. ხოლო ა. კაკაბაძე, რომელიც ვეფხისტყაოსნის მეოთხრმეტე საუკუნის ნაწარმოებად მიიჩნევდა, შესაბამისად ამარტოვებს მის ოთორჯაფიას და მხარს უჭერს ფორმას „ხედავ“, „ხედავცა“, „მიჰმართე“ და ა. შ. გამოცემილების არათანმიმდევრულობა და არასწორი წარმოდგენა ჰაე პრეფიქსზე ირკვევა აგრეთვე საიუბილეო გამოცემის 39-ე სტროფში: „მას თინათინის გონება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა“. ძველი ქართული გრამატიკის მიხედვით უნდა იყოს „კლვიდის“, ვინაიდან ჰმნა მოქმედებითი გვარის I სერიის უწყვეტლის ხოლმეობითშია, სადაც ჰაე საცხებით ჰედმეტია (იხ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 95). ასე რომ, თუ იმ პრინციპით ვხელმძღვანელობთ, რომელსაც დღეს აიდეალებენ, მაშინ ჰაე უნდა ვიხმართო მხოლოდ იქ, სადაც მას გააჩნია გრამატიკული ფუნქცია. აქ კი იგი არ უნდა გვეხმარა. მაგრამ მეორე მხრივ, როგორც ჩანს, თვით საიუბილეო „ვეფხისტყაოსნის“ გამომცემლებსაც კი ყური მოსჭრა ჰაე პრეფიქსის გარეშე ხმარებულმა ჰმნამ, ამიტომ დაუშვეს ფორმა ჰკლვიდის და არა კლვიდის. ასე რომ, ჰაეს გრამატიკულის გარდა სხვა ფუნქციაეც ჰქონია. თან, შესაძლოა, მათ შეცდომით ჩათვალეს ჰაე პირის ნიშნად. აკად. ა. შანიძე, „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის გამოცემის წინასიტყვაში განმარტავს: „როგორც ყოველ მწერალს, რუსთველსაც არ ექნებოდა დაცული ფორმათა ერთგვარობა ყველგან, პოემის მთელ მანძილზე; მასაც უთუოდ ექნებოდა ნაირ-ნაირი დაწერილობა ამა თუ იმ სიტყვისა და ფორმისა. პოემის ავტორგრაფის უქონლობის გამო არ ვიცით, მაგ., რამდენად სისტემებრ ხმარობდა იგი ჰ-ს მე-2 სუბ. პირის ნიშნად ან მე-3 ობ. პირის ნიშნად, ის კი ცხადია, რომ XII საუკუნეში აღნიშნული ნიშნების ფუნქცია,



თანხმონით დაწყებულ ზმნებში დავიწყებული არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ფონეტიკური გარემოების მიხედვით ჰაე შეიძლება ზოგჯერ არც გამოეყოფილა თქმულიყო თუ არ ვერადებით ვ ნიშნის შეტანას I სუბ. პირის ფორმებში უნ-ს წინ (რაც XII საუკუნის ძეგლებში არსად არ გვხვდება), მით უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, რომ ჰაეს ხმარება სისტემებზე გავატაროთ შოთას თხზულებაში ყველგან, სადაც კი მისი ხმარება მოსალოდნელია თეორიულად: თუ ჰნახო (947, 4), ჰპილდები (254, 3), დაჰხოცე (286, 4), არ გაჰშმაგდე (273, 3), ჰღვრიდე (947, 4), გაჰმაგრდებოდა (954, 3), ვჰვმობ (948, 4), მიჰხედები (254, 2) და მისთ. ჰაეს ჩართვა მიმატა-ში (სხვა მიჰმატა ჰირსა ჰირი 941, 3) ნაკარნახები ფორმის ნათლად წარმოჩენის მიზნით* (იხ. გვ. 615). 1966 წლის საიუბილეო გამოცემაში კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფორმა ჰაეს გარეშე გვხვდება, რაც არც მეცნიერული თვალსაზრისით, არც პოეტური თვალსაზრისით არ არის გამართლებული. საიუბილეო გამოცემაში „ნესტანის წერილი“ გვხვდება ფორმა „დაწერა წიგნი მსმენელთა გულისა გასაგმირალი“. ფორმა „დაწერა“ ამ შემთხვევაში გრამატიკულად არ არის სწორი, ვინაიდან ეს ზმნა უნდა გავიგოთ, როგორც სამპირიანი (მან, მას, იგი), ე. ი. უნდა იყოს „დაწერა“. ეს თანამედროვე ქართული იგივეა რაც „მისწერა“. ხოლო როდესაც ითქმოდა „დაწერა“, იგულისხმება ორპირიანი ზმნა (მან, ის), როგორც მაგალითად: „და დაწერა პილატე ფიცარი და დადვა ჯვარს მას“ (იოანე, 19. 19).

აქ ნესტანმა ტარიელს მისწერა წერილი (მან, მას, ის) — ასე რომ, ხსენებულ სტროფში „დაწერა“ არც გრამატიკულად, არც ევფონიურად არ არის გამართლებული.

მართალია, ჩვენ არ მოვიტხოვთ ჰემეტობის ეპოქის აღდგენას და არც უადგილო ხმარებას ჰაე ბგერისას („პიყო“, „პუთხარ“ და სხვ.) „ვეფხისტყაოსანში“. მაგრამ ამა განა მოსათმენია ისეთი ფორმა, რომელსაც ვხვდებით, მაგ., საიუბილეო გამოცემის 742-ე სტროფში: „ჩემი ჰუმუნვა ჰირსა ჩემსა არცა მატს და არცა სდილობს“³. თავი დაენებოთ მატს — ფორმის არაესთეტიკურობას (რალაც „მატლთან“ მიახლოებულ ასოციაციას იწვევს), განვიხილოთ, გრამატიკულად რამდენად სწორია ეს ფორმა. მივმართოთ ისევ ა. შანიძეს, ამ უებრო მეტრს ძველი და ახალი ქართული გრამატიკისას. საშუალო გვარის ვარდაუფალ ზმნებზე საუბრისას ა. შანიძე ჩამოთვლის ზმნებს, რომელნიც გარდაუფალნი არიან და ამ მხრივ ვნებითი გვარის ზმნებს ემსგავსებიან, მაგრამ ფორმით მოქმედებითი გვარის ზმნებს ეკედლებიან. მათი თავისებურება ის არის, რომ I სერიის ფორმები აქვთ და II-ისა და III-ისა კი არა. აქ შემოდის: ა) ზმნები, რომელთაც თემის ნიშანი არა აქვთ, როგორცაა: ქუხს, დღღს, ღირს, წუხს, ეამს, წითს, უმძიმს, ახს, ჰკვირს (უკვირს), ჰმატს და სხვა (ძველი ქართული ენის გრამატიკა გვ. 79). „ჰმატს“ ფორმა გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემაშიც; 1926 წლის იუსტ. აბულაძის გამოცემაში გვხვდება „ჰმეტს“, ხოლო ფორმა „მატს“ არსად არ გვხვდება, გარდა 1966 წლის საიუბილეო გამოცემისა. როგორც ვხედავთ, ფორმა „მატს“ პროფანატორების შექმნილია. ასეთი ფორმა არ არსებობს ქართულ ენაში, არც ძველში, არც საშუალოში და არც ახალში. ასევეა, მაგალითად, გამოთქმა „წადი, ინდოეთს მიმართე“, რაც თანამედროვეობის ასოციაციას იწვევს. ეს არის გათანამედროვეება და დაუშვებელი გაღარიბება რუსთველის ლექსის ფონეტიკურა სტრუქტურისა. უნდა იყოს „მიჰმართე“, როგორც ამას ვხვდებით 1957 წლის გამოცემაში. ასევე დაუშვებელია „კროთომა“ („ჰკროთომის“ ნაცვლად), „გამო-

* „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემაში ამ ადგილას გვხვდება ფორმა „ჰმატს“ (754, 1).

ტიდნა“ („გამოპრიდნას“ ნაცვლად), „მიხვდომია“ ან „მიხდომია“ („მიხვდომის“ ნაცვლად), „დახოცენ“ („დაპხოცენის“ ნაცვლად), „ვმონე“ („ვპმონეს“ ნაცვლად), „ვხვდვიდე“ („ვხვდვიდეს“ ნაცვლად), „მოხსნის“ („მოპხსნის“ ნაცვლად), „შენის“ („პშენის“ ნაცვლად), „ცემის“ („პსცემის“ ნაცვლად) და ა. შ. აქ არ გამოდგება არგუმენტად ის, რომ, მაგალითად, ფორმა „მიმართე“ გვხვდება „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ხელნაწერში, ხოლო „მიპმართე“ კონიექტურაა. სამაგიეროდ ეს მართებული რუსთველური ფორმაა და სწორედ ამას გამო ვხვდვება იგი „ვეფხისტყაოსნის“ ყველაზე ავტორიტეტულ 1957 წლის გამოცემაში, ისევე როგორც ფორმები „დაპხოცენ“, „ხვდვიდე“ და სხვა.

ტექსტის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ გამარტივებაში საიუბილეო გამოცემა ვახტანგზე გაცილებით უფრო შორს მიდის. მაგალითად, ვახტანგთან გვხვდება: „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“, საიუბილეოში კი — „ლექსთა გრძელი თქმა და ხევა“; ვახტანგთან არის „ჩემი აწ სცანიოთ“, საიუბილეოში — „ჩემი აწ ცანიოთ“; ვახტანგთან არის „კეკლუტთა ზედან ფრფენითა“, საიუბილეოში — „კეკლუტთა ზედა ფრფენითა“; ვახტანგთან არის „რა ისარი დაელიენეს“, საიუბილეოში — „რა ისარი დაელივის“; ვახტანგთან არის „მეფე გაწყრა“, საიუბილეოში — „მეფე გაწყრა“; ვახტანგთან არის „ვარდსა პსლეჩედეს“, საიუბილეოში — „ვარდსა ხლეჩედეს“; ვახტანგთან: „დაპხოცე მონები არ საპყრებია“, საიუბილეოში — „დაპხოცე მონები არ საპყრებია“; ვახტანგთან — „კვალი შენი ვერ მოვპკვეთეთ“, საიუბილეოში — „კვალი შენი ვერ მოვკვეთეთ“ და ა. შ. საიუბილეო გამოცემაში გვხვდება აგრეთვე შემდეგი გამარტივებული და ვათანამედროვეებული ფორმები: „აქამდის მე მხიარული“ (უნდა იყოს „აქამდის“), „წახდომილისა“ (უნდა იყოს „წარხდომილისა“), „ლერწამი“ (უნდა იყოს „ლელწამი“), „მორჩილობს“ (უნდა იყოს „პმორჩილობს“), „მეტობს“ (უნდა იყოს „პმეტობს“), „მაგრამ მზე თინათინებდა“ (უნდა იყოს „მაგრა მზე თინათინებდა“), „ყველა დარბაზს შემოხადა“ (უნდა იყოს „შემოპხადა“), „რა დაბადა“ (უნდა იყოს „რა დაპბადა“), „მეფეთა ზედა მფლობელი“ (უნდა იყოს „ზედან მფლობელი“), „თინათინისაგან აეთანდილის გაგზავნა მის ყმის საქებრად“ (უნდა იყოს „მის ყმისა საქებრად“), „მოვა, არვისგან რცხვენოდა“ (უნდა იყოს „პრცხვენოდა“), „თუ შევიართო რაცა ქმარი“ (უნდა იყოს „რაპცა ქმარი“), „ყმამან მუნ დაყო სამი დღე“ (უნდა იყოს „დაყო“), „უტხოობით არ დარიდეს“ (უნდა იყოს „არ დაპრიდეს“), „ამა დღემან დამევიწყა“ (უნდა იყოს „ამან დღემან“), „თუმცა მართებს“ (უნდა იყოს „თუცა პმართებს“), „სოფლისა წყლითა რწყულითა“ (უნდა იყოს „წყალითა რწყულითა“), „ზოგჯერ ვსხვდები“ (უნდა იყოს „ესხვლდები“), „შენ ასეთი ხენი ვით ხენ“ (უნდა იყოს „ვით პხენ“), „ცრემლსა რასა მილდ“ (უნდა იყოს „პმილდ“), „ნუ წაიწყმედ ამით სულსა“ (უნდა იყოს „ნუ წარიწყმედ ამით სულსა“), „ყოვლგნით ხელაუპყრობელსა“ (უნდა იყოს „ხელ-აუპყრობელსა“) და სხვა.

ყოველ კულტურულ ენაში არსებობს განსხვავება მეტყველების პოეტურ ფორმებსა და საერთო სახმარ, ჩვეულებრივ ფორმებს შორის. ამის გამო ჩამოყალიბდა ლიტერატურათმცოდნეობაში გაცემა პოეტიზმისა, ანუ ისეთი ლექსიკური თუ ფრაზეოლოგიური ერთეულისა, რომელიც იხმარება მხოლოდ ამაღლებულ, პოეტურ მეტყველებაში და განსაკუთრებით ახასიათებს შუასაუკუნეობრივ და რომანტიკულ პოეზიას. პოეტიზმი ხშირად არქაულ ელფერს გადაიკრავს, მაგრამ ეს არ არის არქაიზმი (ხმარებიდან გამოსული სიტყვა). პოეტიზმებია მაგალითად: „ჩნდა“ (ჩვეულებრივი გრამატიკული ფორმა — „ჩანდა“), „რობდა“ (ჩვეულებრივი ფორმა — „დარბოდა“), „მიპქრის“ (ჩვეულებრივი ფორმა „მიქრის“), „წარიტაცა“ (ჩვეულებრივი — „მოიტაცა“ ან „გაიტაცა“), „მიპმართა“ (ჩვეულებრივი — „მიმართა“); მაგალითად, დღეს შესაძ.

ლოა ერთმა მოქალაქემ უთხრას მეორეს: „წადი, აღმასკომს მიმართე“, მაგრამ ნესტანი ტარიელს უთუოდ ეტყოდა „წადი, ინდოეთს მიჰმართე“. პოეტის მიერ შექმნილი მაგალითად, „ჰეირვალი“ (ჩვეულებრივი ფორმაა — „გამჰეირვალე“), „ვიდობა“ (ჩვეულებრივი ფორმა „მიდიობა“), „უკეთუ“ (ჩვეულებრივი ფორმა — „თუ“), „ილტვოლა“ (ჩვეულებრივი ფორმა „გარბოლა“), „ვჰპოვე“ (ჩვეულებრივი ფორმა „ვიპოვენ“) და ა. შ.

პოეტური ფორმების, ანუ პოეტიზმების, წარმოებაში დიდი როლი აქვთ ჰე და სან პრეფიქსებს. ისინი ხშირად გადაამწყვეტ როლს ასრულებენ ჩვეულებრივი ლექსიკური ერთეულის პოეტიზმად გადაქცევაში, რაც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“. მაგალითად, „დარიდოს“ და „დაპრიდოს“, „დახოცა“ და „დაპხოცა“, „ქნა“ და „ჰქმნა“, „დაყო“ და „დაპყო“, „ბაძვენ“ და „ჰბაძვენ“, „ნათობს“ და „ჰნათობს“, „გხედვიდე“ და „გჰხედვიდე“, „გაგულვანდი“ და „გაჰგულვანდი“, „გზავნი“ და „გჰზავნი“, „შენის“ და „ჰშენის“. ასეთივე როლი აქვს რაე ბეგრას: „გადაქცევა“ და „გარდაქცევა“, „გადახდა“ და „გარდახდა“, „წახდომილი“ და „წარხდომილი“, „წავიდა“ და „წარვიდა“. მაგალითად, ბრათაშვილის ცნობილ ლექსში „ფიქრნი მტკერის პირას“ ვხვდებით ფორმას: „წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრთ გასართულად“, პოეტს აქ „წავედ“ რომ ეხმარა, დაიკარგებოდა მთელი პოეტურობა ამ სტრიქონისა. ან გავიხსენოთ გალაკტიონის სტრიქონები:

„წიგნთა ყოველთა მაშინდელთ ზემო
ვარდით შემკული ჩნდა თავის ქალა“.

წარმოვიდგინოთ ეს სტრიქონები პოეტიზმების გარეშე:

„ყველა მაშინდელი წიგნების ზემოთ
ჩანდა ვარდებით შემკული თავის ქალა“.

მაგრამ საბედნიეროდ გალაკტიონს ჯერ არ გამოხენია იმდენი „მზრუნველი“, რამდენიც რუსთველს და ენათმეცნიერებს ჯერ არ ჩაუტარებიათ მათ ტექსტებზე ისეთი მანიპულაციები, როგორსაც „ვეფხისტყაოსანზე“ ატარებენ. თორემ მის ლექსებსაც ისევე გაცხრილავდნენ ალბათ პოეტიზმებისაგან, ისევე გააუქმებდნენ მათში „ლიცენცია პოეტიკას“, ისევე „აღადგენდნენ“ მათში გრამატიკულ „წესრიგს“, როგორც რუსთველის პოემაში „აღადგინეს“, რითაც ფაქტობრივად მოსპეს რუსთველის პოეტური სტილი (შემდლებისდაგვარად) და მოგვეცეს გამომშრალი, გათანამედროვეებული, ადაპტირებული ტექსტი, რომელიც ალბათ მხოლოდ იმის ნიმუშად თუ გამოდგება, თუ როგორ არ უნდა გამოიყენოს „ვეფხისტყაოსანი“.

საერთოდ, დროა ყველამ შეიგნოს, რომ რუსთველი ენათმეცნიერი როდი იყო, არამედ პოეტი და რომ იგი ენათმეცნიერულ ტრაქტატს როდი წერდა, არამედ პოეტურ ქმნილებას (მით უმეტეს, რომ ენათმეცნიერება მაშინ ჯერაც არ არსებობდა). ამის გამო დაუშვებელია მისი ტექსტის „სწორება“ დღეს, დღევანდელი ენობრივი დოგმებიდან გამომდინარე, მით უმეტეს ისეთი ენათმეცნიერების მიერ, რომელნიც ვერ ითვალისწინებენ ჯეროვნად ვერც ძველი ქართული ენის გრამატიკას, როგორც ზემოთ დავინახეთ და ვერც ლიტერატურათმცოდნეობისა და პოეტიკის ანბანურ ჭეშმარიტებებს. რუსთველის ამგვარად „სწორება“ იგივეა, რომ ვინმემ ინგლისში გაასწოროს შექსპირი, საშუალო ინგლისურიდან თანამედროვე ინგლისურ ფორმებზე „გადმოიყვანოს“. ასეთადამიანს უთუოდ სასამართლოში მისცემენ ან დიდ ჯარიმას გადაახდევინებენ.

მართალია, ინგლისშიც აწარმოებენ ექსპერიმენტებს შექსპირზე, მაგალითად, ერთ-ერთ თანამედროვე დადგმაში ჰამლეტი ფეხბურთელია, ოფელია კა მლაზის ნოქარი, სადაც, ცხადია, მათი მეტყველებაც გათანამედროვეებულია, მაგრამ ასეთ შემთხვევაში შექსპირის გვერდით აწერენ ვადაშვიტებული ავტორის გვარს. ისეთ ვარჯიშობას კი კლასიკოსის ტექსტზე, როგორც ჩვენში „ვეფხისტყაოსანზე“ ხდება, არცერთ ქვეყანაში არა აქვს ადგილი.

სამწუხაროდ, „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიაც ძველი ტენდენციის ვავლენის ქვეშ არის და ეს რაც უფრო მალე აღმოიფხვრება, მით უფრო მოიგებს „ვეფხისტყაოსნის“ მომავალი აკადემიური გამოცემა და ტექსტის ბუკარედი. ჯერჯერობით კი უნდა ითქვას, რომ კომისია ძირითადად საიუბილეო გამოცემის კვალზე მიდის და იმეორებს მის ძირითად შეცდომებს, რაზედაც ჩვენ საუბარი გვექნება სპეციალურ ნაშრომში და ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

საუბედუროდ, დღეს უმრავლესობას ჰგონია, თითქოს რუსთველის ენა გაცილებით უფრო ახლოს იყოს თანამედროვე ვულგარულ-პროვინციულ, დაკნინებულ და გაღარბებულ მეტყველებასთან, ვიდრე გიორგი მთაწმინდელის მონუმენტურ, დიდებულ ქართულთან. ეს უდიდესი გზააზნევაა. „ვეფხისტყაოსნის“ ენის მეცნიერულმა შესწავლამ ა. შანიძისა და მისი სკოლის მიერ სწორედ საპირისპირო შედეგები გვიჩვენა და სხვაგვარად წარმოუდგენელიც იქნებოდა, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ რუსთველს გიორგი მთაწმინდელის ეპოქიდან სულ რაღაც ერთი საუკუნე ამორებს, ხოლო ჩვენს ეპოქას იგი რვა საუკუნითაა დაშორებული.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა საიუბილეო გამოცემის დიდი ნაკლია ის, რომ იგი არის ფაქტობრივად შემოკლებული გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“, მასში გამოტოვებულია უმნიშვნელოვანესი სტროფები და აგრეთვე „ინდოხატელთა ამბავი“, რაც ყოველად გაუმართლებელია.

მაგალითისათვის გამოტოვებულია მაჯამის ხელოვნების თვალსაზრისით უადრესად საინტერესო სტროფი 304 (292):

„კაცმან ვით ჰპოვოს, ღმრთისაგან რაც არა დანაბადია
მით გული ჩემი სახმელმან აწ ასრე დანაბა დია,
კვლა გზასა მიკრავს, მიჭირავს, მითქს ბადე და ნაბადია,
აწ ლხინთა ნაცვლად სოფლისა ჩალა მქვს და ნაბადია“.

თუ ამ სტროფის ამოღებისას გამომცემელნი იშველიებდნენ იმ არგუმენტს, რომ სტროფში ნახსენებია სიტყვა „ნაბადი“, რომელიც უცხო უნდა ყოფილიყო ინდოეთის ყოფისათვის და მით უფრო ინდოთ მეფისათვის, ჩვენ მათ შევახსენებთ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არაბეთის სპასპეტი ავთანდილი ქართულად მეტყველებს და არის „ყმა ტკბილი და ტკბილქართული“. ასე რომ, ამავე ლოგიკით უნდა ამოგველო ცნობილი 710 სტროფიც, ასეთი მიდგომა კი ძალზე შორს წაგვიყვანდა.

საიუბილეო გამოცემაში ამოღებულია აგრეთვე ამის მომდევნო 305 (293) სტროფი:

„მაგრა ღმერთმან მოწყალემან მით სახითა ერთითა მზითა
ორი მისი მოწყალემა დღესცა მომცა ამა გზითა,
პირველ, შეპყრის მოყვარულთა ჩემით რათმე მიზეზითა,
კვლა, ნუთმცა სრულად დამწვა ცეცხლთა ცხელთა ანაგზითა“.

ეს სტროფი უმნიშვნელოვანესია რუსთველის მსოფლმხედველობის სწორე გაგებისათვის. აქ ფიგურირებს „სახე ერთი მზე“ (სხვა ვარიანტში „ცნობა ერთე

მსე“), ანუ ძე, ლოგოსი, როგორც მზე, რაც საბოლოოდ აბათილებს ზოგიერთ ვაიმეცნიერის მტკიცებას, თითქოს რუსთველი იყო არა ქრისტიანი, არამედ სოლარული წარმართი. ეს სტროფი კიდევ ერთხელ ნათელყოფს რუსთველს მსოფლმხედველობის კავშირს ქრისტიანულ ნეოპლატონიზმთან, კერძოდ დიონისე არეოპაგელის საღვთისმეტყველო მოძღვრებასთან, რის გამოც მისი ამოღება დაუშვებელია, მით უფრო, რომ როგორც ვახტანგთან, ასევე სხვა ხელნაწერებში გვხვდება ეს სტროფები.

ასევე დაუშვებელია ინდო-ხატაელთა ამბის ამოღება „ვეფხისტყაოსნიდან“. ინდო-ხატაელთა ამბის ორგანული კავშირი „ვეფხისტყაოსნთან“ უწინარეს ყოვლისა მტკიცდება იმით, რომ ეს არის nostos ვეფხისტყაოსნისა, ანუ გმირების (გმირის) დაბრუნება **სამშობლოში**, რაც აუცილებელი კომპოზიციურა ინგრედიენტია ყველა მნიშვნელოვანი ანტიკური თუ შუასაუკუნოებრივი პოემისა. „ვეფხისტყაოსნის“ რომ არ ჰქონდა nostos, იგი დაუშვებელ პოემად უნდა ჩაგვეთვალა; ასე რომ, ინდო-ხატაელთა ამბავი მისგან უწინარეს ყოვლისა კომპოზიციურად არის განუყოფელი. ფილოლოგიური თვალსაზრისით ინდო-ხატაელთა ამბის ერთიანობა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტთან დასაბუთებულია შ. ონიანის გამოკვლევაში «ინდო-ხატაელთა ამბავი „ვეფხისტყაოსნში“», რომლის ძირითადი დასკვნაა ის, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რესტავირებული რუსთველური ტექსტია, რითაც მან გაიზიარა აკად. აღ. ბარამიძის მოსაზრება. შესაძლოა „საიუბილეო გამოცემის“ მომზადების პერიოდში ეს საკითხები არ იყო ბოლომდე ნათელი, მაგრამ დღეს, „ვეფხისტყაოსნის“ 1986 წლის გამოცემაში, ინდო-ხატაელთა ამბავი უნდა აღდგენილიყო.

აკად. ნ. მარი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა სრული უვარგისობის გამო მკვლევართ უნდა ეძებონ სხვა გზები ნამდვილი ტექსტის აღსადგენად. ამის გამო თავად ძირითადად ემყარებოდა ინტუიტურ, კონიექტურულ მეთოდს, რომელსაც, ცხადია, დიდი სიფრთხილით უნდა გამოყენება. ახალ დროში რუსთველოლოგთა საყოველთაო აღიარება მოიპოვარემა კონიექტურებმა, რომელთაც გაასწორეს ვახტანგისეული ტექსტი და აღადგინეს მრავალი ჭეშმარიტად რუსთველური ფორმა. მაგალითისათვის, ვახტანგისეული „მირთმა ხამს მართ მშიერისა“ გასწორდა როგორც „მიშერისა“, „მი შერისა“; ვახტანგისეული „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“ გასწორდა როგორც „თქმა და ხმევა“; „შესხმა ხოტბისა ხშირისა“ — როგორც „შესხმა ხოტბისა შერისა“; ვახტანგისეული „შეჭიდება, შემოხვევა“ გასწორდა როგორც „შემოჭდომა, შემოხვევა“; „რაც არა დაკარგულია“ — როგორც „რაც არა, დაკარგულია“; „ლამის ლექსთა უნდა ლევნა“ — გასწორდა როგორც „ლამის ლექსთა უნდა ვლენა“; „მითხრეს თუ ხარო ყმაწვილი, ბრძენნი მით კვადრებთ გლახ, ვნით“ — გასწორდა როგორც „მითხრეს თუ, ხარო ყმაწვილი, ბერნი მით კვადრებთ გლახ, ვნით“ და სხვა.

ამჯერად ჩვენი მიზანია გამოეთქვათ მოსაზრება „ვეფხისტყაოსნის“ ზოგი ადგილის წაკითხვაზე და დაზუსტება შევიტანოთ ზოგიერთ კონიექტურაში.

სტროფი 40 (28) — „ავთანდილ იყო სპასპეტო...“ ამ სტროფში ავთანდილზე ნათქვამია, რომ იგი იყო „ჯერთ უწვერული, სადარი ბროლ-მინა საცნობარისა“, რაც საკმაოდ ბუნდოვანი გამოთქმაა. „საცნობარი“ ამკარად ნაწარმოებია სიტყვა „ცნობიდან“, რაც „ვეფხისტყაოსნში“ ნიშნავს ცნობიერებას, გონებას. „ცნობას მოსვლა“ (234, 353) გონს მოსვლაა, „ცნობას მიხდომა“ (831, 870) გონების დაკარგვაა, „ცნობა ზემხედველი“ (45) ზემხედველ გონებას ნიშნავს და ა. შ. ასე რომ, „საცნობარი“ ამკარად გონებაა, მაგრამ რად ჰქვია ამ გონე-

ბას ბროლ-მინა? საქმე ის გახლავთ, რომ ბროლ-მინა, სარკე, თავისი გამჭვირვა-
ლების, სიწმინდის მიხედვით, აგრეთვე იმის მიხედვით, რომ იგი აირეკლავს
გარესამყაროს, ჯერ კიდევ პლატონის ეპოქიდან მოყოლებული ყოველ ეპოქაში
ითვლებოდა გონების სიმბოლოდ (ლათ. ტერმინი Speculum mundi). და
ამ ბროლ-მინა საცნობარის, ანუ სარკისებური გონების, გონება-სარკის პერსო-
ნიფიკაცია პოემაში არის თინათინი, რომლის თვით სახელიც სარკისებულ ანა-
რეკლთან არის დაკავშირებული და რომელიც პოემაში ხშირად იხსენიება რო-
გორც მინა. ავთანდილი ამბობს: „იაგუნდი ეგრეცა სჯობს, ათასჯერმცა მინა
მინდა“. „ბროლ-ბადახშისა ამშვენებდა სათნი დავკარგენ, მინანი“. ამას აბ-
ბობს ავთანდილი თავის მიჯნურზე. მაგრამ ამავე დროს საოცარია რომ თვით
ავთანდილიც ხშირად მინასთანაა შედარებული: „რა გამოვიდა, ვახირმან ძებნა,
ეთ პპოვა მინანი“ (817). ასევე მულღანზანზარში მყოფ ავთანდილზე ნათქვა-
მია „ბროლ-ბადახშსა ამშვენებდა ზოგან მინა, ზოგან სათი“. ავთანდილი რომ
„ფერად მინაა“ ამას ვხვდებით აგრეთვე 689-ე სტროფში: „ქაცვი ლელწამან
ზაფრანა იმსავსოს ფერად მინამან“. ასევე მულღანზანზარს მიმავალ ავთან-
დილზე ნათქვამია: „ნარგისნი ქუხან, ცრემლსა წვიმს, ჩარცხის ბროლსა და
მინასა“ (975), „შემოვიდა ლაწვი ვარდი, ბროლ-ბადახში, მინა-სათი“ (1074).
ასე რომ, მეტაფორა „მინა“ პოემაში ხშირად გვხვდება როგორც გონების ალუ-
ზია (ტარიელზე არსად არ ითქმის „მინა“), ვინაიდან პირველი წყვილი, ავთან-
დილი და თინათინი დაკავშირებულნი არიან გონებისმიერ შემეცნებასთან. გო-
ნება-სარკესთან, ანუ „ბროლ-მინა“ საცნობართან, ინტელექტთან, რაციოსთან,
ჩვეულებრივ (და არა ზეშთა) გონებასთან, ისევე როგორც მეორე წყვილი ტა-
რიელი და ნესტანი — ზეშთა-გონებასთან, ინტუიციასთან, რაც პოემაში
სიმბოლიზებულია იაგუნდით (გავიხსენოთ ნესტანის კოშკი, რომელიც იყო
ლალითა და იაგუნდით ნაგები, აგრეთვე კუბო, შემკული იაგუნდითა, ბადახ-
შთა და ლალითა“ (394)), აგრეთვე ავთანდილის სიტყვები: „იაგუნდი ეგრეცა
სჯობს, ათასჯერმცა მინა მინდა“ და ა. შ.

ამრიგად ავთანდილი არის არა სადარი ბროლ-მინა საცნობარისა, არამედ
სადარნი ბროლ-მინა საცნობარისა, ე. ი. სადარი, სამკვიდრებელი, სადგომი
ბროლ-მინა საცნობარისა, ანუ გონებისა. ასე უნდა გასწორდეს ეს ადგილი
„ვეფხისტყაოსნისა“, მით უფრო, რომ ამგვარ წაყითხვას მხარს უჭერს ერთი
ვარიანტი (E). ამასთან ჩვენ როდი ვესურს იმის მტკიცება, თითქოს პოემაში
მინა, იაგუნდი, მარგალიტი, ლალი მუდამ ალუზიური, ენიგმატური მნიშვნე-
ლობით იხმარება; არის შემთხვევები, როდესაც მას მხოლოდ მეტაფორული
მნიშვნელობა აქვს. მკვლევარის ამოცანა კი მდგომარეობს ამ ორგვარი მნიშვნე-
ლობის დიფერენცირებაში.

სტროფი 177 — „ამ საქმესა მემოწმების...“ ამ სტროფის დასაწყისი ტრა-
დიციულად ასე იკითხება: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი, ბრძენი ეზროს“.
რაც, როგორც ირკვევა, გადამწერის შეცდომაა. ავ. შანიძისა და ვ. ნოზაძის
გამოკვლევების თანახმად ცხადი გახდა, რომ აქ იგულისხმება იბნ ეზრას ტრაქ-
ტატი „დიალნოსი“ და არა „დიონოსი“. მაგრამ ჩვენ მთლად სწორად არ მიევა-
ჩნა აკად. ა. შანიძის კონიექტურა „ამ საქმესა მემოწმების დიალნოსი ბრძნისა
ეზროს“, სალექსო სტრიქონის რიტმული გამართულობის თვალსაზრისით. ჩვენი
აზრით, აქ უნდა ყოფილიყო „ამ საქმესა მემოწმების დიალნოსით ბრძენი ეზ-
როს“, რაც პოეტურად უფრო გამართულია და აზრობრივადაც სწორია. ფატ-
მანის სიტყვები 1102-ე სტროფში — „მომადექით მომაკარნი“ უნდა შეიცვა-
ლოს „მომაყარნი“, ე. ი. ქვის მომყრელებით, რაც უფრო ბუნებრივი იქნებ:
„თქვა დამქოლეთ, მოღით, ქვითა, მომადექით მომაყარნი“.

ახლა მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი „საიუბილეო გამოცემაში“ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გამარტივება-პროფანაციისა.

მაგალითად, „ავთანდილის ანდერძში“ ცნობილი აფორიზმი ასეა წარმოდგენილი: „სიცრუე და ორპირობა აენებს ხორცსა, მერმე სულსა“, უნდა იყოს „სიცრუე და ორპირობა“ (სხვათა შორის „სიცრუე“ გვხვდება ვახტანგთან და სხვა ვარიანტებშიც); „იგი გახდის წამის ყოფით ერთსა ასად, ასა ერთად“, უნდა იყოს „იგი გახდის წამისყოფით“, როგორც ამას ვხვდებით ვახტანგთან, აგრეთვე ვარიანტებში და 1957 წლის გამოცემაში; „ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა“, უნდა იყოს „ვერ ვეცრუები“, როგორც არის ვახტანგთან და 1957 წლის გამოცემაში; „ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი“, უნდა იყოს „ბოლოდ შეჰყარნეს“ (ასეა ვახტანგთან); „ნუ ამოფხვრი სიყვარულსა მისგან ჩემთვის დანათესას“, უნდა იყოს „ნუ აღმოფხვრი“, როგორც ამას ვხვდებით 1957 წლის გამოცემაში. ასევე არასწორია „სად აუფხვრი სადით ძირსა“, უნდა იყოს „სად აღუფხვრი“, როგორც ამას ვხვდებით ერთ-ერთ ვარიანტში (G). არასწორია „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს“, უნდა იყოს „მაგრა ღმერთი არ გასწირავს“. არასწორია „მულანაზნაზარი“, ისევე როგორც „მულანაზნაზარი“, როგორც ამას ვხვდებით 1956 წლის გამოცემაში. იუსტ. აბულაძის გამოკვლევის მიხედვით, ყველაზე სწორი ფორმაა „მულანაზარზარი“, როგორც ამას ვხვდებით D და E ვარიანტებში, ვინაიდან ეს სიტყვა ნაწარმოებია სპარსული „მურდანზარზარიდან“, რაც ნიშნავს „ფრინველეთს“, „ფრინველთა ქვეყანას“. არასწორია „ხმალ-კაპარქი მოიმაგრა“, უნდა იყოს „მოიმაგრნა“, როგორც ეს არის B ვარიანტში.

საიუბილეო გამოცემაში 831-ე სტროფის მეოთხე სტრიქონი ასეა წარმოდგენილი:

„უშერეტდის, თვალი ვერ მოხსნის, თუ მოხსნის მიხდის ცნობასა“. მართალია, „ვეფხისტყაოსნის“ ენა საშუალო ქართულს მიეკუთვნება, სადაც ძველი და ახალი ფორმები გვერდი-გვერდ ვხვდება, როგორც ამას აღნიშნავდა აკად. ა. შანიძე, მაგრამ იგი ამავე დროს კატეგორიული წინააღმდეგი იყო ასეთი ულტრაათანამედროვე ფორმების შეტანისა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში. ეს ადგილიც მისეულ გამოცემაშიც და სიმფონიაშიც იკითხება, როგორც „თვალნი ვერ მოხსნის“, რაც ნამდვილი რუსთველური ფორმაა, ისევე როგორც „მიხდის“ ცნობასა და არა „მიხდის“; ამიტომ ეს ყოველივე უნდა აღდგეს ტექსტში. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში უნდა აღდგეს აგრეთვე ყველა ის ასონიშანი, რომელთაც ხმარობდა რუსთველი, კერძოდ: *ც, ღ, ჯ, უმარცვლო უნი* და *ჯ*. ეს ბგერები სავსებით უსაფუძვლოდ იქნენ გაძეგებულნი ქართული ანბანიდან XIX საუკუნეში, ხოლო დღეს ძველი და საშუალო ქართულის ძეგლების გამოცემისას მაინც აუცილებელია მათი ხმარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩავიდენი კიდევ ერთ მიუტყვეებელ დანაშაულს ჩვენი წარსულის ლიტერატურული მემკვიდრეობის წინაშე. (ზოგი ამ ბგერათაგანი ვახტანგისეულ გამოცემაში და სხვა ხელნაწერებშიც შემორჩენილია).

მიუხედავად იმ მეცნიერთა ღვაწლის პატივისცემისა, რომელთაც მოამზადეს „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, უნდა ვაღიაროთ, რომ კონკრეტულ რუსთველოლოგიურ და კერძოდ ტექსტოლოგიურ საკითხებში მათი დასკვნები ყოველთვის არ უნდა მივიღოთ უქცეველ დოგმებად, რასაც ისინი, ჩვენი აზრით, თავადვე არ მოიწონებდნენ. გავხედავთ და ვიტყვი, რომ „ვეფხისტყაოსნის ტექსტოლოგიაში ჩვენ უფრო მისაღებად მიგვაჩნია დიდი ქართველი მეცნიერის აკად. ა. შანიძის გეზი და მეთოდი, რამაც მრავალ რუსთველოლოგიურ პრობლემას მოჰფინა ნათელი და რომლის ღვაწლიც რუსთველოლო-



გიაში ჯერაც არ არის ჯერონად შესწავლილი და შეფასებული. ამის საბუთად უკვე გამოქვეყნდა მისი საეტაპო ნაშრომი „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ და აგრეთვე პოემის ტექსტი, მის მიერ მომზადებული აკად. აღ. ბარამიძესთან ერთად (1966 წ.), აგრეთვე ცალკეული რუსთველოლოგიური გამოკვლევანი. თანამედროვე ტექსტოლოგიური კვლევა რაც უფრო მეტად დაეყრდნობა ა. შანიძისეულ მეთოდს, მის აღმოჩენებს და განმარტებებს, მით უფრო მოიგებს რუსთველოლოგია, მით უფრო მივუახლოვდებით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის მართებულ წაკითხვასა და გაგებას, მით უფრო მალე გადავჭრით იმ პრობლემებს, რომლებიც დგას „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წინაშე.

3. К. ГАМСАХУРДИА

К СОВЕРШЕННОМУ ИЗДАНИЮ
«ВИТЯЗЯ В БАРСОВОЙ КОЖЕ»

Резюме

Рассматриваются текстологические проблемы «Витязя в барс-
вой коже», критически оцениваются существующие издания поэмы,
в особенности текст, изданный царем Вахтангом VI, и современное,
т. н. юбилейное, издание 1966 года. Автор приходит к заключению,
что существующие издания не совершенны с точки зрения научной
критики, в них заметны тенденция упрощения и профанации текста
поэмы. Самыми совершенными автор считает издание 1957 года,
подготовленное А. Шанидзе, К. Кекелидзе, А. Барамидзе, а также
издание 1966 года под редакцией А. Шанидзе и А. Барамидзе.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქარ-
თული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
აღ. ბარამიძემ

პ. პ. ბილი

მულღაზანზარი

ორი ქალაქის სახელი კარგად არის ცნობილი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“: მულღაზანზარი და გულანზარო.

პირველი მათგანი ქალაქია ნურადინ ფრიდონისა. პომეის 973-ე სტროფში (1957 წლის გამოცემით) იკითხება: „მოახსენეს, ესე გზაა მულღაზანზარს მიზავლი“; იგივე სახელი გვხვდება 977-ე სტროფშიც: „მულღაზანზარს მივავლი, ადრე დაღვეს გზასა გრძელსა“ (ქალაქის ახლოს მინდორია). ცოტა ზემოთ, 611-ე სტროფში ამ ქალაქზე ნათქვამია, რომ ის არის ტურფა, მაგრამ მცირე: „მივედით მისსა ქალაქსა ტურფასა, მაგრამ მცირესა“. იქვე, 612-ე სტროფში იგი მოიხსენიება, როგორც ტურფა და მდიდარი, ხოლო უკანასკნელად 1460-ე ტაქში, როგორც „ქალაქი დიდი“.

მეორე სახელი — გულანზარო — გვხვდება 1065-ე სტროფში, სადაც იგი იწოდება „ზღვათა სამეფოდ“: „ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა საველითა, თვით გულანზაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა“; ქალაქი მელიქ სურხავისა, სადაც არის რეზიდენცია ვაჭართ-უხუცესის უსენისა და მისი ცოლის ფატმანისა. იგივე სახელი დამოწმებულია აგრეთვე 1227-ე და 1311-ე სტროფებში. აღნიშნული სახელები ხშირად ქვეულა ეტიმოლოგიური განსჯის საგნად. გულანზარო იდენტიფიცირებული იყო ახალ სპარსულ გულან-შაჰრ-თან („ყვავილების, ვარდების ქალაქი“), ნაწარმოები ქართულში გავრცელებული ოსუფიქსით¹.

მულღაზანზარის ახსნა გარკვეულ სიძნელეს შეიცავს უცნობი მარცვლის, გაურკვეველი ზან-ის გამო. იგი შეიძლება გავაიგიოთ ახალ სპარსულ სიტყვასთან მარღ-ზარ — „ბალახოვანი ადგილი, მოლი, მდელო“ (<მარგა — „მწვანის, ბალახის, მდელოს მნიშვნელობით“). მარჯორი უორდრობის გადმოცემით, აქ გვაქვს „მცირე მდელო“, სადაც ელემენტ ზან-ს აქვს „მცირეს“ მნიშვნელობა (როგორც ოსუფიქს ან კომპოზიტის მეორე კომპონენტს). ინტერპრეტაცია პირველი ორი მარცვლისა მულღა-, როგორც მომდინარე ძველი მარღა-დან, მართებულია. თავიდან მუ-ს მა-ში გადასვლა სპარსულისათვის დასაშვებია ცვლილებათა, ხოლო რ-ს ლ-თი შენაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა როგორც სპარსულში, ისე ქართულში. მარღაზან-ის უახლოეს კვალს შეიძლება მივავნოთ. ეს არის ფუძე მარგ, გადმოცემული არასახელური ფორმით — „შემოსვლა, მოწევა ბალახისა, მარცვლეულისა, ხეთა ნაყოფებისა, საძოვრებისა“. ავესტის ვადევდატში (3, 26) გვხვდება გამოთქმა — ჰათრა მარგლაავასტაჰა, ირიგაციასთან დაკავშირებით: „ამასთან ერთად წყლის გარშემო საძოვრები დაადგინა“. ბუდისტურ და მანიქურ სოლდურში გვაქვს მრღ, მრ. რიცხვი. მრღტ — ახალ

¹ პ. პ. ბილისათვის უცნობია ქ. გულანზაროს იდენტიფიკაციისა და ეტიმოლოგიის ახალი ცდა, რომელიც წარმოდგენილია ქართული ირანისტიკის თ. ჩხეიძის სტატიაში — „ვეფხისტყაოსნის ერთი გეოგრაფიული სახელის იდენტიფიკაციისათვის“, სადაც გამოთქმულია ვარაუდი, რომ პროტოტიპი გულანზაროსი შეიძლება ყოფილიყო საშ. სპარს. გულან-შაჰრ ტიპური ფორმა საშ. სპარსული ტოპონიმებისა, რომელთა პირველი ელემენტი გულან-გულან-ის სახით დამოწმებულია კარნამაკსა და ტაბარის ქრონიკაში (მთარგმნელი მ. ა.). იხ. კრებული — „აღმოსავლური კულტურა“, თბილისი, 1980.

სოლდურში **მარდ**, ზოროასტრულ ფალაურში ვეაქეს გლოსა **მღვ** — ***მურვ**-ისე, როგორც ავესტური სიტყვისათვის **მგრგა** — „ფრინველი, ჩიტი“. ვარდა ამისა, ტურფანის სპარსულშია **მურვ**, პართულში **მურდ**, ახ. სპარსული **მურდ**, პართულიდან მომდინარე სომხური ფორმაა **მარგ** ვენეტის მრავლობითი რიცხვის **მარგაც**, სირიულში **მრგ-**, არაბ. **მარჯ** (ჯ ძველი გ-სათვის). ოსურ-შიც ვეაქეს ეს სემა **მარდ** — „სამოვრის“ მნიშვნელობით, ხოლო ნართებს ებოსში ვგვხვდება დიგორული **მარგუზ**, ირანული **მარგუშ**, რომელიც აღნიშნავს ჯოგებთა და სამოვრებით მდიდარ კაცს (**რგ** — **რდ**-ს ნაცვლად გადმონაშთია უფრო ძველი ორთოგრაფიისა).

ძველ სომხურ კალენდარს შემონახული აქვს თვის სახელი **მარგაც** (**ნარგაც**) მე-11 თვის აღსანიშნავად (რეფორმამდელ კალენდარში) ივნის-ივლისი ან ნოემბერი. ორივე მოსავლის აღების თვეა (შდრ. ქართ. სთვლისაჲ). ეს **მარგაც** იდენტოფიცირებული იყო ძველ სპარსულ თვის სახელთან ელამური ფორმით — **მარ-კასა-ნა-იშ** (ფ. იუსტის მიერ 1892 წ.). აპირიანის ეტიმოლოგურ ლექსიკონში მოყვანილია ადრინდელი დისკუსიები ამ სახელის გარშემო (3, 279). ელამური ფორმა სახელისა **მარ-კა-შა-ნა-იშ** უნდა წაითხულ იქნეს, როგორც **მარგაჩანა**, დაკავშირებული მოსავლის აღებასთან მინდვრებში. ელამური კა გადმოსცემს ძველ სპარსულ **გა-ს**. შეადარეთ **შაუმავარგა** (იხ. ჩემი ხოტანური ტექსტები 7, 1985, 69), ბერძნ. **Αμαργα**. ნიშანი **შ** იკითხება აგრეთვე **ზ-დ**. ეს **შ** გადმოსცემს ძველ სპარსულ **ჩ-ს**, რომელიც ინტერვოკალურ პოზიციაში **ჯ-თი** და **ჟ-თი** გადმოიცემა. სუფიქსი **-ჩან** ან **-ჩანა** გავრცელებულია სოლდურში, მისი ხმარების შემთხვევები დამოწმებულია ი. გერშევიჩის გრამატიკაში (§ 1021—3). სომხურში იგი წარმოდგენილია სიტყვა **ვახჰან**-ში „ბოლო, დასასრული“, პართულში „**ჩან-არჩან**“. მესამე კომპონენტი მულღაზანზარისა არის **-ჩარა**, შდრ.: ზოროასტ. ფალაური **კარჩანარ**, ახ. სპარსული **ქარზან** — „ბრძოლის ველი“. ასეთივე ახ. სპარსულ სიტყვებში **გულზან** — „ყვავილნარი, სავარდე“ და **მარლზან** — „მოლი, მდელო“. ლინგვისტური ანალიზი ძირისა **მარგ** არ არის საკამათო. **მარგ** შეიძლება დაიშალოს ფუძედ **მარ-** და მავრცობ ელემენტად **-გ** (როგორც **დარ-გ-ში** — „გრძელი“, ინდ. ევრ. **დელ-გ**, ან როგორც **მარგა** — ძველი ***მავრა**-დან), **რგ<გრ** **დარგა**-ში, რომელმაც შემდგომ მოგვცა **დერ<დაგრა**-დან.

როგორც კონცეპტი შემოდგომისა (სთვლისა) ზნნიდან „გაზრდა, მოწევა, დამწიფება“. მსგავსი სიტყვაა დამოწმებული ლათინურ აუტუმნუს-ში „შემოდგომა“ და აუტუმნ-ში „ოქტომბრის თვე“. ეს ფუძე აუტ ძირიდან აუ — „ზრდა“ მავრცობებით აუგ- და აუ-ს (იხ. South Asia stud, I, 1965, 60) დამოწმებულია ზოროასტრულ ფალაურში 'ვტკ< — ***ოტაკ**-ის სახით — „მზრდელი ძალა“, როგორც **ზორ ი ურვანგმ** — „მცენარეთა მაცოცხლებელი ძალა“ (ძალი ცხოველი). აშკუნს აქვს სიტყვა აუ — „პური“ და სლავური **ოვო** — სიტყვაში ***ოვო-ტაო** — „ხილი, ნაყოფი“ (უკრაინული **ოვოჩ**), იგივე ლიტვური **აუგლის** და ტოქარული **ოვო** — „ხილი“, გავრცობლი აუგ — ფუძიდან. ელამური **მარ-კა-შა-ნა-იშ** არის „შემოდგომის თვე“. მისი შესატყვისი შემოკლებული ფორმა სომხურში **მარგაც**-ია. ტუმშუქ. საკას თვის სახელის **აჰვერჩანე**-სა და ხორეზმული **ხერზნიჩჰ**-ის **მარ-კა-შა-ნა-იშ**-ის დაკავშირების პრობლემის დასმისას არ იყო ცნობილი სომხური **მარგაც** და ქართული მულღაზანზარი (იხ. ი. გერშევიჩის სტატია — Philologica iranica, 1985, 159).

Г. В. БЕГИЛИ

МУЛГАЗАНЗАР-И

Резюме

В статье рассмотрены с этимологической точки зрения названия двух известных городов, засвидетельствованных в тексте поэмы Ш. Руставели: Гуланшаро и Мулгазанзар-и. В первом случае автор соглашается с известной этимологией Н. Я. Марра, трактующей Гуланшаро как персидское Гуланшахр — «город цветов, розарий». Название же Мулгазанзар-и автор, привлекая обширный материал из области иранских и индоевропейских языков, трактует как композит, состоящий из трех компонентов: корневая морфема мург- (груз. мулг-) и два суффиксальных элемента — основообразующий элемент — зан ← чан ← *чана и суффикс -зар ← чар ← чара. Основа мургазан- (груз. мулг зан) обозначает «пастбище, поле, посев», а название города образовано посредством суффикса -зар < чар < *чара — «место, изобилующее пастбищами, посевами», т. е. «богатый, плодородный город».

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

ბანანა იაშანიძე

შ. მურიეს მოღვაწეობა საქართველოში

(ქართული პრესის მიხედვით)

100 წლის წინათ, 1889 წლის აგვისტოს თვეში, ფრანგი მოქალაქის, საფრანგეთის სახალხო განათლების სამინისტროს წარმომადგენლის ყიულ მურიეს რედაქტორობით თბილისში გამოიცა ყურნალი „ლე კოკაზ ილუსტრე“ („ილუსტრირებული კავკასია“)¹. თვეში ერთხელ ფრანგი და ქართველი საზოგადოებრიობა ერთდროულად ეცნობოდა მხატვრულად გაფორმებულ მრავალფეროვან მასალებს ამიერკავკასიაზე, მის ხალხებზე, მათ ისტორიასა და კულტურაზე. გაზეთი „ივერია“ (1888 წ., 29 ივლისი) წინასწარ ატყობინებდა ქართველ მკითხველებს ე. მურიეს ამ კეთილ განზრახვას: „ბ-ნი მურიე აპირებს მომავალის წლიდგან „ლე კოკაზ ილუსტრეს“ ბეჭდვას. იმისგან შეკრებილი მასალა კაცს გააკვირვებს იმდენია და მასთანვე საუცხოო“. ყურნალის მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ცნობილ ქართველ გრავიორს გრიგოლ ტატიშვილს, რომლის შესახებ ე. მურიე სიამაყით აღნიშნავდა, რომ ყურნალის „თავხატული და მორთული“ ასოები „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე გამფორმებლის გ. ტატიშვილის შესრულებულიაო. ფოტოები და ილუსტრაციები, ასე რომ ჭარბობს ზემოხსენებულ გამოცემაში, ძირითადად პირველ ქართველ ფოტოგრაფს ალექსანდრე როინიშვილს ეკუთვნის.

„ლე კოკაზ ილუსტრეს“ პირველი ნომრის წინასიტყვაობაში ე. მურიემ უამბო თავის თანამემამულეებს, რომ ამიერკავკასიაში ხანგრძლივი და სერიოზული კვლევითი მუშაობის შედეგად მოიპოვა მდიდარი და მრავალმხრივ საინტერესო მასალა, რომელსაც ამ ყურნალის საშუალებით გააცნობს მათ. „მე ბედნიერ ვარ, რადგან წილად მხვდა გავაცნო ჩემს თანამემამულეებს ამ მშვენიერი ქვეყნის ჯერ კიდევ შეუსწავლელი მხარეები“.

კავკასიას, კერძოდ საქართველოს, მრავალი უცხოელი მეცნიერი და მოგზაური სწვევია, არაერთი სამეცნიერო გამოკვლევა დაწერილა მის შესახებ, რომელიც საინტერესო წყაროს წარმოადგენს საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შესწავლის თვალსაზრისით. ე. მურიე იცნობდა მათ შრომებს და უღრმესი პატივისცემით იხსენიებდა მათ ღვაწლს. ამავე დროს იგი თვლიდა, რომ კავკასია, კერძოდ საქართველო, მისი ისტორია და კულტურა არ იყო სათანადოდ შესწავლილი. ამიტომ მან მიზნად დაისახა გამოეცლინა და გაეცნო ევროპისათვის „ამ ეგზოტიკური ქვეყნის უცნობი სფეროები“. ე. მურიემ კარგად გაიაზრა თავისი ამოცანის სირთულე, რაც თან ახლავს ყურნალის პუბლიკაციას, — მასალის სისტემაში მოყვანისათვის, მისი სწორი და ობიექტურა შერჩევისათვის რედაქტორმა წინასწარ შეიმუშავა ყურნალის პროგრამა: 1) ისტორია, 2) ეთნოგრაფია, 3) კავკასიის ცხოველები, ფრინველები და მცენარეები, 4) არქეოლოგია და ხელოვნება, 5) ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია, 6) მეცნიერება და მრეწველობა.

¹ ი. ჩიკვაძე, „ილუსტრირებული კავკასია“, ყურნ. „საბჭოთა ხელოვნება“, 1969, № 7, გვ. 66.



ჟურნალ „ლე კოკაზ ილუსტრეს“ თითოეული ნომერი შედგება არა უმეტეს 15—16 გვერდისაგან და მასალა განწილებულია რუბრიკებში: „ახალი ამბები“, „ეთნოგრაფია და ეთნოლოგია“, „ფლორა და ფაუნა“, „არქეოლოგია და სახვითი ხელოვნება“, „ლიტერატურა და ბიბლიოგრაფია“, „რელიგიის ხელოვნება“, „ქართული თეატრის მსახიობები“, „ქართველი პოეტები და პუბლიცისტები“, „ზღაპრები და ანდაზები“ და სხვ. ჟურნალის პირველი გვერდები ეთმობა ფრანგი მეცნიერების დიუბუა დე მონპერეს, მ. ბროსეს, კარლა სერენას, ვივიენ დე სენ მარტენის და ელიზე რეკლიუს ცნობილ გამოკვლევებს კავკასიაზე, კერძოდ საქართველოზე. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერებისა და მოგზაურების შრომებთან ერთად ჟურნალში იბეჭდებოდა რედაქტორის წერილები, გამოკვლევები და ლიტერატურული თარგმანები:² „ჰოროზი“, „მარტვილის ტაძარი“, „მექოთნეობა საქართველოში“, „კავკასიელთა ზნე-ჩვეულებანი: სტუმარ-მასპინძლობა სამეგრელოში, შესაწირავი სამეგრელოში, ქორწინება სამეგრელოში“, „ქართველი ქალები“, „ქართული ნუმიზმატიკა მ. დე მორგანის ტექსტისა და ნახატის მიხედვით“, „თამარ მეფე“, „შოთა რუსთაველი“, „ქართველი პუბლიცისტები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი“, „ქართული თეატრის მსახიობები — კონსტანტინე ყიფიანი, კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ ალექსი-მესხიშვილი, მ. საფაროვა-აბაშიძე“, „გუსტავ-რადე“ (წარმოშობით გერმანელი, თბილისის მუზეუმის დირექტორი XIX საუკუნის 60-იან წლებში) და სხვ.

ჟ. მურიე მეტწილად წერდა მათზე, ვისაც პირადად იცნობდა, მის მიერ გამოცემული ფაქტები და ამბები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ იმის გამოც, რომ ავტორი მათი თვითმხილველი და უშუალო მოწმე იყო.

„ლე კოკაზ ილუსტრეს“ ბოლო ფურცლები განკუთვნილია ლამაზად გაფორმებული სავაჭრო და საწარმოო ფირმების განცხადებებისა და რეკლამებისათვის.

ასეთია ჟურნალის გარეგნული სახე და მოკლე აღწერილობა.

„ლე კოკაზ ილუსტრე“ მორე ჟურნალია, რომელსაც ჟ. მურიე თბილისში გამოსცემდა. 1886 წელს მას თხოვნით მიუმართავს „კავკასიის საცენზურო კომიტეტისათვის“³ თბილისში ჟურნალ „კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო მიმოხილვის“⁴ დაარსებაზე უფლების მისაღებად. აღნიშნულ კომიტეტს დადებითი პასუხი არ დაუყოვნებია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჟურნალის გამოცემა ერთი წლით გვიან დაიწყო. იგი გამოდიოდა ჟ. მურიეს რედაქტორობით რუსულ და ფრანგულ ენებზე თვეში ორჯერ, 1887 წლის 1 ოქტომბრიდან 1889 წლის მაისის ჩათვლით.

ქართველი საზოგადოება დიდი სიხარულით შეხვდა პირველი ფრანგული ჟურნალის გამოცემას და ინტერესით ეცნობოდა მის ყოველ ნომერს: „ჩვენ მივიღეთ მესამე გამოცემა ბ-ნ მურიეს „კავკასიის სავაჭრო და სამრეწველო ჟურნალისა“. ეს მესამე გამოცემაც წინა ნომრებზეთ შინაარსიანი და ყველა დიდის სიამოვნებით წიკითხავს“ („ივერია“, 1887 წ., № 240). ჟურნალი პირდება მკითხველს ბევრ საინტერესო მასალას „ამ უცნობი, მაგრამ ბრწყინვალე მომავლის მქონე ქვეყნის ბუნების, გეოგრაფიის, წიაღისეული სიმდიდრის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტისა და სხვათა შესახებ“. ასეთი იმედიანი მიმართვის მიუხედავად ჟურნალმა მხოლოდ ერთი წელი იარსება. ჟ. მურიემ კვლავ მიმართა კავკასიის საცენზურო კომიტეტს ახალი ჟურნალის

² ლ. ბრეგაძე, „ქართველი ავტორები „ლე კოკაზ ილუსტრეს“ ფურცლებზე“, „ცისკარი“, 1977 წ., № 11.

³ საქართველოს სსრ ცენტრალური არქივი, ფ. 480.

⁴ ა. ვატოვა, „პირველი ფრანგული ჟურნალები საქართველოში“, თსუ შრომები, ტ. 145, სერია 2, 1971 წ., გვ. 284.

გამოცემის თაობაზე. ამგვარად, გაჩნდა მეორე ყურნალი „ლე კოკაზ ილუსტრე“, შინაარსით მრავალმხრივი და ფორმით ბევრად უფრო სრულყოფილი, ვიდრე მისი წინამორბედი. ყურნალის გამოცემას დიდი დრო და ენერგია სჭირდებოდა, მაგრამ ე. მურიე მინც ახერხებდა ქვეყნის საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობას. 1884 წელს იგი მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემის კომისიის სხდომებში „როგორც საქმის მცოდნე პირი“. მისი რჩევით სხდომამ გადაწყვიტა, რომ წიგნი უნდა გაეფორმებიათ მიხაი ზინის უთუოდ არაფერადი ნახატებით, „რადგან ევროპაში არცერთი საუკეთესო გამოცემა ფერადი სურათებით არ იბეჭდება“ („დროება“, 1884, № 215).

ე. მურიე წლების მანძილზე აკროვებდა ქართული ისტორიული ძეგლების აღწერილობას, ფოტოებსა თუ ჩანახატებს. იგი აღტაცებული იყო მათი სიმკვლეითა და სიდიადით. ამავე დროს, არაერთხელ გამოუთქვამს სინანული ამ იშვიათი საგანძურისადმი ქართველი ხალხის გულგრილი და მოკიდებულების გამო. 1884 წელს ე. „დროების“ რედაქციამ გამოაქვეყნა ე. მურიეს წერილი, რომელიც ქართული კულტურის, მისი სიყვარულისა და მისთვის მზრუნველობას აშკარა დადასტურებდა: „ეს არის ეხლა დავბრუნდი ბეთანიიდან და დავბრუნდი გულჩათუთქული. ის კედელი, რომელზეც გამოხატულია შესანიშნავი ფრესკა სრულის სურათებით თამარისა, დავითისა და ლაშასი (ერთად ერთნი უტყუარნი, რომელნიც კი თქვენ მოგებოვებათ) და რომელთა ფოტოგრაფიით გადაღება ბ. ერმაკოვის შემწეობით, ჩემდა საბედნიეროდ, მე მოვასწარ — ეს კედელი გარღვეულა და ჩამონგრევას ლამის“ („დროება“, 1884, № 207). ე. მურიემ გულწრფელი მდელეარებით მიმართა ქართველ ხალხს მიემშველონ და გადაარჩინონ, რათა საუკუნოდ არ ამოიშალოს „კვალი საქართველოს ხელოვნების ამა მშვენიერი ნიმუშისა. დროს ნულარ დაჰკარავთ, გვეედრებით ისტორიის სახელით, სახელით იმ თამარ დედოფლისა, რომელიც არის ერთი თქვენი დადებათავანი“.

გაზეთ „დროების“ რედაქცია საგანგებოდ აღნიშნავს ქართული ხელოვნებისადმი ე. მურიეს ასეთ თავგამოდებას, თანაგრძნობასა და ერთგულებას: „ჩვენ, გულ-გრილი ქართველობას, გაბეჩავებულს საზოგადოებასა და მამულის-შვილებს სულით ძლიერი და მხნე ფრანკუზი მოგვიწოდებს მივეშველოთ ბეთანიის ტაძარს და განვაახლოთ რაც განსაახლებულია... ღმერთო ჩემო! რა ძლიერი ცეცხლი აღუთვია ბეთანიის მომავალი განადგურების სურათს უცხო ტომის, მაგრამ განათლებით გაკეთილშობილებულის და გააზიზებულის კაცის გულში, რა შეცოდებისა და შენანების გრძნობა ჰსჩქებს იმის პატარა წერილში ბეთანიის ესეთის მდგომარეობის გამო, რა იღუმალის საყვედურით და დაფარულის სამართლიანი გულისწყრომით მოგემართავს ქართველობას კეთილშობილი მურიე...“ („დროება“, 1884, № 207). ე. მურიეს წერილი ბეთანიის ტაძარზე უცვლელად მთლიანად გადაიბეჭდა ყურნ. „მწყემსში“ (1884, № 20).

საზოგადო საქმისადმი კეთილი განზრახვით ე. მურიემ გაუგზავნა ღია ბარათი თბილისის მოურავს ევანგულოვს, სადაც იგი მოითხოვდა, რომ ქართველი ხალხის მოამაგე ფრანგი მეცნიერების მ. ბროსესა და დე მონპერეს უკვდავსაყოფად თბილისის ორ ქუჩას დაარქმეოდა მათი სახელი. „საქუჩო სახელთა შორის, მიეჩინოს ადგილი ორს თუნუქის ფიცარს, რომელიც ყველასათვის გასაგები და მოსაწონი იქნებოდა და მოასწავებდა მადლობის მცირე და სამართლიან სასყიდელს ორის ნიჭიერის კაცის სახსოვრად გადახდილს“.

1892 წელს ე. მურიე საფრანგეთში გაემგზავრა და ყურნალ „კოკაზ ილუსტრეს“ გამოცემა კარგა ხნით შეწყდა. „რამოდენიმე წელიწადია, დასტოვა ჩვენა ქალაქი პატივცემულმა ბ. მურიემ, რომელიც ტფილისში ბეჭდავდა ფრანგულს ენაზე სურათებთან ყურნალს „კავკასიის ილუსტრაციას“. ამჟამად ისევ და-



ბრუნდა ტფილისში ბ. მურიცე, — გვატყობინებს 1897 წლის 25 ივნისის გაზეთის „ცნობის ფურცელი“. კავკასიის საცენზურო კომიტეტის ნებართვით ქ. მურიცეს ჩამოსვლისთანავე განუახლებია თავისი ჟურნალის გამოცემა, თუმცა აღარ იმჩნეოდა ჩვეული ენთუზიაზმი, აქამდე რომ ასეთი ძალით ამოქმედებდა მას. ჟურნალი გამოდიოდა არარეგულარულად, მისი გამოცემის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში (1902—1903 წწ.) გამოქვეყნდა მხოლოდ 12 ნომერი.

ქ. მურიცის საქართველოში მოღვაწეობის ხასიათის შესასწავლად მოვიშველიეთ მის თანამედროვეთა მოსაზრებები, რომლებიც ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ ქართულ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე და ცნობები, რომლებიც მოკლე შესავლების სახით წინ უძღვის მისსავე ჟურნალებსა და წიგნებს.

ქ. მურიცის მოღვაწეობის აღნიშნული პერიოდი საინტერესო და მრავალფეროვანია: იგი იყო ჟურნალისტი, მთარგმნელი, რედაქტორ-გამომცემელი, ამავე დროს ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მისა არაერთი წიგნი დაიბეჭდა თბილისში, ოდესაში, პარიზსა და ბრიუსელში.

სამეგრელოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქ. მურიცის შემოქმედებაში, რადგან იგი წლების მანძილზე ცხოვრობდა საქართველოს ამ კუთხეში, მეგობრობდა იქაურ მოწინავე საზოგადოებასთან, რომელიც თავის მხრივ დიდ დახმარებას უწევდა მას ამ კუთხის ისტორიის, გეოგრაფიის, გეოლოგიის, ბუნების, ეთნოგრაფიის, ლიტერატურისა და ხელოვნების შესწავლაში. მისი პირველი თხზულებებიც იქ მიღებულ შთაბეჭდილებათა ნაყოფია. ქ. მურიცე მოიხიბლა მეგრული ფოლკლორით. მან მრავალი ანდაზა, არაკი, ნაკვესი და ხალხური სიმღერაც კი ჩაიწერა. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მეგრულ ზღაპრებს, რომელიც ალ. ცაგარელის რუსული თარგმანიდან გადაიღო და გამოაქვეყნა პარიზში 1882 წელს. „მეგრული ზღაპრები იმეიათია თავისი ფორმით, შინაარსითა და სტილით, მათ ახასიათებთ დრამატული სიტუაციების სიუხვე-ზღაპრებში დიდი ხელოვნებითაა მოწოდებული მოულოდნელი შემთხვევები. მათი კითხვისას გეუფლება აუწერელი სიამოვნება“, — ასეთია მისი აზრი მეგრული ზღაპრების შესახებ, რომელიც მან წიგნის შესავალში გააცნო ფრანგ მკითხველებს. პარიზში გამოქვეყნებული თარგმანი შეუმჩნეველი არ დარჩენია ქართველ საზოგადოებას. მან კმაყოფილებით აღნიშნა ქ. მურიცის ეს სასიამოვნო წამოწყება: „ჩვენ მივიღეთ ამ დღეებში პარიჟში გამოცემული წიგნი სახელად „კობტ მინგრელიან“ (მეგრული ზღაპრები), რომელიც თავ. მინგრელსკის შვებულების აღმზრდელს ფრანცუზს ბ. მურიცის გადაუთარგმნია ბ. ალ. ცაგარელის წიგნიდან და ცალკე წიგნად დაიბეჭდა. სულ ექვსი ზღაპარია ჩინებულად ნათარგმნი“ (გაზ. „დროება“, 1882, № 105; 1883, № 193).

დიდი მუშაობის შემდეგ 1884 წელს ოდესაში ქ. მურიცემ გამოაქვეყნა თავისი ვრცელი თხზულება სამეგრელოზე⁵. იგი 15 თავისაგან შედგება და უზენადაა ილუსტრირებული. წიგნს ახლავს თამარ მეფის, რუსთაველის, სამეგრელოს მთავართა, პრინცებისა და პრინც მიუტატის, აგრეთვე ისტორიული ძეგლების სურათები და სამეგრელოს რუკა. შესავალში ავტორი დიდ მადლობას სწირავს ი. შეუნარგიას ესოდენ დიდი დახმარებისათვის. გაზ. „დროება“ (1883, № 193) ზედისეედ აქვეყნებს ცნობებს ამ საინტერესო „სუფთად და შნოიანად გამოცემული“ წიგნის შესახებ.

ნაყოფიერი შრომის შედეგად ქ. მურიცემ ერთდროულად რამდენიმე ნაწარმოები დაასრულა, რომლის უმეტესი ნაწილი შეუფერხებლად დაიბეჭდა პარიზში. ეს ამბავი გაზეთმა „ივერიამ“ ამგვარად აცნობა თავის მკითხველებს: „თვით

⁵ ნ. ლეონიძე, „მურიცე და საქართველო“, „დროშა“, 1989, № 5.

საფრანგეთის სამინისტრომ აღმოუჩინა ბ-ნ მურიეს ნივთიერი შემწეობა და დაეხმარა ცოტათი მის ნაწერთა დაბეჭდვაში და თუ სამინისტრო ასე იქცეოდა, რაღა თქმა უნდა, იქაური განათლებული საზოგადოებაც უფრო ცნობის მოყვარე თვლით უნდა უყურებდეს ჩვენს პაწია ქვეყანას“.

მოკლე დროის განმავლობაში ე. მურიეს მიერ გამოქვეყნებულ წიგნთა სიმრავლემ („კავკასიის აღწერა“, „მეგრული ზღაპრები“, „სამეგრელო“, „ხელოვნება კავკასიაში“ და სხვ.) სასიამოვნო გაკვირვება გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. გაზეთმა „დროება“ საუკეთესო შეფასება მისცა ე. მურიეს ნაწარმოებს „ხელოვნება კავკასიაში“⁶, რომელშიც „ის აღწერს კავკასიის შესანიშნავ არქეოლოგიურ ნაშთებს, შენობებს, ქურტულს, მხატვრობას და სხვ. ...ეს არის გამშვენიერებული მრავლის მხატვრობით... რამდენიმე თვის შემდეგ შეიძლება ეს წიგნი ისეთივე ძვირი საბოვნელი გახდეს, როგორც დიუბუას თხზულება“.

„ხელოვნება კავკასიაში“ ექვსი ნაწილისაგან შედგება და მისი გამოცემა დაახლოებით ათ-თორმეტ წელიწადს გაგრძელდა, 1896 წელს გამოვიდა წიგნის ბოლო VI ნაწილი. გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ შეატყობინა თავის მკითხველს, რომ დასრულდა გამოცემა ე. მურიეს წიგნისა „კავკასიის ხელოვნება“ და „იგი მშვენიერად არის გამოცემული, როგორც შეეფერება საზოგადოდ პარიზის გამოცემებს“.

ე. მურიეს ავტორობით გამოქვეყნდა ბევრი სხვა ნაწარმოები და თარგმანი: „ვლადიკავკაზიდან თბილისამდე, საქართველოს სამხედრო გზა“, „ხელოსნობა კავკასიაში“, „რელიგია კავკასიაში“, „ბათუმი და ჭოროხი“, „XII საუკუნის ქართველი პოეტი შოთა რუსთაველი, მისი ცხოვრება და შემოქმედება“, „თ. დადეშკელიანის შუა საუკუნეების ქართული იარაღი“, «თავ. სულხან ბარათაშვილის „საქართველოს ისტორია“», „კავკასიური ზღაპრები და ლეგენდები“, „სულხან-საბა ორბელიანი, XVII—XVIII საუკუნის ქართული არაკები, აღ. ცაგარელის რუსული თარგმანის მიხედვით“ და სხვ., რომელთა შესახებ მოკლე ცნობები იბეჭდებოდა ქართულ პრესაში. მაგ.: „ჩვენ გვატყობინებენ, რომ ბ. მურიეს სულხან ბარათაშვილის ისტორია ფრანგულს ენაზედ გადაუთარგმნია და ცოტა ხანში ეს წიგნი კიდევ დაიბეჭდება“ („მწყემსი“, 1886, № 9, გვ. 6). ე. მურიეს შეუდგენია ახალი წიგნი „კავკასიის გზათა მაჩვენებელი“, რომელშიაც მოთავსებულია კავკასიის გეგმა ისტორიულის და გეოგრაფიულის ცნობებით“ („ცნობის ფურცელი“, 1897, № 236). „როგორც შევითვალთ ბ-ნ მურიეს გადაუთარგმნია პროზად ფრანგულ ენაზე თავ. ილია ჭავჭავაძის ცნობილი „განდეგილი“ დედნათ რუსული და ინგლისური თარგმანები უხმარია!“ („ცნობის ფურცელი“, 1900, № 1045) და ა. შ.

ზემოჩამოთვლილ ნაწარმოებთა შორის შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ე. მურიეს მცირე მოცულობის თხზულებას შოთა რუსთაველის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომელმაც განარისხა ქართველი საზოგადოება. 1884 წელს იონა მელნარგიაშვილმა დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი, რომლის შესწორება მისივე თხოვნით ე. მურიეს უკისრია. იმავე წელს ვაზ. „დროების“ რედაქციაში მან წარუდგინა თავისი კრიტიკული წერილის — „ვეფხისტყაოსნის იონა მელნარგიაშვილის თარგმანის შესახებ“ — ხელნაწერი, რათა ქართველი მკითხველი წინასწარ გაცნობოდა მის მოსაზრებებს „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის, ორიგინალისა და ავტორის შესახებ. ე. მურიეს მიერ წარდგენილი ხელნაწერი „დროების“ რედაქციამ ქართულად გადათარგმნა და

⁶ კ. მაჩაბელი, ქართული მხატვრული ხელოვნების ნიმუშები უცხოელის თვალით, ვაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1960, 14. V.

მაშინვე გამოაქვეყნა „ჯერ არ დაბეჭდილი ხელნაწერის“ სათაურით („დროება“, 1884, № 256). წერილში ავტორის მიერ გადმოცემული უკომპრომისო და ტანჯვად აღსანიშნავი დენციური მსჯელობა რუსთაველზე და მის პოემაზე მიუტყეველ შეცდომად გადაიქცა, რამაც ნაწილობრივ შეარყია ქართველი ხალხის ნდობა ე. მურიეს მიმართ. ვახეთ „დროების“ მომდევნო ნომერებში (№№ 257—266) დაიბეჭდა ბარონ სუტნერის რეცენზიის „უცხოელის აზრი ვეფხისტყაოსანზე“ ქართულ თარგმანი, რომელშიც ცხადად შეიმჩნევა მკაცრი პასუხი თავისი თანამემამულის უცნაურ წერილზე. რეცენზიის ავტორი ხოტბას ასხამს რუსთაველის გენიალურ პოემას, რომელითაც მან განუზომელი სამსახური გაუწია მსოფლიო ლიტერატურას: „ზოგიერთი კრიტიკოსის კერძო აზრი პოემის ღირსებასა და ნაკულაოვნებაზე ვერ შეარყევს მის ნამდვილს მნიშვნელობას, რომლის მოწმენიც ისტორიული ფაქტები არიან. მიუღლომელსა და სამართლიანს დამფასებელს არ შეუძლიან განცალკევოს ანუ მოაშოროს მხატვარს თავისი დიდება“. წერილში რამდენჯერმე ვხვდებით გამკილავ ფრაზებს ზოგიერთი ევროპელის მიმართ, რომელიც „თავის თხზულებებს ადგენს აკადემიაში ჯილდოს მისაღებად“, „მაგრამ იგი მომდურავი პოეტისა, თვით სამდურავის ღირსი შეიქნება კოხვის უცოდინარობისათვის“. ბ. სუტნერის წერილი გრძელდება „დროების“ 10 ნომერში (№№ 257—266).

მიუხედავად მკითხველთა საზოგადოების უარყოფითი გამოხმაურებისა, ე. მურიემ 1886 წელს თბილისში მაინც გამოაქვეყნა თავისი 16-გვერდიანი ბროშურა „შოთა რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტი“, რომელიც შედგება შესავლის, რუსთაველის ბიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ გარჩევისაგან. ნაწარმოების შესავალში იონა მეუნარგია მოხსენიებულია, როგორც „თავდადებული ქართველი“, „ახალი მეცენატი“, რომელმაც თავი გადასდო და თარგმნა ფრანგულ ენაზე „ქართული ეპიკური პოემა“, რომელსაც „უკვდავად გაუვლია საუკუნეები და კიდევ მრავალს გაივლის“. შემდეგ თავში გადმოცემულია შოთა რუსთაველის ბიოგრაფია დაბადებიდან იერუსალიმს მის ბერად აღკვეცამდე. ეტყობა, ავტორი გასცნობია რამდენიმე ნაწარმოებს ამის შესახებ, იგი იმოწმებს „ქართულ მატთანს“, „ზოგიერთ ხელნაწერს“, „ისტორიკოს ვართანს“, თუმცა თავის მწერლურ აღდოს და ფანტაზიასაც არ ღალატობს. მან ლაღად და თავდაჭერებულად უამბო მკითხველს რუსთაველისა და თამარ მეფის დამოკიდებულების სხვადასხვა, სრულიად ნებისმიერი ვერსია. ბოლო მესამე თავში კი წარმოდგენილია მისი მოსაზრება პოემის ღირსება-ნაკლოვანებაზე: „ვეფხისტყაოსანში შეხვდებით გამოჩენილ ლექსებს, მრავალ განსაკუთრებულ სიტყვა-კაზმს და ყოველს ამას ეტყობა, რომ დიდის ნიჭის ნაწარმოებია, მაგრამ ამასთანავე, როგორ ეტყობა, ძალდატანება! როგორ ცხადია განსხვავება ღარიბი შინაარსის და იმ მრავალ საშუალებათა, რომელიც მას შთაბეჭდილების ჩასახებად მოუხმარია. ლექსთა გრება და თხზვა მჭიდროდ აქვს, მაგრამ განა ეს კმარა რომელსამე თხზულებას დიადი დაუუძახოთ?“ („თეატრი“, 1886, № 31).

ე. მურიეს წიგნს რუსთაველის შესახებ მწვავე კრიტიკით გამოეხმაურა 1886 წლის 7 აგვისტოს „ივერია“: „პაწია და უსახლო მურიე ეპოტინება და ემუქრება დიდებულს და სახელოვანს შოთას“. ჟურნალი „თეატრი“ (1886, № 31): «როდესაც კაცს კრიტიკისა იმდენი ესმის, რამდენიც მე და შენ, მკითხველო, სხვა უცხო ენისა და მაინც კიდევ ერთ უდიდეს თხზულების გაკრიტიკებას ჰკისრულობს თექვსმეტ გვერდზედ ორიოდ კალმის გასმით, მაშინ მოდი და ნუ იტყვი „ღმერთო, გვიხსენ ამისთანა კრიტიკოსებისაგან“».

ამ მძაფრი და ემოციური ხასიათის წერილებში ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა ასეთმა უზუსტობამ: „ან რა გაუჭირდებოდა ბ. მურიეს, რომელმაც თა-

შარის მეუღლე დავით სოსლანი შუა ვაჟყო, ნახევარი მოჰკლა, ნახევარი ცოცხალი დაავდო და ვიდრე ამას შეასრულებდა, რუსთველს ცოლი გააგდებინა, რომ უფრო თავისუფლად გაეარშიყებინა იგი დიდებულის თამარისათვის“ („თეატრი“, 1886, № 13). იგივე მეორდება „ივერიაში“ (№ 178): „მეცხრამეტე საუკუნის მიმომავალი ფრანგი ზნობას უკინებს სათნო თამარს, მარტივი და განუყოფელი უმეცრება ორად ჰყოფს ერთს დავით სოსლანს და შემდეგ, პარიჟელის ბულვარების დიაცთა სასუფეშოდ, დავითს ქმრად აძლევს მშვენიერს მეფეს და სოსლანს საყვარლად უსახავს მასვე“. ე. მურიეს წიგნში „რუსთაველი XII საუკუნის ქართველი პოეტი“ (გვ. 5) და გვხვ. „დროებაში“ (1886, № 256) გამოქვეყნებულ მის ქართულ თარგმანში ეს ადგილი სხვანაირად იკითხება, მაგ.: 1. ე. მურიე თამარ მეფის შესახებ: „...ამაყობს თავისი მშვენიერებით, მაგრამ არ ეტყობა კი, რომ მზა იყოს, იგრძნოს ან განუტყოს ვენბათა ღელვა, ვარემე იმ კანონიერის კავშირისა, რომელნიც ორჯერ არაგუნა არა მისდა საბედნიეროდ“. 2. ე. მურიეს ზოგიერთი ვერსია თამარ მეფისა და რუსთაველის დამოკიდებულებაზე: „იქნება ორის კავშირით ოცნება გამქრალს“... „გალაღებულს ახალი და უცნობი პოეზიით“ ან იგი გაიტაცა „მწვავე სიყვარულის გამოცხადებაში“ და შეუყვარდა თავისი პოეტი. „ეს შესაძლებლად წარმოგვიდგება თუ მივიღებთ, რომ ერთსა და იმავე დროს რუსთაველი გაეყარა თავის ცოლს და თამარი გიორგისთან გაყრილი დათანხმდა დავითთან შეუღლებას“. უფრო ქვემოთ ე. მურიე აქარწყლებს ამ მოსაზრებას და ამგვარად ასკენის: „რადგან არავითარ წამდელი ცნობები არ გვაქვს ამის შესახებ, ამიტომ ნუ დავამცირებთ ღირსებებს თამარ მეფისას და ეჭვს ნუ შევიტანთ მისს პატიოსნებაში, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რომ ის დედაკაცი იყო. ამას გარდა ნუ დავამცირებთ ნურც პოეტს, მაგრამ იმასაც ნუ დავივიწყებთ, რომ ისიც მამაკაცი იყო“.

მიუხედავად იმისა, რომ ეს უზუსტობა ორიგინალიდან არ მომდინარეობს, არ აბათილებს ე. მურიეს სხვა მკდარ შეხედულებებს „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი ავტორის შესახებ. ე. მურიეს მიერ თამარ მეფისა და რუსთაველის მიწიერი თვისებებით შემკობამ, მათთვის ჩვეულებრივ მოკვდავთა გრძნობების მიკუთვნებამ, ხოლო გენიალური ქმნილების გასართობ სიუჟეტად წარმოდგენამ მკითხველი საზოგადოების სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია, რაც ასე ნათლად აირეკლა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე.

რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ იონა მეუნარგისაველ ფრანგულ პროზაულ თარგმანს, მისი უცხოეთში გამოქვეყნება, როგორც ჩანს, ვერ მოხერხდა. უცნაურია, მაგრამ... ამაზე ფიქრი თურმე ე. მურიეს თავის სამშობლოშიც არ ასვენებდა. აი, რას ვკითხულობთ 1912 წელს იონა მეუნარგისადმი ბრიუსელიდან გამოგზავნილ წერილში: „ფიქრობთ თუ არა რუსთაველის პოემის ჩვენული თარგმანის გამოქვეყნებას?... თუ მოიფიქრებთ მის გამოქვეყნებას, მე თქვენს განკარგულებაში ვარ და ჩემს თავზე ავიღებ გამოცემის ხარჯებსაც... თუკი მიიღებთ ჩემს წინადადებას, საჩქაროდ გადახედეთ ტექსტს და გამოიგზავნეთ ხელნაწერი, ყველაფერს გაეაკეთებ, რაც შეიძლება სწრაფად...“

ამ წერილში ჩანს ე. მურიეს გულთბილი დამოკიდებულება ქართველი მეგობრისადმი. ეს არცაა გასაკვირი, რადგან, როგორც აღენიშნეთ, მან თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები გაატარა საქართველოში და მისი ბუნების, გეოგრაფიის, ისტორიის, ეთნოგრაფიის, ხელოვნების, ლიტერატურის შესახებ მრავალფეროვან ინფორმაციას აწვდიდა თანამემამულეებს. ლამაზად გაფორმე-

1. ტ. ქირია, ე. მურიეს ერთი უცნობი წერილი, გვხვ. „მებრძოლი ზუგდიდი“, 1962, 23 აგვისტო.

5. მაღნი, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 4.



ბული და უხვად ილუსტრირებული მისი წიგნები და ჟურნალები იბეჭდებოდა და ვრცელდებოდა საქართველოში, რუსეთსა და ევროპაში (საფრანგულ ენაზე). საქართველოში, შეიძლება ითქვას, იმდენს თვალით შეპყრებდა ე. მურისა-საქმიანობას: „ეჭვი არ არის, საფრანგეთში დიდი მკითხველები ეყოლებოდა-ბნი მურისა წიგნებს, ვითარცა ევროპელთათვის საინტერესო და ჯერ უცნობ საგანს“, — წერდა „ცნობის ფურცელი“ (1897, № 250). და კიდევ, „ომერთმა ჰქმნას... რომ უცხოელების ყურადღება საქართველოს ცხოვრების შესახებ დროებითი და მსწრაფლ-წარმავალი არ გამოდგეს...“ („ივერია“, 1886, № 112).

ე. მურისა შემოქმედების ერთი პერიოდის შესწავლის მიზნით, ჩვენ შევეცადეთ ვაცნობოდით, თუ როგორ აისახა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში მისი მოღვაწეობა საქართველოში, რა აზრის იყო ქართველი საზოგადოება მასზე, რათა შეძლებისდაგვარად გამოგვეკვეთა მისი, როგორც მკვლევრის, რეალური-სახე და შინაგანი მისწრაფება, რამაც უბიძგა მას, ასე ხანგრძლივად სწეოდა საქართველოს.

უცხო ქვეყნის მრავალმხრივი შესწავლისა და აღწერის რთულ პრობლემას ე. მურიემ, სამწუხაროდ, უშეცდომოდ თავი ვერ გაართვა, მიუხედავად ამისა, მან თავისი შემოქმედებით დიდი სამსახური გაუწია როგორც ქართველ. ისე ფრანგ ხალხს — იგი წლების მანძილზე აწვდიდა დაინტერესებულ თანამემამულეებს მდიდარ და მრავალფეროვან ცნობებს საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხთა ყოფისა და კულტურის შესახებ, აცნობდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელ ყველა ადამ-წესსა და ჩვეულებებს. მან კიდევ ერთხელ ცივილიზებული ევროპის წინაშე ახალი ელფერიით წარადგინა საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და ისტორიის ქვეყანა.

მცდარ მოსაზრებებს საქართველოსა და ქართველი ხალხის შესახებ თავი ვერ დააღწია ბევრმა უცხოელმა მკვლევარმა, მეცნიერმა თუ მოგზაურმა. „ყველა ეს იქიდან წარმოსდგება, რომ თვითონ ჩვენ არა გვაქვს შესწავლილი ჩვენი ერი საფუძვლიანად. როცა ჩვენ შევისწავლით საქართველოს, მაშინ სხვებიც შეგვისწავლიან“. ამ წერილში, რომელიც „ბათუმელის“ ფსევდონიმით 1887 წლის გაზეთ „ივერიის“ (№ 89) ფურცლებზე გამოქვეყნდა, ავტორი საზრიანად-მსჯელობს იმის შესახებ, თუ რა უნდა იღონოს ქართველმა ხალხმა, რათა წარუდგინოს უცხოელსა და უცხოეთს თავისი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ჭეშმარიტი სახე. „დღეს ჩვენში საკმაოდ არიან განვითარებულთა შორის ისეთნი, რომელთაც უცხო ენები იციან... როდესაც ბევრი გვექნება ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალები, მაშინ ადვილი მოსახერხებელია უცხო ენებზე წერა ჩვენის ერის შესახებ“ (იქვე). ავტორის მიერ წარმოდგენილი მოსაზრება აქტუალურია და მნიშვნელოვანი არა მარტო საუკუნის წინანდელი საქართველოსათვის...

შესაშურია ის ფაქტი, რომ საუკუნის წინ საქართველოში ფრანგულ ენაზე გამოდიოდა რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი: „კავკასიის სავაჭრო და საწარმოო ჟურნალი“, „ილუსტრირებული კავკასია“, უფრო გვიან: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ქრონიკა საქართველოს შესახებ“ (რედაქტორ-გამომცემელი ელ-ორბელიანი) და სხვ., რომელსაც ერთდროულად ეცნობოდნენ საქართველოში, რუსეთსა და საფრანგეთში.

დღეს, როცა საქართველოს საკმარისად ჰყავს უცხოური ენების მცოდნე სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, ურიგო არ იქნებოდა განახლებულიყო ეს შესანიშნავი და საპირო საქმე.

ДЕЯТЕЛЬНОСТЬ Ж. МУРЬЕ В ГРУЗИИ (по материалам грузинской прессы)

Резюме

Кавказ, в частности Грузию, посещали многие иностранные ученые и путешественники. К их числу принадлежит и Жюль Мурье — представитель Министерства народного образования Франции, который долгое время жил в Грузии и исследовал ее природу, этнографию, историю, культуру. Он опубликовал много интересных материалов о Кавказе в Тбилиси, Одессе, Париже и Брюсселе. Кроме этого, Жюль Мурье являлся редактором-издателем журналов «Кавказское торгово-промышленное обозрение» и «Иллюстрированный Кавказ», издаваемых в Тбилиси на французском языке в 1889—1904 годах.

В статье приводится анализ материалов, опубликованных в журналах и газетах, касающихся деятельности Жюля Мурье в Грузии.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის
ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პუბლიკაცია-ბიბლიოგრაფიისა და ინ-
ფორმაციის განყოფილება

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
შ. ძიძიგურმა

თამარ ცანავა

„კალისტრატეს მარტვილობის“ ქართული კიმენური რედაქციის
წარმომავლობისთვის

ჰაგიოგრაფია ფორმალურად საეკლესიო ღვთისმსახურების პრაქტიკასთან იყო დაკავშირებული, ამიტომ ბიბლიურ, ლიტურგიკულ თხზულებებთან ერთად ცხოვრება-მარტვილობათა თარგმანი თითოეული ერის მიერ ქრისტიანული სარწმუნოების მიღებისთანავე ხდებოდა.

ქართული ნათარგმნი პროზის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშის — „კალისტრატეს მარტვილობის“ — წარმომავლობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო გადაჭრილი. ამ თხზულების შესახებ პ. ინგოროყვა აღნიშნავდა: „კალისტრატეს მარტვილობა თარგმნილს თხზულებას წარმოადგენს, მაგრამ ორიგინალი, საიდანაც მომდინარეობს ქართული ტექსტი, არ მოღწეულა ჩვენამდე პირვანდელის სახით. ბერძნულს ენაზე მოიპოვება ამ თხზულების მხოლოდ შემდეგდროინდელი გადაკეთებული ვერსია, ე. წ. „მეტაფრასი“. სომხურს ენაზე დაკულია „კიმენი“, მაგრამ ისიც მთელ რიგ ხაზებში გადაკეთებულ ვარიანტს შეიცავს“¹.

„კალისტრატეს მარტვილობის“ სომხური კიმენური რედაქცია გამოცემულია². მ. ავგერიანის აზრით, ამ მარტვილობის თავდაპირველი ვარიანტი ლათინურად უნდა შექმნილიყო. ამ ფაქტზე მინიშნება კიმენურ ტექსტში გვხვდება: „ეს ამბავი რომაული ენიდან დაიწერა“ (გვ. 658). ლათინურიდან ითარგმნა ბერძნულად და შემდეგ სომხურად³.

აღსანიშნავია, რომ ქართულ და სომხურ სამეცნიერო ლიტერატურაში არ იყო აღნიშნული ბერძნული კიმენური რედაქციის არსებობა. პ. ინგოროყვასათვის მხოლოდ მარტვილობის ბერძნული „მეტაფრასი“ იყო ცნობილი. ძიების შედეგად აღმოჩნდა ამ თხზულების ბერძნული კიმენური ტექსტი, რომელიც ჯერჯერობით არაა გამოცემული. ინსტიტუტის დირექციის შუამდგომლობით საფრანგეთიდან მივიღეთ „კალისტრატეს მარტვილობის“ ბერძნული კიმენის ხელნაწერის ფოტოკოპირი. მართალია, ტექსტი შედარებით გვიანდელი ნუსხითაა მოღწეული, მაგრამ ქართული რედაქციის წარმომავლობის დადგენის საქმეში მნიშვნელოვნად დაგვეხმარა.

ამგვარად, მუშაობის პროცესში ხელთ გექონდა „კალისტრატეს მარტვილობის“ სომხური და ბერძნული კიმენური რედაქციები.

ქართული უძველესი ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობებიდან გამომდინარე, დასაშვებია იყო ამ ძეგლის მომდინარეობა როგორც სომხური, ასევე ბერძნული რედაქციებიდან.

ამასთანავე, ილ. აბულაძე H 341 ხელნაწერს, რომელშიც ჩვენ მიერ საკვლევი ტექსტი შედის, სომხურ ჰაგიოგრაფიაში გავრცელებული „მარტიროლოგი-

¹ პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული წარმართული კალენდარი, საქართველოს მეზეუმის მოამბე, VII, ტფ., 1933, გვ. 294.

² წმინდა მამების ცხოვრება-წამებანი მრავალთაგებიდან შეკრებილი, I, ვენეცია, 1874, გვ. 656—686 (სომხურ ენაზე).

³ მ. ავგერიანი, სომხური საეკლესიო წიგნებიდან წმინდანების სრულად შეკრებილი ცხოვრება-წამებანი, ვენეცია, 1813, VI, გვ. 591 (სომხურ ენაზე).

ონის“ ქართულ ნიმუშად თვლიდა⁴. მეცნიერის წინასწარი ვარაუდით: H 341 ხელნაწერში დაცული თხზულებების გარკვეული ნაწილი სომხურიდან უნდა ყოფილიყო თარგმნილი.

ტერიტორიულმა სიახლოვემ და რელიგიურმა ერთობამ გამოიწვია ის, რომ ქართველებსა და სომხებს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და ლიტერატურული ურთიერთობანი ჩამოუყალიბდათ. თხზულებანი ითარგმნებოდა როგორც ქართულიდან სომხურად, ასევე პირუკუ. ამიტომ ქართული კიმენის წარმომავლობის დასადგენად სომხური ტექსტი საყურადღებო საკვლევ მასალას წარმოადგენდა.

ქართულ-სომხურ ლიტერატურულ ურთიერთობებში სამი საფეხური გამოიყოფა: „პირველი იწყება V ს-დან და VIII ს-ის ბოლომდე აღწევს; მეორე IX—X სს. მოიცავს, ხოლო მესამე XI—XIII სს. ეს დაახლოებით დაყოფაა და მას საფუძვლად უდევს როგორც ურთიერთობის მამკლავებელი სამწერლო ძეგლების ხასიათი, ისე ისტორიული გარემო და გეოგრაფიული არე, რომელშიაც ლიტერატურული ურთიერთობა მიმდინარეობდა“⁵.

451 წლის ქალკედონის კრებამ ორ ბანაკად გაყო ქრისტიანული სამყარო: დიოფიზიტებად და მონოფიზიტებად. ამგვარ დაყოფას არა მარტო თეოლოგიური, არამედ საკმაოდ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. საქართველო, სომხეთის ეკლესიასთან ერთად, აუმხედრდა ქალკედონის კრების დიოფიზიტობას და მეექვსე საუკუნის გასულამდე მტკიცედ იცავდა მონოფიზიტურ აღმსარებლობას.

პოლიტიკური ორიენტაციიდან გამომდინარე, VI—VII საუკუნეებში ქრისტიანული აღმოსავლეთის ქვეყნები ალტერნატივის წინაშე დადგა. „ქალკედონიანობის აღიარება ბიზანტიის იმპერიაზე კურსის აღებას ნიშნავდა, მონოფიზიტობა — სპარსეთის ქვეშევრდომობის აღიარებას“⁶. VI საუკუნის ბოლოდან საქართველოში თანდათანობით იკიდებს ფეხს დიოფიზიტობა, ხოლო VII საუკუნის დამდეგს ქალკედონური მრწამსი ქვეყნის ოფიციალურ იდეოლოგიად გამოცხადდა.

სომხეთის პოლიტიკურმა ორიენტაციამ სპარსეთზე, საბოლოო ჯამში, გამოიწვია ქართულ-სომხურ ეკლესიათა სარწმუნოებრივი გათიშვა 607—609 წწ.⁷, მაგრამ ეკლესიების ფორმალური დაშორების შემდეგ არ წყდებოდა ქართულ-სომხური ლიტერატურული ურთიერთობანი, რადგან „განცალკევების შემდეგაც სომხურ ეკლესიაში ძლიერი იყო ერთხნობით ქალკედონიტური ფრაქცია“⁸. მხოლოდ მანაზკერტის კრებაზე 726 წ. მოხდა ოფიციალურად სომხეთში მონოფიზიტური აღმსარებლობის აღდგენა. „მანაზკერტის კრება სარგებლობდა პირველხარისხიანი მნიშვნელობით და სომხური ეკლესიის ისტორიაში ახალ ხანასაც იწყებდა. კრებას დაუკავშირდა წარმოდგენა — სწორი თუ არასწორი სხვა საკითხია — თითქოს მისი მოვალეობა იყო სომხური საეკლესიო ტრადიციების რესტავრაცია, რომელიც დანერგილი იყო, თითქოს, განმანათლებლის დროიდან.

⁴ ი. აბულაძე, „მრავალთავი“, შრომები, III, თბ., 1982, გვ. 34. ამგვარივე ნიმუშად თვლიდა ნ. შარი ათონის მრავალთავს (ათ. 57). Н. Я., Из поездки на Афон, СПб., 1899, გვ. 15.

⁵ ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში, თბ., 1944, გვ. 1.

⁶ ებსტოლეთა წიგნი, თბ., 1968, გვ. 5, გამოკლევვა დაურთო ზ. ალექსიძემ.

⁷ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1980, გვ. 124; უხტანესი, ისტორია გამოყოფის ქართველთა სომეხთაგან, გამოკლევვა დაურთო ზ. ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 5.

⁸ კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 48.



მაგრამ არც მანახკერტის კრების შემდგომ შეწყვეტილა ორმხრივი ლიტერატურული კავშირი. სამშობლოდან დევნილი ქალკედონიტი სომხები გავლენის სფეროს მიხედვით შეერივნენ ქართველებს, ბერძნებს, სირიელებს. საერთო კონფესიონალური აზრებიდან გამომდინარე, სამხრეთ საქართველოში ლტოლვილი სომხები განაგრძობდნენ მთარგმნელობით მუშაობას¹⁰.

ჩვენ შევეცადეთ მიმოგვეხილა საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ურთიერთობა მეზობელ სომხეთთან VI—VIII საუკუნეებში. როდესაც უძველესი თარგმანების წარმომავლობის დადგენის პრობლემა ჩნდება, გარდა ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზისა, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას როგორც ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული მდგომარეობა, ასევე ძველ თარგმანებთან დაკავშირებული ლიტერატურული ცნობები. საქართველოს, გარდა მეზობელი სომხეთისა, მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა ბიზანტიის იმპერიასთან.

298 წელს ნიზიბინის ზავით ირანმა ცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ხოლო შემდგომში ქრისტიანული სარწმუნოების მიღებამ ხელი შეუწყო ქართლისა და რომის იმპერიას შორის კავშირის განმტკიცებას, რადგან ეს ნიშნავდა ირანულ ორიენტაციაზე უარის თქმას, ბრძოლას ირანული პოლიტიკური და კულტურული გავლენის წინააღმდეგ¹¹.

IV—V საუკუნეებში დასავლეთ საქართველოში ბიზანტიის გავლენა უფრო საგრძნობია, რასაც საფუძველი ანტიკური პერიოდიდან ჰქონდა. ხოლო „მეშვიდე საუკუნის დასაწყისიდან, ერთი მხრით, სომხეთთან ეკლესიურად ჩამოშორების გამო, მეორე მხრით — სხვა კულტურულ-ისტორიულ პირობათა გამო, რომელთა შორის იმასაც ჰქონდა მნიშვნელობა, რომ მეექვსე საუკუნის გასულიდან მეზობელ სომხეთშიაც ელინიფილური მიმართულება დამყარდა, ქართველები ბერძნებს უახლოვდებიან და უფრო მეტად ეცნობიან“¹².

რაც შეეხება ლიტერატურულ წყაროებს, გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „ეგრეთვე დაღაცათუ პირველითგანვე გუქონდეს წერლინცა და სარწმუნოებაჲ ჰეშმარითი და მართალი, გარნა ქუეყანაჲ ჩუენი შორს იყო ქუეყანისაგან საბერძენეთისა. და ვითარცა თესლნა არაწმიდანი შორის ჩუენსა დათესული იყენეს ბოროტნი იგი თესლნი სომეხთანი, გულარძნილნი და მანქანანი, და ამის მიერ ფრიად გუევენებოდა, რამეთუ ნათესაჲი ჩუენი წრფელ იყო და უმანკოჲ, ხოლო იგინი რეცა მიზეზითა წესიერებისაჲთა, რეცა ცთუნებად გუაზმნობდეს, და რომელნიმე წიგნიცა გუქონდეს მათგან თარგმნილნი“¹³.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ეს თხზულება „სანდო საისტორიო წყაროა“¹⁴ და ამასთანავე მოხდება ფაქტების კრიტიკული შეფასება, დასკვნის სახით გვექნება: „ავტორის რწმენით, სომხურ წყაროზე დამოკიდებული ზოგაერთი ბიბლიური წიგნის ქართული თარგმანი არ არის თავდაპირველი თარგმანი... სომხურიდან მომდინარე ქართული თარგმანი ქრონოლოგიურად მეორე-

⁹ Н. А. Дони. Армения в эпоху Юстиниана, Ереван, 1971, გვ. 338.
¹⁰ ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში, გვ. 12—15.
¹¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 70—71.
¹² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I, გვ. 49.
¹³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურული ძეგლები, ილ. აბულაძის რედაქციით, ტ. II, თბ., 1967, გვ. 123.
¹⁴ ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 151.

ულ, მოგვიანო მოვლენად არის მიჩნეული¹⁵. სავარაუდოა, რომ ბიბლიურ წიგნთა უძველესი ქართული თარგმანები ბერძნულიდან მომდინარეობდა, თუმცა გამოირიცხული არაა, რომ „ქართული რედაქციის ჩამოყალიბებისას ბერძნულ წყაროსთან ერთად სომხური წყაროც ყოფილიყო გამოყენებული“¹⁶.

ხოლო ფილოლოგიურ-ლინგვისტური კვლევისა და ქართულ-ბერძნულ-სომხურ-სირიული ტექსტების ურთიერთშეჯერების საფუძველზე გამოითქვა ვარაუდი, რომ პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციის წყარო ბერძნული ორიგინალია; იგივე დასკვნაა გაკეთებული ევთალეს „სტიქომეტრიის“ ე. წ. სამოციქულოს წარმომავლობის თაობაზეც¹⁷.

თუ ყოველივე ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, მოულოდნელი არ უნდა იყოს ქართული უძველესი ნათარგმნი ჰაგიოგრაფიული თხზულებების ბერძნული წყაროდან წარმომავლობა, რადგან, როგორც უკვე ითქვა, ცხოვრებამარტივობიანი ბიბლიასთან ერთად სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული საეკლესიო ღვთისმსახურების ჩამოყალიბების პროცესთან.

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ „ქართველებს ძველად, ჯერ კიდევ მეთათე საუკუნემდე, ავიოგრაფიული ლიტერატურა გადმოუღიათ საქრისტიანო მწერლობის ყველა ენიდან, განსაკუთრებით ბერძნულიდან. მეთათე საუკუნემდე მათ გადმოუღიათ თითქმის მთელი ციკლი იმ დროს არსებულ „ცხოვრებამარტივობათა“ ე. წ. „კიმენის“ რედაქციისა“¹⁸.

„კალისტრატეს მარტივობის“ ქართული კიმენის ბერძნულ და სომხურ რედაქციებთან შედარების საფუძველზე მიღებული დასკვნები გვევარაუდებენებს ქართული ტექსტის ბერძნულიდან მომდინარეობას.

ქართული რედაქციის წარმომავლობის განსაზღვრისას სომხური თარგმანა დაგვეხმარა იმდენად, რამდენადაც სომხური კიმენის პირველწყაროც ბერძნულია. აქედან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში ქართულში ასახულ სხვაობას ბერძნულთან შეპირისპირებისას ნათლად ასახავს სომხური ძეგლი.

ქართული რედაქციის ბერძნულიდან წარმომავლობის ამსახველი მაგალითები რამდენიმე ჯგუფად დავყავით.

1. ისეთი სახის მაგალითები, როდესაც ბერძნული დედნისეული სიტყვები ცუდად ან მცდარად არის გაგებული. ასეთ შემთხვევაში თუ გაირკვევა სიტყვის თუ ფრაზის მცდარი თარგმანის მიზეზი, წყარო, ცხადია, გარკვეული იქნება თარგმანის პირველწყაროც.

ა) ბერძნულსა და სომხურ რედაქციებში მოხსენიებულია კალისტრატეს ქრისტიანი წინაპრის სახელი. მოხსენიებულია ეს სახელი ქართულ მეტაფრასშიც: „რამეთუ იყო კპის მამად ამის ნეტარისაჲ, რომელსა ეწოდებოდა ნეოკოროს“¹⁹. ქართულ კიმენურ ტექსტში ვკითხულობთ: „და მამის მამად მისა, რაჟამს ჰბაბუჟ იყო იგი“. ქართულ კიმენში კალისტრატეს ქრისტიანი წინაპრის სახელის ამოღება ან გამოტოვება გაუგებრობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ჩვენი ვარაუდით, ქართველმა მთარგმნელმა ბერძნული საკუთარი სახელი — ნეოკოროსი მიიჩნია საზოგადო სახელად: „ἀρχὴν νῆσιν“ ანუ „ახალგაზრდა კაცს“, *vszpbz* ასევე „ახალგაზრდას“, „ჰბაბუჟს“. მთარგმნელმა თავი აარიდა ტავტოლოგიას და თარგმანში მამაკაცის სახელის ნაცვლად გვაქვს — ჰბაბუჟი.

¹⁵ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბ., 1983, გვ. 135.

¹⁶ იქვე, გვ. 137.

¹⁷ იქვე, გვ. 184, 66.

¹⁸ კ. კეკელიძე, ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ., 1955, გვ. 6.

¹⁹ ძველი მეტაფრასული კრებულები, თბ., 1986, გვ. 438—457.



ბ) ბერძნ.: „დაადგინა მარადიულნი საზღვარნი“ (77v); სომხ.: „და დაადგინა მარადიული საზღვარი“ (659); ქართ.: „რომელმან დასხნა საუკუნენი მთანი უწყდომელნი“. ბერძნულში სემანტიკურ სხვაობას „საზღვარსა“ და „მთას“ შორის იწვევს ასპირაციის ნიშანი და ნაწევარი. **ბ მრც** — „საზღვარი“ და **ზბ შრც** — „მთა“. ქართველი მთარგმნელი ბერძნულ „საზღვარს“ თარგმნის როგორც „მთას“ და აზრის გამართვის მიზნით უმატებს „მიუწყდომელს“.

გ) მსგავსი მოვლენა გვხვდება სხვა ეპიზოდშიც. ქართველ მთარგმნელს ბერძნული **χάσκη** — ძაბრი თარგმნილი აქვს როგორც „მიწა“ (ბერძნ. **Χθών**), ბერძნ.: „და ჩაუდგეს მას პირში ძაბრი“ (78v); სომხ.: „და ძაბრი ჩაუდგეს მას პირში“ (660); ქართ.: „უბრძანა მიწისა შთასხმად პირსა მისსა“.

დ) რომაელთა ჯარის უფროსი პრესენტთან დაინტერესდა ქრისტიანი ჯარისკაცის სახელით. მას ეუბნებიან მხედრის სახელს ლათინურად და ბერძნულად. ქართველ მთარგმნელს საკუთარი სახელი კალისტრატოსი გადმოაქვს როგორც ბერძნული კომპოზიტის შესაბამისი თარგმანი: **καλίστ** — „მშვენიერი“, „ლამაზი“, „კეთილი“ და **στρατῳτης** — „სტრატოტი“. ქართ.: „ბოლო-მელიქის, რომელ არს გამოთარგმანებით კეთილი სტრატოტი“.

ე) ბერძნ.: „რამეთუ დადგენილია მთზე სიკვდილი და არა ცოდვებით გამოითქმება“ (85v); **παρῑπταμα** — ნიშნავს „ცოდვას“, „შეცოდებას“. ბერძნულ კიმენში ეს სიტყვა კონტექსტში სწორადაა ჩასმული. კერძოდ, ომის დროს თუ რომელიმე მებრძოლისთვის განჩინებულია სიკვდილი, ამგვარი სიკვდილი არ შეიძლება ჩაითვალოს ღმერთის მიერ სტრატოტის დასჯად ცოდვების გამო.

ქართველ მთარგმნელს გააზრებული აქვს ეს სიტყვა როგორც **παρῑ πῑταμα**, სადაც პირველი წინდებულია, ხოლო მეორე სიტყვა ნიშნავს „განადგურებას“, „მოსპობას“. ეს უკანასკნელი მთარგმნელს გადმოაქვს „ბრძოლად“ (სემანტიკურად უახლოვედა მოსპობას) და თარგმანში აზრობრივ გაუგებრობას იწვევს. ქართ.: „რამეთუ განჩემებულ არიან სიკუდილსა მათსა და არა ბრძოლითჰქვან მას“.

ჩვენ განვიხილეთ ერთი სახის მაგალითები, როდესაც ქართული კიმენის სახესხვაობა გამოწვეული იყო უშუალოდ ბერძნული სიტყვის ან შესიტყვების არასწორი გაგებით.

2. ასევე საყურადღებო უნდა იყოს ისეთი მაგალითების მოხმობაც, როცა ქართული და ბერძნული რედაქციები მიჰყვება ერთმანეთს, ხოლო სომხური განსხვავებას გვიჩვენებს.

ა) „კალისტრატეს მარტვილობის“ ბოლოს ნათქვამია, რომ მის შემდეგ აწამეს ვინმე მარინოსი (90v). ქართ.: „ამისა შემდგომად იწამა ნეტარი მარტული ქრისტესი მარინან“. სომხურ კიმენში არაა ნახსენები ამ მოწამის სახელი.

ბ) ბერძნ.: „და აიტაცა იგი ორმა დელფინმა“ (79v); ქართ.: „აღიღეს იგი ორთა დელფინთა“. სომხ.: „და შეიპყრო იგი ერთმა თევზმა — დელფინმა“ (661).

გ) ბერძნ.: „მივედით ჩვენ 105 სტრატოტი“ (90r). ქართ.: „და მივედით ჩვენ ას და ხუთნი სტრატოტნი“. სომხურში არაა ეს რიცხვი აღნიშნული.

დ) ბერძნ.: „და ზეცის დიდების პატივს მიიღებდეს“ (76r). ქართ.: „პატივისა და დიდებასა ზეცისასა მოიღებდეს“. სომხ.: „დიდების პატივს ღებულობდნენ“ (656).

ე) ბერძნ.: „და სატანჯველში ვარდებოდნენ“ (76r). ქართ.: „სატანჯველსა დიდსა შეცოდეს“. სომხ.: „ტანჯვას გადასცემდნენ“ (656).

ვ) ბერძნ.: „აღსავსე იყო ბავშვობიდან ღმრთის სიბრძნით“ (76r). ქართ.: „სავსე იყო იგი სიყრმით მისითგან სიბრძნითა ღმრთისაჲთა“. სომხ.: „და სავსე ღვთაებრივი სიბრძნით“ (657).

ზ) ბერძნ.: „ძლიერი გამარჯვებით ღვაწლი განამტკიცა, რომელთაც უფლის სწამთ“ (76r). ქართ.: „ძლიერად ღუაწლი განამტკიცა მათ ზედა, რომელნი ესვენ უფალსა“. სომხ.: „ძლიერი ღვაწლის სიძლიერის ნიში აღმართა უფლის მორწმუნეთათვის“ (656).

თ) ბერძნ.: „არ შეგფერის შენ იყო განკერძობული ჩვენ შორის. არამედ ჩვენი (უნდა) იწამო“ (76v). ქართ.: „არა შეჰვაგვს ვითარმცა სხვსა სახე იყავ შენ ჩუენ ყოველთა შორის, არამედ თუ გუემორჩილო ჩუენ“. სომხ.: „ნუ იქცევი მხოლოდ შენ ყრმათა მსგავსად ჩვენ შორის, არამედ დაემორჩილე“ (657).

ი) ბერძნ.: „სიღრმეში გადაგისვრი“ (78v). ქართ.: „უფსკრულსა ზღვსასა მიგცე შენ“. სომხ.: არაა.

კ) ბერძნ.: „ჩაგდონ შენ ტომარაში და ჩაგაგდონ ზღვაში“ (79r). ქართ.: „შთაგდვა შენ ძაძასა და შთაგაგდონ შენ სიღრმესა ზღვსასა“. სომხ.: [ვბრძანებ] შენს ტომარაში ჩაგდებას და დაბეჭდონ მისი პირი და წაგდონ და ჩაგაგდონ ზღვაში“ (660—61).

3. **ზმნისწინთა გადმოტანის საკითხი.** ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ გრამატიკულ კალკებს, რომლებიც აშკარად ბერძნულიდან მოდის.

ქართულში ბერძნული ზმნისწინები *σιν* და *πρ* თითქმის სისტემატურად გარკვეულ დამოუკიდებელ ერთეულად არის გადმოტანილი. „სომხურსა და სირიულ თარგმანებში დასახელებული ბერძნული ზმნისწინები თანდებულებით გადმოიცემა, ხშირად კი არც გადმოდის. ბერძნული ზმნისწინი თუ რომელ თარგმანში როგორ გადმოდის, თანდებულად თუ ზმნისწინად, ეს თვით თარგმანთა შორის ტექსტუალური დამოკიდებულების გამოსამჟღავნებლად გარკვეულ მნიშვნელობას იძენს“²⁰.

ბერძნული ზმნისწინები ქართულში ზმნისწინად ან რაიმე დამოუკიდებელ ერთეულად გადმოდის, ხოლო სომხურში იმიტომ დარჩა გადაუტანელი, რომ ამ ენას არა აქვს ზმნისწინთა სისტემა. სომხურსა და სირიულში ბერძნული ზმნისწინები ან არ გადმოდის ან თანდებულოთ იცვლება.

ენახოთ, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ „კალისტრატეს მარტიკლობის“ ქართულ თარგმანში: *πρ* — წინა (წინაღწარ, პირველ); ამ ზმნისწინითა ნაწარმოები ბერძნული *προ-φύτης*, რომელიც ქართულში წინაწარ-მეტყუელად გადმოდის. ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება თხზულებაში.

„*αἰς προ-λεχθεῖσας ἡμέραις*“ 76 r. (პირველად აღნიშნულ დღეებში). ქართ.: „მათ ყამთა პირველთა“; ქართულში გადმოვიდა დამოუკიდებელი ერთეულით პირველი. სომხ.: ამ დროს (656). ამ შემთხვევაში ბერძნული ზმნისწინი არ გადმოუტანიათ. „*ἵθρ ἐμ̄ προ-τελευτησι*“ (86r) (რომ მე პირველ აღვესრულე). ქართ.: „რამეთუ მე პირველად თქუენსა აღსრულეზად ვარ“. სომხ.: „რადგან თქვენზე ადრე იქნება ჩემი სიკვდილი“ (680). ბერძნ.: „*τι συνοῖδ'ατε τῆ Βοηγαίλιχ*“ (77v) (რა იცით ბონომელიქის შესახებ). ქართ.: „რაა უწყით, ბოროტნო, მელიქისი“. სომხ.: რა იცით კალისტრატოსის, ბუნი მელეკის, შესახებ (658).

²⁰ კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, ბერძნულ ადგილობით ზმნისწინთა გადმოცემისათვის ძველ ქართულში, „მაკნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, № 2, თბ., გვ. 139—154.

საყურადღებოდ მიგვაჩნია ამ წინადადების ქართული თარგმანი: ნინწანეს „გაგებას“, „შეცნობას“, ხოლო *σύν* პრეფიქსი კი — „ერთობლივობას“, „კრებობას“, „თანაობას“. ჩვენი აზრით, ქართველი მთარგმნელი შეეცადა ბერძნული სიტყვის ორივე მნიშვნელობა გადმოეცა. მან კრებობის სემანტიკა ცალკე ლექსიკური ერთეულით (ბოროტნი) გადმოიტანა.

ქართულში ბერძნული სხვა ზმნისწინიანი ფორმებიც ზუსტი სემანტიკაა გადმოღის. მაგ.: „*παρα-τρέχει: τὸν σπερματῶτα ἐξ τῆς ἀρχῆς μέχρι*“ 87v (მიმოირბენს საყრდენს მარჯვენა მხრიდან). ქართ.: „გ ა რ ე მ ო - ი რ ბ ი ი ს ც ა მ მ ა რ ა რ ე ლ კ ე რ ძ ო ს“. ბერძნ.: „*ἐκίλισθεν παρα-στυνα: ἀπὸ*“ (88v) (ბრძანა მათი წარდგინება). ქართ.: „უბრძანა წ ა რ მ ო დ გ ი ნ ე ბ ა მ მ ა თ ი“.

ბერძნული ზმნისწინების ქართული თარგმანების ნიმუშებზე დაკვირვების შედეგად გამოთქმულია მოსაზრება: „არ გავაზვიადებთ, თუ დავსკვნით, რომ ქართული თარგმანის ბერძნულ წყაროზე დამოკიდებულებას გარკვეულწილად ამჟღავნებს ბერძნულ ზმნისწინთა თითქმის სისტემებზე გადმოცემა ქართული ფარღი ზმნისწინებითვე, რასაც სომხური და სირიული თარგმანები ვერ ახერხებენ“²¹.

4. აქამდე ძირითადი აქცენტი ბერძნულ-ქართულ რედაქციათა ურთიერთ-შეპირისპირებაზე იყო მიპყრობილი და სომხური კიმენი საკონტროლო ტექსტის ფუნქციას ასრულებდა. ხოლო უშუალოდ ქართულ-სომხური რედაქციების შედარების შედეგად გამოჩნდა ისეთი მაგალითები, რომლებიც გამორჩევი ქართული ძეგლის სომხურიდან წარმომავლობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება ქართულ-სომხურ რედაქციებს შორის იწყება იმ ადგილიდან, როცა ჯარისკაცები შეკითხვებით მიმართავენ კალისტრატეს. შეკითხვები ასეთია: როგორ იშვა ქრისტე და რატომ აცვეს ჯვარს ებრაელებმა; სიკვდილის შემდეგ სად მიდის ადამიანის სული და წარდგება თუ არა განსასჯელის წინაშე; როგორ ისჯება ის პიროვნება, ვინც ბევრი ცოდვა ჩაიდინა; რა და რანაირად შეიძლება დაიღუპოს ადამიანი; ვინ შექმნა ცის მნათობები: მთვარე, მზე და ვარსკვლავები. კალისტრატე ახალმოქცეულ ჯარისკაცებს განმარტებებს აძლევს. სომხურ რედაქციაში, ქართულისგან განსხვავებით, კალისტრატეს პასუხები საკმაოდ გავრცობილია. სომხურში კალისტრატეს ყოველი პასუხი „გამდიდრებულია“ ძველი და ახალი აღთქმის წიგნებიდან მოხმობილი ეპიზოდებით, თეოლოგიური ხასიათის ჩანართებით.

ქართული რედაქციის პირველწყარო სომხური კიმენი რომ არ უნდა იყოს, ამის დასადასტურებლად უფრო კონკრეტული მაგალითების მოყვანა შეიძლება.

ა) ბერძნულ რედაქციაში კალისტრატეს ქრისტიანი წინაპრის სახელი — ნეოკოროსი — ერთხელაა მოხსენიებული, სომხურში კი — ოთხჯერ (გვ. 657, 658, 673). თუ ქართული თარგმანი სომხურიდან მომდინარეობს, რატომ ერთხელ მაინც არ ითარგმნა იგი, მაშინ როცა ბერძნული რედაქციიდან ნეოკოროსის უთარგმნელობას შეიძლება ახსნა მოექნბნოს (*ναρῶς, ἀρῶς*—„ქაბუკი“).

ბ) ქართულსა და სომხურ ლექსიკაში არსებობს საერთო ხმარების სიტყვები, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა ენიდან მომდინარეობს. ამგვარი საერთო ხმარების სიტყვათა ჯგუფს მიეკუთვნებიან ასპარეზი და ზორვა; ორივე ფალაუტრიდანაა შემოსული²².

²¹ კ. დანელია, ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, გვ. 152.
²² ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში, გვ. 85—86.

ეს სიტყვები სრულფუნქციანობით სარგებლობდნენ ძველ ქართულ მწერლობაში, განმარტებული არიან ლექსიკონში: 1. ასპარეზი — „უტევანი“, მანძილი — 195 ნაბიჯი; 2. ზორვა-გება — მსხვერპლის მიტანა²³. სომხურ კიმენში გვაქვს ასპარეზი: „და წაიყვანეს... ორმოც ასპარეზზე“ (661). თუ ძველი სომხურიდან ითარგმნა, უფრო მეტად იყო სავარაუდო, რომ ქართულში საერთო ხმარების სიტყვა — ასპარეზი უცვლელად ვადმოსულიყო. მაგრამ ქართულ კიმენურ რედაქციაში ვკითხულობთ: „ვითარ შეიყვანეს იგი ორმოც უტევან“. ასევე სომხ.: „უზორე, კალისტრატე, არამაზდას ღვთაებას (659). ქართ.: „უ გ.ე. კალისტრატე, დიდსა ღმერთსა არმაზს“.

თხზულებაში არის რამდენიმე ეპიზოდი, როცა ქართული და სომხური რედაქციები მიჰყვება ერთმანეთს, ხოლო ბერძნული განსხვავებას გვიჩვენებს მავალითად:

ა) ქართ.: „რომლისა რისხვამან დადენის მთანი და სახელისდებასა შენსა განსთქლიან უფსკრულნი, რომლისაგან ზღუაჲ ძრწის ღეღვითურთ მისით, რომელმან შეაძრწუნე გული იონასისი“. სომხ.: „რომლის რისხვა აღნობს მთებს, რომლის სახელდება გლეჯს უფსკრულებს, რომლისაგან ძრწის ზღვა, მდინარეებით და ვეშაპებით, რომელმაც შეაძრწუნე იონას გული“ (661). ბერძნ.: „რომელმა შეაძრწუნე შენი მონის, იონას, გული“. წინა ნაწილი არაა (79r).

ბ) ქართ.: „და შენ ისმინე ლოცვისა ჩემისაჲ და განხეთქე ძაძაჲ ჩემი და შემმოსე მე სიხარული“. სომხ.: „ვინაიდან ვაიგო ჩემი ლოცვისა ხმა, გახია ჩემი ტომარა და შემმოსა მე სიხარულით“ (661—662). ბერძნ.: „ისმინა უფალმა ვედრება ჩემი და შემმოსა სიხარულით“ (79v).

გ) ბერძნ.: „და უბრძანა ბილწმა ჩაეგდოთ ისინი საპყრობილეში მის შემდგომ ღმერთის მორწმუნე 49 და თქვეს მათ ამენ“ (81r). ქართულსა და სომხურში ეს ეპიზოდი არაა.

დ) ბერძნ.: „და დაატყვევა რა ტირანი და შეკრა იგი ქვემოთ ჭოჯოხეთში და აღდგა მკვდრეთით“ (82v). ეს ეპიზოდი არაა ქართულ რედაქციაში, ხოლო სომხური ამ შემთხვევაში ქართულისგანაც განსხვავდება — ეს ეპიზოდი კალისტრატეს პასუხებში შედის, რომელიც, როგორც აღინიშნა, სავარაუდოდ უცვლელი და გავრცობილია სომხურ კიმენურ რედაქციაში.

რიგ შემთხვევაში ქართულ-სომხური რედაქციების სხვაობა თავიანთ პირველწყაროსგან უნდა აიხსნას იმ ფაქტით, რომ ჩვენ ბერძნული კიმენურა ტექსტის გვიანდელი ნუსხა გვერდნა ხელთ²⁴. ამიტომ გამორიცხული არაა, გადაწერის დროს გამორჩენილად ზემოთ ჩამოთვლილი ეპიზოდები.

სავარაუდოა, რომ ქართულ კიმენურ რედაქციაში შემორჩენილა ბერძნულ დედანში მოხსენიებული ეპარქიის მსაჯულის სახელი, რომელიც შემდგომში უკვე არც ბერძნულ და არც სომხურ ნუსხებში არ გვხვდება.

ქართ.: „დღეთა მათ აღექსანდრე მსაჯულისათა და დიოკლეტიანესთა“ ბერძნ.: „დღეთა მათ მეფობისა ვალენტოსისა და დიოკლეტიანესი“ (75v). სომხ.: „ამპარტავანი დიოკლეტიანეს მეფობის დროს“ (656).

„კალისტრატეს მარტილობა“ არაა გამოჩაყვანილი შემთხვევა. მარტილობებში გარკვეულ შემთხვევაში იხსენიებდნენ ეპარქიის მსაჯულთა სახელებს.

²³ ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

²⁴ ბერძნული ლენაწერის ფოტოპირში გვიანდელი ბიზანტიური წყაროების გამო **παισίν** მაგივრად ვხვდებით **παισίν** [84r]. ასევე ქალაქ რომის ნაცვლად [ქართულსა და სომხურ რედაქციებში რომია] გვაქვს კონსტანტინოპოლი [76r].



მაგალითად, „წამებაჲ წმიდათა ორმოცთაჲში“ ვკითხულობთ: „უამთა მათ ღირსი კიანე მეფისათა... ხარკსაცა მისცემდეს მსაჯულსა მას აგრიკოლასს“²⁵.

ამგვარად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართულ-სომხურ-ბერძნულ კიმენურ რედაქციათა ფილოლოგიურ-ლინგვისტური შეჯერებას შედეგად მიღებული დასკვნები გვავარაუდებინებს ქართული ტექსტის ბერძნული წყაროდან წარმომავლობას. ხოლო რიგ შემთხვევაში ქართულ რედაქციაში ბერძნულთან შედარებისას არსებული სხვაობანი გამოწვეული უნდა იყოს გვიანდელ ბერძნულ ნუსხაში გადააწერის მიერ დაშვებული შეცდომებით ან ტექსტის შეგნებული შეცვლით.

Т. А. ЦАНАВА

К ВОПРОСУ ОБ ИСТОЧНИКЕ ГРУЗИНСКОЙ
КИМЕНИЧЕСКОЙ РЕДАКЦИИ «МУЧЕНИЧЕСТВА
КАЛЛИСТРАТА»

Резюме

Грузинская редакция кимена «Мученичества Каллистрата» сохранилась в рукописи XI века Н 341. Это произведение является примером древнейшего перевода, но в научной литературе не было разъяснено происхождение грузинского текста. В статье сопоставляются грузинская, армянская и греческая редакции кимена. На основе филологического анализа сделан вывод, что грузинский текст «Мученичества Каллистрата» восходит к греческому источнику.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ძველი ქართული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. მეტრეველმა

²⁵ ილ. აბულაძე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, „მრავალთავის“ ზოგერთი თავის წყარო, „მარტვილობა ორმოცთაჲ“, თბ., 1962, გვ. 123—124.

ზოგჯერ ჯავახრიძე

 მუსლიმი მოღვაწეები ათ-თიფლისის ნისბით
VIII—XIV საუკუნეებში

ნისბა ადამიანის არაბულ-მუსლიმური რთული სახელის შემადგენელი ნაწილია¹ და აღნიშნავს პიროვნების ეთნიკურ, რელიგიურ, პოლიტიკურ და სოციალურ კუთვნილებას, დაბადებისა და საცხოვრებელ ადგილებს.

შუა საუკუნეებში ადამიანს შეიძლება ჰქონოდა რამდენიმე ნისბა. მუსლიმური სამყაროს არაერთი მოღვაწე თანამედროვეებისა და მომდევნო თაობებისთვის სწორედ ნისბით იყო ცნობილი. შეიქმნა მთელი მამის ნისბა, მაგრამ ეს არ იყო სავალდებულო და აუცილებელი.

ნისბების² დიდი ნაწილი უკავშირდება მახლობელი და შუა აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ქალაქებს — დაწინაურებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრებს (მაგ., ბაღდადი, ქუფა, ჰამადანი, ისფაჰანი...). ამ ქალაქთა შორის ფიგურირებს თბილისიც, რომელსაც არაბები თიფლისს ან თაფლისს უწოდებდნენ³. აქედან არის ნაწარმოები ნისბა ათ-თიფლისი ან ათ-თაფლისი.

ნისბა ათ-თიფლისი (ათ-თაფლისი) შეიძლება ეტარებინათ იმ მუსლიმებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების რომელიმე ეპიზოდით (დაბადება, მუდმივად ცხოვრება, დროებით მოღვაწეობა...) დაკავშირებულნი იყვნენ თბილისთან. შუა საუკუნეების თბილისისთვის კი, როგორც ცნობილია, დამახასიათებელი

¹ სხვა ნაწილებია: 'ალამი — საკუთარი სახელი (მაგ., აჰმად, ფატიმა), ქუნია — მამობისა და დედობის აღმნიშვნელი სახელი. ამ შემთხვევაში შეიქმნა სახელს წინ უსწრებს აბუ — მამა, ანდა უმმ — დედა (მაგ., აბუ აჰმად, უმმ ფატიმა). ნასაბი — ნათესაობა, სია წინაპრებისა, სადაც თითოეულ მათგანს წინ უძღვის იბნ — ძე (მაგ., აჰმად იბნ იბრაჰიმ იბნ მუჰამად), ან ბინთ — ასული (მაგ., ფატიმა ბინთ აჰმად იბნ იბრაჰიმ) და ლაკაბი — საპატიო ტიტული (მაგ., შამს ად-დინ, ბაჰა ად-დავლა).

² ნისბა იწარმოება „ალ“ არტიკლით (რომელიც სპარსულში მოხსნილია) და ო სუფიქსით (რომელიც არ არის სავალდებულო, როცა ნისბა წარმოდგება პროფესიისაგან). დაწერილებით არაბულ-მუსლიმური სახელის, კერძოდ კი ნისბას, შესახებ იხ. H. Fleisch. 'Ism, „The Encyclopedia of Islam“, New edition (შემდეგ—EI²), vol. IV, გვ. 179. Системы личных имен у народов мира, М., 1986, გვ. 45—46.

³ გვხვდება ტაფლის ფორმაც (გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1951, გვ. 24), რომელიც იშვიათად გამოიყენება (მაგ., აბუ უბაიდ ქითაბ ალ-ამვალ, საჰაბაჰუ ვა 'ალლაჰა ჰავამიშაჰუ მ. შ. ალ-ფაკი, ალ-კაჰირა, 1934, გვ. 208; ო. ცქიტიშვილი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დავის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში, მაცნე, ისტორიის არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია 1976, № 2 გვ. 193, 194, 195). არაბი ლექსიკოგრაფები ას-სალაფი (გარდ. 1252) და მურთადა აზ-ზაბიდი (გარდ. 1790 წ.) განიხილავდნენ თაფლის და თიფლის ფორმებს. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ამ სიტყვაში პირველი თანხმოვანი „თ“ ფათჰით, ე. ი. ა-ხმოვნითაა, მაგრამ ხალხი მას ქასრათი, ე. ი. ი-ხმოვნით ამოვანებსო. როდესაც ის ქასრათი ხმოვანდება სიტყვა იქნება არაბული ფილისის მოდელი მსგავსი, მაგრამ ამ მსგავსების მიუხედავად აქ „თ“ ძირეულია, რადგანაც სიტყვა თიფლის ქართულია (ალ-ქალიმა ჯურჯია). ხოლო როცა „თ“ ხმოვანდება ფათჰით, ე. ი. ა-ხმოვნით, მაშინ სიტყვა ნაწარმოებია თაფ'ილ მოდელის მიხედვით და არაბულია (ას-სალაფი, ალ-უბაბ აზ-ზაჰირი ვა ლ-ლუბაბ ალ-ფაჰირ, სტამბოლის აია-სოფიის მეჩეთის ბიბლიოთეკის ნუსხა, № 2703, დამასკოს არაბული ენის აკადემიის ფორტპირი, სტატია ფლს; მისივე, ათ-თაქვია ვა ზ-ზაჰიდ ვა ს-სილა, ჰაკაჰაჰუ მ. აბუ ლ-ფადლ იბრაჰიმ ვა მ. შ. 'ალლაჰი, ტ. III, ალ-კაჰირა, 1973, გვ. 403; აზ-ზაბიდი, მურთადა, თაჯ ალ-არუს, ტ. IV, მისრ, 1306, გვ. 210.



იყო ქრისტიანთა და მუსლიმთა თანაცხოვრება. მუსლიმური მოსახლეობა გაჩნდა არაბთა გაბატონების შემდეგ და გვიზარდა საამიროს შექმნასთან (VIII ს. 30-იანი წლები) ერთად. მუსლიმები განაგრძობდნენ თბილისში ცხოვრებას 1122 წლის შემდეგაც, როცა თბილისი გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქი გახდა და სარგებლობდნენ იმ პრივილეგიებით, რომლებიც მათ მიიღეს ქართველი მეფეებისაგან. თბილისში მუსლიმები სახლდებოდნენ მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა კუთხიდან. ამავე დროს რიგი პოლიტიკურ, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორებისა განაპირობებდა მათ უკუმიგრაციასაც. ამდენად, იმ პირებს, რომლებიც ატარებდნენ ათ-თიფლისის ნისბას, შეეძლოთ ეცხოვრათ და ემოღვაწევათ როგორც თბილისში, ისე მუსლიმური სამყაროს სხვადასხვა მხარეში⁴.

დღემდე გამოვლენილი იყო რამდენიმე ათ-თიფლისი, მათ შორის XII ს. ვამოჩენილი მეცნიერი ჰუბაჟშ იბნ იბრაჰიმ ათ-თიფლისი, XIII ს. სუფი პოეტი ნაჰმ ად-დინ ათ-თიფლისი და სხვ.⁵, მაგრამ ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ისინი დასაძებნი და აღსანუსხავია შუა საუკუნეების ზიარესად მდიდარ არაბულ და სპარსულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით კი ბოზგრაფიული და გენეალოგიური ჟანრების თხზულებებში. მათი ცხოვრების შესწავლამ შესაძლოა მოგვცეს ახალი მასალა თბილისის ისტორიისათვის, თბილისელ მუსლიმთა კულტურული მონაპოვრების, მანლობელი და შუა აღმოსავლეთის ქალაქებთან თბილისის კონტაქტების შესახებ და სხვ.

ამჯერად შესაძლებლობა გვაქვს წარმოვადგინოთ VIII—XIV საუკუნეებში მცხოვრები ოთხ ათეულზე მეტი ათ-თიფლისი, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ როგორც თბილისის, ისე მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

1. **აზდ ალლაჰ იბნ ჰამმად ათ-თიფლისი*** — სუნიტი მუჰადდისი (ჰადისების პროფესიონალი შემგროვებელი და მცოდნე). მას იხსენიებს ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი (გარდ. 1071 წ.)⁶ და ას-სამ'ანი (გარდ. 1166 წ.)⁷, რომლებიც აღნიშნავენ, რომ მისგან ჰადისებს გადაეცემა მუჰამმად იბნ ბაიჰან ათ-თიფლისი (იხ. № 3). ამ მითითების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 'აზდ ალლაჰი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა VIII ს. შუა ხანებში.

2. **ბუსრ იბნ ბაიჰან იბნ ჰუმრან ათ-თიფლისი** — ზომიერ შიიტთა-იმამიტთა მე-6 იმამის ჯა'ფარ ას-სადიკის (732—765) მიმდევარი. მას იხსენიებს შიიტი

⁴ ამავე დროს თბილისელ მუსლიმებს შეეძლოთ ეტარებინათ სხვა ნისბებიც. იხ. მაგ.: გ. ჯაფარიძე, XIII საუკუნის თბილელი მეცნიერი მარადის ობსერვატორიაში, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1984, № 2, გვ. 99—110.

⁵ ე. სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები საქართველოს შესახებ, კრ. „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 45—53; Хубейш Тифлисци, Описание ремесел (Байан ас-сана'ат) перевод с персидского, введение и комментарии Г. П. Михалевич, М., 1978; გ. ჯაფარიძე, ნაჰმ ად-დინ ათ-თიფლისი შაირ სუფი მინ ალ-კანრ ას-საბი' ალ-ჰიჯრი, მაჟალა მაჰმა' ალ-ლულა ალ-'არაბია ბი-დამაშყ, ტ. 58, IV, დამაშყ, 1983, გვ. 795—804.

* ტექნიკური მიზეზების გამო იძულებული ვართ უარი ვთქვათ სახელთა ზუსტ ტრანსკრიფციაზე.

⁶ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, თა'რიხ ბაღდად ავ მაღინათ ას-სალამ, ტ. II, მისრ, 1349/1931, გვ. 96.

⁷ as-Sam'ani, al-Ansab, vol. III, Ed. by Abdur-Rahman b. Yahya al-Mu'allimi al-Yamini, Hayderabad, 1963 (Beirut, 1980, რებრანტი) გვ. 66; ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

ისტორიკოსი ატ-ტუსი (გარდ. 1067 წ.), რომელიც მოკლედ აღნიშნავს, რომ ბუსრი დასახლებულა ქ. მაღინში (ერაყი)⁸.

3. მუჰამმად იბნ ბაიჰან იბნ ჰუმრან ალ-მადა'ინი ათ-თიფლისი — სუნიტი მუჰადლისი, ქმა ბუსრ იბნ ბაიჰანისა (№ 2). ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი და ას-სამ'ანი მიუთითებენ, რომ ის წარმოშობით იყო თბილისიდან (ასლუჰუ მინ თიფლისი)⁹ მისი მეორე ნისბა ალ-მადა'ინი, რომელსაც ატარებდა აგრეთვე, მუჰამმადის მამაც, ასევე სუნიტი მუჰადლისი ბაიჰან იბნ ჰუმრანი¹⁰, მოწმობს, რომ ამ არაბულ ოჯახს კავშირი ჰქონდა ერაყის ქალაქ მაღინთან. მუჰამმად იბნ ბაიჰანი თბილისიდან ბაღდადში გადასახლებულა¹¹, რაც, ბუნებრივია, 762 წ. შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამ ის გადაცემდა ჰადისებს, რომლებიც მოისმინა 'აბდ ალლაჰ იბნ ჰამმად ათ-თიფლისისგან და სხვა პირთაგან. ესენია: ჰამმად იბნ ზაიდ იბნ დირჰამ ალ-აჰდი (გარდ. 179/795 წ.), რომელიც ითვლებოდა თავისი დროის ყველაზე სანდო მუჰადლისად, მარეან იბნ შუჯა' ალ-ჯაზარი (გარდ. 184/800 წ.), ალ-მა'ათი იბნ 'იმრან აბუ მას'უდ ალ-აჰდი¹² (გარდ. 185/801 წ.) და სხვ.

4. ალ-ფადლ იბნ აბუ კურრა ათ-თამიმი ას-სამანდი ათ-თიფლისი — შიიტი მუჰადლისი, ჯა'ფარ ას-სადიკის ერთ-ერთი მიმდევარი. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან შიიტი ისტორიკოსები: ალ-ბარჯი (გარდ. 887 ან 893 წ.), ან-ნაჯაში (გარდ. 1058 წ.) და ატ-ტუსი. იყო ქუფელი¹³, ეკუთვნოდა თამიმის არაბულ ტომს (საიდანაც მომდინარეობს მისი პირველი ნისბა). როგორც ზომიერ შიიტთა მიმდევარი მოღვაწეობდა აზერბაიჯანში (მის მეორე ნისბას უკავშირებენ აზერბაიჯანის ქალაქ სამანდს¹⁴), საიდანაც გადასულა არმინიაში¹⁵, სახალიფოს იმ პროვინციაში, რომელშიც შედიოდა თბილისის საამიროც. ალ-ფადლის მესამე ნისბა ათ-თიფლისი¹⁶ მიუთითებს, რომ მისი მოღვაწეობა თბილისთანაც იყო დაკავშირებული.

ალ-ფადლ იბნ აბუ კურრა ჯა'ფარ ას-სადიკის მეორე მიმდევარია, რომელიც ათ-თიფლისის ნისბას ატარებდა. ამ იმამს გამორჩეული ადგილი უჭირავს შიიტ იმამიტთა, იგივე ჯა'ფარიანთა (არაბ. ჯა'ფარი) ან თორმეტიანთა (არაბ.

⁸ ატ-ტუსი, აბუ ჯა'ფარ მუჰამმად იბნ ალ-ჰასან, რიჯალ ატ-ტუსი, ან-ნაჯაჰ, 1381/1961, გვ. 160, № 88.

⁹ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, თა'რიხ ბაღდად, გვ. 96; as-Sam'ani, გვ. 66; ე. სი-ხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 47, 49—51.

¹⁰ ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, თა'რიხ ბაღდად, ტ. VII, მისრ, 1349/1931, გვ. 111; მისივე, ალ-მუშობიჰ ფი რ-რიჯალ, ტ. II, ალ-კაჰირა, 1962, გვ. 248.

¹¹ თბილისელ მუსლიმთა უკუმიგრაციას, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა უკვე VIII ს. II ნახევარში.

¹² ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი, თა'რიხ ბაღდად, ტ. II, გვ. 96; as-Sam'ani, გვ. 66. დასახელებულ პირთა სრული სახელები, რომელთაც ალ-ხატიბ ალ-ბაღდადი შემოკლებით იძლევა, და მათი გარდაცვალების წლები მოყვანილია იბნ 'იმად ალ-ჰანბალის (გარდ. 1678 წ.) მიხედვით. — შაზარათ აზ-ზაჰაბ ფი ახბარ მან ზაჰაბა, ტ. I, ბაარუთ, 1399/1979, გვ. 212, 306, 308.

¹³ ალ-ბარჯი, აბუ ჯა'ფარ აჰმად იბნ აბი 'უბაიდ ალლაჰ, რიჯალ ალ-ბარჯი, თეჰრან, 1342, გვ. 36.

¹⁴ ან-ნაჯაში, აჰმად იბნ 'ალი იბნ აჰმად, არ-რიჯალ (გამოცემის ადგილის გარეშე), 1317/1899-1900, გვ. 218.

¹⁵ ატ-ტუსი, რიჯალ..., გვ. 271, № 12.

¹⁶ იქვე, ამ ნისბის გარეშე ალ-ფადლს იხსენიებს კიდევ ერთი შიიტი ავტორი 'ალი იბნ შაჰრასუბი. ალ-მაჰანდარანი (გარდ. 1192 წ.) — მაალიმ ალ-ულამა ფი ფიჰრისთ ქუთუბ აშ-ში 'ა ვა ასმა' ალ-მუსანნიფინა, თათიშმა ქითაბ ალ-ფიჰრისთ ლი ლ-შაჰბ აბი ჯა'ფარ' ატ-ტუსი, თაჰკიე მ. ს. ბაჰარ ალ-უ ლუმ, ან-ნაჯაჰ, 1380/1961, გვ. 91.

ისნა 'ასადიკი) იმამებს¹⁷ შორის, თვლებს იმამიტა სექტის ფუქმედებლად დასაერთოდ, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მუსლიმ ღვთისმეტყველებსა და სამართალმცოდნეთა შორის. მისი რეზიდენცია იყო მედინაში, საიდანაც მკიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ქუფასთან — ერაყში შიიტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს ცენტრთან. ჯაფარის მოწაფეები, რომელთა რიცხვი 4 ათასს აღწევდა, იწერდნენ და ავრცელებდნენ ამ იმამის მიერ გადაცემულ ჰადისებს. თითოეული მისი მოწაფე თვლებობდა ცოდნის ერთი რომელიმე დარგის კარგ მცოდნედ, რაც საშუალებას აძლევდა იმამიტებს წარმატებით ეკამათათ მოწინააღმდეგეებთან და ეწარმოებინათ ალიდური პროპაგანდა, როგორც მედინაში, ისე სახალიფოს სხვა ქალაქებში¹⁸.

ჯაფარ ას-სადიკის მიმდევართა მოღვაწეობის გეოგრაფიული არეალი საკმაოდ ფართო იყო. ამაზე ნაწილობრივ მეტყველებს მათი ნისბები (ალ-კუმში, ალ-ჰამდანი, ას-სიჯისთანი, ას-საჰრაფი, ალ-ჯურჯანი, ალ-არმანი, ალ-მარალი და სხვ.), რომლებიც დამოწმებულია ან-ნაჯაშისა და ატ-ტუსის შრომებში.

ჯაფარ ას-სადიკის მოღვაწეობის დროს თბილისის საამირო ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პროცესში იყო. ბუნებრივია, ვივარაუდოთ, რომ შიიტ იმამთა ეს თვალსაჩინო წარმომადგენელი ყველა ღონეს იხმარდა, რათა თავისი მიმდევრების მეშვეობით დასაყრდენი შეექმნა სახალიფოს ამ სასაზღვრო პუნქტში. არ არის გამორიცხული, რომ მას ამ მხრივ წარმატებებიც ჰქონდა. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ერთ-ერთ შიიტურ ჰადისში, რომელიც სწორედ ჯაფარ ას-სადიკს უკავშირდება, თბილისი ყუმთან და ქუფასთან ერთად ღმერთის მიერ გამოჩენულ ქალაქად არის დასახელებული. გ. ბერაძე, რომელმაც პირველად მიაქცია ყურადღება შიიტი ისტორიკოსის ჰასან იბნ მუჰამად ალ-კუმის (გარდ. 406/1015-16 წ.) თხზულებაში „თარბიხ ალ-კუმ“ („ყუმის ისტორია“) დაიკულ ამ ჰადისს¹⁹ და შემოიტანა ის ქართულ ისტორიოგრაფიაში, მიიჩნევს, რომ თბილისის მოხსენიება ორი უმნიშვნელოვანესი შიიტური ცენტრის — ქუფასა და ყუმის გვერდით შემთხვევითი და უსაფუძვლო არ უნდა იყოს. შიიტური მოძრაობის წინაშე თბილისის რალაც განსაკუთრებულ „დამსახურებას“ თუ შეეძლო გამოეწვია და შიიტების თვალში გაემართლებინა ჯაფარ ას-სადიკისადმი მიწერილ გადმოცემაში თბილისის დასახელება ქუფისა და ყუმის ტოლფას „ღვთივკურთხეულ ქალაქად“²⁰.

შიიტ ისტორიკოსებს აღნუსხული ჰყავთ იმამიტების ის მიმდევრები, რომ-

¹⁷ ჯაფარ ას-სადიკის შესახებ იხ. И. П. Петрушевский, Ислам в Иране, Т., 1966, გვ. 250; С. М. Прозоров, Арабская историческая литература в Ираке, Иране и Средней Азии, Шинтская литература, М., 1980, გვ. 22; M. G. S. Hodgson, *Dja'far al-Sadik*, EI², vol. II, გვ. 374—75.

¹⁸ შიიტური მწერლობა დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც იმამთა, ისე მათ მიმდევართა მოღვაწეობას. უკვე ჯაფარ ას-სადიკის მიმდევარ-მოწაფეთა შორის დაიწერა პირველი ნაწარმოებები „არ-რიჯალის“ სახელწოდებით იმ მუჰადისების შესახებ, რომლებიც გადასცემდნენ ჯაფართან მოსმენილ ჰადისებს (საერთოდ, შიიტები იმოწმებენ მხოლოდ იმ ჰადისებს, რომლებიც ალიდი იმამებისგან მომდინარეობენ). თანდათანობით მათ დაემატათ ის პირებიც, რომლებიც გადასცემდნენ ჯაფარის წინამორბედი და მომდევნო სხვა იმამების ჰადისებსაც. „არ-რიჯალის“ ტიპის თხზულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია ატ-ტუსისა და ან-ნაჯაშის ზემოდასახელებული შრომები. ამ ფანის ლიტერატურის შესახებ, რომელიც საერთოდ უკავშირდება ცოდნის გარკვეულ დარგის „ილმ არ-რიჯალის ან მა'რიფათ არ-რიჯალის შექმნას VIII ს. II ნახევარში, იხ.: С. М. Прозоров, დასახ. ნაშრ., გვ. 40; B. Scarcia Amoretti, *'Ilm al-Ridjal*, EI², vol. III, გვ. 1151.

¹⁹ გ. ბერაძე, შუა საუკუნეების თბილისის ისტორიისათვის (ერთი მუსლიმური გადმოცემის შესახებ), „ახლოდმოსავლური კრებული“, თბ., 1980, გვ. 54—60.

²⁰ იქვე, გვ. 57.

ლებამაც რაიმე ნაშრომი დაგვიტოვეს, სახელდობრ ჰადისების 6600 წიგნი (ქითაბ) და 400 ასლი (მრ. უსულ — წყარო, ორიგინალი) — იმამების მუჰამად აღ-ბაყირისა (გარდ. 732 წ.) და ჯაფარ ას-სადიკისადმი მიცემული კითხვებისა და პასუხების ჩანაწერები. ამ მიმდევართა შორის არის აღ-ფადლ იბნ აბუ კურრაც, რომელსაც ატ-ტუსის თანახმად შეუდგენია წიგნი (ქითაბ)²¹ ჰადისების შესახებ. ეს ჰადისები, რომლებიც მან მოისმინა ჯაფარ ას-სადიკისგან, ანდა შუამავალ ინფორმატორთაგან, დამოწმებული აქვთ IX—X სს. ბევრ ცნობილ შიიტ მწერალს²², რაც მოწმობს, რომ აღ-ფადლ იბნ აბუ კურრა სანდო მუჰადლისად ითვლებოდა.

5. აბუ მუჰამმად შარიფ იბნ საბიყ ათ-თიფლისი — VIII ს. II ნახევრისა და IX ს. დასაწყისის შიიტი მუჰადლისი. ან-ნაჯაშის, ატ-ტუსის და სხვა შიიტ ისტორიკოსთა თანახმად იყო აღ-ფადლ იბნ აბუ კურრას მიმდევარი, წარმოშობით ასევე ქუფელი, რომელიც შემდეგ გადასულა თბილისში²³. ის ავტორია ჰადისების წიგნისა (ქითაბ), რომელსაც იმოწმებდნენ IX—XII სს. ცნობილი შიიტი ავტორები²⁴.

6. აბუ მუჰამმად აღ-ჰასან ათ-თიფლისი — შიიტი მუჰადლისი, იმამების: მუსა აღ-ქაზიმის (გარდ. 799 წ.) და 'ალი არ-რიდას (გარდ. 818 წ.) მიმდევარი²⁵.

²¹ ატ-ტუსი, აღ-ფიჰრისტ, საჰჰაჰჰუ ვა 'ალლაჟა 'ალაჰიბი აღ-'ალამა ას-საჰად მ. ს. აღ-ბაჰარ ალ-უღლუმი, ან-ნაჯაფ, 1356/1937, გვ. 125 № 55.

²² ატ-ტუსის თანახმად (აღ-ფიჰრისტ, გვ. 125; რიჯალ, გვ. 489) ჯაბე იმ მუჰადლისებისა, რომლებიც აღ-ფადლისგან გადასცემდნენ, ასე გამოიყურება: ჰუსაინ იბნ სა'იდ იბნ ჰამმად აღ-აჰმადი (IX ს.), ცნობილი შიიტი ფაჰიბი (სამართალმცოდნე), ფიჰკის შესახებ 30 შრომის ავტორი, იმამების: 'ალი არ-რიდას (გარდ. 818 წ.) და მუჰამმად აღ-ჯავედის (გარდ. 835 წ.) მიმდევარი — იბრაჰიმ იბნ სულამან იბნ 'აბდ ალლაჰ ან-ნიჰმი აბუ ლ-ისაჟ აღ-ხაზნაზი აღ-ქუფი (გარდ. 883 წ.), მუჰადლისი, ისტორიკოსი და ლიტერატორი, ავტორი შრომისა „ქითაბ არ-რიჯალ მან რაჟა 'ან ას-სადიყ“ („წიგნი ას-სადიკისგან ჰადისების გადაცემთა შესახებ“) — ჰუმაიდ იბნ ზიად იბნ ჰამმად აბუ ლ-ასიმ აღ-დიჰკან აღ-ქუფი (გარდ. 922 წ.), — ცნობილი მეცნიერი, მუჰადლისი და ბიოგრაფი. ან-ნაჯაშის თანახმად (არ-რიჯალ, გვ. 219), ჯაბე იმ პირებისა, რომლებიც გადასცემდნენ ჰადისებს აღ-ფადლისგან, ასეთია: შარიფ იბნ საბიყ ათ-თიფლისი (IX ს.) — 'ალი იბნ ისაჟ იბნ 'იმაიდ (IX ს.) — მუჰამმად იბნ აჰმად აღ-ქილაბი (IX ს.) — აჰმად იბნ მუჰამმად იბნ სა'იდი, იგივე იბნ 'უჯა (გარდ. 944 წ.), ცნობილი ბიოგრაფი, ისტორიკოსი, შიიტური გადაცემების შემკრები და მცოდნე — მუჰამმად იბნ ჯაფარ იბნ ზატრა აბუ ჯაფარ აღ-კუმი (X ს.), დიდი ავტორიტეტის მქონე ქუფელი მუჰადლისი. ყველა დასახელებულ პირთა სრული სახელები, რომელთაც ან-ნაჯაში და ატ-ტუსი შემოკლებით იძლევიან, აღდგენილია ს. პროზოროვის მიხედვით. С. М. Про́зоров, დასახ. ნაშრ., გვ. 90, 104, 127, 133, 136, 175.

²³ ან-ნაჯაში, გვ. 139; ატ-ტუსი, რიჯალ, გვ. 476, № 3; მისივე, აღ-ფიჰრისტ, გვ. 82, № 344; აღ-ქაშუში, რიჯალ აღ-ქაშუში, ქარბალა (თარიღის გარეშე), გვ. 292, № 183; 'ალი იბნ შაჰრასუბ აღ-მაჰანდარანი, გვ. 91; შდრ. აღ-ამილი, 'აჰან აშ-შია, ტ. VII, ნაწ. I, დიშაჟი, 1938, გვ. 185, № 919; ატ-ტუსი შარიფს ასახელებს იმ პირთა შორის, რომლებიც არ გადასცემდნენ ჰადისებს რომელიმე იმამისაგან. როგორც ჩანს, მას არ მოუხმენია იმამიტი იმამებისთვის და იყენებდა სხვა მუჰადლისების, მათ შორის აღ-ფადლ იბნ აბუ კურრას ინფორმაციას. მის კიდევ ერთ ინფორმატორს — ჰამმად ას-სამანდარის ასახელებს აღ-ქაშუში (რიჯალ, გვ. 292).

²⁴ ან-ნაჯაშის თანახმად (არ-რიჯალ, გვ. 139) ჯაბე მუჰადლისებისა, რომლებიც იმოწმებდნენ ამ წიგნს, ასეთია: მუ'ავინა იბნ ჰაჰიმ აღ-დუჰნი (IX ს.) — მუჰამმად აღ-ბარკი (გარდ. 835 წ.) — მისი ვაჟი, გამორჩენილი შიიტი მეცნიერი და ენციკლოპედისტი აბუ 'აბდ ალლაჰ აჰმად იბნ მუჰამმად აღ-ბარკი (გარდ. 887 ან 893 წ.) — აღ-ჰასან იბნ ჰამზა აღ-ალავი ატ-ტაბარი (გარდ. 969). მიუხედავად ამისა, იბნ დაეუდ აღ-პილლი (გარდ. 1339 წ.) აღნიშნავს, რომ შარიფი იყო სუსტი (და'იფ) მუჰადლისი. აღ-პილლი, 'ალი იბნ აბუ ედუ. ქითაბ არ-რიჯალ, თეჰრან, 1342, გვ. 461, № 225.

²⁵ ატ-ტუსი, რიჯალ, გვ. 397, № 17; აღ-პილლი, გვ. 569. შიიზმის ისტორიის მკვლევრის აღ-ამილის თანახმად, აბუ მუჰამმადი არის იგივე აღ-ჰასან იბნ ნადრ აღ-არმანი ('აჰან აშ-შია, ტ. 2, დიშაჟი, 1365/1946, გვ. 124, № 4021, ტ. 23, გვ. 351—364, № 4652), მაგრამ სხვა რაიმე დამატებით ცნობას ამ პიროვნების შესახებ არ იძლევა.



7. ისპაკ იბნ ისმა'ილ იბნ შუ'აბ ათ-თიფლისი ალ-უმავი — თბილისის არაბი ამირა²⁶ (830—853), შუ'აბიანთა საგვარეულოდან, რომლის წარმომადგენლებიც, როგორც ფიქრობენ, VIII ს. 30-იანი წლებიდან იმყოფებოდნენ თბილისში. არაერთგზის ეწვევებოდა აბასელ ხალიფებს და მიუხედავად დამსჯელი ექსპედიციებისა, რომლებიც მის წინააღმდეგ იგზავნებოდა, დიდ ხანს შეინარჩუნა ძალაუფლება. ისპაკს კავშირი ჰქონდა კახეთის მთავრებთან, ცოლად ჰყავდა სარირის (ავართა) მფლობელის ასული. 853 წლის 5 აგვისტოს ხალიფა მუთაჰაჰილის სარდალმა ბულა-თურქმა აიღო თბილისი, ხელთ იგდო და სიკვდილით დასაჯა ურჩი ამირა²⁷.

8. ჰამზა მულაჰჰინ იბნ 'ალი ათ-თიფლისი — ალიდი. ხალიფა 'ალის (656—661) ვაჟის — ჰუსაინის (გარდ. 680 წ.) პირდაპირი შთამომავალი (მე-7 თაობა). მას იხსენიებს შიიტი გენეალოგისტი იბნ 'ინაბა (გარდ. 1424 წ.)²⁸. მართალია ის არ მიუთითებს ჰამზას მოღვაწეობის ხანას, მაგრამ აღნიშნავს, რომ მისი მამა 'ალი ად-დინავარი იყო იმამ მუჰამმად ალ-ჯავადის (812—832) თანამედროვე, რომლის ბრძანებითაც დამკვიდრდა ქ. დინავარში²⁹. ამ ცნობის მიხედვით, ჰამზა ათ-თიფლისი IX ს. შუა ხანებში ცხოვრობდა.

9. აბუ ჯა'ფარ მუჰამმად ალ-ასლარ ათ-თიფლისი — ალიდი. ჰამზა ათ-თიფლისის ვაჟი. იხსენიებს XI ს. შიიტი გენეალოგისტი იბნ ტაბატაბაჰი, რომელიც

²⁶ ქართულ წყაროებში ისპაკი მოხსენიებულია როგორც საპაკ (საყ) ისმაელის ძე — მატანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყულხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 255—256. ათ-თიფლისის ნისბით მას ასახელებს ალ-აქუბი — თარის ალ-აქუბი, ალ-მუჯალად ას-სანი, ბაარუთ (თარხლის გარეშე), გვ. 464; ალ-უმავის ნისბით კი — ას-საფადი: Das Biografische Lexicon des Sala h a d - d i n Ḥalil ibn Aibakas-Safadi, Teil 8, Hrsg. von N. Y. Najm, Wiesbaden, 1971, გვ. 404. ეს უკანასკნელი ნისბა განპირობებულია იმით, რომ ისპაკი (ან მისი წინაპარი) იყო ომაიანთა მავალი (კლიენტი), თუმცა ალ-მას'უდი იმის შესაძლებლობასაც უშვებდა, რომ ის ყურეშითა ტომის ომაელთა საგვარეულოს ეკუთვნოდა, — მურუჯ აზ-ჰაბაბ, ეა მა'ადინ ალ-ჯიჰარ, ალ-ჯუზ' ალ-ავვალ, ბაარუთ, 1979, გვ. 227.

²⁷ ისპაკ იბნ ისმა'ილის მოღვაწეობის შესახებ იხ. მატანე ქართლისა, გვ. 255—56. ალ-აქუბი, გვ. 464, 475, 481, 489, ალ-ბალაზური, ფუთუჰ ალ-ბულდან, ბაარუთ, 1978, გვ. 213. Al-Tabari. Tarikh at-Tabari, vol. IX, Ed. critique M. A. F. Ibrahim, Le Caire, 1976, გვ. 192—93. В. Ф. Минорский, История Ширвана и Дербенда, М., 1961, გვ. 46. მისი სახელი შევიდა არაბულ პოეზიაში, მოხსენიებულია 'ალი იბნ ჯამზას ერთ კასიდაში, რომელიც ამ პოეტმა თბილისის აღებასთან და ისპაკის სიკვდილთან დაკავშირებით მიუძღვნა ხალიფა მუთაჰაჰილს — დივან 'ალი იბნ ჯამზა, 'ინა ბი-თაჰკიკიბი ხ. მარდამ ბეჟ, დიმაშე, 1949, გვ. 174—175, № 84. შდრ. В. Минорский, История..., გვ. 82. ამ ლექსის პირველი სტრიქონები პოეტის დუსახელებლად მოყვანილია იაკუთის გეოგრაფიულ ლექსიკონში სულდაბილის აღწერის დროს — იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი, ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბ., 1964, გვ. 71. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ისპაკ იბნ ისმა'ილის შესახებ ბევრი რამ არის დაწერილი. უკანასკნელად იხ.: მ. ლორთქიფანიძის ნარკვევი «Тбилисский эмират» წიგნში — «Очерки истории Грузии», т. II, Тб., 1988, გვ. 344—48.

²⁸ იბნ 'ინაბა, 'უმდა ატ-ტალიბ ფი ანსაბ აბი ტალიბ, ან-ნაჟაფ, 1381/1961, გვ. 345.

²⁹ იქვე.

³⁰ იბნ ტაბატაბაჰი, აბუ ისმა'ილ იბრაჰიმ იბნ ნასირ, მუნთაჰილათ ატ-ტალიბია, თაკყე მ. მ. ალ-ხურასან, ან-ნაჟაფ, 1388/1968, გვ. 66. უნისბოდ ამ პიროვნებას ასახელებს იბნ 'ინაბა (გვ. 345). იბნ ტაბატაბას აბუ ჯა'ფარ მუჰამმადის გენეალოგიაში გამოტოვებული აქვს მისი მამის სახელი (გვ. 102). თანამედროვე არაბ მეცლევარს უ. რ. ჯამზაალას თავის ავტორთა ლექსიკონში («მუ ჯამ ალ-მუ' ალიფინა», ტ. XI, დიმაშე, 1960, გვ. 174—175) ათ-თიფლისის ნისბით შეაქვს ჰამზას და მუჰამმადის ერთ-ერთი შთამომავალი, გენეალოგისტი მუჰამმად იბნ ალ-მუჰასსინი (გარდ. 1087 წ.), მაგრამ ჯამზალას

აღნიშნავს, რომ მუჰამადი დამკვიდრებულა კ. თინისზე (ხმელთაშუა ზღვაში, დამიეტასა და ფარამას შორის), რაც კალმისმიერი შეცდომა უნდა იყოს. ავტორი ზოგჯერ წერს თინისს — თიფლისის ნაცვლად და პირიქით³¹.

ალიდების კავშირები თბილისთან, რაც დღემდე უცნობი იყო, არ შეიძლება ინტერესს არ იწვევდეს.

VIII—X საუკუნეებში ხალიფა ალის ვაჟების პასანის, ჰუსაინისა და აბბასის მრავალრიცხოვანი შთამომავლები, რომლებიც ოპოზიციაში ედგნენ ჯერ ომელებს, შემდეგ კი აბასელებს, როგორც ცნობილია, დაიფანტნენ და დასახლდნენ ჩრდ. აფრიკაში, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში. ომელები, ბუნებრივია, არ ენდობოდნენ ლოიალურად განწყობილ ალიდებსაც კი, არ აძლევდნენ მათ სახელმწიფო თანამდებობებს და სიცოცხლეს უსწრაფავდნენ ყველაზე სახიფათოებს. ძირითადად, ამავე პოლიტიკას ატარებდნენ აბასელებიც, რომლებიც თავდაპირველად, ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, დაუახლოვდნენ ალიდებს. თავის მხრივ, პასანისა და ჰუსაინის შთამომავლები ხშირად აწყობდნენ ხოლმე აჯანყებებს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ და ზოგჯერ ახერხებდნენ კიდევაც ძალაუფლების ხელში ჩაგდებას (მაგ., მალრიბში, ჰიჯაზში, იემენში, ტაბარისტანში, დელიამში, ჟურჯანში...)³².

შიიტურ ლიტერატურაში ალიდების შთამომავლობას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. შედგენილია ალიდების განმტობათა გენეალოგიები, აღწუსებულია მათი გავრცელების, დამკვიდრებისა და აღსრულების ადგილები. ჰამზასა და მისი ვაჟის თბილისში დამკვიდრება, რაც სწორედ ამ ტიპის თხზულებებშია ფიქსირებული, იმამიტა პოლიტიკით უნდა იყოს განპირობებული. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ჰამზას მამის — ‘ალი ად-დინავარის კავშირი მე-9 იმამთან — მუჰამად ალ-ჯავეადთან. მუჰამად იბნ ჰამზას შთამომავლები, შესაძლოა, აღარ ცხოვრობდნენ თბილისში. ცნობილია, რომ მისი ერთი ვაჟი — ‘ალი ჰადუსა გადასახლებულა ბაღდადს³³.

თბილისის მიმართ შიიტთა ინტერესების საილუსტრაციოდ შიიტური ლიტერატურიდან შეიძლება კიდევ რამდენიმე ფაქტი მოვიყვანოთ. იბნ ტაბატაბას თანახმად, თბილისში დამკვიდრებულან ‘ალის ვაჟის ‘აბბასის შეილთაშვილის კასიმ იბნ კასიმის შთამომავლები³⁴, ალბათ IX ს. მიწურულსა თუ X ს.

მიერ დასახლებული წყარო (იხ. ატ-ტაპარი, ალა ბუ ზურჯ, ტაბაკთა ალამ ალ-შა-‘ა ვა ჰუვა ან-ნაბის ფი ალ-კარნ ალ-ხამის, ბაჰრუთ, 1971, გვ. 183) ამ ნიშნს არ იძლევა.

³¹ იბნ ტაბატაბა, გვ. 101—102, 371 (გამომცემლის კომენტარი). მსგავსი აღრევების შესახებ იხ. ქვემოთ, შენ. № 34.

³² ალიდების შესახებ იხ.: Cl. Huart, Alids, „Shorter Encyclopaedia of Islam“, Leiden, 1961, გვ. 32—33; B. Lewis, Alids, EI², vol. I, გვ. 402.

³³ იბნ ტაბატაბა, გვ. 66.

³⁴ იქვე, გვ. 102. ავტორი აქცე შეცდომით წერს თინისს — თიფლისის ნაცვლად. „მუნთაკილთა ატ-ტაბარიას“ გამოცემელი ალ-ხურასანი შეიბ მუჰამად იბნ აბუ ჯაფარ ალ-უბაიდის (გარდ. 437/1045-46) თხზულებაზე „თაჰზიბ ალ-ანსაბ“ („გენეალოგიათა შემოკლება“) დაყრდნობით მიუთითებს (გვ. 88, შენ. 2), რომ კასიმ იბნ კასიმის შთამომავლები დამკვიდრებულან სწორედ თბილისში და, გარდა ამისა, მარალასა და ბარდავშიც. იბნ ტაბატაბა სხვა შემთხვევაში აღნიშნავს, რომ თბილისში დასახლებულა ‘ალის ვაჟის პასანის შთამომავალთა ორი შტოც (გვ. 101). მაგრამ მათი მოღვაწეობა სინამდვილეში დაკავშირებული იყო იემენთან და ეგვიპტესთან, კერძოდ კი კ. თინისთან (შდრ. ალ-ხურასანის შენ., გვ. 371). თბილისისა და თინისის, და მოთვან ნაწარმოები ნიშნების აღრევა გვგვდება სხვა შრომებშიც. მაგ. იბნ თაღრი ბირდი (გარდ. 1470 წ.) თავის თხზულებაში „ან-ნუჯუმ ალ-შაჰირი ფი მულუქ მისრ ვა ლ-კაბირა“ იხსენიებს ცნობილი თეოლოგის აბუ ლ-ჰასან ‘ალი ად-დარაქტინის მსაწავლებელს აბუ ბაქრ მუჰამად იბნ ‘ალი ათ-თიფლისის (გარდ. 369/979-80 წ.) (Abul-Mahasin ibn Taghri Birdi's Annals entitled an-nujum az-zahira., vol. II, pt. 2, № 3, Ed by W. Popper. Berkeley, 1912 გვ. 26.), რომელიც

დასაწყისში. სხვა ცნობით, რომელიც აბუ ლ-ფარაჯ ალ-ისბაჰანის მიეკუთვნება, ხალიფა ალ-მუთადირის (908—932) დროს, არა უგვიანეს 925 წლისა, თბილისში მოუკლავთ ერთი ალიდი — ჰუსაინ იბნ 'ალი³⁵, რომელიც იყო პირდაპირი შთამომავალი ჯა'ფარ ას-სადიკის ვაჟის — ისმა'ილისა. ამ ისმა'ილისგან კი, როგორც ცნობილია, სათავეს იღებს შიიზმის უკიდურესი სექტა — ისმაილიტობა.

ამრიგად, VIII—X საუკუნეებში თბილისის კავშირები როგორც ზომიერ, ისე უკიდურეს შიიზმთან (დამატებით იხ. № 12) აშკარაა. მაგრამ მასალების სიმცირე მაინც არ იძლევა საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ ამ პერიოდის თბილისში შიიტური მოძრაობის როლი და მნიშვნელობა. შეიძლება დავუშვათ, რომ ისლამის ქვეყნების უმეტესობის მსგავსად შიიტები თბილისშიც შეადგენდნენ აქტიურად მოქმედ უმცირესობას. ყოველ შემთხვევაში, X ს. შუა ხანებში, იბნ ჰაუკალის თანახმად, თბილისის მოსახლეობა (მისი მუსლიმური ნაწილი) წმინდა სუნის, ე. ი. ორთოდოქსალური ისლამის, მიმდევარი იყო³⁶. ასევე სუნიტია, როგორც ვნახავთ, ათ-თიფლისიგების დიდი უმრავლესობაც.

10. აბუ ლ-კასიმ 'ისა არ-რაჰკი ათ-თიფლისი — ექიმი და ასტროლოგი. მოღვაწეობდა სირიაში ჰამდანიანი საიფ ად-დავლასა (945—967) და ბლდადში ბუვეიჰელ ადუდ ად-დავლას (977—982) კარზე. იბნ აბუ უსაბიბ'ას (გარდ. 1270 წ.) თანახმად თარგმნიდა სირიულიდან არაბულად და იყო „თავისი დროის ცნობილი ექიმი და საექიმო ხელობის ჰემმარატი მცოდნე“³⁷. ავტორია შრომისა „ატ-ტიბბ“ („მედიცინა“)³⁸.

სინამდვილეში ცნობილი იყო ათ-თინისის ნისბით. იხ. იბნ თალრი ბირდი, ან-ნუჟუმ აზ-ჰაჰირა ფი მულუქ მისრ ვა ალ-კაჰირა, ტ. IV, ალ-კაჰირა, 1383/1963, I, გვ. 137, შუნ. 1; იბნ 'იმად ალ-ჰანბალი, შაზარათ აზ-ჰაჰაბ ფი ახბარ მან ჰაჰაბა, ტ. III, ბაარუთ, 1399/1979, გვ. 70.

³⁵ ალ-ისბაჰანი, აბუ ლ-ფარაჯ, მკათილ ატ-ტალიბინა, შარჰ ვა თაკიკ ა. საკირ, ალ-კაჰირა, 1368/1949, გვ. 709. ამ ნაშრომში, რომელიც დასრულებულია 925 წ., აღნიშნულია, რომ ჰუსაინი მოუკლავს ხალხს, რომელსაც ეწოდებოდა ახ-საფარიაა. აქ ვფიქრობთ უნდა იყოს ახ-სანარიაა, ე. ი. წინარები.

³⁶ ე. სიხარულიძე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ. „საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები“, წიგნი I, თბ., 1976, გვ. 36.

³⁷ იბნ აბი უსაბიბ'ა, 'უჟუნ ალ-ანბა' ფი ტაბაიათ ალ-ატიბბა', ტ. II, 1299/1882, გვ. 140. დამატებით მის შესახებ იხ. იბნ ალ-კალანისი, თარ'ის დიმაშე, ბი-თაკიკ ს. ზაქქარ, დიმაშე, 1403/1983, გვ. 66; Ibn al-Qifti's Ta'rih al-Hukama', 'Auf grund der vorarbeiten Aug. Müller's. Hrsg. J. Lippert, Leipzig, 1903, გვ. 250 (აქ ნისბად დასახელებულია ან-ნაფისი). H. Züter, Die Mathematiker und Astronomen der Araber und ihre Werke, Abhandlungen für Geschichte der Mathematischen Wissenschaften, Hrsg. M. Cantor, 10, Leipzig, 1900, გვ. 61; Г. П. Матвиевская, Б. А. Розенфельд, Математики и астрономы мусульманского средневековья и их труды (VIII—XVIII вв.), 2, М., 1983, გვ. 156, № 133.

³⁸ И. К. Эфендиев, История медицины в Азербайджане с древнейших времен до конца XIX века, Баку, 1964, გვ. 72. ი. ეფენდიევის თანახმად, 'ისა არ-რაჰკი (ურ-რაგვი) სირიულიდან წაიარებინა სამედიცინო ნაშრომებს ამლიდებელთა თავისი კომენტარებით, რაც გამოიხატებოდა მასალის კრიტიკულ ანალიზსა და საკუთარი პოზიტიური შეხედულებების გადმოცემაში (И. К. Эфендиев, დასახ. ნაშრ., გვ. 72). მკვლევარი 'ისა არ-რაჰკის აზერბაიჯანელ (!) ექიმთა შორის ასახელებს და მის ნაშრომს — „ატ-ტიბბს“ მიიჩნევს „X ს-ში აზერბაიჯანის მედიცინის მდგომარეობის ამსახველ ჩვენამდე მოღწეულ პირველ ძეგლად“. სამწუხაროდ, ი. ეფენდიევი არ მიუთითებს თავისი ინფორმაციის წყაროს და არც იმას, თუ სად არის დაცული „ატ-ტიბბ“. აღნიშნავთ, რომ ეს თხზულება უცნობი დარჩა კ. ბროკელ-მანისა და ფ. სეზენისათვის. ქართველ მკვლევართაგან 'ისა არ-რაჰკი ათ-თიფლისის — ი. ეფენდიევიზე დაყრდნობით — პირველად შეეხო გ. ფიცხელაური (Г. З. Фицхеллаури, Медицина и выдающиеся медики средневекового Востока, Тб., 1982, გვ. 163—164).

11. აბუ ლ-კასიმ საბით იბნ ბუნდარ იბნ ასად ათ-თიფლისი — სუნტი მუჰადდისი (IX—X სს. ?). მას იხსენიებს ცნობილი ფაკიჰი და სუფი აბუ ნუ'აიმ ალ-ისბაჰანი³⁹ (გარდ. 1038 წ.).

12. აბუ 'აბდ ალლაჰ ისმა'ილ იბნ მუჰამმად იბნ ჰუმადალ ათ-თაჯირ ან-ნაჰსა-ბური ათ-თიფლისი — ნისბების მიხედვით იყო დიდვაჭარი და, ჩანს, კავშირი ჰქონდა როგორც თბილისთან, ისე ნიშაბურთან (ირანი). დაიბადა 373/982—83 წ.⁴⁰, გარდაცვალების წელი უცნობია.

13. აბუ მუჰამმად ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისი — შიიტი ლიტერატორი (ადიბ) და გრამატიკოსი X ს. მიწურულსა და XI ს. დასაწყისში. იბნ ალ-კიფტის თანახმად⁴¹ ალ-ჰასან იბნ ბუნდარი 50 წელი შეისწავლიდა ლიტერატურასა და არაბულს, რაც მოიხსენია თავის წიგნში „ალ-მანაჰიბ ვა ლ-ჰასან-ლიბ“ („საქებარი და საძრახი თვისებები“). ეს წიგნი მას შეუდგენია ამირა 'ალი იბნ ჯა'ფარისთვის, რომელიც ლაკაბისა — ალ-მუჰაფფარ (გამარჯვებული) და ქუნის — აბუ ლ-ჰასან — მიხედვით უნდა იყოს თბილისის ჯა'ფარიანთა საგვარეულოს ამირა X ს. მიწურულსა და XI ს. I მესამედში⁴².

იბნ ალ-კიფტის თანახმად ალ-ჰასან იბნ ბუნდარი იყო უკიდურესი შიიტი თავის მხარეში (ქნაა ში'ან მულალიდან ფი ვილაფათიში), ავტორი ვრცელ კასიდებისა შიიზმისა და შიიტი იმამების შესახებ, რომლებიც არ გამოირჩეოდნენ პოეტური ღირსებებით. მას დაუწერია დიდი ტრაქტატი ტრაბახისა და ლაყ-ბობის შესახებ გამოჩენილი არაბი პოეტების ალ-მუთანაბის (გარდ. 965 წ.) და იბნ არ-რუმის (გარდ. 896 წ.) პოეზიაში⁴³. გარდა ამისა, მას ეკუთვნოდა კიდევ ერთი ტრაქტატი „ალ-მუსაბაკათ ალ-მუსარაკა“ („პლაგიატობის შეჯიბრი“), სადაც უჩვენა, თუ რა აიღო და რა ისესხა (ახაზა) ალ-მუთანაბი წინამორბეუ პოეტთაგან. ის იყო ამ საკითხის მცოდნე და საერთოდ, სპეციალისტი (ხაბირ) პოეზიისა და პოეტური მოტივების (მა'ანი) კრიტიკისა⁴⁴.

იბნ ალ-კიფტის ამ ცნობიდან გამომდინარე, ალ-ჰასან იბნ ბუნდარი, რომლის თბილისში მოღვაწეობაც ეჭვს არ უნდა იწვევდეს, იყო არაბული პოეზიის, კერძოდ, იბნ არ-რუმისა და ალ-მუთანაბის შემოქმედების მკვლევარი. ის მიეკუთვნება იმ არაბ ფილოლოგთა რიცხვს, რომლებიც სწავლობდნენ პოეტურ ნასესხობებს არაბი პოეტების, მათ შორის ალ-მუთანაბის ლექსებში. ამ პრობლემის შესწავლა სახალიფოში დაიწყო VIII ს. მეორე ნახევრიდან და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არაბულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში IX ს-ში⁴⁴.

³⁹ Abu Nu'a'im. Geschichte Isbahans, Nach der Leidener Handschriften hrsg. von S. Dederling, Bd. I, Leiden, 1931, გვ. 240—241. აბუ ნუ 'აიმი ასახელებს რამდენიმე მუჰადდისს (მაგ. ჰამიდ არ-რაფფა, ჰამიდ იბნ მუჰამმად ალ-ჰარაჰი...), რომელიც ეყრდნობოდა საბითი. მათი მოღვაწეობის ხანის განსაზღვრა, რასაც ამჟამად ვერ ვახერხებთ, საშუალებას მოგვცემდა უფრო ზუსტად დაგვედგინა საბით იბნ ბუნდარის ცხოვრების დროც.

⁴⁰ The Histories of Nishapur, Ed. by R. N. Frye, Harvard Oriental Series, The Hague, 1965, გვ. 40a.

⁴¹ იბნ ალ-კიფტი, ინბაჰ არ-რუვათ 'ალა ანბაჰ ან-ნუჰათ, ბი-თაჰკიყ მ. აბუ ლ-ფადლ იბრაჰიმ, ტ. I, ალ-კაჰირა, 1339/1950, გვ. 290, № 168.

⁴² დ. კაპანაძე, X საუკუნის თბილური დრამა ალი ბენ ჯაფარისა, საქ. სახ. მეზღეულის მოამბე, ტ. XII-IV, 1944, გვ. 185; მისივე, Клад монет начала XI в. Тбилисского эмира Али ибн Джафара, «Эпиграфика Востока», т. XIV, 1961, გვ. 74; D. Lang, Studies in the Numismatic History of Georgia in Transcaucasia, New York, 1955, გვ. 14—15. ზემოხსენებული ლაკაბითა და ქუნით 'ალი იბნ ჯა'ფარი აღნიშნულია სწორედ მონეტებზე.

⁴³ იბნ ალ-კიფტი, ინბაჰ... გვ. 190.

⁴⁴ არაბულ პოეზიაში პოეტურ ნასესხობათა (ან პლაგიატის) შესახებ იხ.: მუჰამმად 'აბდ არ-რაჰიმან, ალ-მუთანაბი ბაჰა ნაყიდაჰი ფი ლ-კადიმ ვა ლ-ჰადის, მისრ, 1962, გვ. 181—226 (თავი III, § 1, „ლიტერატურული ნასესხობები“); A. B. Куде-

პოეტურ ნასესხობათა თეორიას ბევრმა ავტორმა მიუძღვნა შრომები⁴⁵. სამწუხაროდ, ალ-ჰასან იბნ ბუნდარის წიგნები არ შემონახულა. მისი სახელი⁴⁶ ბი იყო უკვე ჰაჯი ხალიფასათვის და უცნობი დარჩა იმ თანამედროვე მკვლევრებისთვისაც, რომლებიც სწავლობდნენ პოეტურ ნასესხობებს ალ-მუთანაბას პოეზიაში⁴⁷.

14. აჰმად იბნ მუჰამმად ათ-თიფლისი — ამ პიროვნების პროფესია უცნობია. მისი მავლა (კლიენტი) მუჰამმად იბნ იკბალის დედა, რომელიც გარდაიცვალა 472 წ. 24 რაჯაბს (1080 წ. 20 იანვარი), მოხსენიებულია სამხრეთ არაბეთში აღმოჩენილი ერთი საფლავის ქვის ეპიტაფიაში⁴⁸.

15. ალ-არაფ ბი-ლლაჰ აბუ ბაქრ მუჰამმად იბნ ისმა'ილ იბნ მუჰამმად იბნ ბითუნ იბნ ას-სარი ათ-თიფლისი ან-ნაჰსაბური ას-სუფი — შაფიტი ფაჯიკი, მუჰადდისი, მუჯრი (ყურანის მკითხველი), სუფი, იმამი. მის შესახებ მოგვითხრობენ ას-სამ'ანი, აზ-ზაჰაბი (გარდ. 1348 წ.) და სხვა არაბი ავტორები⁴⁹. დაიბადა 400 წ. რაჯაბში (1010 წ. თებერვალი-მარტი), თბილისში. მამამისი დასახლებულია ნიშაბურში და მუჰამმადს სწორედ აქ უნდა მიეღო განათლება. მისი მასწავლებლები იყვნენ აბუ ტაჰირ მუჰამმად იბნ მაჰმუდ აზ-ზიადი (გარდ. 410/1019 წ.), 'აბდ ალლაჰ იბნ აფსუფ იბნ ბაბაევაჰი (გარდ. 409/1018-19 წ.), იბნ 'აბდ არ-რაჰმან ას-სულამი (გარდ. 412/1021-22 წ.)⁵⁰ — ცნობილი შაფიტი მუჰადდისები, ფაჯიკები და სუფიები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ნიშაბურსა და ირანის სხვა ქალაქებში. ითვლებოდა ავტორიტეტულ, სანდო მუჰადდისად. ჰყავდა მრავალი მოწაფე, მათ შორის გამოჩენილი გენეალოგისტი და ბიოგრაფი აბუ ლ-კასიმ კივამ ად-დინ ისმა'ილ იბნ მუჰამმად ალ-ისბაჰანი (გარდ. 1140 წ.). გარდაიცვალა ნიშაბურში, 483 წ. შავვალში (1091 წ. ნოემბერ-დეკემბერი).

16. აბუ აჰმად ჰამიდ იბნ აფსუფ იბნ ალ-ჰუსაინ ათ-თიფლისი — ადიბი, მუჰადდისი, ასკეტი, სუფი, სულტან მალიქ-შაჰის ვეზირის თაჯ ალ-მულქის

лин, Средневековая арабская поэтика (вторая половина VIII—XI вв.), М., 1983, гл. 100—123.

⁴⁵ მაგ., ას-საჰიბ იბნ 'აბბადი (გარდ. 995 წ.), ალ-ხათიმი (გარდ. 995 წ.), იბნ ვაჯი' ათ-თინისი (გარდ. 1003 წ.), მუჰამმად ალ-ამიდი (გარდ. 1042 წ.) და სხვ. მათ შესახებ იხ. А. Б. Куделин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 101—102.

⁴⁶ ალ-ჰასან იბნ ბუნდარ ათ-თიფლისის შესახებ იბნ ალ-კიფტისეული (ცნობების შემოკლებული ვერსია მოთხოვება იბნ მაქთუმს (გარდ. 1348 წ.) თხზულებაში „თაღისი ალ-ახბარ ალ-ლუღაინა“ („ენათმეცნიერთა მოკლე ამბები“), რომლის ავტორგრაფიც დატულია კაიროს ეროვნულ ბიბლიოთეკაში (დარ აღ-ქუთუბ ალ-ვატანია, თა' რიხ თამაშურ, № 3069, გვ. 52). ჩვენთვის საინტერესო ადგილი ამ თხზულებიდან ეგვიპტეში ყოფნის დროს გადაიღო და მოგვამოდა ოსუ-ს უფროსმა მასწავლებელმა 'აბდ არ-რაუფმა.

⁴⁷ მაგ., შუ' აბ, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 181—226. А. Б. Куделин, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 100—123; R. Blacher, *Un poète arabe du IV siècle de l'Hégire (X siècle de J.-C.)*, Abou-t-Tayyib al-Motanabbi, Paris, 1935.

⁴⁸ Répertoire chronologique d'épigraphie Arabe, Tome septième, Le Caire, 1936, № 2725.

⁴⁹ as-Sam'ani, გვ. 65—66. შდრ. ე. სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები, გვ. 48, 50; აზ-ზაჰაბი, საარ ან-ნუბალა, ტ. XII, სტამბოლის აჰმედ III-ის ბიბლიოთეკის ნუსხა, დამასკოს არაბული ენის აკადემიის ფოტოპირი, გვ. 3; იბნ თადრი ბირდი, ან-ნუჯუჰ აზ-ზაჰირა..., ტ. V, ალ-კაჰირა, 1383/1963, გვ. 131; იბნ 'იმად ალ-ჰანბალი, შაზარათ აზ-ზაჰაბა..., ტ. III, ბაჰრუთ, 1399/1979, გვ. 368; მ. მა'რუფ, „ურუბათ ალ-უღამა" ალ-მანსუბინა ფი ბილად არ-რუმ ვა ლ-ჯაზა'ირ ვა შაჰრაზურ ილა ბულდან ალ-აჰამია, ტ. III, ბაღდად, 1979, გვ. 232.

⁵⁰ ამ პირთა შესახებ იხ.: იბნ 'იმად ალ-ჰანბალი, შაზარათ აზ-ზაჰაბა, ტ. III, გვ. 181, 188, 193, ტ. IV (ბაჰრუთ, 1399/1979), გვ. 139; დამატებით იხ. ას-სუბქი, ტაბაკათ ამ-შაფი'ია ალ-ქუბრა (გამოცემის ადგილის გარეშე), ტ. III, 1388/1969, გვ. 60.



(გარდ. 482/1089 წ.) მიმდევარი. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ას-სამ'ანი, იბნ 'ასაქირი (გარდ. 1176 წ.), ას-საფადი (გარდ. 1363 წ.) და სხვა ავტორები იყო თბილისელი, განათლება მიიღო ბაღდადში, იერუსალიმსა და მექაში. მის მასწავლებელთა შორის იხსენიება მუჰამმად იბნ აჰმად ალ-ბაჰაჰი (გარდ. 402/1011-12 წ.) — იერუსალიმიდან, 'ალი იბნ იბრაჰიმ ალ-აყული — მექადან და 'აბდ ალაჰ იბნ ხაირი — ბაღდადიდან და სხვ. თვლებოდა „რჩეულ (ალ-ფადლ) და აღმატებულ (თამიმუხ)“ მეცნიერად⁵². ბევრს მოგზაურობდა. ვარდა ზემოხსენებული ქალაქებისა ნამყოფი იყო დამასკოსა და ჰალაბში. სირიაში მოგზაურობის დროს ას-საფადი აღნიშნავს მის შეხვედრას გამოჩენილ არაბ პოეტთან და ფილოსოფოსთან აბუ ლ-'ალა ალ-მარსთან. გარდაიცვალა 484/1091-92 წლის შემდეგ.

17. აბუ სა'დ მას'უდ იბნ 'აბდ არ-რაჰმან იბნ 'ალი იბნ ალ-ჰასან ალ-ბაიდა' ათ-თიფლისი — შაფიტი ფაქიჰი. დაიბადა 410/1019-20 წ., გარდაიცვალა 490/1096-97 წ.⁵³

18. აბუ ლ-კასიმ მაჰმუდ იბნ აჟსუფ იბნ ალ-ჰუსაინ ათ-თიფლისი ალ-ბარ-ჰანდი — შაფიტი ფაქიჰი და მუჰადდისი. მის შესახებ ცნობებს გვაწვდიან ას-სამ'ანი, ას-სუბქი (გარდ. 1370 წ.) და ალ-ასნავი (გარდ. 1370 წ.)⁵⁴, იყო თბილისელი (მ ი ნ ა ჰ ლ თ ი ფ ლ ი ს), მაგრამ მეორე ნისბა ალ-ბარჰანდი მიუთითებს, რომ მას რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდა აზერბაიჯანის ქალაქ ბარჰანდთან. განათლება მიიღო ბაღდადში, სადაც სწავლობდა სამართალს აბუ ისაკ იბნ იბრაჰიმ აშ-შირაზისთან (გარდ. 1077 წ.), რომელიც მოღვაწეობდა ნიზამ ალ-მულქის იერ სპეციალურად მისთვის დაარსებულ ნიზამიას მედრესეში. ჰაღდისებს ის ისმენდა მუჰამმად იბნ ჰუსაინ (აბუ ია'ლა) იბნ ალ-ფარრასთან (გარდ. 1066 წ.) და აბასიანთა გვარის ორ ცნობილ მუჰადდისთან — აბუ ლ-ლანა'იმ 'აბდ ას-სამად იბნ ალ-მამუნთან (გარდ. 1073 წ.) და აბუ ლ-ჰუსაინ მუჰამმად იბნ 'ალი ალ-მუჰთადი ბი-ლლაჰთან (გარდ. 1073 წ.)⁵⁵. როგორც ჩანს, მაჰმუდ იბნ აჟსუფმა განათლება დაასრულა არა უგვიანეს 1077 წლისა. ამის შემდეგ, ას-სამ'ანის თანახმად, ის დაბრუნებულა თავის ქალაქში (ე. ი. თბილისში), სადაც გადაეცემა ჰაღდისებს. მის მოწაფეთა შორის იხსენიება მუჰადდისი აბუ ბაქრ იბნ ტაიბ იბნ მუჰამმად ალ-ლადა'ირი ალ-აბივარდი, რომელიც მოღვაწეობდა მერვში (გარდაიცვალა 506/1112-13 წ.).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ მაჰმუდ იბნ აჟსუფ ათ-თიფლისი კიდევ ერთი ათ-თიფლისია, რომელიც სუნიტური ისლამის შაფიტთა მანჰაბს (სყო-

⁵¹ as-Sam'ani, გვ. 66. შდრ. ე. სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები..., გვ. 49, 50; თაჰზიბ თა'რის დიმაშე ალ-ქაბირ ლი-იბნ 'ასაქირი, ჰაზნაბაჰუ ვა რათთაბაჰუ აშ-შაჰს 'აბდ ალ-ქადირ ბადრან, ტ. IV, ბაჰრუთ, 1979, გვ. 20; იბნ ალ-ასირი, ალ-ლუბაბ ფი თაჰზიბ ალ-ანსაბ, ტ. I, ალ-კაჰირა, 1357/1938, გვ. 178; Das Biographische Lexicon des Salahaddin Halil ibn Aibak as-Safadi, Teil XI, Hrsg. von S. Faisal, Wiesbaden, 1981, გვ. 279—280. Jacut's geo-raïsal wörterbuch, Hrsg. von F. Wüstenfeld, Bd. I, Leipzig, 1866, გვ. 859.

⁵² ამ ეპითეტებს იყენებდნენ გამოჩენილი მეცნიერების დახასიათების დროს. ე. სიხარულიძე, ას-სამ'ანის ცნობები..., გვ. 49, შენ. 8.

⁵³ The Histories of Nishapur, გვ. 127b.

⁵⁴ as-Sam'ani, al-Ansab, vol. II, Haydarabad, 1963, (Bairut, 1980, რეპრინტი), გვ. 148—149; ას-სუბქი, ტაბაკათ აშ-შაფი'ია ალ-ქუბრა, ტ. 9, ალ-კაჰირა (თარიღის გარეშე), გვ. 294, № 988; ალ-ასნავი, ჯამალ ად-დინ 'აბდ არ-რაჰიმ, ტაბაკათ აშ-შაფი'ია, თაკვი ა. ალ-ჯაბბურ, ბაღდად, 1390/1970-71 (გვ. 310, № 82).

⁵⁵ მაჰმუდ იბნ აჟსუფ ათ-თიფლისის მასწავლებლების შესახებ იხ. იბნ ხალლიქან, ვეფაიჰთ ალ-'ინან, ჰაკეკიატუ ი. 'აბბას, ტ. I, ბაჰრუთ, 1977, გვ. 29—31; იბნ ალ-ასირი, ალ-ქამილ ფი ათ-თა'რის, ტ. X, ბაჰრუთ, 1966, გვ. 52, 88.



ლას) მიეკუთვნებოდა (იხ. აგრეთვე №№ 15 და 17). ქვემოთ ვნახავთ, რომ მაზჰაბს სხვა არაერთი ათ-თიფლისიც წარმოადგენდა. შეიძლება შემთხვევითია, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია ის, რომ ათ-თიფლისის ნისბით მოღვაწეთა შორის, რომლებიც ჩვენ მოვიძიეთ, არც ერთი ჰანიფიტი, მალიქიტი ანდა ჰანბალიტი არა გვხვდება. არ არის გამორიცხული, რომ თბილისის სუნიტ მუსლიმებში სწორედ შაფიტები სჭარბობდნენ.

19. ათ-თიფლისი — უცნობი მოღვაწე, ან მოღვაწეები დამასკოში, რომელთა სახელებთანაც იბნ ალ-ასაქირის თანახმად XII საუკუნის დამასკოში დაკავშირებული იყო ორი ტომონიმი:

1. 'აჲან ათ-თიფლისი — ათ-თიფლისის წყარო⁵⁶, რომელიც ნ. ელისეევის აზრით შეიძლება იყოს იგივე 'აჲან ალ-კასსარინ — ნურ ად-დინ ზანგის ბიმარისთანაჲს⁵⁷.

2. დარ ათ-თიფლისი — ათ-თიფლისის სახლი, ომაიანთა დიდი მეჩეთის სამხრეთით⁵⁸, ხორბლის ბაზრისა (სუკ ალ-კამჰ) და ფურნის⁵⁹ დასავლეთით*.

⁵⁶ იბნ 'ასაქირ, თა'რის მაღინა დიმაშკ, ხიტატ დიმაშკ, თაჰკიკ სალამ ად-დინ ალ-მუნაჯჯიდ, ტ. II, ნაწ. I, დიმაშკ, 1954, გვ. 76, № 229; შდრ. A. Talass, Les mosquées de Damas d'après Yousof ibn 'Abdel-Hadi, Bairut, 1975, გვ. 95, № 236; იბნ შადლადი წყაროს ნაცვლად ასახელებს ათ-თიფლისის არხს, მდინარეს (ნაპრ). S. Dahan, La Description de Damas d'Ibn Šaddad, historien et géographe mort à Alep en 684/1285, Edition critique d'al-A'laq al-Hatira, Damas, 1956, გვ. 124, №. 236; H. Sauvaire, Description de Damas, Tr. de l'arabe par H. Sauvaire, Journal Asiatique, VI, 1885, გვ. 440. ამ წყაროს თავზე აშენებული იყო მეჩეთი, რომელსაც ჰყავდა იმაში და ჰქონდა ვაჟი. იბნ 'ასაქირ, თა'რის მაღინა დიმაშკ, ხიტატ, გვ. 76, № 229.

⁵⁷ N. Elisséeff, La Description de Damas d'Ibn 'Asakir (Historien mort à Damas en 571/1176). Damas, 1959, გვ. 137, №. 229, შენ. I. Id. Corporations de Damas sous Nur al-Din, Matériaux pour une topographie économique de Damas au XIIe siècle, „Arabica“, t. III/1, 1956, გვ. 71, №. 28.

⁵⁸ იბნ 'ასაქირ, თა'რის მაღინა დიმაშკ, ხიტატ..., გვ. 138.

⁵⁹ N. Elisséeff, La Description..., გვ. 235, № 23, შენ. 7.

* დასასრული შემდეგ ნომერში.

მარინე მიჰაშავიძე

აიუყის ერთი შენიშვნა და სიუჟეტის ნორმატიულობის პრობლემა
შუა საუკუნეების სპარსულ ლიტერატურაში

კლასიკურ სპარსულ ლიტერატურას (IX—XV სს.) ტრადიციათა ერთგულება ახასიათებს. ამ ეპოქაში გაბატონებული ერთ-ერთი მხატვრული პრინციპის მიხედვით, მხატვრულ ქმნილებაში მწერლის ინდივიდუალობა და პიროვნული „მე“ არ უნდა აისახებოდეს. აქ განსაზღვრულია არა მხოლოდ ის, თუ „როგორ უნდა ითქვას“, არამედ ისიც თუ „რა უნდა ითქვას“. ამდენად, „ეტიკეტი“ მოქმედებს ორივე სიბრტყეზე: ერთი მხრივ, განსაზღვრავს მხატვრულ სახეთა სისტემას და, ამავე დროს, იმ თემებს, რომლებიც მუშავდება როგორც ლირიკაში, ისე ეპოსშიც.

დღევანდელ ლიტერატურათმცოდნეობაში შუა საუკუნეების ხელოვნების, კერძოდ ლიტერატურის, ნორმატიულობასთან დაკავშირებით ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრია გამოთქმული და მეცნიერთა ერთი ნაწილი არ გამოირიცხავს ლიტერატურული „კანონის“ ფარგლებში „ნოვატორულისა“ და „ახლებურის“ არსებობის მომენტს.

ამ მეტად საინტერესო საკითხის კვლევისას, ჩვენი აზრით, ანგარიში უნდა გაეწიოს ამ პერიოდის ლიტერატურაში (ეპიკურ ძეგლებში) არსებული წილსვლების მონაცემებსაც, რადგან წილსვლა სწორედ ის ნაწილია მხატვრული ტექსტისა, რომელშიც ავტორი უშუალოდ ვლინდება და სადაც მეტ-ნაკლები სინჭირით ვხვდებით პირადული ან ავტობიოგრაფიული ინფორმაციის შემცველ ბეითებს. ეს ინფორმაცია ზოგჯერ არა მხოლოდ ავტორის ცხოვრების ან მისი შინაგანი სამყაროს გაშუქების საშუალებას იძლევა, არამედ მისი თანამედროვე ეპოქის გარკვეული ტენდენციების ამსახველიცაა.

შუა საუკუნეების სპარსულ ეპოსში „ნაცნობი“ თემების დამუშავების კანონის შეუვალობას ექვს ქვეშ აყენებს XI საუკუნის ავტორის — აიუყის პოემის „ვარყა და გოლშაჰი“ ერთ-ერთი წილსვლის მონაცემები. ამ გადახვევაში, რომელიც ამთავრებს პოემას და რომელშიც ავტორი საკუთარი თავის შესახებ გვესაუბრება, მეტად საყურადღებო შინაარსის მქონე ბეითებს ვხვდებით:

აგარ მან ბეგუამ ქე ბა მან ჩე ქარდ
 ჩე ვარდ ფრშამ ზე დალ ო ზე დარდ
 ბემნად 'აჯაბ ჰარ ქას აზ ქარ-ე მან
 ზორად თა ბეჯავურ თმზარ-ე მან
 მარა ყესე ზონ თუქეთარ აქთად
 ვალქან ნეაზრამ გოზაშთან ბეად
 აგარ ზენდევანი ბოვად ნა მამარ
 ბეგუამ ქე ჩონ ბოდ ჰამე სარ ბესარ

¹ Гринцер П. А., Литературы древности и средневековья в системе исторической поэтики, წიგნში: Историческая поэтика. Итоги и перспективы изучения, М., 1986; Грюнебаум Г. Э., Концепция плагиата в арабской теории, წიგნში: Грюнебаум Г. Э., Основные черты арабо-мусульманской культуры (статьи разных лет), М., 1981; Куделин А. Б., Средневековая арабская поэтика, М., 1983.

მე თუ ვიტყვი, მე თავად რა მიყო (საწუთრომ),
რა მომიტანა დაღისა და დარღისაგან,
გაოცებული დარჩება ყოველი ჩემი ამბით,
ჩემზე იღარდებს, ვინემ ცოცხალი იქნება.
მე ამბავი ამბზე უფრო საოცარი ვადამხდა,
მაგრამ არ ვიხსენებ გარდავილის.
თუ ვიცოცხლე, ამ ზღაპარს (ამბავს)
ვიტყვი, როგორც იყო, თავიდან ბოლომდე.
რა მიყვეს ტყუილითა და თვალთმაქციობით
აღამიანებმა, რომელთა გულიც სავსე იყო ეშმაკობით.

ამ ფრაგმენტში აიუყი პარალელს ავლებს, როგორც ეს ხშირად სჩვევიათ ამ ხანის ავტორებს, პოემაში აღწერილ ამბებსა და საკუთარ თავგადასავალს შორის და გვაწვდის ავტობიოგრაფიული ხასიათის ინფორმაციას. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აქ ის ბეითები, სადაც ავტორი ჰპირდება მკითხველს, თუ დამცალდა, ჩემს ამბავს დეტალურად აღვწერო. თუკი ეს განცხადება რატორიკული დაპირება არაა, რა ფორმულირება და ახსნა შეიძლება მოეუნახოთ მას? რამდენად დასაშვებია იქნებოდა ამ ხანის (XI ს.) ლიტერატურულ კონტექსტში ავტობიოგრაფიული თხზულების შექმნა, მაშინ, როდესაც ავტორის ბიოგრაფიის, მისი ინდივიდუალური განცდების გადმოცემა არათუ ღირსეული, ავტორისეულ გადახვევებშიც კი იშვიათია. გარდა ამისა, როგორც შემოთავაზდნენ, „ნაცნობის ესთეტიკა“, რომელიც ეპიკური თხზულებების თემატიკას მკაცრად განსაზღვრავდა, ორიგინალური სიუჟეტის დამუშავებას გამოირიცხავდა. ამიტომაც სპარსული ლიტერატურის კლასიკურ ხანაში ფაქტობრივად სულ რამდენიმე სიუჟეტი მუშავდება.

გამორიცხულია, რომ აიუყის არ სცოდნოდა ის ლიტერატურული მოთხოვნები, რომელიც მის დროს არსებობდა და ანგარიში არ გაეწია მისთვის. მაშ რა ფორმით, რა სახით აპირებდა იგი მკითხველისათვის საკუთარი თავგადასავალის, ე. ი. ორიგინალური სიუჟეტის, შეთავაზებას? იქნებოდა კი დაკვეთა ასეთ სიუჟეტზე? რა გარანტია ჰქონდა მას, რომ ასეთი შინაარსის ნაწარმოები (და ეს ალბათ პოემა უნდა ყოფილიყო) დაინტერესებდა ვინმეს და მას რაიმე ლიტერატურული ღირებულება ექნებოდა? გასათვალისწინებელია ისიც, რომ მწერალს თხზულება მეცენატი მბრძანებლისათვის უნდა მიეძღვნა და გასამრჯელოც უნდა აეღო.

ჩვენ არ ვიცით, მართლაც დაიწერა თუ არა ასეთი ნაწარმოები. აიუყის შემოქმედებიდან მხოლოდ ხსენებული პოემა და რამდენიმე ლექსის ნაწყვეტია შემორჩენილი. არც თეზქერებშია რაიმე ინფორმაცია. მაგრამ, ვფიქრობთ, მწერლის ეს „დაპირება“, თუკი ეპოქის ლიტერატურულ კონტექსტს გავითვალისწინებთ, ყურადღალები უნდა იყოს, რადგან შესაძლოა, ის „კანონი“, რომელიც დღევანდელი მონაცემების მიხედვით მკაცრად განსაზღვრავდა შუა საუკუნეების სპარსული მწერლობის ხასიათს, ერთგვარ დარღვევასაც იტანდა (ამდენად, არც ის არის გამორიცხული, აიუყის ეს განცხადება ჩვენთვის აქამდე უცნობი ლიტერატურული მასალის არსებობაზე მიგვანიშნებდეს).

² ვარყა ეო გოლშნაკე აიუყი, თეპრან, 1343, გვ. 116.

ОДНО ЗАМЕЧАНИЕ АЙЮКИ И ПРОБЛЕМА НОРМАТИВНОСТИ СЮЖЕТА В СРЕДНЕВЕКОВОЙ ПЕРСИДСКОЙ ЛИТЕРАТУРЕ

Резюме

В статье затрагивается одна из важнейших проблем современного литературоведения, задачей которой является изучение общих принципов и тенденций, характеризующих средневековую персидскую литературу.

Литературу данной эпохи характеризует традиционализм; господствующим литературным «этикетом» определяется не только как сказать, но и что сказать. Исходя из этого, нормативна и тематика эпоса данной эпохи, так как авторами разрабатываются лишь знакомые сюжеты.

В свете вышеуказанного литературного контекста эпохи заслуживает особого внимания поэма Айюки (XI в.) «Варка и Гульшах», где в одном из отступлений Айюки обещает читателю в будущем детально описать свои собственные злоключения, т. е. создать сочинение автобиографического характера, что само собой подразумевает разработку оригинального «нового» сюжета.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის სპარსული ფილოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტმა მ. ანდრონიკაშვილმა

ბაბა შურლია

„განმარტებული ენის“ სტრუქტურისათვის

I

იოანე საბანისძის „აბო ტვილელის წამების“ მხატვრული სისტემის სრულყოფილი გააზრებისათვის უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს „განმარტებული ენის“ არსისა და მისი მხატვრული რეალიზაციის ენობრივ საშუალებათა ანალიზს. ამის გარეშე უთუოდ გავგეინდებდა თხზულების ენობრივ-სტილური სისტემის მთელი სისრულით აღქმა და ნაწარმოების მრავალი ენობრივი თავისებურება, შესაძლოა, ხარვეზადაც კი მოგვეჩვენოს.

ვფიქრობთ, ადვილად გასაგებია საკითხის ამგვარი დასმა. სწორედ მხატვრული ენაა ის ფენომენი, რომელშიც მატერიალურ გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების მხატვრული სისტემა. ამიტომაც თხზულების ნებისმიერი ხასიათის ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით მის ენობრივ-სტილურ თავისებურებათა გარკვევას.

როგორც ცნობილია, მხატვრული ენის სტრუქტურაზე გარკვეულ გავლენას ახდენს სალიტერატურო და სახალხო-სამეტყველო ენები. ამასთან ანგარიშგასაწეგია ბევრი არსებითი სპეციფიკური ნიშან-თვისება, რითაც აღბეჭდილია მხატვრული ენა.

საერთოდ, ენა სამყაროს აღქმის საშუალებაა. იგი, შეიძლება ითქვას, ერის აზროვნების წესია. სამყარო ადამიანის ცნობიერებაში აისახება ისე, როგორი ასახვის საშუალებასაც ენა იძლევა. თავის მხრივ, ყოველი ენა თვით ერის ცნობიერების თავისებურებებითაა ნიშანდებული. „ბუნებაში არაფერია ისეთი, რაც შექმნა და შეიმეცნა ადამიანმა, რამაც გაიარა მის ცნობიერებაში და ამას ენაში არ ეპოვოს თავისი გამოხატულება. ყველაფერი სიტყვებშია გარდასახული და მათშია აღბეჭდილი“ [41, 30]. ენა თვითონაც ახდენს გავლენას ერის ხასიათზე, მსოფლალქმის მისეულ წესზე. „ენება მხოლოდ ენის საშუალებით ყალიბდება. ცნების გარეშე კი შეუძლებელია ჭეშმარიტი აზროვნება“ [40, 25]. ხაზგასმით მიუთითებს ვ. ივანოვიც: „ადამიანმა შეიძლება ენა გამოიყენოს არა მარტო იმისათვის, რათა საკუთარ თავს აუხსნას თავისი ენობრივი მოღვაწეობა, არამედ იმისთვისაც, რათა შეიმეცნოს ქცევის სხვა მხარეები, რაც ვერბალიზაციის გარეშე შეუცნობელი რჩება“ [34, 255].

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ენაში აისახება ერის მსოფლალქმა. მასში პოულობს გამოხატულებას მისი მსოფლხედვითი პოზიცია, სამყაროს მისეული შეგრძნების წესი. მასთანაა დაკავშირებული აზრის ფორმირების მთელი პროცესი [23, 152], ერის სტლის მოძრაობა. ამით აიხსნება ის გარემოებაც, რომ ერთი და იგივე აზრი სხვადასხვა ენაზე არა მარტო სხვადასხვანაირ ფონემათა კომბინაციით, არამედ სხვადასხვანაირი თვალთახედვით, სამყაროსთან სხვადასხვანაირი ურთიერთმიმართებით გამოითქმება.

ეჭვს არ იწვევს ისიც, რომ „ენა ყოველთვის ინდივიდუალურად ვლინდება და ამიტომაც მასში მკვეთრად იჩენს თავს პიროვნების შინაგანი თვისებებიც“ [23, 153]. ენა, აზრის გამოსახატავად გამოყენებული ხერხები და საშუალებები შესაძლებელს ხდის ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ აზროვნებს ესა თუ ის ადამიანი [41, 30].

ამ თავისებურებას მთლიანად ინარჩუნებს ეროვნული ენა მხატვრულ ნაწარმოებში, თუმცა მხატვრული ენა ბევრი სხვა არსებითი ნიშან-თვისებითაც

გამორჩევა და, თავისი არსისა და ფუნქციიდან გამომდინარე, უფრო რთულ სისტემად გარდაიქმნება. სიტყვიერ ხელოვნებაში სწორედ ენა იდგის გამოხატვის საშუალებად [19, 30], ლიტერატურული შემოქმედების მასალად, იარაღიცა და ქმნილებაც [26, 66]. სწორედ ამის გამო იქცევა მხატვრული ენა სიტყვიერ-მხატვრულ ფორმათა თავისებურ სისტემად, რაც სალიტერატურო და სახალხო-სამეტყველო ენების საკომუნიკაციო და გამომსახველობა-გამომხატველობის ფუნქციების ურთიერთშერწყმით ყალიბდება [27, 8].

როგორც მ. გორკი შენიშნავდა, ენა მხატვრული ლიტერატურის „პირველემენტია“ [31, 212]. „ეს იმას ნიშნავს..., რომ თვით ლექსიცა, დამახასიათებელი სინტაქსური წყობა, მეტყველების მთლიანი რიგი — ყველაფერი ის ღვრიტაა, საიდანაც აღმოცენდება სახეები და იდეები“ [44, 18]. მხატვრულ ენას ნაწარმოებში მთელი მხატვრული სისტემა ეფუძნება. ეს სისტემა იძვრება იმისდა მიხედვით, როგორ საშუალებასაც აძლევს მწერალს საამისოდ ენა. თვით მკითხველი კი ენის გამომსახველობითი შესაძლებლობიდან გამომდინარე აღიქვამს ამ მხატვრულ სისტემას. ამიტომ მწელი გასაზიარებელია მოსაზრება მ. ვერლისა, რომელსაც ენა ლიტერატურული ნაწარმოების „უბრალო ფენად“ და „სხვა არაფრად“ მიაჩნია [26, 66—67]. პირიქით, იმდენად დიდი ენის მნიშვნელობა, რომ ა. ჩიჩერინი პირველემენტს მთელი ნაწარმოების აღქმის უსაღებად თვლის [44, 18].

ცხადია, გადმოსაცემი ინფორმაციის შინაარსი და დანიშნულება გავლენას ახდენს ამ ინფორმაციის ენობრივი გაფორმების პროცესზე, ნიშანდობლივი თვისებებით აღბეჭდავს აზრის ენობრივი გამოხატვის პროდუქტს. მხატვრული ენა „თავის თავში შეიცავს არა უბრალო ენას (ე. ი. რაიმე უბრალო ინფორმაციას. — გ. შ.), არამედ, უპირველესად, ამ ენით გადმოცემულ ფიქრებსა და გრძნობებს“ [30, 245]. სწორედ ამიტომაც განიცდის „საერთო-სახალხო ენა მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში ემოციურ-სახეობრივსა და ესთეტიკურ ტრანსფორმაციას“ [29, 185]. ეს სპეციფიკური შინაარსი განაპირობებს მხატვრული ენის თვითყოფადობას, მის ბევრ სხვა არსებით ნიშან-თვისებას, რაც მას სალიტერატურო და სახალხო-სამეტყველო ენებისაგან განასხვავებს. უწინარეს ყოვლისა, მხედველობაში გვაქვს ისეთი თვისებები, როგორცაა სისადავე, ლაკონიურობა, ზომიერება და უნიკალური გამოთქმის უკეთესი ვარიანტით შეცვლის შეუძლებლობა [3, 22—24]. აქვე უნდა ითქვას იმის შესახებაც, რომ მხატვრული ნაწარმოების ენობრივ ქსოვილში სიტყვა პოლისემანტიკური [33, 129], როგორც წესი, სიმბოლო, ორწევრიანი სტრუქტურა ხდება [28, 6]. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სიტყვას ნაწარმოების ენობრივ სისტემაში (პირდაპირის გარდა) თავისი შინაგანი ფორმაც გააჩნია [44, 43].

ენა პოეტნიციურად შეიცავს ყველა ამ ნიშან-თვისებას [3, 16]. მაგრამ ისინი, როგორც წესი, ღრმად დაფარული და ნაკლებად შესამჩნევია. მხატვრულ ენაში კი არსებითი სწორედ ეს შეუქმნეველი ნიშან-თვისებები ხდება. ისინი იძენენ ფუნქციურ დატვირთვას და მთელი ძალითა და მნიშვნელობით ვლინდებიან პოეტურ კონტექსტში [44, 43].

უაღრესად გამომსახველი თვისებებით გამოირჩევა ოსტატურად მიგნებულ სიტყვა. იგი მხატვრული ხდება და თავისი არამხატვრული (ე. ი. საერთო ლექსიკურ ფონდში არსებული) ვარიანტისაგან იმით განსხვავდება, რომ მკითხველს ფიქრისათვის, წარმოსახვისა და მსჯელობისათვის განაწყოებს [42, 306].

ყოველივე ზემოთქმული იმაზე მიგვანიშნებს, რომ „მხატვრული ენის არსა — მის განუმეორებლობაშია, როცა თქმის სრულყოფილება გადაულახავ ზღვარს აღწევს. სიტყვები იდეალურად ემთხვევა საგნებს და ეს უკანასკნელი



თავის მატერიალური გარისი გარეშე აღარ არსებობს“ [3, 23]. ამდენად, ნაწარმოების შექმნის პროცესში ხელოვნისათვის მხატვრული ენა უკვე „საღვთისმშობლის“ ტერატურო ენის ესთეტიკური კორელატი, გამოთქმათა სრულყოფილობის კოფიციენტი“ [3, 7], „გამოთქმის სრულყოფილი ფორმა ხდება“ [4, 4].

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ მხატვრული ენა დიდად განსხვავებულია ლექსით ნაწარმოებსა და პროზაში, თვით ამ გვარის ნაწარმოებთა ბუნებიდან ვაპომდინარე. ამიტომ მხატვრული ენის ეს საერთო თვისებები სხვადასხვაგვარად იჩენენ თავს სხვადასხვა გვარის მხატვრულ ქმნილებებში [3, 18—22, 46—66].

მხატვრული ენის შესაძლებლობათა სრულად რეალიზაციისათვის განუსაზღვრელ პირობებს ქმნის ჭეშმარიტი პროზა, რომელიც მოწოდებულია, ერის ინტელექტუალურ ასპარეზზე პოეზიის თანამგზავრის ფუნქცია შეასრულოს. მხოლოდ მას ძალღობს, დატოვოს მკითხველის სულში თავისი კვალი და არა ბუნების მშრალ აღწერასა და სხვ. ანალოგიურ დეტალებს. ნამდვილი პროზის ენა, „საგნის აღწერასთან ერთად, თავის თავში განსაკუთრებული სულიერი განწყობის ანაბეჭდს შეიცავს... ენას გადაეცემა გრძნობის ზნობრიობა და სტილში სული გამოსხივდება“ [32, 184]. ნიჭიერებით, „ტლანტით აღბეჭდილი პროზა აზრის დაბადების, სულისა და მისი საგნის შეჯიბრების ცოცხალ სურათად იქცევა. თუკი საგანი ამის საშუალებას იძლევა, აზრი ძალდაუტანებელი, უშუალო მიგნების სახით ყალიბდება და იგი ტოლს აღარ უდებს სიმართლის ძიებაში პოეზიის არანაკლებად დამოუკიდებელ სილამაზეს“ [32, 184—185]. ყოველივე ეს აქცევს ენას ნაწარმოების მხატვრული სისტემის ერთ-ერთ უმთავრეს ელემენტად.

როგორც ცნობილია, მხატვრულ სისტემას ლიტერატურათმცოდნეობა იკვლევს. ამავე დროს, უდავოა ისიც, რომ მხატვრულ ენაში თავს იჩენს მრავალი არსებითი ენობრივი მოვლენა, რაც საკუთრივ ლინგვისტიკის შესწავლის საგანია. ამ გარემოების გამო ამა თუ იმ ნაწარმოების ენობრივ-სტილურ თავისებურებაზე დაკვირვება გულისხმობს არა მარტო ლინგვისტურ, არამედ ერთიან ლიტერატურათმცოდნეობით-ლინგვისტურ ანალიზს [22, 19; 49, 132]. საკითხისადმი ასეთი მიდგომა არაერთგზის გამხდარა მეცნიერული დავის საგანი [27, 3, 50—51; 43, 153; 44, 20 და სხვ.]. ზოგიერთ მკვლევარს მხატვრული ენის შესწავლა კატეგორიულად მიაჩნია ლიტერატურათმცოდნეობის ფუნქციად [44, 20—21 და სხვ.]. თუმცა, ისინი მაინც ვერ უარყოფენ იმას, რომ ასეუ შემთხვევაში კვლევის საგანი იქნება „მწერლის ენა როგორც სტილის გამოვლინება“ [44, 20].

მაგალითად, ა. ჩიჩერინი წერს: „მხატვრული ნაწარმოების ენის ლიტერატურათმცოდნეობითი შესწავლა ენისა და აზრის კავშირის ღრმად გააზრებიდან იწყება. აუცილებლად უნდა გაცნობიერდეს, რომ მეტყველების წყობაში, კერძოდ, მეტყველების ამა თუ იმ ნაწილთა, ეპითეტთა, მეტაფორათა, შედარებათა, მყარ სინტაქსურ თავისებურებათა — ყველა ამ ელემენტის გამოყენებაში აღიბეჭდება ცხოვრების ავტორისათვის დამახასიათებელი აღქმა, ადამიანისა და საზოგადოების გაგება“ [44, 21].

ცხადია, მხატვრული ენა ვერ იქნება რაღაც ეკლექტიკური მეცნიერების შესწავლის ობიექტი. მაგრამ ისიც უდავოა, რომ თუ მას მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობა გამოიკვლევს, მაშინ ყურადღების მიღმა დარჩება მრავალი ძალზე სპეციფიკური ენობრივ-სტილური თავისებურება. ეს თავისებურებანი კი უთუოდ უნდა გამოვლინდეს და ადგილი მიეჩინოთ ნაწარმოების მხატვრულ სისტემაში. ლინგვისტიკამ თითოეულ ენობრივ თავისებურებაში ნაწარმოების მხატვრული სისტემის თავისებურება, ამ სისტემის ენობრივი ნიშან-თვისებები

უნდა ეძიოს; უნდა შეძლოს იმის ნათელყოფაც, მწერალმა თითოეულ ენობრივ თავისებურებაში რამდენად გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად და როგორ გამოავლინა საკუთარი თავი.

ნაწარმოების ენობრივ-სტილური სისტემის ანალიზი თვალნათელს ხდის იმასაც, რამდენად ღრმად აქვს გაცნობიერებული მწერალს ესა თუ ის დეტალი, რადგან, შესაძლებელია, ენობრივ თავისებურებებში ავტორი თავისდაუნებურად ამჟღავნებდეს საკუთარ მსოფლმხედველობრივ პოზიციას და ისე იყენებდეს იგი მას მხატვრულ სახეთა სისტემის შესაქმნელად. უწინარესად ლინგვისტიკისტიკას უნდა აინტერესებდეს, როგორ რეალიზდება ენაში ნაწარმოების მხატვრული სისტემა, რამდენად განაპირობებს ამა თუ იმ ენობრივი თავისებურების გამოყენებას მხატვრული სისტემა, რატომ ხასიათდება ავტორის ენა მინიცდამინიც ამა თუ იმ ენობრივი თავისებურებით.

ყველა ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი უნდა გვცეთ, რადგან სწორედ ენაშია ჩაიკრული თითოეული მხატვრული სახის, სულ უმნიშვნელო მხატვრული ნიუანსის კოდიცი. უღარგსად მნიშვნელოვანია თითოეული ასეთი კოდის გამოვლენა და სათანადო ინტერპრეტაცია. ასეთსავე ამოცანას უსახავს მხატვრული ენის კვლევას ა. ეფიმოვიც. იგი წერს: „მხატვრული ნაწარმოების სიტყვიერი ქსოვილის ანალიზის უპირველესი მიზანია მწერლის ენისა და სტილის სპეციფიკის, მისი იმ სამეტყველო საშუალებების ინდივიდუალურ თავისებურებათა გარკვევა, რომლებშიც გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების იდეა და შინაარსი“ [33, 15], უფრო ზუსტად კი ის, რითაც ხორცს ისხამს ნაწარმოების მხატვრული სისტემა.

სამწუხაროდ, ამ თვალთახედვით სპეციალური კვლევის საგანი ჯერ კიდევ არ გამხდარა ქართული ლიტერატურა. ეს მთლიანად შეეხება ეროვნულ პავიოგრაფიასაც, მათ შორის, იოანე საბანისძის „აბო ტფილელის წამებას“, რომლის ენობრივ-სტილურმა თავისებურებებმა აღრიდანვე მიიპყრო ქართველ მეცნიერთა ყურადღება [7, 48; 21, 84]. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მკვლევარმა ეს თავისებურებები მწერალს უყურადღებობად, ლიტერატურულ ლაფსუსებად ჩაუთვალა. თხზულებაზე დაკვირვება კი თვალნათელს ხდის, რომ იოანე საბანისძის ნაწარმოების ენისათვის ნიშანდობლივი თავისებურებები მწერლის უყურადღებობისა და ლიტერატურული ლაფსუსების შედეგად კი არა, არამედ მას მკაფიოდ გააზრებულ ენობრივ-სტილური კონცეფციის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს თხზულებაში ავტორის მიერ ხმამაღლა გააცხადებული კონცეფცია „განმარტებული ენისა“, რომელიც ესთეტიკური თვალსაზრისით უმაღლესი დვთაებრივი ჭეშმარიტების მიმართ ახსნილ, ღია, ვადებულ ენას ნიშნავს; ისეთ ენას, რომელიც მზადაა დვთაებრივი ჭეშმარიტების მისაღებად და გარდასათქმელად, რათა „საცნობელ ყურსაც“ შეამეცნებინოს ეს ჭეშმარიტება.

ამ ესთეტიკური პრინციპის ენობრივ-სტილური თვალსაზრისით რეალიზაციისათვის მიმართავს მწერალი „განმარტებულითა ენითა“ თხრობას. ასეთი ენით თხრობა კი, როგორც თხზულებაზე დაკვირვება გვარწმუნებს, ისეთ თხრობას უნდა გულისხმობდეს, რომლის დროსაც მკითხველს არაფერი რჩება გაუგებარი, მისთვის ყველაფერი ნათელია, მწერალი ყველაფერს პირდაპირ ამბობს, ამასთან ნათქვამსაც ბოლომდე ხსნის, განმარტავს. „განმარტებული ენის“ კონცეფციის ენობრივ-სტილური რეალიზაცია ყოველი ენობრივი ერთეულის მაქსიმალურ ინფორმაციულ ტევადობას გულისხმობს. თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ ამა თუ იმ ენობრივ ერთეულში ხშირად ხელოვნურად აკუმულირებული დიდძალი ინფორმაცია ზოგჯერ არაბუნებრივ იერს ანიჭებს ფრანკსა და ერთგვარად გამოისახველობას უკარგავს მას.

როგორც ჩანს, მწერალი გრძნობს ამ „უხერხულობას“. ამიტომ ცდილობს, ამბავი ისე გადმოსცეს, რომ მკითხველმა სწრაფად, ემოციურად და ინტელექტუალური რეაგირებით აღიქვას იგი. ამ მიზნით ავტორი ფართოდ მიმართავს გამეორების ხერხს, რაც სხვადასხვა ენობრივ დონეზე სხვადასხვა თავისებურებას განაპირობებს.

ცნობილია, რომ „აზრი ან თემა ხშირად ენას იქით კარნახობს გარკვეულ მორფოლოგიურ და სინტაქსურ წყობებს“ [3, 18]. უფრო ზუსტად, ამა თუ იმ ინფორმაციის შინაარსი და დანიშნულება, მისი გადმოცემისას სხვადასხვა ენობრივ დონეზე შესატყვის ენობრივ-სტილურ მატერიალურ საშუალებებს მოითხოვს: მხატვრული ენის ფონოლოგიურ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ თუ სტრუქტურულ სპეციფიკას განაპირობებს. ამავე გარემოებითაა პირობადებული მხატვრული ენის ფიგურალურ საშუალებათა სპეციფიკაც.

ენახოთ, როგორ გამოიხატება ყოველივე ეს „აბო ტფილელის წამების“ ენობრივ სისტემაში.

უპირველეს ყოვლისა, შევჩერდეთ თხზულების ენის ფონოლოგიურ სტრუქტურაზე. როგორც ცნობილია, ეს ენის უმარტივესი დონეა. ამიტომაც ამ შემთხვევაში მწერლის მიზანმიმართულ ქმედებას ქვეცნობიერი ფაქტორები უფრო წარმართავენ, ვიდრე ცნობიერი. ამდენად, ამ დონეზე მწერლის მიერ დასახული პრინციპი ქვეცნობიერად ხორციელდება.

თხზულების ფონოლოგიური თავისებურებები, უწინარეს ყოვლისა, იმათ ვლინდება, რომ ნაწარმოებში ხშირად გვხვდება „ერთიმეორესთან დამსგავსებული სიტყვების შერჩევით შედგენილი წინადადება-ფრაზები“ [8, 49]. მართალია, ეს საერთო ლიტერატურული მოვლენაა და ამ მხრივ არც ძველი ქართული ლიტერატურაა გამონაკლისი [8, 49], მაგრამ თუ ამ გარემოებას იოანე საბანისძის ენობრივ-სტილური პოზიციიდან მივუღებთ, კერძოდ, „განმარტებული ენის“ კონტექსტში განვიხილავთ, მაშინ ამ ფაქტს, შესაძლებელია, სხვანაირი ახსნაც მოეძებნოს. თხზულებაში ჩვენ მიერ გამოვლენილი მასალის ანალიზი გვარწმუნებს, რომ იოანე საბანისძე ასეთ გამეორებებს უპირატესად მაშინ მიმართავს, როდესაც იგი რაიმეს კი არ მოგვიტხრობს, არამედ რაიმე საკითხს სპეციალურად განგვიმარტავს (მაგალითად, გვიხასიათებს პოლიტიკურ ატმოსფეროს, ანდა წარმოგვიჩენს მარტვილის ლეაწლს და სხვ.).

„...ხარკა ქუეშე მათსა გუემულნი და ქენჯინი, ძვრ-ძვრად ზღვეულნი, შიშითა განილვეიან და ირყვიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“ [1, 50]¹.

„რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკრველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისი; ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმიდრესა მის სახელისა მისისასა, არამედ უძლურებისაგებ ჩემისა და გულს-მოდგინებისა თქუენისა ვიწყო თხრობად თქუენდა“ [1, 52].

„...და ერთ ღმერთ გარდაუქცეველ და განუქარვებელ და უცვალებელ, რამეთუ უქცეველ და განუქარვებელ არს შემდგომად კორცთა შესხმისა და შეერთებისა ღმრთეებისა იგი ბუნებაჲ, რომლისათჳს, უკუეთუ შემძლებელ ვიქმნეთ, თითოეულისა ამის სახელისათჳს ქეშმარიტებად უწყებად თქუენდა, გარნა მადლითავე მისითა გაუწყო თქუენ, ქრისტს მოყუართა“ [1, 52].

„...რომელი იმე ჰყუადრი დეს, რომელი იმე აგინებ დეს, რომელი იმე აშინებ დეს, რომელი იმე სდენი დეს, რომელი იმე მშუდობისა სიტყუთა შეაჯერებ დეს“ [1, 62].

ზემოთ მოყვანილ მაგალითებს თხზულების ე. წ. თხრობითი ნაწილიდან მოხმობილი ადგილები შევეუდართო:

¹ სილუსტრაციო მასალაში, აქაც და შემდგომშიც, ხაზი ყველგან ჩვენია.

„ხოლო იგი მივიდოდა, ვითარცა ვინ მოგზაურ ექმნის მკუდარსა, ეგრე ჰხედვიდა თუხსა მას გუამსა“ [1, 70].

„მაშინ მოითხოვა წყალი და დაიბანა პირი თუხი და იცხო ზეთი თავსა თუხსა და თქუა“ [1, 69].

„და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებამა კელმწიფეთა მათ სარკინოზთა ნერსმ ერისთვისა ზედა და ივლტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა ერი; და უფალმან დაიცვა იგი კელთაგან მათთა, და განვლო მან კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა, იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამას ოდენ მამაკაც. და მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მონაჲ ქრისტესნი ჰაბო“ [1, 58].

როგორც ვხედავთ, ერთნაირ ფონემებისაგან შედგენილი სიტყვები, აგრეთვე წინადადებაში ერთნაირფორმანტიანი ფორმები საილუსტრაციო მასალის ორივე ჯგუფში გამოიყენება. მაგრამ ასეთი გამეორებები განსაკუთრებით მაშინაა თვალში საცემი, როცა მწერალი რაიმეს განმარტებას ცდილობს, როცა ფრაზა განმარტებით ხასიათს იძენს. ეს ფაქტი, აგრეთვე იოანე საბანიძის ენობრივ-სტილური კონცეფცია გვაფიქრებინებს, რომ ამ გარემოებას უთუოდ გარკვეული ფუნქცია აქვს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მწერალი თავისი სათქმელის უკეთ, უფრო სრულად, გასაგებად განმარტებისათვის, შკითხველამდე, რაც შეიძლება, ცხადლივ მისატანად მიზანდასახულად მიმართავს გამეორებებს. იგი უხვად იყენებს ერთნაირ გრამატიკულ ფორმებს, ერთნაირ ფორმანტებს, ერთი და იმავე ფონემებისაგან შედგენილ სხვადასხვა გრამატიკული ფუნქციის მორფემებს, ერთსა და იმავე ფონემებს და ა. შ.

„აბოს წამების“ მხატვრული ენის სისტემაში უჩვეულოდ არ მოგვეჩვენება ფონემათა ასეთი დანიშნულება, თუკი მათ ფუნქციურ მნიშვნელობებს გავთვალისწინებთ. როგორც მ. ვერლი მიუთითებს, „მხედველობაში რომც არ მივიღოთ ენის აზრობრივი ასპექტები, მაშინაც კი არ შეიძლება, ბგერათა (ფონემათა. — გ. შ.) მყარად ჩამოყალიბებული მიმღევრობა უბრალო მექანიკურ შემთხვევითობად მივიჩნიოთ“ [26, 131—132]. მართლაცადა, მხატვრული შემოქმედებისათვის უადრესად ღირებულია ფონემათა ხმოვანება-სიმბოლური მნიშვნელობები, რაც ენის ხმოვანი სისტემის ფარგლებში გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად აღიქმება და საბოლოოდ ნამდვილი სტილური საშუალება ხდება [26, 132]. ეს მოვლენა მთელი სისრულითა და მრავალმხრივობით ლექსით ნაწარმოებში იჩენს თავს, მაგრამ იგი არც პროზისთვისაა უცხო.

სავარაუდოა, რომ იოანე საბანიძის თხზულებაში ფონემური გამეორებები სწორედ ასეთ მხატვრულ ფუნქციას ასრულებდეს. ამით სულაც არ გვინდა იმას თქმა, თითქოს მწერალი სპეციალურად, წინასწარ განზრახულად არჩევდეს ერთსა და იმავე ფონემებს და ისე აგებდეს სიტყვებსა და წინადადებებს. ჩვენი აზრით, აქ უფრო ხელოვანის შეგნებულ და ქვეცნობიერ მოქმედებათა თანხედომასთან გვაქვს საქმე: ქვეცნობიერად რეალიზდება ფონოლოგიურ დონეზე მწერლის ენობრივი მიზანდასახულობა.

შეიძლება თუ არა, იოანე საბანიძის თხზულებაში ფიქსირებული გამეორებები ალიტერაციად მივიჩნიოთ? როგორც ცნობილია, ალიტერაცია უპირატესად ლექსითი ნაწარმოების კომპონენტი და ფონიკის უმთავრესი ელემენტია, ტაების ერთ-ერთი მორგანიზებელი საშუალებაა. ეს ხერხი არც პროზისთვისაა უცხო [20, 15; 25, 397. შდრ.: 35, 161; 36, 20]. მაგრამ პროზაულ ნაწარმოებში ალიტერაცია რიტმულობის, და არა რიტმის, აუცილებელი კომპონენტია. „აბოს წამებაში“ ასეთი ფუნქცია არ ეკისრება ფონემურ გამეორებებს არც მაშინ, როცა ამ ხერხს ავტორი განმარტებისას მიმართავს და არც სხვა შემთხვევებშიც. თხზულებაში გვხვდება მძაფრი რიტმული ექსპრესიით აღბეჭდილი

ადგილები, მაგრამ ეს სისტემურ ხასიათს არ ატარებს. ამასთან რიტმულობას ნაწარმოებში სხვა გარემოებანი განაპირობებენ და არა ზემოაღნიშნული ფუნქციური ნემური გამეორებები. ამიტომ, ჩვენი აზრით, ძნელია, ზემოაღნიშნული მოვლენა ალიტერაციად მივიჩნიოთ².

რაც შეეხება „განმარტებული ენის“ თვალთახედვით თხზულების ფონეტიკურ თავისებურებათა კვლევას, ეს, ჩვენი აზრით, ერთობ გაჭირდება, რადგან უკვე მედიევალურ ეპოქაში ძველი ქართული ენა „მკვეთრად ჩამოყალიბებულ ნორმათა სისტემა“ [17, 018] და ერთგვაროვანი მისი დამოკიდებულება ცოცხალ მეტყველებასთან [22, 9]. ამდენად, გარკვეული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ფონეტიკური პროცესები და სხვა ცვლილებები, რომლებსაც ამ დროსაც ჰქონდა ადგილი მეტყველებაში, ნაკლებად აისახებოდა კლასიკურ პერიოდის ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში.

მეტად საინტერესო მორფოლოგიურ თავისებურებას ავლენს მწერლის ენობრივ-სტილური კონცეფციის რეალიზაციის თვალსაზრისით „აბო ტვილელის წამების“ სხვადასხვა ნუსხაზე დაკვირვება. უნდა ითქვას, რომ თხზულების ჩვენამდე მოღწეულ თხუთმეტ ხელნაწერთაგან ენობრივად თვითმყოფად სურათს მხოლოდ ხუთი მათგანი გვიქმნის: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-19, A-1109, A-95, Sin-11 და Ath-8 ხელნაწერები. დანარჩენი ხელნაწერები გვიანდელია: ერთი (A-70) XIII საუკუნისაა [2, 248], შვიდი (A-130, A-170, A-176, H-1672, H-2077, H-2121, S-3269) — XVIII საუკუნისა [2, 249, 251, 253, 260, 262, 263, 266], ორიც (H-1370, ლენინგრ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი M-21) — XIX საუკუნისა [2, 259—273]. ამიტომაც ეს უკანასკნელნი ნაკლებად წარმოგვიჩენენ თხზულების ზუსტ ენობრივ სურათს. ზოგიერთ გვიანდელ ნუსხას (A-130, A-170, A-176, H-2077) პირდაპირ ეტყობა, რომ A-95 ხელნაწერის პირია [7, 10].

ადრეული ხუთი ხელნაწერიდან ორი IX საუკუნისაა: A-19 და A-1109. A-19 სრული და ერთ-ერთი ძირითადი ნუსხაა. ვფიქრობთ, იგი ყველაზე ზუსტად წარმოგვიჩენს ტექსტის თავდაპირველ ენობრივ სურათს. ამ ნუსხის ენისათვის დამახასიათებელი უმნიშვნელოვანესი მორფოლოგიური თავისებურებებია, რომ „ჰ“ პრეფიქსი და მისი ალომორფები ისეთ ზმნებში გვხვდება, სადაც სხვაგვარი ფორმებიცაა შესაძლებელი: შევპრაცხე [1, 47], განჰმარტენიო (ბრძ. კ.) [1, 49], სეთებოდიან [1, 49], ჰყოფდა [1, 57], დასცხრებოდა [1, 59], ჰზრახავნ [1, 60], წარსწყემილო [1, 61], ჰზრდიდა [1, 66], ჰხედვიდეს [1, 69], მიჰყვანდეს [1, 69], განჰჯანეს [1, 71], ჰგონებდა [1, 71], ჰნატრიან [1, 80] და სხვ.

A-1109 ნუსხა ერთობ დაზიანებულია [2, 257; 7, 8], მაგრამ შემონახული ადგილები იმეორებენ ზმნებში პრეფიქსთა ასეთსავე ჩვენებას. განსხვავება ისაა, რომ აქ ორიოდ შემთხვევაში „ჰხედვიდეს“ („ჰხედვიდა“) ფორმის ნაცვლად „ხედვიდეს“ („ხედვიდა“) წაკითხვა გვაქვს [1, 74—75].

ანალოგიურ ვითარებას ადასტურებს X საუკუნის A-95 ხელნაწერიც [1, 69, 75].

² ეს მოვლენა ენათმეცნიერული თვალსაზრისით შეიძლება გახდეს როგორც მორფოლოგიის, ასევე ფონოლოგიის შესწავლის ობიექტი. მორფოლოგიური კვლევის სფეროს იგი იმდენად განეკუთვნება, რამდენადაც მწერალი ერთნაირი ფორმანტებით გაფორმებულ ფორმებს (სიტყვებს) იყენებს, ხოლო ფონოლოგიურს იმდენად, რამდენადაც ამ ფორმანტებში ერთი და იგივე ფონემები მეორდება და ამავე დროს ამ ფორმანტთა ფონემური-შედგენილობა ქვეყნობიერად განაპირობებს მწერლის მიერ ისეთ სიტყვათა ამორჩევას, რომელთა ძირში ასეთივე ფონემები დომინირებს.

ამავე საუკუნის დანარჩენი ორი ხელნაწერიდან Sin-11-ც იმეორებს A-19 ნუსხის ჩვენებას, თუმცა ზოგან ამოგდებულია ზედმეტი „ჰ“ პრეფიქსი: „ხედვილეს“ [1, 69—70], „განვსნეს“ [1, 71], ხოლო ზმნა „წარსწყმიდო“ შეცვლილია ვნებითის ფორმით: „წარსწყმიდო“ [1, 61].

A-19 ნუსხის ჩვენებასვე იმეორებს X საუკუნის მეორე — Ath-8 ხელნაწერიც იმ განსხვავებით, რომ ზმნებში აქა-იქ ერთდროულად გამოყენებულია „ჰ“ პრეფიქსიცა და მისი ფონეტიკური ვარიანტი „ს“: „ჰსცთებოდიან [1, 49], წარჰსწყმიდო [1, 61], განჰსცა [1, 67], წარჰსცა [1, 67]. ეს „ჰ“ და „ს“ პირის ნიშანთა კონტამინირებული ნაირსახეობებია [24, 481]. მაგრამ ეს მარტივი, მექანიკური კონტამინაცია კი არაა, არამედ საჭმე გვაქვს ერთ ბეგრად შერწყმულ თავისებურ წარმოთქმასთან [24, 6]. ამიტომაც ა. შანიძე ამ მოვლენას ნაწილობრივ ასომილიციად მიიჩნევს [15, 358]. იგი თვლის, რომ ამ რიგის შემთხვევები ჰაემეტობის, როგორც მორფოლოგიური ნორმის, რღვევაზე მიგვახსენებს [15, 358]. ეს მოვლენა არათუ X საუკუნიდან, არამედ უფრო ადრინდელი პერიოდიდან — VIII საუკუნიდან დასტურდება. ამდენად, ზემოაღნიშნული ფაქტები, რომლებიც ფიქსირებულია Ath-8 ხელნაწერში, ფონეტიკის სფეროს განეკუთვნება, ეპოქის სამწიგნობრო ენის თავისებურებას ასახავს და მას რაიმე მორფოლოგიური ღირებულება არ გააჩნია. ამ მაგალითების გარდა, ჩვენი დაკვირებით, „ჰ“ პრეფიქსის გამოყენების თვალსაზრისით Ath-8 ხელნაწერი A-19-ისაგან კიდევ ერთი ფაქტით განსხვავდება: Ath-8 ნუსხა „ჰზრაზან“ ფორმის ნაცვლად „ზრაზან“ წაკითხვას გეთავაზობს [1, 60].

ვფიქრობთ, ავტორის ენობრივ-სტილური კონცეფციის გათვალისწინებით ნუსხათა ჩვენებების შეპირისპირების შედეგები უფლებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ „ჰ“ პრეფიქსის ჭარბი ხმარება მიანიშნებს „აბოს წამების“ თავდაპირველი ტექსტის ჰაემეტობაზე.

მაინც როგორ უნდა გამოხატულიყო ამ მორფოლოგიურ თავისებურებაში „განმარტებულთა ენთა“ თხრობის პრინციპი?

ზემოთ უკვე მივუთითებდით, რომ ამ პრინციპით თხრობისას თითოეული ენობრივი ერთეული მაქსიმალურად იტვირთება სხვადასხვა სახის ინფორმაციით. ამიტომ, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს ზმნაში „ჰ“ პრეფიქსის გამოყენება, რომელიც აქ გრამატიკულ პირს აღნიშნავს: მეორე სუბიექტურსა [14, 61; 24, 478] და მესამე ირიბ-ობიექტურს [14, 65. შდრ.: 24, 478—479]. კერძოდ, ჩვენი აზრით, ზმნაში ფონეტიკურად დაკარგული პრეფიქსის აღდგენა, ანდა ის ფაქტი, რომ ეს ფორმანტი მორფოლოგიურად არ არსებობს, მაგრამ მწერალი მას მაინც მიმართავს, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ავტორი ქვეცნობიერად გავწვდის ინფორმაციას გრამატიკულ პირზე. მაგალითად, „ჰ“ პრეფიქსი სპირანტებისწინა პოზიციაში იკარგება [14, 61. შდრ.: 24, 478]. იოანე საბანისძე კი მას ამავე ვითარებაშიც იყენებს და მასში ქვეცნობიერად დებს ინფორმაციას გრამატიკულ პირზე. მწერალი მიმართავს ფორმებს: „ჰზრდიდა“, „ჰზრაზან“. ასეთი ფორმები კი ძველი ქართლისათვის უჩვეულოა. ამიტომაც, როგორც უკვე აღვნიშნავდით, ამ და სხვა ანალოგიურ ფორმებში A-1109, Sin-11, A-95 და Ath-8 ხელნაწერები ზედმეტ „ჰ“ მორფემას არ იმეორებენ.

უძველეს ნუსხათა ჩვენებების საფუძველზე „აბოს წამებაში“ ხმოვნისწინა პოზიციაში „ჰ“ პრეფიქსი არასდ არ გვხვდება. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჰაემეტობის შემდგომ პერიოდში ხმოვნისწინა პოზიციაში „ჰ“-ის მოშლა მყარ სალიტერატურო ნორმად ქცეულა და ეს ნორმა გადამწერებს მწერლის ენობრივ-სტილური კონცეფციის მიუხედავად ველარ დაურღვევათ.

მართლწერისა და მორფოლოგიური წესის დარღვევაზე მეტყველებს ისეთი ზმნაში როგორცაა „განმარტენით“ „ჰ“ პრეფიქსის გამოყენება. წინადადებაში ის წართქმით-ბრძანებითი კილოს ფორმაა. ასეთ ფორმებს კი პირთა აღსანიშნავად არავითარი პრეფიქსი არ სჭირდება [13, 117—118; 14, 62]. უფრო მეტიც, ასეთ ზმნათა თხრობითი და ბრძანებითი კილოები მორფოლოგიურად სწორედ ამ პრეფიქსის გამოყენებით განირჩევა. ამის გამო მათში არ უნდა იყოს წარმოდგენილი „ჰ“ პრეფიქსი, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნიათ მეორე სუბიექტური პირი, რომლის აღსანიშნავადაც გამოიყენება ეს პრეფიქსი.

ჩვენ მიერ შემოჩამოთვლილი სხვა ზმნები საერთოდ არ შეიცავს მეორე სუბიექტურსა და მესამე ირიბ-ობიექტურ პირებს. ამიტომაც მათში გამოყენებული „ჰ“ თავსართი გრამატიკულად უფუნქციოა. სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული მოსაზრებით, ამ ზმნებს ისტორიულად ჰქონიათ მესამე ირიბ-ობიექტური პირი და „ჰ“ პრეფიქსი მათში ამ უმეცელეს ვითარებას უნდა ასახავდეს [6, 324, 338—341. შტრ.: 24, 479]. აქედან გამომდინარე, ამ ზმნებში „ჰ“ პრეფიქსის გამოყენება გადამწერთა უბრალო ლაფსუსი კი არა, არამედ საერთო ლიტერატურული მოვლენაა [6, 324]. ამის მაგალითები პირველსაკე პემეტ ტექსტებში შეინიშნება [15, 359]. ვფიქრობთ, „აბოს წამებაში“ ამ რიგის ფაქტების არსებობას გარკვეულწილად თვითონ ავტორის ენობრივ-სტილური კონცეფციაც უნდა განაპირობებდეს.

ამ ზმნებზე მწერლის ენობრივ-სტილური კონცეფციის გავლენა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ: ინფორმაციის (ამ შემთხვევაში — გრამატიკულის) მოცულობის გასაფართოებლად მწერალი ქვეცნობიერად მიმართავს „ჰ“ პრეფიქსს იმ ზმნებშიც კი, რომელთაც არ გააჩნიათ ირიბ-ობიექტური პირი. ამიჯ ავტორი მორფოლოგიურად ადასტურებს დაკარგული ირიბ-ობიექტური პირის არსებობას.

ეს გარემოება „აბოს წამების“ ენობრივ-სტილური სტრუქტურისათვის მხოლოდ საერთო სალიტერატურო მოვლენა არაა. იგი არანაკლებ პირობადებულაა მწერლის „განმარტებული ენის“ კონცეფციითაც. ამაში ერთი ფაქტიც გვარწმუნებს: სპირანტების წინ და წართქმით-ბრძანებითში „ჰ“ თავსართის ხმარება სალიტერატურო მოვლენა არაა, მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანე საბანისძე აქაც იყენებს მას. ამიტომაც ამ პრეფიქსის ჰმარბი ხმარება მწერლის ინდივიდუალობაზე მიგვანიშნებს. მისი ფუნქცია კი გრამატიკული ინფორმაციის გადმოცემაა. ამდენად, სავსებით ბუნებრივი იქნება „განმარტებული ენის“ კონცეფციის გამოხატულებად მივიჩნიოთ ამ პრეფიქსის იმ ზმნებში გამოყენება, რომელთაც იგი არ აქვთ.

როგორც ვხედავთ, „აბოს წამების“ ენის ერთ-ერთი მორფოლოგიური თავისებურება, რაც „ჰ“ პრეფიქსისა და მის ალომორფთა მორფოლოგიური და ფონეტიკური ვითარების გაუთვალისწინებლად გამოყენებაში გამოიხატება, ასწნას მწერლის ენობრივ-სტილურ კონცეფციაში პოულობს.

მრავალი საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა „განმარტებული ენის“ სინტაქსიც. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თხზულებაში კავშირების გამოყენების ხასიათი. მათი სინტაქსში განხილვა, მიუხედავად იმისა, რომ საკითხისადმი ამგვარ მიდგომას ზოგიერთი მკვლევარი არ იზიარებს, სავსებით გამართლებულია. ეს განპირობებულია თვით კავშირების არსითა და ფუნქციით. კავშირი სინტაქსის ცნებაა. მისი დანიშნულების რეალიზაცია მხოლოდ წინადადების მეშვეობით ხდება. მხოლოდ წინადადების საშუალებით ავლენს კავშირი თავის ბუნებას, რადგან მისი ფუნქცია სინტაქსური ელემენტების ურთიერთდაკავშირებაში გამოიხატება.

თხზულებაში ფართოდ გამოიყენება მაქვემდებარებელი კავშირები: რამეთუ, ოდეს, ვითა, ვითარმედ, ვითარცა, რაჟამს, რამათა და სხვ. მაერთებელ კავშირთან სწორია: და, ხოლო, არა თუ — არამედ. დასტურდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მწერალი ურთიერთმეზობლად განალაგებს რამდენიმე კავშირს.

მაქვემდებარებელ კავშირთა სიხშირე პირდაპირ შეესაბამება იოანე-საბანისძის ენობრივ-სტილურ კონცეფციას. ამ ტიპის კავშირები შესანიშნავ პირობას ქმნის წინადადების ინფორმაციული ტევადობის გადიდებისათვის. ისინი რალაციის განმარტების, ახსნის მომენტს შეიცავენ და ამით მწერალს დამატებითი ინფორმაციის გადმოცემის საშუალებას აძლევენ. მართალია, კავშირთა მხოლოდ კონტექსტში იძენს განსაზღვრულ მნიშვნელობას, მაგრამ ზოგიერთი კავშირი, მაგალითად „რამეთუ“, იმთავითვე მიგვანიშნებს, რომ იგი რალაციის მიზნებს განმარტავს³. ეს იმიტომ, რომ იგი უმთავრესად მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაზე რთულ ქვეწყობილ წინადადებაში გამოიყენება.

მიზანმიმართულად გამოიყენება თხზულებაში მეართებელი კავშირებიც. განსაკუთრებით ხშირად მიმართავენ ავტორი მაპირისპირებელ კავშირებს (ხოლო, არა თუ — არამედ). მწერალს ეს დაპირისპირების გზით აზრის სიკვანძის მისაღწევად სჭირდება.

გვეს არ იწვევს ისიც, რომ ავტორი აშკარად და სრულიად გააზრებულად იყენებს კავშირებს საკუთარი ენობრივ-სტილური კონცეფციის სარეალიზაციოდ.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულ ტექსტებში ძალზე ხშირად გამოიყენება „და“ კავშირი [9, 504—505]. ანალოგიური სურათი გვაქვს „აბოს წამებაშიც“ [9, 504—505]. ბუნებრივია, ლოგიკური იქნება დავსვათ კითხვა, რა ფუნქციას ასრულებს ეს კავშირი იოანე საბანისძის თხზულებაში და მისი გამოყენებას თავისებურებაზე ახდენს თუ არა გავლენას „განმარტებულითა ენითა“ თხრობას პრინციპი?

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, ზოგიერთი მეართებელი კავშირი იძენს თვისებას, ერთი ელემენტი არა მარტო შეაერთოს მეორესთან, არამედ მიაერთოს კიდევ წინამავალ სინტაქსურ ერთეულს [46, 96]. ასეთ კავშირებს მიმართებელ კავშირებს უწოდებენ [46, 96]. ისინი წინამავალ სინტაქსურ ელემენტთან თითქოსდა დაქვემდებარებულად მიაერთებენ მომდევნოს (წინადადების წევრს, რთული წინადადების ერთ-ერთ წინადადებას და სხვ.). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მეართებელი კავშირები მიმართებელ მნიშვნელობას რთული სინტაქსური მთლიანობისას იძენენ [39, 53]. იმავდროულად, „განმარტებულითა ენითა“ თხრობის პრინციპი სინტაქსურად სწორედ რთული სინტაქსური მთლიანობის შექმნით ხორციელდება. ამიტომ სრულიად ბუნებრივია იმის ვარაუდი, რომ „და“ კავშირი „აბოს წამებაში“, თავისი უმთავრესი — მეართებელი (მაჯგუფებელი) მნიშვნელობის გარდა, მიმართებელი ფუნქციითაც იტვირთება. ჩვენი აზრით, სწორედ ამით აიხსნება მისი მაღალი სიხშირე თხზულებაში. მართლაც, ამ კავშირის მიმართებელი ფუნქციით 27-ჯერ იყენებს იოანე საბანისძე [12, 136].

ასეთივე ფუნქციით „და“ კავშირის გარდა, თხზულებაში მრავალჯერ გა-

³ მართალია, ძნელი დასადგენია, რამდენად გაცნობიერებულია მწერლის მიერ მინიშნული ამ კავშირთა გამოყენება, მაგრამ ერთი რამ უთუოდ ცხადია: როგორც ქვემოთ ვნახავთ, მათი სიხშირე თხზულებაში სხვა ტიპის წინადადებათა მიმართ რთულ ქვეწყობილ წინადადებათა პრიორიტეტითა უშუალოდ პირობადებული.

მიოყენება მართებული „ხოლო“ და მაქვემდებარებელი „რამეთუ“ კავშირები. ისინი „და“ კავშირისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ ისინი მამართლებელი ფუნქციით არ გამოიყენებიან შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვან წევრთა დასაკავშირებლად. „ხოლო“ და „რამეთუ“ კავშირები ასეთ ფუნქციას უმეტესწილად მაშინ იძენენ, როცა ისინი აზვაცებს იწყებენ.

ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში, როდესაც „აბოს წამების“ აკადემიური გამოცემა მომზადდა, ქართულ ენათმეცნიერებაში ნაკლებად იყო შესწავლილი მიმართებული კავშირები. ამიტომ ამ გამოცემაში ზოგჯერ არასწორად იქნა გავებული ამ კავშირთა ბუნება. ამან განაპირობა თხზულების მეორე და მესამე თავებში ოთხიოდე მარტივი წინადადების მცდარად გამოყოფა [1, 56, 58, 63, 67]⁴.

ეს წინადადებები კავშირებით (ხოლო, და, ხოლო, რამეთუ) იწყება, რომლებსაც მიმართებული ფუნქცია აკისრია. ამიტომ ავტორი ამ შემთხვევებში არ მიმართავს მარტივ წინადადებებს. პირიქით, იგი ამ კავშირთა შემცველ სინტაქსურ ერთეულებს წინამავალ წინადადებასთან მიაერთებს. ამ კავშირებით, ისევე როგორც საერთოდ მიმართებული კავშირებით, შეერთებული სინტაქსური ერთეულები ერთ დიდ სინტაქსურ ერთეულად აღიქმება. ასეთსავე შთაბეჭდილებას გვიქმნის ამ თავების სტილური ხასიათის გათვალისწინებაც: მართალია, მათში ვადმოცემულ ინფორმაციას თხრობითი ხასიათი აქვს, მაგრამ თხზულებისათვის უპირატესად ნიშანდობლივი სტილის ზოგად სისტემაში პრიორიტეტი გართულებულ სინტაქსურ ერთეულებს ენიჭება. ერთი მხრივ, ავტორის მხატვრული მიზანდასახულობა, მეორე მხრივ კი, შემოაღნიშნულ წინადადებათა თავისებურებები ნათლად გვარწმუნებს, რომ აკადემიურ გამოცემაში ხსენებულ მარტივ წინადადებათა ცალკე სინტაქსურ ერთეულებად წარმოდგენა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში მიმართებულ კავშირებთან ერთად რთული თანწყობილი წინადადების პრობლემაც დგება. ანალოზს მნიშვნელოვანწილად ართულებს ის გარემოება, რომ ჩვენი წინაპრები თავისებურ პუნქტუაციას იყენებდნენ და სასვენ ნიშნებს (წერტილი, ორი წერტილი, სამი წერტილი) ისინი პაუზების მიხედვით სვამდნენ. „და“, „რამეთუ“ და „ხოლო“ კავშირებით ძველ ტექსტებში სწორად დამოუკიდებელი წინადადებები იწყება. მიმართებული კავშირები სინტაქსურ ერთეულთა ზღვარზე გამოყენებისას კი რთულ თანწყობილ წინადადებას ქმნის. ასე რომ, ძალზე იოლია, ძველ ქართულ ტექსტებში თანამედროვე პუნქტუაციის წესების გამოყენებისას წერტილს დასმით ცალკე სინტაქსურ ერთეულებად დავშალოთ რთული თანწყობილი წინადადება⁵. ამიტომაც „აბოს წამების“ ზოგიერთ გამოცემაში (განსაკუთრებით მასობრივი ხასიათისა) საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი მარტივი წინადადებები. ჩვენ კი, მარტივი წინადადების გამოყენების მხოლოდ სამიოდე შემთხვევაზე რომ მივუთითებდით, მხედველობაში გვქონდა ძველის აკადემიური გამოცემა, სადაც თითოეული სასვენი ნიშანი მკაცრი ტექსტოლოგიური

⁴ აღსანიშნავია, რომ ნაწარმოების მეოთხე თავში „ქება“ სავსებით მართებულადაა გამოყოფილი სამი მარტივი წინადადება. საუელისხმოა, რომ ამ წინადადებათაგან არც ერთი არ იწყება კავშირით. მეორე მხრივ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მათი არსებობა ამ ნაკვეთისათვის ნიშანდობლივი სტილის მოთხოვნებით აიხსნება.

⁵ სინტაქსურ ერთეულებად მივიჩნევთ წინადადებათა სახეობებს მათი აკებულების მიხედვით.

⁶ მიმართებული მნიშვნელობით გამოყენებული „რამეთუ“ კავშირი არ ქმნის რთულ ქვეწყობილ წინადადებას. ამ ნიშნით განსხვავდება იგი თავისი მაქვემდებარებელი ვარიანტისაგან.

ანალიზის საფუძველზეა დადგენილი⁷, თუმცა ზოგიერთი ხარვეზისაგან არც ეს გამოცემა დაზღვეული.

მაგალითად, დაზუსტებას მოითხოვს რ. პატარიძის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ „და“ კავშირი „სასვენი ნიშნების უქონლობის ხანაში, სასვენი ნიშნის მოვალეობას ასრულებდა“ [11, 148] და რომ იგი „აღნიშნავდა ახალი წინადადებისა, ახალი ტაებისა თუ ახალი სტროფის დაწყებას“ [11, 148] (უთუოდ მიმართებელი ფუნქციით გამოყენებისას). რა გვაქვს მხედველობაში? უწინარეს ყოვლისა ის, რომ არ იქნება მართებული ამ მოსაზრების ძველი ქართული მწერლობის ყველა გვარისა თუ ჟანრის ნაწარმოებზე გავრცელება. მაგალითად, „და“ კავშირი მართლაც ახალ მონაკვეთს იწყებს ძველ ჰიმნოგრაფიულ ტექსტში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (ეს უდავოდ მართებულად და ზუსტად შენიშნეს რ. პატარიძემ [11, 148—159] და გ. ნარსიძემ [10, 152—155]). იგივე შეიძლება ითქვას მთელ ქართულ ჰიმნოგრაფიაზე, სადაც ფართოდ გამოიყენება „და“ კავშირი თითოეული ტაებისა თუ წინადადების გამოსაყოფად. მაგრამ, ჩვენი აზრით, სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან უნდა გვექონდეს საქმე პროზაულ ნაწარმოებებში: ჰავიოგრაფიასა და სხვ. ჟანრებში.

ჯერ ერთი, აქ, საზოგადოდ, ასეთი დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება წინადადებათა ურთიერთგამიჯვნას. წინადადებები რომ სასვენი ნიშნებით მკვეთრად არ იყოფა ერთმანეთისაგან, ეს ოდნავადაც არ უშლის ხელს აზრის სრულყოფილ აღქმას. სასვენი ნიშნების უმთავრესი ფუნქცია კი ესაა. ასე რომ, იმ დროისათვის მიღებული პუნქტუაცია აქ თავის დანიშნულებას ასრულებს. და მეორეც, თუკი რომელიმე ავტორი რომელიმე კავშირს მიმართებელი ფუნქციით იყენებდა, სავარაუდოა, რომ იგი ამ კავშირს ხმარობდა სინტაქსური ელემენტების შესაერთებლად, ერთი სინტაქსური ერთეულის მთლიანობაში მოსაქცევად და არა ამ ერთეულთა ურთიერთგასამიჯვნად. ასეთ დროს საერთოდ არ შეიძლება თანწყობილი წინადადების გაწყვეტა და მიმართებელი კავშირის წინ წერტილის დასმა. ეს მით უმეტეს არაბუნებრივი იქნება „აბო ტფილელის წამებისათვის“, რადგან მისი ავტორი, როგორც ზემოთ შევეცადეთ ამის დასაბუთებას, ცდილობს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მოათავსოს ერთ სინტაქსურ ერთეულში.

ამ მიზნის მიღწევაში მას მიმართებელი „და“, „რამეთუ“ და „ხოლო“ კავშირები უწყობს ხელს და ამიტომაც იყენებს მწერალი მათ ინტენსიურად, თუმცა, მკაცრად განსაზღვრული დანიშნულებით: 1. ერთ დამოუკიდებელ წინადადებასთან მეორე წინადადების მისაერთებლად; 2. რთული წინადადების შემცველი მონაკვეთის ერთ დიდ მონაკვეთად შესაერთებლად (თუკი ისინი წინადადებაში მათთვის ნიშანდობლივ მართებელ და მაქვემდებარებელ ფუნქციას არ ასრულებენ). ამასთან, მიმართებელი „და“ კავშირი შერწყმულ წინადადებაშიც გამოიყენება.

მიმართებელ კავშირთა გამოყენებით იოანე საბანისძე თანწყობაშიც კი ერთგვარ ქვეწყობას ქმნის. ნათქვამის საილუსტრაციოდ მხოლოდ ერთ წინადადებას მოვიყვანთ, თუმცა ანალოგიურ მაგალითებს უხვად შეიცავს ტექსტი: „და ნეტარი ჰაბო უფროსდა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანაჲ იგი საესქ ქრისტეს სარწმუნოებითა და არაიენ ურწმუნოთაგანი მკუდრად იპოვების სასლვართა მათაჲ“ [1, 59]. დამოწმებულ წინადადებაში ორივე „და“ კავშირი თანწყობაში ერთგვარ ქვეწყობას ქმნის. პირველი „და“ კავშირი მთელ

⁷ თუმცა თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ „აბოს წამებაში“ ძალზე იშვიათად გვხვდება რთული თანწყობილი წინადადებები. თუკი ასეთ სინტაქსურ ერთეულებს მაინც დავშლით ცალკეულ წინადადებად, მარტივ წინადადებათა რაოდენობა მაინც უმნიშვნელო იქნება ტექსტში.



აბზაცს წინა აბზაცთან ერთ დიდ მონაკვეთად აერთებს. ამას თვალნათლივ აღსკ-
ტურებს ციტირებული წინადადების თხზულების მთლიან კონტექსტში გააზრ-
ტება. მეორე „და“ კავშირი ერთ დამოუკიდებელ წინადადებას მეორესთან
აერთებს და თითქოს უქვემდებარებს კიდევ მას.

ამით არ ამოიწურება „აბოს წამების“ ენობრივ-სტილურ სისტემაში „და“
კავშირის არსი და ფუნქცია. საერთოდაც, ძველ ქართულ ტექსტებში „და“ კავ-
შირი უმთავრესად სამი დანიშნულებით გამოიყენება: შერწყმულ წინადადებაში
ერთგვაროვან წევრთა შესაერთებლად; სრულიად დამოუკიდებელი წინადადე-
ბების საზღვარზე; თხრობის დიდი პერიოდების შემადგენელ ნაწილთა, ანუ
რთული წინადადების შემცველ ცალკეულ კომპონენტთა ერთ დიდ მონაკვე-
თად შესაერთებლად [5, 90—93 ბ. სერგა]. ვ. სერგიას აზრით, „სრულიად დამო-
უკიდებელ წინადადებათა საზღვარზე“ „და“ კავშირის გამოყენების შემთხვევა
ამ კავშირის მიმართებელი ფუნქციის გამოვლინებაა [12, 132]. იგივე შეიძლე-
ბა ითქვას მესამე შემთხვევაზეც [12, 132].

„და“ და სხვა მიმართებელი კავშირების ამ დანიშნულებით გამოყენების
თაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. საგულისხმოა, რომ მკვლევარს
პირველ შემთხვევაში, ე. ი. შერწყმულ წინადადებაში, ერთგვაროვანი წევრე-
ბის შესაერთებლად „და“ კავშირის გამოყენება, როგორც ჩანს, არ მიაჩნია ამ
კავშირის მიმართებელი ფუნქციის გამოვლინებად. ასეთი მოსაზრება გარკვე-
ულ დაზუსტებას მოითხოვს. სამეცნიერო ლიტერატურაში საესებით სწორადაა
აღნიშნული, რომ „და“ კავშირი მიმართებელ ფუნქციას შერწყმულ წინადა-
დებაშიც ასრულებს [46, 95], კერძოდ, იგი ერთგვაროვან წევრთა მისაერთებ-
ლადც გამოიყენება. რაც მთავარია, მიმართებელი „და“ კავშირი შერწყმულ
წინადადებაში „აბოს წამების“ ენობრივი ქსოვილისათვის სრულიად ბუნებრივ
ელემენტია⁸. ამგვარ შემთხვევათა შესაძლებლობას თვალნათელს ხდის თხზუ-
ლების ენობრივ-სტილურ სისტემაზე დაკვირვებაც. სამწუხაროდ, „და“ კავში-
რის ასეთი ფუნქციით გამოყენების დამადასტურებელი ფაქტები ყურადღების
მიღმა რჩება ვ. სერგიას [12, 131]. მიმართებელ კავშირთაგან კი „და“ კავში-
რის ყველაზე ხშირი ხმარება სწორედ ამ გარემოებითაა განპირობებული.

შერწყმულ წინადადებაში აშკარად შეინიშნება ერთი ტენდენციაც: მიუხე-
დავად იმისა, წინადადება დამოუკიდებელი სინტაქსური ერთეულია, თუ რთუ-
ლი სინტაქსური ერთეულის შემადგენლობაშია წარმოდგენილი, იოანე საბანის-
ძე მასში რამდენიმე ერთგვაროვან წევრს თანასწორუფლებიანი წევრების სა-
ხით კი არ აერთებს ერთმანეთთან, არამედ ცდილობს, მომდევნო ელემენტი
წინას ერთგვარად დაუქვემდებაროს და ისე მიაერთოს მას. ეს, ჩვენი აზრით,
თხზულებაში „და“ კავშირის მიმართებელი ფუნქციით გამოყენებით აიხსნება.
„აბოს წამების“ ენობრივი ქსოვილისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ეს გარე-
მოება, რომ იგი თავის კვალს ტოვებს ნაწარმოებში ფიქსირებულ ე. წ. სინონი-
მურ პარალელიზმში და უაღრესად არსებითი სპეციფიკური ნიშან-თვისებებთა
აღბეჭდავს მას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ თავისებური სინონიმური პარალელიზმი
ერთობ ნიშანდობლივია „აბოს წამებისათვის“. მასში ვლინდება ამ ნაწარმოე-
ბის მხატვრული სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ლიტერატურული ელემენტი.
მხედველობაში გვაქვს ერთი მოვლენის რამდენიმე სიტყვით აღწერა, ანუ სა-
ტყვათსიმრავლე, რაც სხვადასხვანაირად იჩენს თავს ნაწარმოების ენობრივ

⁸ აღსანიშნავია, რომ ვ. სერგიას მიერ ფიქსირებული მიმართებელი ფუნქციით „და“ კავში-
რის „აბოს წამებაში“ გამოყენების შემთხვევები არ ითვალისწინებს ამ კავშირის ამავე ფუნქ-
ციით შერწყმულ წინადადებაში ერთგვაროვან წევრთა მიერთების ფაქტებს.

სტრუქტურაში. სინონიმური პარალელიზმი, როგორც ცნობილია, პოეტურ-ენაში მაქსიმალური ლიტერატურული ეფექტის მიღწევის ერთ-ერთი ხერხია [18, 27].

სინტაქსური თვალსაზრისით სინონიმური პარალელის წევრები თანასწორ-უფლებიანები არიან. მათ შორის განსხვავება მხოლოდ სემანტიკურ სფეროში შეინიშნება. ამით კი ისინი ერთმანეთს ავსებენ და აღსაწერი მოვლენის შესახებ აზრობრივ ერთიანობას ქმნიან. როგორც მ. შანიძემ დამაჯერებლად ცხად-ყო, სწორედ ასეთი სახის სინონიმურ პარალელიზმს ვხვდებით დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში. უფრო მეტიც, ეს მოვლენა ავტორისეული პოეტიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა [16, 239].

პრინციპულად განსხვავებული ვითარება გვაქვს „აბოს წამებაში“. სინონიმური პარალელის ასაგებად იოანე საბანისძე „და“ კავშირს მიმავრთებელი მწაშენლობით იყენებს⁹. ამის გამო პარალელის წევრები თანასწორ ფუნქციის ვებ ასრულებენ სინტაქსურ ერთეულში. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს, სინონიმური პარალელის წინამავალი წევრი მთავარი იყოს და მეორე ელემენტი მას დაქვემდებარებულად იმეორებდეს. ადრე, სხვა ენობრივი ინვენტარის საშუალებით გამოთქმული აზრის ნათელსაყოფად ავტორი ამავე აზრს სხვა სიტყვებითაც გადმოსცემს. ამიტომ მთლად ზუსტნი არ ვიქნებით, თუ ამ მოვლენას სინონიმურ პარალელიზმად მივიჩნევთ. ამასთან ამ რიგის ფაქტი არც სტილური სიმეტრიაა, არც მხატვრული პარალელიზმი და არც სტილური გამეორება [37, 447]. ვეფეროზთ, მოვლენის არსს ყველაზე უკეთ მიანიშნებს სინონიმური გამეორება გამოხატავს. თხზულებაში მართლაც მეორდება სინონიმები და თან — არა პარალელურად. აღსანიშნავია ისიც, რომ „და“ კავშირის მიმავრთებელი ფუნქციის გამოყენებისას შესაძლებელია მოვლენათა საგნობრივმა სიახლოვემ საერთოდ წაშალოს არსებითი გრამატიკული განსხვავების კვალი [38, 442].

ახლა, დავაკვირდეთ, თუ როგორ იჩენს თავს იოანე საბანისძის თხზულების ენობრივ სტრუქტურაში სინონიმური გამეორებები. საილუსტრაციოდ სამიოდე მავალითს მოვიყვანთ, თუმცა, მსავსი ფაქტები სემპარისია ტიპისში.

I. „...და მოუწოდეს მას მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღვდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის-სცემდეს და უთხოვდეს მას სიტყუათა ცხორებისათა და ახარებდეს ქრისტესთვის და საუკუნოხსათა მის ცხორებისათვის“ [1, 59].

II. „...და დადევს იგი ქუეყანასა. და მოიდეს შეშაჲ და თივაჲ და ნაფთი და დაახსნეს გუამსა მას ზედა წმიდასა და დააგზინს ცეცხლი“ [1, 73].

III. „...რამეთუ საშინელ და წმიდა არს და ყოვლად ძლიერ და საკრაველ და უფალ და ყოვლისა მპყრობელ არს სახელი მისიცი“ [1, 52].

პირველ წინადადებაში პირველი „და“ კავშირი მთელ წინადადებას წინა წინადადებასთან ერთ დიდ სინტაქსურ ერთეულად აერთებს. ამავე ფუნქციით გამოიყენება პირველი და მეორე „და“ კავშირები მეორე წინადადებაში. ამასთან პირველ წინადადებაში მეორე და მესამე „და“ კავშირები შერწყმული წინადადების პირველ ქვემდებარეს (მთავარმან მან) თითქოს დაქვემდებარებულად უკავშირებს მეორე და მესამე ქვემდებარეებს (ეპისკოპოსმან, მღვდელთა). მეოთხე „და“ კავშირი თითქოს მესამე ქვემდებარეს (მღვდელთა) შერწყმული წინადადების მეორე შემასმენელს (აკურთხევდეს) უკავშირებს. სინამდვილეში

⁹ ზოგჯერ მწერალი პარალელის ასაგებად მავრთებელ კავშირებს იყენებს. როგორც ვნახეთ, ამ შემთხვევებში ტიპურ სინონიმურ პარალელს ვიღებთ.

ეს კავშირი მეორე შემასმენელს პირველთან (მოუწოდეს) მიაერთებს. აღბეჭკვნი გრამატიკული წესის ასეთი უგულებელყოფა იმ რიგის მოვლენაა, რომელიც ა. პეშკოვსკიმ აღწუსა [38, 442]. ამავე ფუნქციას ასრულებს მეხუთე „და“ კავშირი მეორე წინადადებაში.

უდავოა „და“ კავშირის მიმაერთებელი ფუნქცია მესამე წინადადებაშიც. კავშირის მიმაერთებელი თვისება და დაქვემდებარების შესაძლებლობა საშუალებას აძლევს მწერალს, ასეთი წესით ააგოს შერწყმული წინადადება და თანაც ამ წინადადებაში შინაგანი გამეორება არ იგულისხმებოდეს.

ამავე დროს იოანე საბანისძის თხზულებაში სინონიმური გამეორება ერთ შერწყმულ წინადადებაში რამდენიმე შრეს შეიცავს. მაგალითად, პირველ წინადადებაში უმთავრესია შემასმენლური სინონიმური გამეორება (და მოუწოდეს და აკუთხედვდეს და ნუგეშინის-სტეპედეს და უთხოვდეს და ახარბდეს); მეორე შრეს ქვემდებარული სინონიმური გამეორება ქმნის (მთავარმან და ეპისკოპოსმან და მღვდლთა); მესამე შრეს კი — მიზნის გარემოებითი (ქრისტესსტეს და ცხორებისათვის). მეორე წინადადებაში ორი შრეა: შემასმენლური (და დადევს და მოიღეს და დაასხეს და დააგზნეს) და პირდაპირ-ობიექტური (შეშა და თივა და ნაფთი). მესამე წინადადებაში უმთავრესია შემასმენლური გამეორება (არს და არს), მეორე შრე განსაზღვრებითი გამეორებაა (საშინელ და წმიდა და ძლიერ და საკრველ). ამასთან ქვემდებარე (უფალ) სინონიმური გამეორების წევრადაა წარმოდგენილი. ესეც გრამატიკული წესის უგულებელყოფაა. ავტორს „და“ კავშირის სწორედ მიმაერთებელი ბუნება აძლევს საშუალებას, ამ სახით წარმოადგინოს ქვემდებარე, დაუკავშიროს მას განსაზღვრებები და, რაც მთავარია, აზრი მკაფიოდ გამოხატოს, სიცხადით, კონკრეტულობითა და გამოშახველობით აღბეჭდოს იგი.

აი, ასე იყენებს იოანე საბანისძე მიმაერთებელ კავშირებს სინტაქსური ერთეულების გასაერთიანებლად. უფრო მეტიც, მწერლის მიერ აბზაცების დასაწყისში მიმაერთებელი ფუნქციით გამოყენებული კავშირები მთელი ნაწარმოების მთლიანობისა და აბზაცების ერთმანეთთან ორგანულად მიერთების შთაბეჭდილებას ქმნის, ამის ღამო მკითხველს თხზულება ერთ უზარმაზარ სინტაქსურ ერთეულად წარმოუდგება. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „და“ კავშირის ამ დანიშნულებით გამოყენება ებრაული ენის გავლენის გამოხატულებაა და ბუნებრივი არ არის ქართული სინტაქსისათვის [5, 94]. მიუხედავად ამისა, იგი მხოლოდ ერთი შეხედვით ტოვებს ზედმეტობის შთაბეჭდილებას. უფრო მეტიც, ეს ფაქტი მეტად ორგანულიც კი გამხდარა იოანე საბანისძის ქართული სათავის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V—X სს.), ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1964.
2. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, V, დასაბეჭდად მოამზადეს, გამოკლევა, ბიბლიოგრაფია, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ, თბ., 1989.
3. ა. გაწერელია, ნარკვევები, პორტრეტები, ლექსთმოცოდნობა, თბ., 1988.
4. ა. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953.
5. კ. დანელია, უცხო ენათა გავლენის კვალი ძველი ქართული წერილობითი ძეგლების ენაში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1979, № 3.
6. ივ. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ლექსიკონით, ენის მიმოხილვით და ტაბულებით, ნაწ. II, თბ., 1971.

7. კ. კეყელიძე, ეტიუღები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. XIV, თბ., 1986.
8. გრ. კიყნაძე, მეტყვეღების სტილის საყთხები, თბ., 1957.
9. ი. ნადარეიშვილი, „და“ კავშირის ხმარების სიხშირე ქართული სალიტერატურო ენის ეეოლუციის პროცესში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 57, თბ., 1970, № 2.
10. გ. ნარსიძე, უძველესი ქართული თხზუღება, „მნათობი“, თბ., 1985, № 9.
11. რ. პატარაიძე, ქება ქართული ენისა, „მნათობი“, თბ., 1987, № 1.
12. ვ. სერგია, მიერთებითი დეკავშირების შესახებ ქართულ ენაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1988, № 3.
13. ა. შანიძე, თხზუღებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1981.
14. ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
15. ა. შანიძე, პეემეტი ტექსტები და მათი მნიშვნეღობა ქართული ენის ისტორიისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტფ., 1923, № 3.
16. მ. შანიძე, დავითის ისტორიკოსის თხზუღების ტექსტოლოგიური შესწავლის ზოგი საყთხი, წგნ.: პირველი საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის მასაღები, თბ., 1988.
17. არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, წგნ.: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950.
18. შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969.
19. ი. ქავჭავაძე, თხზუღებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. III, თბ., 1953.
20. ა. კიღაია, რ. კიღაია, ლიტერატურათმცოდნეობის ცნებები, თბ., 1984.
21. იე. ყავახიშვილი, თხზუღებანი თორმეტ ტომად, ტ. VIII, თბ., 1977.
22. ბ. ჭორბენაძე, ბღაყარი მწერლობისა, თბ., 1987.
23. ბ. ჭორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. I, თბ., 1989.
24. ბ. ჭორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მონდალური ელემენტების ლექსიკონი (მასაღები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის), თბ., 1988.
25. Введение в литературоведение, под редакцией Г. Н. Поспелова, М., 1988.
26. М. Верли, Общее литературоведение, перевод с немецкого В. Н. Иевлевой, редакция, предисловие и примечания А. С. Дмитриева, М., 1957.
27. В. В. Виноградов, Наука о языке художественной литературы и ее задачи (На материале русской литературы), М., 1958.
28. В. В. Виноградов, О теории художественной речи, М., 1971.
29. В. В. Виноградов, О языке художественной литературы, М., 1959.
30. Г. О. Винокур, Избр. раб. по русскому языку, М., 1959.
31. М. Горький, Собр. соч. в тридцати томах, т. 27, М., 1953.
32. В. фон Гумбольдт, Избр. труды по языкознанию, перевод с немецкого языка, под редакцией и с предисловием Г. В. Рамишвили, М., 1984.
33. А. И. Ефимов, О языке художественных произведений, М., 1954.
34. В. В. Иванов, Бессознательное, функциональная асимметрия, язык и творчество (К постановке вопроса), в кн.: Бессознательное, природа, функции, методы, исследования, т. IV, Тб., 1985.
35. Краткая литературная энциклопедия, т. I, М., 1962.
36. Литературный энциклопедический словарь, под общей редакцией В. М. Кожевникова и П. А. Николаева, М., 1987.
37. Д. С. Лихачев, Избр. раб. в трех томах, т. I, Л., 1987.
38. А. М. Пешковский, Русский синтаксис в научном освещении, М., 1956.
39. Н. С. Поспелов, Сложное синтаксическое целое и основные особенности его структуры, в кн.: Доклады и сообщения Института русского языка АН СССР, вып. 2, М., 1948.
40. А. А. Потебня, Мысль и язык, Одесса, 1922.
41. А. Г. Спиркин, Мышление и язык, М., 1958.
42. Л. Н. Толстой, Пол. собр. соч., т. VIII, М., 1936.
43. В. Турбин, Что такое стиль художественного произведения, журн. «Вопросы литературы», М., 1959, № 9.

44. А. В. Чичерин. Идеи и стиль, М., 1968.

45. Л. Шпитцер. Словесное искусство и наука о языке, в кн.: Проблемы литературной формы, Л., 1928.

46. Л. В. Щерба, Языковая система и речевая деятельность, Л., 1974.

Г. О. ШУРГАЯ

К СТРУКТУРЕ «ТОЛКУЮЩЕГО ЯЗЫКА»

I

Резюме

Для всестороннего осмысления художественной системы «Мученичества Або Тбилели» Иоанне Сабанидзе большое значение имеет анализ сущности «толкующего языка» («ганмартэбули зна») и средств его художественной реализации. Без этого многие особенности языково-стилевой системы произведения, его языковой ткани останутся нераскрытыми.

Исходя из специфики художественного языка как такового, к рассматриваемой проблеме следует подходить как с позиции лингвистики, так и литературоведения, т. е. в комплексе. В особенностях художественного языка кодируются нюансы системы художественных образов. Поэтому необходимо выяснить эти особенности и дать им соответствующую художественную интерпретацию.

На древнегрузинском языке слово «ганмартэба» изначально означало «раскрытие». Позднее оно приобрело также значение «толкования», «разъяснения». В этой связи концепция «толкующего языка», которую выдвигает писатель, в эстетическом плане означает «освобожденный», «раскрытый» к божественной истине язык, который ясен, понятен, поскольку он содержит в себе толкование о божественной истине.

Для языково-стилевой реализации своего эстетического принципа Иоанне Сабанидзе прибегает к повествованию «толкующим языком». Это такое повествование, которое исключает какие-либо неясности для читателя. Для него все ясно от аза до ижицы, писатель обо всем говорит прямо и к тому же исчерпывающе объясняет сказанное, дает четкое и глубокое толкование всем значительным вопросам. Языково-стилевое воплощение концепции «толкующего языка» включает в себе максимальную информативную вместимость каждой языковой единицы. Вместе с тем искусственно аккумулятивная в языковую единицу огромная информация часто придает фразе громоздкость и лишает ее выразительности.

Видимо, писатель чувствует эту несообразность, поэтому старается вести повествование так, чтобы воздействовать как на интеллектуальное, так и на эмоциональное восприятие читателя. С этой целью автор часто использует прием повтора. Этот прием реализуется через равноуровневые средства языкового выражения.

Концепцией «толкующего языка» обусловлен ряд языковых особенностей.

В фонологической структуре произведения часто повторяются составленные из одних и тех же фонем слова, оформленные одинаковыми формантами, хотя они грамматически не всегда совпадают друг с другом. Эти повторения становятся особенно ощутимыми, когда писатель не повествует, а дает толкование чему-то.

Морфологическая структура своеобразна тем, что в ряде глаголов используется префикс II субъектного и III объектного лиц «з» и его аломорфы, вне зависимости от их морфологии и фонетики.

Этим писатель передает информацию о грамматическом лице. Языково-стилевая концепция писателя проявляется здесь в достижении расширения объема грамматической информации.

В синтаксической структуре выделяется ряд особенностей:

— наличие среди других союзов присоединительных способствует созданию сложного синтаксического целого, охватывающего все произведение. Этим достигается стремление автора объединить большую по объему информацию в одну синтаксическую единицу. Посредством присоединительных союзов Иоаннэ Сабанисдзе создает некую подчиненность и в сочиненности;

— при помощи этих же союзов в произведении синонимический параллелизм трансформируется в синонимический повтор. Он отличается многослойностью.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფილოლოგიის ფაკულტეტი
წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონ-
დენტმა ბ. ჯორბენაძემ

არამ მარტიროსლი

ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციისათვის*

ჩვენი სტატია ქართული ენის დიალექტების დანაწევრებისა და დაჯგუფების მხოლოდ რამდენიმე საკითხის დასმასა და გარკვევას ისახავს მიზნად.

გვინდა გვაკეთოთ წინასწარი ხასიათის ორიოდ შენიშვნა:

1. სახელმძღვანელოებსა და აგრეთვე სპეციალურ ლიტერატურაში შევხვდებით დიალექტის სხვადასხვაგვარ განსაზღვრას. ზოგი მათგანი ასეთია: დიალექტი ეწოდება რომელიმე ენის სახესხვაობას, ვარიანტს, რომელსაც იყენებს მეტ-ნაკლები რაოდენობით განსაზღვრულ ადამიანთა კოლექტივი, რომლის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ტერიტორიული, პროფესიული ან სოციალური ერთობლიობით და იმყოფებიან მუდმივ და უშუალო ურთიერთობაში (ამის მიხედვით განასხვავებენ ტერიტორიულ და სოციალურ დიალექტებს); დიალექტი არის ენის ნაირსახეობა რომელიმე ცოტად თუ ბევრად რაოდენობრივად შეზღუდულ ადამიანთა კოლექტივისა, რომლის წარმომადგენლებიც უშუალო ურთიერთობაში არიან; დიალექტი, ანუ კილო, ეწოდება კუთხური მეტყველების თავისებურებათა ერთობლიობას; დიალექტი წარმოადგენს ენის ნაირსახეობას, რომელიც გავრცელებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, როგორც ადგილობრივ მცხოვრებთა ურთიერთობის საშუალება, და ხასიათდება ენობრივი სისტემის მთლიანობით გარკვეულ თავისებურებათა კომპლექსის მიხედვით; დიალექტი უნდა განიშარტოს, როგორც ამა თუ იმ ენას (ენობრივი სისტემის) თანაარსებული (სივრცული) ნაირსახეობა, რომელიც გამოიყენება ურთიერთობის საშუალებად ეთნიკური, ტერიტორიული, სოციალური ან პროფესიული ნიშნით გაერთიანებული კოლექტივის მიერ.

ჩვენი აზრით, ასეთი ვარიანტიც შესაძლებელია: დიალექტი არის მეტ-ნაკლებად დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული მეტყველება, რომელსაც ახასიათებს ენასთან საერთო და, ამვე დროს, მისგან განსხვავებულ თავისებურებათა ერთობლიობა.

ზემოაღნიშნულიდანაც ნათლად ჩანს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში დღესაც ერთიანი თვალსაზრისი არ არის ჩამოყალიბებული „დიალექტის“ განსაზღვრაში.

ზოგ მკვლევარს (მაგალითად, ურიელ ვაინარაისს) სტრუქტურული ენათმეცნიერების თვალსაზრისით მართებულად არც მიაჩნია ტერმინ „დიალექტის“ ხმარება, თუ მას გამოვიყენებთ როგორც საზოგადოების, რაიონის ან სოციალური ჯგუფის მეტყველების აღსანიშნავად, რადგანაც იგი აღჭურვილია დროსა და სივრცის ატრიბუტებით, რომლებიც ექსტრალინგვისტურია.

ჩვენ ამგვარ გავებას, რა თქმა უნდა, ვერ დავეთანხმებით: ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს დიალექტოლოგია ვერ უარყოფს. დიალექტები გავრცელებულია გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში და ადამიანთა გარკვეულ კოლექტივებში. ამის გარეშე ენობრივი ერთეული არ არსებობს.

* წაითხვლია მოხსენებად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების სხდომაზე 1988 წელს.

¹ შესაძლებელია თუ არა სტრუქტურული დიალექტოლოგია, თსუ მიმოხილველი, 4—5, 1968.

მოსაზრებათა ასეთი სხვადასხვაობა იმის შედეგია, რომ დიალექტთა გამიჯნვის ყოველთვის ახლავს გარკვეული სიძნელები. ეს სიძნელები უფრო მატულობს. როდესაც იზრდება დიალექტთა ურთიერთავლენა ამ დიალექტების წარმომადგენელთა ინტენსიური ურთიერთობის შედეგად. დღესაც, შეიძლება ითქვას, ზუსტად არ არის შემუშავებული ენობრივი საფუძვლები ენისა და დიალექტების და თვით დიალექტთა ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. ეს დიალექტოლოგიის, როგორც ზოგადენათმეცნიერული დისციპლინის, რთულ საკითხს წარმოადგენს. რა არის კილო; რას წარმოადგენს კილოკავი, თქმა თუ ქცევა; სად იწყება და მთავრდება მათი საზღვრები; რა განსაზღვრავს და ასხვავებს მათ ერთმანეთისაგან, ან რა აერთიანებს მათ ერთმანეთთან? აი კითხვებია, რომლებზედაც სპეციალურ ლიტერატურაში ზუსტ პასუხს ყოველთვის ვერ იპოვით. მტკიცედ განსაზღვრა კილოსი, კილოკავისა თუ უფრო მცირე ერთეულისა, მათ შორის ზუსტი საზღვრების დადგენა მეტად ძნელი საქმეა, მით უფრო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბევრი რამ არაენობრივ ფაქტორებთანაც არის დაკავშირებული.

ამ მხრივ საინტერესოა რ. ლეჩის მოსაზრებანი იმ სიძნელეთა შესახებ, რომლებიც ამ პრობლემას წინ ედობება. იგი ერთ-ერთ სტატიაში² წერს: რამდენად ძნელია დაიძებნოს სწორი კრიტერიუმი „ენისა“ და „დიალექტის“ კატეგორიის ზუსტი გამიჯვნისათვის, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ყველაზე უფრო კარგად შესწავლილ და ახლო მონათესავე ენათა ჯგუფების³ მიმართაც კი, როგორცაა გერმანული, რომანული და სლავური, სპეციალისტთა შორის არ არის ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ ეს ჯგუფები რამდენ ენად იყოფა. პრაქტიკულად ყველაზე ნაკლებ უთანხმოებას იწვევს ისეთი შემთხვევები, როცა ჩვენ საქმე გვაქვს ეროვნულ ენებთან, რომელთაც აქვთ შედარებით ხანგრძლივი სამწერლობო ტრადიცია და რომელთაც გამოიძუშავეს მყარი ნორმა ერთიანი სალიტერატურო ენისა. მაგალითად, არავინ არ დაუჭვდება ისეთი ენების არსებობაში, როგორცაა: ინგლისური, გერმანული, იტალიური, რუმინული, რუსული, პოლონური და სხვა, მაგრამ როცა საჭირო ხდება აუცილებლობა ზუსტად განისაზღვროს რომელიმე მათგანის დიალექტური შედგენილობა, მაშინ თავს იჩენს შესამჩნევეი განსხვავება. მაგალითად, ზოგიერთი ენათმეცნიერი მერყეობს, ჩათვალს ე. წ. ქვემოგერმანული დიალექტი გერმანული ენის შემადგენელ ნაწილად, თუ დამოუკიდებელ დასავლურ-გერმანულ „ენად“. სხვა ენათმეცნიერთათვის გაურკვეველია, სამხრეთ-საფრანგეთის დიალექტები (მხედველობაშია კუნძულ სარდინიის მოსახლეობის ენა) წარმოადგენენ „ენას“ თუ „დიალექტებს“. ბევრი რამ უცნობია სლავისტთა შორის პოლონური ენის დიალექტების შესახებაც.

2. არა მარტო დიალექტის განსაზღვრაში, არამედ თვით ტერმინის ხმარებაშიც არაერთგვარობაა. მაგალითად, რუსულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში „დიალექტი“ სულ სხვადასხვა დანიშნულებით, დაუნაწევრებელი მნიშვნელობით იხმარება. იგი გამოიყენება როგორც наречие-ს, ისე говор-ის მნიშვნელობით. говор-ი და подговор-ი ყველაზე პატარა ერთეულებია (მძრ. ჩვენში ხმარებული „თქმა“ და „ქცევა“). მათი ერთობლიობა, რომლისათვისაც საერთო ენობრივი ნიშნებია დამახასიათებელი, წარმოადგენს наречие-ს. ზოგი მკვლე-

² Р. Леч, К вопросу о соотношении категорий «язык» и «диалект», Сборн. Русское и славянское языкознание, М., 1972, гв. 162.
³ Р. И. Аванесов, Очерки русской диалектологии, часть первая, М., 1949, гв. 11; ვ. თ. ფ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, III, გვ. 162, №62. 2.



ვარი „დიალექტს“ ხმარობს *наречие*-სთან შედარებით უფრო მცირე ერთეულის აღსანიშნავად, რაც არ არის საერთოდ მიღებული. ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ ხმარობენ *поднаречие*-ს (შდრ. *подговор*). ზოგი მკვლევარი კი მას იყენებს ფართო გაგებით, ზოგად ტერმინად, რადგანაც დიალექტი ზოგადი და ფართო ცნებაა და მოიცავს მის ყველა დანაწევრებას — კილოს, კილოკავს, თქმას და ქცევას.

დიალექტი ყოველთვის წარმოადგენს მთლიანის ნაწილს, ე. ი. შედის უფრო ფართო ენობრივ წარმონაქმნში. შედარებით დიდ ტერიტორიაზე გავრცელებულ კილოებში ვხვდებით სხვადასხვაობას: კილოსთან ერთად გამოიყოფა კილოკავეები, ხოლო ამ უკანასკნელთა უფრო წვირლ ერთეულებად — თქმა და ქცევა. კილო, კილოკავი, თქმა, ქცევა ენობრივ თავისებურებათა მეტნაკლებობის საფუძვლებს გამოხატავს, ისინი შედარებითი ცნებებია.

ამგვარად, დიალექტური ენა წარმოადგენს რთულ და მრავალსაფეხურიან მთლიანობას, რომელიც შეიცავს სალიტერატურო ენასთან საერთო და კერძო ხასიათის თავისებურებებს, ენის დიალექტური დანაწევრების სხვადასხვა საფეხურების მთლიან და განსხვავებულ ნიშნებს. ამიტომ საჭიროა დიალექტური ენის სტრუქტურაში განვასხვაოთ საერთო თვისებები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა კილოსა თუ კილო-თქმებს, და კერძო ხასიათის თავისებურებანა, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებს. თვით დიალექტები ერთი ენის ფარგლებში გამოიყოფა კერძო ხასიათის თვისებათა საფუძველზე, განსხვავებული ნიშნების მიხედვით, რითაც ისინი უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ქართული დიალექტოლოგია ამჟამად 17 დიალექტურ ერთეულს ითვლის: ისენია: ხევსურული, მოხეური, მთიულურ-გუდამაყრული, ფშაური, თუშური, კახური, ქართლური, ჭავჭავური, მესხური, აჭარული, გურული, იმერული, ლეჩხუმური, რაჭული, ინგილოური, ფერეიდნული და იმერხეული.

ამათგან ზოგი მეტ-ნაკლებად ერთმანეთის მსგავსია, მაგალითად, ქართლური, კახური და ქიზიყური; ქართლური და მესხურ-ჭავჭავური, აჭარული და იმერხეული; ისტორიულად და ეთნოგრაფიულად ხევსურული, მოხეური, ფშაური და თუშური შეადგენენ ერთ ჯგუფს — ფხოურს (ა. შანიძე).

ზოგიც ერთმანეთს საკმაოდ დაშორებულია, ასეთია, მაგალითად, გურული და თუშური, იმერული და ხევსურული. საერთოდ კი, როგორც ეს შენიშნულია, დასავლური კილოები დიდად განემსგავსებიან აღმოსავლურ კილოებს⁴.

ყველა კილო ერთნაირად მონოლითური არ არის. მათი გავრცელების ფარგლებში შეინიშნება სხვადასხვაობა, რის მიხედვითაც გამოიყოფა კილოკავეები. ასე, მაგალითად, იმერული კილოს კილოკავეებად ცნობილია ზემომიმერული და ქვემიმერული, ხოლო კახურის კილოკავეებად მიაჩნიათ შიგნიკახური და გარეკახური. ქვემიმერული კილოკავის თქმებად ასახელებენ ხონურს და ვანურს, შიგნიკახურისა კი — ყვარლურს და გურჯაანულს.

ეს ყველაფერი სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, მაგრამ რამდენად შეეფერება იგი ქართული ენის დიალექტების გავრცელებისა და განვითარების თანამედროვე ვითარებას, ეს ჯერ კიდევ დასაზუსტებელი და მომავალში საკვლევი საკითხია.

უნდა ითქვას, რომ ყველა არეალში არ არის შესწავლილი და დადგენილი დიალექტურ მოვლენათა გავრცელების საზღვრები. არაა ზუსტად განსაზღვრული დიალექტთა შინაგანი კლასიფიკაცია (კილოკავეებად, თქმებად, ქცევაებად დაყოფა). დღემდე საბოლოოდ არ არის გარკვეული, მაგალითად, ლეჩხუმური კილოა თუ კილოკავი, რა მიმართებაშია იგი იმერულთან და რაჭულთან. სპე-

⁴ ე. თ. ფ. რ. ი. ა., დასახ. ნაშრ., გვ. 162.

ცალკურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეჩხუმური იმერულის ტიპისაა, რომელსაც ბევრი საერთო მოვლენები აქვს ქვემოკალკულთან. აღნიშნულია, რომ თუ მკაცრი დიალექტოლოგიური დაყოფის პრინციპის მიხედვით მივუდგებით, ეს მეტყველება შეიძლება დამოუკიდებელ კილოდ არ მივიჩნიოთ, იგი უფრო იმერულის კილოკავია...⁵ ამ უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ შრომებში კი არის ცდა იგი დამოუკიდებელ ერთეულად ვალია-როთ⁶. ერთი აზრი არ არის გამომუშავებული იმერულის მიმართ. ქართულ ენის დასავლურ კილოთა შორის იმერული ყველაზე დიდი დიალექტური ერთეულია, რომელსაც ცალკე რაიონების მიხედვით საგრძნობი სხვაობა ახასიათებს.

იმერულში, ჩვეულებრივ, გამოყოფენ ორ კილოკავს: ზემოიმერულს და ქვემოიმერულს, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება იმერულის სამ კილოკავად — ზემო-, ქვემო- და შუაიმერულად დაყოფის შესახებ. ამ დანაწევრების მიხედვით ზემოიმერული საჩხერის, ჭიათურისა და ხარაგაულის რაიონთა მოსახლეობის მეტყველებაა, ქვემოიმერული წარმოადგენს ქუთაისის, ვანის, სამტრედიის, ხონისა და წყალტუბოს რაიონების მოსახლეობის მეტყველებას, ხოლო შუაიმერული გავრცელებულია ზესტაფონის, თერჯოლის, მიაკოვსკისა და ტყიბულის რაიონებში. ზოგი მკვლევარი ამგვარ დანაწევრებას არ იზიარებს, რადგანაც შუაიმერულის ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა მიზანშეწონილად ჩაითვლებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იგი თავისი თავისებურებებით ისევე დაუპირისპირდებოდა ზემო- და ქვემოიმერულს, როგორც ეს უკანასკნელები უპირისპირდებიან ერთმანეთს⁷. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შუაიმერული ნარევი ხასიათისაა. მასში ზემოიმერული კილოკავის ნიმუშებიც გვხვდება და ქვემოიმერულისაც. მხოლოდ ამის გამო ნიში ცალკე დიალექტურ ერთეულად გამოყოფა არ შეიძლება⁸.

ამ ბოლო დროს, როგორც ცნობილია, სპეციალურ ლიტერატურაში არს. ცდა, ქვემოიმერული გამოაცხადონ დამოუკიდებელ დიალექტად. მხედველობაში გვაქვს კ. კუბლაშვილის ნაშრომი „ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი“ (1985). აქ ვკითხულობთ: „ქვემოიმერულის ცალკე დიალექტად გამოყოფა რეალური ვითარების ასახვაა მხოლოდ და მასში საეჭვო არაფერია... თავის ენობრივი თავისებურებებით იგი გამოეყოფა ზემოიმერულს და ზემოგურულსა და ლეჩხუმურის გვერდით დგება“ (გვ. 14).

ჩვენი ავტორი უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ „...ზემოიმერული და ქვემოიმერული ერთმანეთის მიმართ დიალექტებად შეიძლება წარმოჩინდეს და არა ერთი დიალექტის კილოკავებად“ (გვ. 13).

აქვე შენიშნულია, რომ „დასკვნა ქვემოიმერულის ცალკე დიალექტად გამოყოფის შესახებ ემყარება მდიდარ ემპირიულ მონაცემებს: ნაშრომში წარმოდგენილი მასალა ჩვენ მიერ შეკრებილია ქვემო იმერეთის 6 რაიონის 60 სოფელში. ჩაწერილია ცოცხალი სასაუბრო მეტყველების ნიმუშები, ზღაპრები, გამოცანები, რომლებიც მანამდე უცნობი იყო. მათმა გულდასმითმა ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვესკვნა, რომ ქვემოიმერული ცალკე დიალექტური ერ-

⁵ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961, გვ. 482.

⁶ К. Ш. Какитадзе, Лечхумский диалект грузинского языка, Тб., 1977, გვ. 23, (საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი).

⁷ კ. კუბლაშვილი, ძირითადი ფონეტიკური პროცესები ქართული ენის დასავლურ კილოებში, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XIX, 1959, გვ. 220.

⁸ ქ. ძოწენიძე, ზემოიმერულ და ქვემოიმერულ კილოკავებთან მიმართებით შუაიმერულის საკითხისათვის, მაცნე, ელს, 1967, № 3, გვ. 204.

8. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1989, № 4.

თეულია. მას გაცილებით მეტი აქვს საერთო ლეჩხუმურთან და ზემოკურთულთან, ვიდრე ზემოიმერულთან“ (გვ. 13).

ზემოიმერულსა და ქვემოიმერულს შორის რომ თვალსაჩინო სხვაობაა, ეს არ არის სადავო, მაგრამ არის თუ არა იგი საკმარისი ზემოთ წამოყენებულ დებულების დასამტკიცებლად? რა არის ის კრიტერიუმი და როგორია ის ენობრივი მოვლენები, რომლებიც იმერულის გავრცელების რეგიონში ორ დამოუკიდებელ დიალექტს — ზემოურსა და ქვემოურს გამოგვაყოფინებს?

მოვლესწინათ თვით ნაშრომის ავტორს: **ფონეტიკიდან** საერთოა: უ-სა და ო-ს დავიწროება ორი სიტყვის შეხვედრის მიჯნაზე: თვარ (<თუ არ), ხვარ (<ხომ არ), საერთოა აგრეთვე რედუქციის კანონის სუსტად მოქმედება... ასიმილაციის, დისიმილაციის, მეტათეზისის, ბგერათსუბსტიტუციის, ბგერის დაკარგვის, ჩამატების, აფრიკატიზაციისა და დეზაფრიკატიზაციის პროცესებით გამოწვეული ცვლილებები ერთნაირად დამახასიათებელია ზემოიმერულისთვისაც და ქვემოიმერულისთვისაც, თუმცა ამ საერთო ცვლილებებში არც ისე იშვიათია ისეთი შემთხვევებიც, რომლებიც ნიშანდობლივად ითვლება, ვთქვათ, ქვემოიმერულისათვის, ნაკლებად დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის ან კიდევ, პირიქით...

სრული ი ხმოვნს მასიმილირებელი გავლენის მხრივ პრევერბისეულ ა-ზე ერთნაირი ვითარება გვაქვს ზემოიმერულსა და ქვემოიმერულში: წვილო, წვიყვანა, მეიწვია..., მაგრამ განსხვავებულ სურათს გვიჩვენებს ამავე ხმოვნის ძალა ო ხმოვანზე: ი ყოველთვის იმსგავსებს ო-ს ქვემოიმერულში (მეიტანა, მეიყვანა), ხოლო ზემოიმერულში მისი მასიმილირებელი ძალა შეუდარებლად უფრო სუსტია, რაც საფუძველს ქმნის პარალელურ ფორმათა ჭარბად გამოვლენისათვის აქ: მეიტანა || მოიტანა, მეიყვანა || მოიყვანა...

-ოე კომპლექსის -უე-დ ცვლის ის ფაქტები, რომლებიც ძალზე გავრცელებულია ქვემოიმერულში... ნაკლებად დამახასიათებელია ზემოიმერულისათვის... (გვ. 24).

დაახლოებით ამგვარადვეა დახასიათებული ზემო- და ქვემოიმერულის საერთო და განსხვავებული მოვლენები მორფოლოგიასა და სინტაქსში, თუმცა გარკვევით აღნიშნულია, რომ მორფოლოგიაში უფრო დიდი სხვაობაა. თვალში გეცემათ მათი ასეთი შეფასებანი: საერთოა ორივე კილოკავისათვის, მაგრამ შედარებით ნაკლებად დამახასიათებელია ერთი რომელიმე მათგანისათვის; ერთნაირი ვითარებაა ორივე კილოკავში, მაგრამ რალაციით ერთი განსხვავდება მეორისაგან; რომელიმე პროცესი ერთში რომ მტკიცეა, მეორეში მერყეობს; ერთგან ხშირია, მეორეგან იშვიათია და ა. შ.

ამ რიგის სხვაობანი შესაძლებელია ერთი კილოკავის ფარგლებშიც დაიძებნოს, მით უფრო ბუნებრივია ორ კილოკავს შორის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ერთეულებზე გავლენას გარკვეული ისტორიულ-ტერიტორიული პარობების გამო სულ სხვადასხვა დიალექტები ახდენენ: ზემოიმერულზე — ქართლური, ქვემოიმერულზე — ზემოკურთული. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ, როგორც ცნობილია, ქვემოიმერული მეტყველების გავრცელების გარკვეული ტერიტორია ისტორიულად მეგრულად მოლაპარაკე ტომს ეჭირა⁹, რამაც თავისი კვალი დააჩნია როგორც ტომონიმოკას, ისე გრამატიკასა და ლექსიკას. ამან კი, რა თქმა უნდა, ზემოიმერულთან შედარებით ქვემოიმერულს უფრო ნარევი ხასიათი დაუტოვა.

⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, ტფ., 1913, გვ. 57; არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ., 1936, გვ. 8; ვ. თოფჩიკია, დასახ. ნაშრ., გვ. 166.

საბოლოოდ არ არის გამოკვეთილი რაჭულის ზუსტი კილოკავური დანაწევრება: ადრე შ. ძიძიგური გეოგრაფიული კლასიფიკაციის შესაბამისად დიალექტოლოგიური თვალსაზრისით რაჭულს ყოფდა — ქვემორაჭულად, ზემორაჭულად და მთარაჭულად¹⁰. შემდეგ ვ. თოფურია გამოთქვა მოსაზრება, რომ მთარაჭული, ხელოვნურ სახელწოდებას რომ თავი დავანებოთ, არ წარმოადგენს ერთ მთლიან დიალექტურ ერთეულს — ერთ კილოკავს. იგი იყოფა ორ კილოკავად, ესაა: ვლოლური და ლებურ-ჭიორული, რომელსაც გავრცელებას გეოგრაფიული მდებარეობის შესაბამისად შეიძლება ეწოდოს რიენისთაური¹¹.

ქართულ კილოთა დანაწევრებასთან დაკავშირებით საკითხი ისმის აგრეთვე კახურისა და ქიზიყურის ურთიერთობის შესახებ. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ქიზიყური დამოუკიდებელ დიალექტურ ერთეულად იყო მიჩნეულა. მართლაც, ქიზიყურ მეტყველებას ახასიათებს კახურისაგან განსხვავებული ზოგი თავისებურება, უმთავრესად არქაიზმები (ჯ ბერის შემონახვა, ნამყო სრულის ხოლმეობითის ხმარება და სხვ.), მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს გარემოება გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ უნდა იყოს კახურისაგან ქიზიყურის ცალკე დიალექტად გამოყოფისათვის, რადგანაც ეს არქაიზმები ამჟამად შემონახულია უმთავრესად ქიზიყის მთიან ადგილებში ან ამ ადგილებიდან ბარში გადმოსახლებულთა მეტყველებაში, სხვაგან კი თითქმის აღარ გვხვდება. დავძენთ, რომ შემოდისახელებული მოვლენები თავის დროზე შიგნი- და გარეკახურის დამახასიათებელიც იყო, რამდენადაც საამისო ფაქტები აქა-იქ, კახეთის ზოგი კუთხის მეტყველებაში, დღესაც დასტურდება¹².

უფრო რთულია მესხურისა და ჯავახურის ვითარება. სპეციალურ ლიტერატურაში ზოგს ჯავახური ქართული ენის დამოუკიდებელ დიალექტად მიაჩნია, ზოგი კი მას მესხურთან ერთად იხსენიებს, მესხურ-ჯავახურს ერთ მთლიან ერთეულად თვლის. ჯავახურს იმდენი რამ აქვს საერთო მესხურთან, რომ ამჟამად მისი ცალკე, დამოუკიდებელ კილოდ გამოყოფა, ჩვენი აზრით, გაჭირდებოდა. ვიდრე სრული სახით არ იქნება შესწავლილი ის მსგავსება და განსხვავება, რომელიც არსებობს ამ დიალექტურ ერთეულთა შორის, ჯავახურის მიმართ ხმარებული ტერმინი „დიალექტი“ პირობიდან უნდა ჩაითვალოს¹³.

მიძიებ ეკონომიკური და სხვა ისტორიული თუ ბუნებრივი პირობების გამო, როგორც ცნობილია, დროდადრო საქართველოს ტერიტორიის შიგნით მოსახლეობის გადაადგილება ხდებოდა, რაც თავის მხრივ დიალექტთა შერევას იწვევდა. ამგვარ ფაქტებს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დიალექტოლოგიის ზოგადი საკითხების დასმისა და გადამწყვეტისათვის, მაგრამ ქართული ენის დიალექტთა განდასებისას „ნარეობა“ რაიმე თავისთავად ნიშნებს არ იძლევა, რადგან მის ნიადაგზე ახალი დიალექტი არ წარმოიქმნება.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო სურათს წარმოგიდგენს თიანთრა მეტყველება. სპეციალური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ თიანთრა წარმოადგენს სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა კილოზე მოლაბარავე მოსახლეობის შერევის შედეგს. აქ კომპაქტურად ან შერეულად სახლობენ ხევსურები, ფშაველები, მოხევეები, მთიელები და ადგილობრივი კახელები. ამ ტერიტორიაზე ამჟამად 3 მეტყველება ისმის: ივრისხეული ფშაური, ივრისხეული ხევსურ-

¹⁰ შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970, გვ. 190.
¹¹ ვ. თოფურია, მთარაჭულის დახასიათებისათვის, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 246.
¹² არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1956, გვ. 15.
¹³ ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გამოკვლევა და ტექსტები ლექსიკონითურთ, თბ., 1984, გვ. 4.

რული და საკუთრივ თიანური (ანუ კახური). სამივე მეტყველებას ერთმანეთის გავლენა განუტედა, რის შედეგადაც ფშაური და ხევსურული ზოგან ერთმანეთს ინც საკმაოდ დაშორებია დედაფშაურსა და ხევსურულს. ენობრივი ნიშნების მიხედვით თიანურში ძირითადი ჩანს კახურისათვის დამახასიათებელი მოვლენები, მაგრამ მკვეთრად მაინც იკრძნობა განსაკუთრებით ფშაურისა და ხევსურულის ელემენტები¹⁴.

ლაგოდების რაიონი კახეთში შედის, მაგრამ აქ კახური მოსახლეობა ერთობ მცირეა. ისინი სახლობენ სულ რამდენიმე სოფელში; ეს სოფლებია: ცოდნა, ვაშლოვანი, შრომა, მშვიდობიანი, საქობო, ცოდნისკარი, ვარდისუბანი (იმერლებთან ერთად), ჩაღუნისი და ერეთისკარი (რუსებთან ერთად). ამ რაიონში დიდი რაოდენობით დასახლებული არიან იმერლები და რაჭველები, ოსები და რუსები. იმერლები ცხოვრობენ ლაგოდების რაიონის სოფლებში, რომელთა სახელებია: კავშირი, გურგენიანი, გელათი, ბაისუბანი, ქვემო და ზემო მსხალგორი, პატარა გორი, თელა, აფენი, გვიმრიანი, ფოდანი, ჭაბუკიანი, ლელიანი, ბებურიანი, ქალჭეა, ნამესრალი, ცოდნისკარი, ვარდის-უბანი, თამარიანი, ყარსუბანი, ნაწისქვილარი, ნენდროვალი. რაჭველები სახლობენ რაჭისუბანში, გელათსა და ორჯონიკიძეში¹⁵.

კახურის გავლენის შედეგად, მართალია, აქაური იმერლებისა და რაჭველების მეტყველება საკმაოდ შეცვლილია, მაგრამ არც თვით კახურია შემორჩენილი მთლიანი სახით.

მეტად ნარევია წითელწყაროს რაიონის ქედის ზონის მოსახლეობა (სოფ. ქვემო ქედი, ზემო ქედი, არხილოსკალო). სოფ. ქვემო ქედის მცხოვრებთა უმრავლესობას დუშეთისა და თიანეთის რაიონებიდან გადმოსული ფშაელები წარმოადგენენ, რომელთა აქ დასახლება დაიწყო 1900 წლიდან. 1952-53 წლებში ამ სოფლებში დასახლდნენ აგრეთვე ხევსურები. ორივე ესენი ცხოვრობენ ამავე რაიონის სოფ. არხილოსკალოსა და ზემო ქედში. ფშაელებისა და ხევსურების გარდა, აქ ხვდებით დუშეთისა და ყაზბეგის რაიონებიდან გადმოსულ ნითიელებსა და მოხვევებს, არიან აგრეთვე გადმოსახლებულნი ქსნის ხეობიდან. ყველა ზემოაღნიშნულის გამო მთელი ამ ზონის მეტყველებაც ნარევი ხასიათისაა. ქვემო ქედში წამყვანი მაინც ფშაური ჩანს, ხოლო არხილოსკალოში მთიულური ჭარბობს¹⁶.

ასეთი ნარევი დიალექტური მეტყველება „კუნძულების“ სახით რესპუბლიკის გარეთაც გვხვდება არაქართულ ენობრივ გარემოში. ასეთია ყიზლარ-მოზდოკური მეტყველება იმ ქართველებისა, რომლებიც სახლობენ ჩრდილოეთ კავკასიაში ქ. მოზდოკსა და ყიზლარის ყოფილი ოლქის ორ სოფელში. ამ ადგილებში ქართველები, როგორც აღნიშნავენ, გადმოსახლებული უნდა იყვნენ ორი საუკუნის წინათ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, უმთავრესად ქართლიდან, კახეთიდან და იმერეთიდან. დიდი რაოდენობით მოსახლე ქართველებისაგან ამჟამად ამ კუთხეებში დარჩენილია შედარებით მცირე ნაწილი. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ თავისი თავისებურებით ეს მეტყველება ქართლურს მისდევს¹⁷, მაგრამ რამდენადაც იგი ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ არის შესწავლილი და არ არის დადგენილი მისი პროფილი, ამიტომ

¹⁴ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 166; გ. ცოცანიძე, თიანურის ძირითადი ფონოლოგიური და მორფოლოგიური თავისებურებანი, ახალგაზრდა მეცნიერ მუშაეთა შრომების კრებული, თბ., 1970, გვ. 145.

¹⁵ არ. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 12.

¹⁶ იქვე, გვ. 13.

¹⁷ ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 166.

ნადრევი იქნებოდა ქართული ენის დიალექტთა სისტემაში მისი ადგილის გასაზღვრა.

დაახლოებით ასევე ნარევიც არაქართულენოვანი გარემოში — ქალაქ სოქსა და მის ახლო მდებარე სოფ. პლასტუნკაში მცხოვრები იმერლების, ლეჩხუმლებისა და რაჭველების მეტყველება. როგორც სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, აქაურ ქართველთა მეტყველება არსებითად დასავლურ ქართული შერეული ტიპის დიალექტური მეტყველებაა, რომელიც ინტონაციური ელფერილია და რიგი გრამატიკულ-ლექსიკური თავისებურებებით ლეჩხუმურს მოგვაგონებს¹⁸.

ქართული დიალექტების დაჯგუფებასა და დანაწევრებასთან დაკავშირებით ზემოთ რამდენიმე შენიშვნა გავაკეთეთ ისეთი დიალექტური ერთეულების შესახებ, რომელთა სტატუსი, ჩვენი აზრით, საბოლოოდ დადგენილი არ არის და ამიტომ ისინი ერთგვარ სიძნელეებს ქმნიან კლასიფიკაციის დროს. ამასთან დაკავშირებით განვიხილეთ აგრეთვე შერეული მეტყველების რამდენიმე ნიმუში, რომლებიც გავრცელებულია როგორც ქართულ, ისე არაქართულ ენობრივ არეალში. როგორი იქნება მათი შეფასება? შეიძლება თუ არა ქართული დიალექტური დანაწევრების იერარქიაში ისინი მივიჩნიოთ დამოუკიდებელ ერთეულებად? პასუხი, რა თქმა უნდა, უარყოფითი იქნება. წარმოსობით ისინი გარკვეული დიალექტების ნაყარს წარმოადგენენ, მაგრამ დროთა განმავლობაში სხვა ქართული დიალექტური მეტყველებისა და ზოგჯერ უცხოენოვანი ელემენტების ზეგავლენის შედეგად ისე შერწყმიან ერთმანეთს, რომ არც ერთს მათგანს სრულად არა აქვს შემონახული თავისი შთამომავალი კილოს სახე და არც მათი შეგვარების ნიადაგზე ახალი დიალექტური ერთეულია წარმოქმნილი. ქართული ენის დიალექტთა დაჯგუფებისას და დანაწევრებისას ასეთი ფაქტები მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

თავისებურ და განსხვავებულ ვითარებას გვიჩვენებენ საუკუნეების მანძილზე ქართული გარემოსაგან მოწყვეტილი ისეთი კილოები, როგორცაა ფერეიდნული, იმერხეული და ინგილოური.

მე-17 საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბაზის მიერ კახეთიდან სპარსეთის ფერეიდანში იძულებით გადასახლებულ ქართველთა მეტყველებამ, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში სულ სხვა ტიპის ენის — სპარსულის ძლიერი გავლენის შედეგად ძირითადად დაკარგა კახურისათვის დამახასიათებელი თავისი ძველი სახე და ახალ წარმონაქმნთა საფუძველზე ცალკე დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა.

ანალოგიურმა უცხო გარემომ განაპირობა აგრეთვე სტატუსი ინგილოურისა, რომელიც გენეტურად კახურ-ქიზიყურის ადრინდელ განაყარს წარმოადგენს. მაგრამ უცხო ენის უშუალო და ძლიერი გავლენის შედეგად მეტყველებაში მომხდარი დიდი ცვლილებების გამო ამჟამად იგიც დამოუკიდებლად წარმოქმნილი დიალექტად გვევლინება.

ამგვარად, ფერეიდნულსა და ინგილოურს, თავისი საერთო ენობრივი თავისებურებებით, რომლებიც ძირითადად მიღებულია, ერთი მხრით, სპარსულისა და მეორე მხრით, ხუნძურ და აზერბაიჯანულ ენებთან ურთიერთობის გზით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ ქართული ენის დიალექტთა სისტემაში.

თუ მათ ისტორიას გავითვალისწინებთ, ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციისას ისინი კახურს დაუკავშირდებიან, ხოლო თუ თანამედროვე ვითარებიდან ამოვალთ, ეს კილოები შეიძლება ცალკე ჯგუფად გამოვყოთ.

¹⁸ ო. მიქიაშვილი, ქართული ენის დიალექტების ურთიერთშერევისა და ინტერფერენციის საკითხები, თბ., 1986, გვ. 4—5.



რაც შეეხება იმერხელს, იგი, როგორც ცნობილია, ისტორიულად შავშეთ-კლარჯეთის დიდ ტერიტორიაზე გავრცელებული დამოუკიდებელი კილო კლარჯულის სახით, მაგრამ თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე მოქცევის გამო იგი კარგა ხანია გადაშენების გზაზეა დამდგარი. თუ იმერხელის ამ ვითარებას გავითვალისწინებთ, იგი ამეამად, რა თქმა უნდა, დიალექტის სტატუსით ვერ შევა ქართულ დიალექტთა დაჯგუფებაში. მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მის თავდაპირველ სახეს და ფრაგმენტულად შემორჩენილ მცირეოდენ ცნობებს, იმერხელი მეტყველება პირველ რიგში აჭარულს დაუკავშირდება.

იმის მიხედვით, თუ რომელ ენასთან გვაქვს საქმე, დიალექტთა კლასიფიკაციას საფუძვლად შეიძლება დაედოს სხვადასხვა პრინციპი: ფონეტიკური, მორფოლოგიური და ლექსიკური. რაც შეეხება სინტაქსურ ნიშნებს, მათ ჩვეულებრივ არ ითვალისწინებენ, რადგანაც ამ მხრივ კილოთა შორის დიდი სხვაობა არ შეინიშნება.

ფონეტიკური, კერძოდ ვოკალური (აურობისა და ოურობის) პრინციპი იყო მისადაგებული რუსულის ისეთი მსხვილი ენობრივი ზონების გამოსაყოფად, როგორცაა ჩრდილოეთისა და სამხრეთის მეტყველება. ლინგვისტური ატლასისათვის შეკრებილი მასალების საფუძველზე იზოგლოსთა კონების გათვალისწინებით ამ ბოლო დროს შემუშავდა რუსული ენის დიალექტების ახალი კლასიფიკაცია, რომელსაც საფუძვლად დაედო არა ერთი რომელიმე ენობრივი მოვლენა, არამედ თავისებურებათა მთელი კომპლექსი. ამის მიხედვით, მაგალითად, ჩრდილორუსული კილოებისათვის დაიძებნა 7 ფონეტიკური და 12 გრამატიკული თავისებურება, სამხრულრუსულისათვის ასევე — 7 ფონეტიკური და 11 გრამატიკული. ორივე შემთხვევაში გამოიყო აგრეთვე ლექსიკური ხასიათის განსხვავებანი¹⁹.

რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული ენის დიალექტები გამოიყოფა სხვადასხვა ენობრივ მოვლენათა კომპლექსის საფუძველზე და არა ერთი რომელიმე თავისებურების მიხედვით, ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ ამ შემთხვევაში ტერმინი „კლასიფიკაცია“, თუ მას საერთოდ მიღებული მნიშვნელობით ვიხმართ, არ გამოდგება. უფრო სწორი იქნება ვილაპარაკოთ დიალექტთა გამოყოფისა ან ენის დიალექტური დანაწევრების შესახებ²⁰.

დიალექტების მორფოლოგიური კლასიფიკაციის ერთ-ერთ კლასიკურ ნამუშაოდ სომხური ენა ითვლება.

ცნობილმა სომეხმა ენათმეცნიერმა რაჩია აჭარიანმა ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ ენის კილოების დაჯგუფებას საფუძვლად დაუდო თხრობითი კილოს აწმყოს წარმოების პრინციპი, რითაც ეს კილოები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგადი ხასიათის თავის ნაშრომში — „სომხური დიალექტოლოგია, ნარკვევები და სომხური დიალექტების კლასიფიკაცია“²¹ — მან სომხურში გამოყო კილოთა სამი ჯგუფი: პირველ ჯგუფში გაერთიანა ერევნის, თბილისის, ყარაბაღის, შამახის, ასტრახანის, აგულსისა და ჯუღას კილოები, რომლებიც აწმყოს აწარმოებენ „უმ (გმ, ამ, იმ)“ სუფიქსიან სახელშმნაზე „ყოფნა“ მეშველი ზმნის დართვით („გნ — უმ-ემ“

¹⁹ Русская диалектология, Под редакцией Р. И. Аванесова и В. Г. Орловой, М., 1964, гл. 234—248.

²⁰ იქვე, გვ. 18.

²¹ Эминский этнографический сборник, вып. 8, Москва — Ново-Нахичевань, ნაშრომის შემოკლებული ფრანგული თარგმანი უფრო ადრე გამოიცა.

მივდივარ); მეორე ჯგუფს განეკუთვნა ვანის, მუშის, ტიგრანაკერტის, სირიის, კილიკიის, ევდოკიის, ნიკოდემიის, კონსტანტინეპოლის, ყირიმის, ტრაპიზონის, ჰამშენის და სხვა კილოები, რომელთაც აწმყოფს ფორმები ეწარმოვბათ „კგ“ (გვ, გა, გი, გო, გუ, კუ) მაწარმოვბლით, ხოლო მესამე ჯგუფში მოაქცია ართვინის, მარალისა და ხოის კილოები, რომელთა აწმყოფი მიიღება „გლ“ ან „ილ“ მაწარმოვბლების მქონე სახელზნითა და მეშველი ზნით.

რ. აჭარაინის ზემოაღნიშნული კლასიფიკაცია, სხვათა შორის, ითვალისწინებდა სომხური ენის კილოთა ტერიტორიულ გავრცელებულობასაც და გამართლებული აღმოჩნდა ისტორიულადაც: „უმი“ ჯგუფის კილოები დაჯგუფდა ისტორიული სომხეთის ჩრდილოეთით, „კგ“ ჯგუფისა — სამხრეთით და დასავლეთით. „ელ“ ჯგუფისა კი — აღმოსავლეთით.

შემდგომში, დაეყრდნო რა აჭარაინისეულ კლასიფიკაციას, არარატ ღარიბიანი, მის მიერ მოპოვებული ახალი მასალებისა და ახლად აღმოჩენილი კილოების შესწავლის გზით, იმავე აწმყოფს წარმოების პრინციპის გათვალისწინებით, სომხურში გამოყოფილი კილოთა კიდევ ერთი — „ხ“ ჯგუფი, რომელშიც ექვსი კილო გააერთიანა²². უფრო გვიან კი მან კლასიფიკაციისას მორფოლოგიურ პრინციპთან ერთად კონსონანტურ სისტემაში მომხდარი ცვლილებებიც გაითვალისწინა.

ქართულ დიალექტოლოგიაში, ჩვეულებრივ, პოპულარულად ითვლება კილოების დაყოფა აღმოსავლურ და დასავლურ ჯგუფებად. ჯერ კიდევ 1920 წ. ა. შანიძემ თავის ცნობილ გამოკვლევაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზნებში“ ამ პრეფიქსების ხმარების წესის მიხედვით კილოები ორ მთავარ ჯგუფად დაყო. აღმოსავლურ კილოთა ჯგუფში გააერთიანა ქართლური, კახური, ქიზიყური, ფშაური, მთიულურ-გუდამაყრული, ხევსურული, მოხეური და თუშური, დასავლურ ჯგუფში კი შეიტანა იმერული, ზემო- და ქვემოკურული და რაჭული²³.

ქართული კილოების დაჯგუფება ზოგჯერ ხდება ხოლმე მთისა და ბარის მიხედვითაც: ბარის კილოებად ითვლება ქართლური (მესხურ-ვახაზურით), კახური (ქიზიყურით, ინგილოურითა და ფერეიდნულით), იმერული (ლეჩხუმურით), გურული, აჭარული, იმერხეული. მთის კილოებში ერთიანდება: ხევსურული, თუშური, ფშაური, მთიულური (გუდამაყრული), მოხეური, რაჭული. მთისა და ნაწილობრივ ბარის კილოებს უკავშირდება მოზდოკისა და ყიზლარის ქართველთა მეტყველება.

ქართული კილოების ასეთ ტრადიციულ დაჯგუფებას საფუძვლად უდევს ეთნიკური და ისტორიულ-ტერიტორიული პრინციპი, რომლის მიხედვითაც დიალექტთა გავრცელების საზღვრები დაახლოებით იფარგლება ქართველ ტომთა დასახლების ტერიტორიით. ამას, რა თქმა უნდა, თავისი გამართლება აქვს, მაგრამ არა ყოველთვის.

დიალექტი ენობრივი ერთეულია, ამა თუ იმ ენის ქვესისტემის წარმოადგენს. მათ დაჯგუფება-კლასიფიკაციას საფუძვლად, ცხადია, ენობრივი ნიშანი უნდა დაედოს, თუმცა, როგორც ზემოთ აღენიშნეთ, მთლად არც ექსტრალინგვისტური მომენტებია გამოსარიცხი იმდენად, რამდენადაც ეთნიკური და ისტორიულ-ტერიტორიული პირობები ზშირად ემთხვევა ხოლმე ამა თუ იმ კილო ენობრივ თავისებურებათა გავრცელების საზღვრებს.

²² არ. ღარიბიანი, სომხური დიალექტოლოგიის მოკლე კურსი, ერევანი, 1941, გვ. 43 (სომხურ ენაზე).

²³ ა. შანიძე, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, თბ., 1957, გვ. 228.



ქართული კილოების ჯგუფების გამოყოფა, უნდა ითქვას, რომ იმთავითვე ენობრივი მონაცემების საფუძველზე ხდებოდა. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ა. შანიძის მიერ 1915 წ. გამოქმნილი მოსაზრებანი ხევსურულის, მოხეტრის, თუშურისა და ფშურის ურთიერთიმართებისა და ქართული გნის სხვა კილოებისაგან მათი ცალკე ჯგუფად გამოყოფის შესახებ.

როგორც ცნობილია, სტუდენტობის პერიოდში, 1911 და 1913 წლებში, ჯერ პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისა და შემდეგ მეცნიერებათა აკადემიის დავალებით მოწყობილი მივლინების დროს ა. შანიძემ ენობრივად შეისწავლა აღმოსავლეთ საქართველოს თიანეთი და სათანადო შედეგები საანგარიშო მოხსენების სახით გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში²⁴. მოპოვებული მასალების წინასწარი ანალიზის შედეგად ამ მოხსენებაში ავტორმა გაარკვია, რომ ფშური კილო, მართალია, ახლა რამდენადმე დაშორებულია ხევსურულის, მოხეტრისა და თუშურისაგან, მაგრამ ზმნის უღვლილების თავისებურება, რაც საფუძვლად უდევს ამ კილოთა დაჯგუფებას, არსებითად რჩება საერთო ფხოურად. რაც შეეხება მთიულურს, ავტორის კლასიფიკაციით, იგი თავისი გრძელი ხმოვნებით (რაც მის კილოკავში — გუდამაყრულში არ არის) განსაკუთრებულ ადგილს იჭირს. ამ დებულების უფრო დეტალური დასაბუთება ა. შანიძემ წარმოადგინა 1915 წელს გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „ქართული კილოები მთაში“²⁵, რომელშიც დადგენილია ხევსურულის, მოხეტრის, თუშურის, ფშურისა და მთიულურის ძირითადი თავისებურებანი. „ამ ტომებს, — წერს ავტორი, — მიწა-წყალიც მცირე უჭირავთ და რიცხვითაც მცირენი არიან, ერთ-ერთის მეზობლადაც ცხოვრობენ, მაგრამ საუბარში დიდად განსხვავდებიან: ყველა მათგანს თავისი განსაკუთრებული დამახასიათებელი თვისება აქვს. დანარჩენი ქართული კილოებისაგან მთის კილოები იმით განირჩევიან, რომ, შედარებით, კარგად შეუწინაზებთ ძველი ქართულის თვისებანი ფონეტიკასა, მორფოლოგიასა და სინტაქსშიც. მთიულური რომ ჩამოვამოროთ, დანარჩენი კილოები: ხევსურული, მოხეტური, თუშური და ფშური ერთ ვიწრო ჯგუფს შეადგენს, რომელსაც, ისტორიულ-ენოგრაფიული მოსაზრების გამო, მე **ფხოურს** ვუწოდებ. ამ ჯგუფში ფშურს ცოტა ამოირბული ადგილი უჭირავს, რადგანაც დროთა განმავლობაში, ქართლ-კახეთის სიახლოვის გამო, მას მეტი გავლენა დასტყობია ბარისა. მთიულური განსაკუთრებით დვას არა მარტო ფხოურის ჯგუფისაგან, არამედ სხვა ქართული კილოებისაგანაც (გარდა ზემორაჭულისა, უმთავრესად გლოლიკიორა-ღების კილოსა), რადგანაც მასში დაცულია გრძელი ხმოვნები“²⁶.

მთიულურთან და გუდამაყრულთან დაკავშირებით ზოგი საკითხი ა. შანიძეს დაზუსტებული აქვს 1913 წლის 8 ივლისს ნიკო მარისათვის მღეთიდან გაგზავნილ წერილში. აქ ვკითხულობთ: „მე გწერდით, გუდამაყრული მეტად განსხვავდება მთიულურისაგან. ახლა ცოტაოდენი შესწორება უნდა შევიტანო: გუდამაყრულიც მთიულურს ეკუთვნის, მაგრამ მასში არ არის გრძელი ხმოვნები, როგორც საკუთრად მთიულურში. საკუთრად მთიულურიც შეიძლება ორ კილოკავად გავეყო, ზემო (ხადა) და ქვემო (ცხაბატი) მთიულეთისად; მაგრამ განსხვავება მეტად მცირეა და ასეთ დაყოფას თავს ვანებებ. ამგვარად, მთიულ-

²⁴ А. Г. Шанидзе, Отчет о летней командировке 1913 года в Душетский и Тнанетский уезды Тифл. губ. для изучения грузинских говоров, Известия Академии наук, Спб., 1913.

²⁵ კრებული ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით, პეტროგრადის უნივერსიტეტის ქართული სამეცნიერო წრის გამოცემა, ტფ., 1915... შესულია ა. შანიძის თხზულებათა კრებულში: ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, I, 1957, თბ.

²⁶ ქართული კილოები მთაში, გვ. 11.

ღურ კილოს ორ უმთავრეს კილოკავებად ვპყოფ: საკუთრად მთიულური და გუდამაყრული²⁷.

ქართული კილოების კლასიფიკაციის საკითხი ენობრივ მონაცემთა გათვალისწინებით სპეციალური კვლევის ობიექტად იქცა ოცდაათიან წლებში. ამ პრობლემას 1935 წ. მიეძღვნა შ. ძიძიგურის საკანდიდატო-სადისერტაციო ნაშრომი „ქართული ენის დიალექტების კლასიფიკაციის ცდა“²⁸. მასში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეთნიკური და გეოგრაფიული პრინციპი დიალექტთა პროფილის გამომუშავებისას ყოველთვის არ შეიძლება ჩაითვალოს სწორ კრიტერიუმად. ამის მაგალითად დასახელებულია რაჭული, რომელიც „არამონოლითური დიალექტია“. რაჭული ეთნიკური ერთეული დიალექტოლოგიური თვალსაზრისით „ორბუნებოვანია“. მთარაჭულის ფენას მეტი საერთო აქვს აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებთან (თუშურ-ფშაურ-ხევსურულთან), ვიდრე ქვემორაჭულთან. ასევე, ზემორაჭული, მართალია, ქვემოიმერულთან ერთად ერთ ჯგუფში ხვდება, მაგრამ მნიშვნელოვნად ემიჯნება მას და უმეტესად დაკავშირებულია ქვემორაჭულთან.

ავტორი გვთავაზობს გამოიყოს ქართული კილოების ზუთი ძირითადი ჯგუფი: I. ინგილოური, ფერეიდნული; II. თუშური, ფშაური, ხევსურული, მოხეური, მთიულური, მთარაჭული; III. კახური, ქართლური, მესხური; IV. ზემოიმერული, ზემორაჭული, ქვემოიმერული; V. გურული, აჭარული, იმერხეული.

1954 წელს ბაქოში სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეცნიერებთა აკადემიების გაერთიანებულ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში „ქართული დიალექტების კლასიფიკაციის პრინციპები“²⁹ ა. შანიძემ წამოაყენა დებულება, რომ ქართული კილოების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მთავარ ენობრივ განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობა. შენიშნულია, რომ ცალკე აღებული არც ერთი განმასხვავებელი ნიშანი (ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური ხასიათისა) არ წარმოადგენს ისეთს, რომ იგი გამოდგეს ძირითად საფუძვლად ყველა კილოს საკლასიფიკაციოდ. ავტორი, მხედველობაში იღებს რა არა ერთ რომელიმე ნიშანს, არამედ რამდენიმეს ერთად, მიდის იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება გამოიყოს ქართული დიალექტების შემდეგი ჯგუფები: I. უზოური, რომელშიც შედის ხევსურული, მოხეური, თუშური. მათ შემონახული აქვთ ძველი ქართულიდან მრავალი არქაული სიტყვა და ფორმა; II. მთიულურ-ფშაური. ორივეს აქვს ბევრი საერთო ფხოურ დიალექტებთან (მთიულურს ფშაურთან, ფშაურს — ხევსურულთან), მაგრამ განვითარების ახლანდელ ეტაპზე შესამჩნევად განსხვავდებიან მათგან. ამ ჯგუფის დიალექტებთან ზოგიერთ მსგავსებას ავლენს ზემორაჭული; III. ქართლურ-კახური. ორივე ახლოსაა თანამედროვე სალიტერატურო ენასთან. ქართლურთან ახლოსაა მესხური და კავახური, ხოლო კახურთან — ქიზიყური; IV. დასავლური ჯგუფი: ზემო-, შუა- და ქვემოიმერული, გურული და რაჭული; V. სამხრეთ-დასავლური ჯგუფი: აჭარული და იმერხეული; VI. ინგილოური.

²⁷ აკაი შანიძის წერილები ნიკო მარს, პუბლიკაცია და ბოლოს დართული შენიშვნები ი. მეგრელიძისა; მაგნი, ელს, 1982, № 3.

²⁸ Опыт классификации диалектов грузинского языка (Тезисы диссертации на степень кандидата наук), М., 1935.

²⁹ Принципы классификации грузинских диалектов: Труды объединенной научной сессии Академии наук СССР и Академии наук Закавказских республик по общественным наукам (29 марта — 2 апреля 1954 г.), стенографический отчет, Баку, 1957, გვ. 828—832.

ზემოთ წარმოდგენილი ორივე კლასიფიკაცია, თუმცა სხვადასხვა მომენტს გულისხმობს, ზოგადად გასაზიარებელია, ოღონდ შენიშვნებს იწვევს შემდეგ მ. ძიძიგურის კლასიფიკაციაში არ ჩანს ჯავახური და ლეჩხუმური. ასევე ა. ნინიძის კლასიფიკაციაშიც არ არის შეტანილი ფერეიდნული. რატომ? ახსნა არა ჩანს.

ამავე დროს ჩვენ მიგვაჩნია, რომ საჭირო იყო კონკრეტულად განსაზღვრულიყო ის საერთო და განმასხვავებელი ენობრივი ნიშნები, რომლებიც საფუძვლად უდევს კილოთა დაჯგუფებას.

სხვადასხვა ენის დიალექტებზე ჩატარებული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მათი დაჯგუფება ზოგჯერ ხდება ხოლმე ერთი რომელიმე დამახასიათებელი ნიშნის მიხედვითაც. ამის მაგალითი ზემოთ იყო დასახელებული სომხური ენის დიალექტების სახით. ამავე სომხურში ზოგი მკვლევარი ერთხანობას ცდილობდა კილოთა გარკვეული ჯგუფები გამოეყო ისეთი კონკრეტული ენობრივი მონაცემის საფუძველზე, როგორცაა ყრუფშენიერი ჰ და ხ თანხმოვანთა მონაცვლეობა. დასტურდებოდა მათ შორის ასეთი შეფარდება: კილოთა ერთ ჯგუფში ზოგი ლექსემის მიხედვით თუ ჰ იხმარებოდა (მაგალითად, ჰაც „პური“, ჰად „სომეხი“, ჰავ „ქათამი“), მეორეში, ამავე სიტყვებში, მას ხ უპირისპირდებოდა (ხაც, ხად, ხავ).

კილოთა შორის ამგვარი ხასიათის სხვაობანი, როგორც ცნობილია, ყველა ენაში მოიძებნება. ვთქვათ თუნდაც ქართულიდან ისეთი მაგალითები, როგორცაა: ბგერით სისტემაში ჟ და ჯ-ს შემონახვა; ჰ-ს სუბსტიტუცია სპირანტ ს-სთან ნაირ-ნაირ კონტექსტში; ვე და ვა კომპლექსთან დაკავშირებული მოვლენები; სუბიექტური მესამე პირის მრავლობითის ნიშანთა სისტემაში მოხდარი ცვლილებები; სალიტერატურო ენისაგან კავშირებითი პირფილისა და კავშირებითი მეორის განსხვავებული წარმოება ანალოგიის კვალობაზე; თურმეობითი პირველის ფორმათა თავისებურებები; ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად -თ, -ან, -ენ სუფიქსთა და -ყე || -კე ნაწილაკის ხმარება; ნაცვალსახელთა გარკვეულ ჯგუფში დაცული სხვაობანი და სხვა მრავალი. მაგრამ ცალკე აღებული ასეთი უმნიშვნელო ნიშან-თვისებების ენობრივი სხვაობანი არ შეიძლება განმსაზღვრელი იყოს, არ შეიძლება ისინი საფუძვლად დაედოს კილოთა დაჯგუფებას. კერძოდ, ქართულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უნდა ითქვას, რომ აღნიშნული სხვაობანი, ჯერ ერთი, ყველგან არ არის გატარებული და ამდენად ვერ მოიცავს ენის მთლიან დიალექტურ სისტემას. მეორეც, ცალკეულ მონაცემებზე აგებული ასეთი კლასიფიკაცია არ იძლევა დიალექტების მსგავსებისა და ძირითად თავისებურებათა გამოვლენის საშუალებას. ამიტომ სარწმუნოდ გვეჩვენება ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება, რომ ქართული ენის კილოების კლასიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს არა ცალკე აღებული რომელიმე განმასხვავებელი ნიშანი (ფონეტიკური, მორფოლოგიური თუ ლექსიკური ხასიათისა), არამედ — მთავარ ენობრივ განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობა.

საკითხის ასე დასმა, ვფიქრობთ, კარგად მიესადაგება ქართული ენის დიალექტების თანამედროვე ვითარებას, ოღონდ საჭირო იქნება ამ მთავარ განმასხვავებელ ნიშანთა გარკვეული თვალსაზრისით ერთგვარი შემოფარგვლა-შეზღუდვა და მხოლოდ იმ თავისებურებათა დატოვება, რომლებიც გადამწყვეტი მნიშვნელობისაა. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ქართული კილოებისათვის მთავარი განმსაზღვრელი მაინც ფონეტიკური, მორფოლოგიური და ნაწილობრივ ლექსიკური სხვაობანი ჩანს. აქაც ივარაუდება, უნდა შეირჩეს ისეთი ტიპის ძირითადი ნიშნები, როგორცაა, მაგალითად, ფონეტიკაში ხმოვანთა კომპლექსების ცვლა (ასიმილაცია-დისიმილაციის შედეგად) და თან-

ხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია, მორფოლოგიაში თემატური სუფიქსების მონაცვლეობა და სხვა.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ ხმოვანთა კომპლექსები ლიაობის მიხედვით სხვადასხვა ფონეტიკურ სახეცვლილებას განიცდიან ქართულ კილოებში. ამ მხრივ ძირითადად კომპლექსთა სამ რიგს გამოყოფენ: პირველში ფართო ხმოვანი მოსდევს ვიწრო ხმოვანს. ადგილი აქვს რეგრესულ ასიმილაციას. ასეთი ფონეტიკური პროცესი დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის, აღმოსავლურ კილოთაგან კი — თუშურისათვის და ნაწილობრივ მოხურისა და ფერეიდნულისათვის; მეორეში ვიწროს მოსდევს ფართო ხმოვანი. ადგილი აქვს დისიმილაციის გზით დიფონგიზაციისა და მდრეკილებას. ასეთი მოვლენები, მცირეოდენი სხვაობით, მეტ-ნაკლებად გვხვდება ორივე რეგიონის მეტყველებებში; ხოლო მესამეში კომპლექსი თანაბარი ლიაობისაა და იდენტური ხმოვნებისაგან შედგება. ასეთი კომპლექსები სხვადასხვა პროცესს განიცდიან: აღმოსავლურ კილოებში ოე კომპლექსი მეორე რიგს გასდევს (ოე > უე), დასავლურში კი — პირველს (ოე > ეე). ასევე: ეო კომპლექსი აღმოსავლურ კილოებში უმთავრესად პირველი რიგის კანონზომიერებას ავლენს (ეო > ოო), დასავლურ კილოებში კი იგი მეორე რიგის წესს იზიარებს (ეო > იო > აო)³⁰.

ზემოაღნიშნული მონაცემების მიხედვით ჩანს, რომ ხმოვანთა კომპლექსებში მომხდარ ცვლილებათა საფუძველზე დასავლური კილოები აღმოსავლურს უპირისპირდება, თუმცა მათ შორის ზოგი რეგიონის მიხედვით მსგავსებაც დასტურდება.

ცნობილია, რომ ქართულში, საერთოდ, ხმოვანთა პროგრესული ასიმილაციის მოვლენები თითო-ორიოლა შემთხვევით ამოიწურება. სამაგიეროდ, ბგერათცვლილების ეს პროცესი ფართოდ არის გავრცელებული თანხმოვნებში³¹. ამით დასავლური კილოები უფრო მეტად განსხვავდებიან აღმოსავლური კილოებისაგან.

მორფოლოგიიდან უნდა დავიმოწმოთ ზმნური სუფიქსების სისტემაში არსებული სხვაობანი. სალიტერატურო ქართულ ენაში თუ ზმნის აწმყოს ფუძის საწარმოებლად რამდენიმე ყალიბი გვაქვს (-ინიანი, -ავიანი, -ამიანი, -ებიანი, -ობიანი, -ოფიანი, -ევიანი), დიალექტებში მათი ნაირ-ნაირი სახეცვლილი ფორმები სულ ცოტა ორჯერ მეტია³². ამის კლასიკურ ნიმუშს ჯავახური, მესხური და ნაწილობრივ ქართლური იძლევა, მაგრამ სხვა კილოებშიც ამ მხრით საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ვ. თოფურიამ³³ შეადგინა ორიოდ დიალექტური რუკა. ერთ-ერთ რუკაზე მან წარმოადგინა -ავ სუფიქსის 9 სხვადასხვა ვარიანტი ნაწყოს უსრულში: -ავ, -ამ, -ევ, -ემ, -ებ, -ე-ი, -მ-ი, -ან, -ენ, -ავ და -ამ. სუფიქსიან ზმნათა ფორმებმა დიალექტების მიხედვით ასეთი სურათი მოგვცა: -ავ და -ამ სუფიქსებს უცვლელად იცავენ: ფშაური, ინგილოური, კახური (ყვარლის რ.), ქვემოიმერული, გურული, აჭარული, ლეჩხუმური.

³⁰ შ. ძიძიგური, ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკურ პროცესთა საერთო საფუძველ ქართულ კილოებსა და ზანურში, ივე, I, თბ., 1946, გვ. 19—34.

³¹ იხ. ბ. ფოჩხუა, თანხმოვანთა პროგრესული ასიმილაცია დასავლურ კილოებში, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, X, თბ., 1939.

³² არ. შარტიროსოვი, ზმნური სუფიქსების ხმარების თავისებური სისტემა ჯავახურში, ივე, XXVI, თბ., 1987, გვ. 162.

³³ ვ. თოფურია, ქართველურ ენათა დიალექტების შესწავლის მდგომარეობა და ამოცანები, გვ. 178—182.

-ამ-ს ხმარობენ: ფშაური, მთიულური, კახურ-ქიზიყური (ყვარლურის გამოკლებით), ქართლური, მესხური, ჭავჭავური, რაჭული, ლეჩხუმური.

-ავ-ის ნაცვლად -ევ სუფიქსს იცავენ: ხევსურული, მოხვეური, თუშური, ჭავჭავური, ფერეიდნული, ზემოიბერული, რივნისთაური რაჭული, ზემორაჭული.

-ავ-ის ნაცვლად -ემ სუფიქსს იყენებენ: მესხური, ჭავჭავური, ზემორაჭული.

-ვ-ი დასტურდება გურულსა და ზემორაჭულში.
-ავ იმერულში (თერჯოლის მეტყველებაში) და ჭავჭავურში იცვლება -ებ სუფიქსით, ან კიდევ მესხურ-ჭავჭავურში მას ენაცვლება -ენ, -ან; სახელდობრ: -ევ → -ემ → -ენ; -ავ → -ამ → -ან³⁴.

მეორე რუკაზე ლექსიკური სხვაობის თვალსაჩინოებისათვის, გ. ჩიტაიას მასალების გათვალისწინებით, ვ. თოფურიაშვილმა გადაიტანა სახენველის სახელწოდება. აქედან ჩანს, რომ ძველი ქართული **საქვენელის** აღსანიშნავად დიალექტებში 12 ძირითადი სახელწოდება გვაქვს. ესენია: გუთანი, საკენიელი || სახენელი, კავი, ორხელა, ჯილა, ოქოქა, სამგრევი, ხარსარალი, აჩაჩა, არვანაჲ, საცალკელი და ერქვანი. თითოეული მთავანის სახელწოდება წარმომავლობის, დანიშნულების, მასალისა თუ სხვა ნიშანთა მიხედვით ვარიაციებს იძლევი; მაგალითად: **გუთანი**: დიდი გუთანი, პატარა გუთანი, ხის გუთანი, ქართული გუთანი, ძველებური გუთანი, მუხრანელი გუთანი, ფშაური გუთანი, ავლიჯა გუთანი; აჩაჩა || აჩეჩა გუთანი, გელა გუთანი, ანეულის გუთანი; კავი: კავწერა, ჩუთკავი, ცალღელა კავი, დაბალი კავი... **აჩაჩა**: ფშაური აჩაჩა, ხევსურული აჩაჩა, ქართული აჩაჩა... **საკენელი**: ფშაური საკენელი, ფთიანი სახენელი, აჩაჩა სახენელი; **ჯილა**: თათრული ჯილა, გორდა ჯილა, ძველებური ჯილა.

ლექსიკის მხრით საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს განსაკუთრებით ისეთი სახელები, რომელთა ნომინაციის საფუძვლად უდევს ესა თუ ის მოტივაცია. ამგვარი ფაქტები ცნობილია როგორც ქართულიდან³⁵, ისე სხვა ენებიდანაც. ლინგვისტური გეოგრაფიის მეთოდის დახმარებით, მაგალითად, სოკოს ერთ-ერთი ჯიშის „млечник“-ის მიხედვით არხანგელსკის ოლქის მთელ ტერიტორიაზე დადასტურებულია სხვადასხვა სახელწოდებანი გარეგნული თვისებისა და სხვა საგნებთან მიმართების თვალსაზრისით. **ფერის მიხედვით**: Беляк, Серяк, Синяк, Серушка... **ფორმის მიხედვით**: Колобок, Конек... **აღმოცენების ადგილის მიხედვით**: Подосиноватик, Подолешник და ა. შ.

საყურადღებოა, რომ მათი გავრცელების სემანტიკური ველები ზოგჯერ ემთხვევა ხოლმე ტერიტორიულ და კილოკავურ დაყოფას, მიუთითებენ, რომ ფერის ნიშნის მიხედვით აღმოცენებული სახელდებანი დასტურდება ამ ოლქის სამხრეთ-დასავლეთის ნაწილში და მდინარე დვინის შუა დინებაში; ფორმის მიხედვით შერქმეული სახელები გავრცელებულია ჩრდილოეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორიაზე; აღმოცენების ადგილის გათვალისწინებით შექმნილი სახელები კი გვხვდება ოლქის სამხრეთ ნაწილში³⁶.

ლექსიკაში დადასტურებული ამგვარი ტიპის მოტივირებული ლექსიკა შეიძლება ერთ-ერთ დამატებით მახასიათებლად გამოდგეს ენის დიალექტურ დაჯგუფებისას.

³⁴ იქვე, გვ. 182.

³⁵ ბ. ჯორბენაძე, სახელების პრინციპისათვის ქართული ენის დიალექტურ ლექსიკაში, IV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი, მოხსენებათა თეზისები. ბათუმი, 1982.

³⁶ Е. А. Нефедова, О возможности картографирования мотивационных отношений, Совещание по общим вопросам диалектологии и истории языка, Тезисы докладов, Баку, 1975.



ჩვენს სტატიაში დასმული საკითხების საბოლოო დაზუსტება და გადაწყვეტა, რა თქმა უნდა, მომავლის საქმეა, როცა სოფელ-სოფელ შესწავლის შედეგად დადგინდება ყველა დიალექტურ მოვლენათა სრული აღწერა, მათი გავრცელების საზღვრები, ზუსტად განისაზღვრება დიალექტთა შინაგანი დანაწევრება (ცილოკავებად, თქმებად, ქცევებად დაყოფა) და გამოვლინდება ის მთავარი დამახასიათებელი თუ განმასხვავებელი ნიშან-თვისებები, რომლებიც ქართული დიალექტების დაჯგუფებას განსაზღვრავენ. ამ მიმართულებით კვლევა-ძიებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შედგენას, რომელიც რუკების საშუალებით განსაზღვრავს ენობრივი მოვლენების გავრცელების არეალებს და იზოგლოსთა კონებით გამოავლენს ყველა შესაძლო დიალექტურ ერთეულებს, მათ საზღვრებს ქართული დიალექტების გავრცელების მთელ ტერიტორიაზე. ამ მოვლენათა განზოგადების შედეგად კი შესაძლებელი იქნება გადავწყვიტოთ ქართული ენის დიალექტთა დაჯგუფება გარკვეული პრინციპების საფუძველზე.

A. Г. МАРТИРОСОВ

К КЛАССИФИКАЦИИ ГРУЗИНСКИХ ДИАЛЕКТОВ

Резюме

1. В зависимости от того, с каким языком мы имеем дело, в основу классификации диалектов может быть положен различный языковой принцип: фонетический, морфолого-синтаксический, лексический или все эти компоненты, взятые вместе. Группировка диалектов иногда происходит даже по одному какому-нибудь характерному признаку, однако отдельно взятое такое незначительное языковое различие не может быть определяющим, т. к. оно не дает возможности в полной мере выявить все сходство и различие диалектов.

2. В грузинской специальной литературе выдвинуто положение, что классификация грузинских диалектов должна основываться на совокупности главных отличительных языковых признаков (А. Г. Шанидзе, Ш. В. Дзидзигური).

Такая классификация приемлема, только надо установить, какой именно комплекс признаков предполагается для каждой группы диалектов.

С этой точки зрения особое значение приобретает материал, полученный для грузинского лингвистического атласа, который посредством карт определяет ареал распространения диалектных явлений и при помощи пучков изоглосс выявляет все существующие диалектные единицы и их границы на всей территории распространения грузинских диалектов.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. ჩიჭობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
 წარმოადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ბაღრი ცხადაძე

**რა(ა) მორფემოიდით გამოხატული დაქვემდებარების
ნაირსახეობიანი სალიტერატურო ძართულ ენასა და
დიალექტებში**

რაა||რა's სპეციალურ ლიტერატურაში ნაწილაკ-მორფემოიდს უწოდებენ¹. იგი ახალ ქართულში გამოყენება ზმნის პირიან ფორმასთან და გამოხატავს აბსოლუტივის (რუს. деепричастие) ფუნქციას. რაა||რა ზოგჯერ ძველ ქართულში იხმარებოდა ამავე ფუნქციით, გვხვდებოდა ტმესურ შემთხვევებშიც (გან-რაა-ვიდა, რაა განვიდა, განვიდა რაა). მორფოლოგიურად რაა ნაწილაკია, სინტაქსური თვალსაზრისით კავშირი. მატერიალურად იგი რა ნაცვალსახელს ჩამოკავებს. ისტორიული თვალსაზრისით, რაა როგორც კავშირი (ნაწილაკი) და რა ნაცვალსახელი ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს. რაა ნაწილაკ-კავშირი რა ნაცვალსახელისაგან მომდინარეობს². რა(ა), როგორც ნაცვალსახელი და როგორც ნაწილაკი და კავშირი, ჩვენ გავაერთიანეთ ზოგად ტერმინში, რომელსაც მორფემოიდი ან ნაწილაკ-მორფემოიდი (||მორფემოიდ-ნაწილაკი) ვუწოდებთ.

რა მორფემოიდი ძველი ქართულიდან მოყოლებული დღემდე მკვიდრი საკავშირებელი სიტყვაა³. იგი ძველ ქართულში უპირატესად იხმარება ისეთ ზმნებთან, როგორცაა შევიდა, გამოვიდა, მივიდეს, მოვიდეს, მომოვიდოდეს, წარვიდეს, წარვიდოდა, ვიდოდა... ესმა, ესმოდა... იხილა, იხილოს, ზედვიდა, ზედვიდეს... ჰრქუა, იტყოდა, იტყოდეს... ეტყოდა. შედარებით იშვიათად გვხვდება მიიწია, მიიწია, წარტდა, იქცეოდა, ჯდა, აღდგა, აღდსრულა. აუწყა, გამოჩნდა, მოეგო, გამოეცხადა, იყო და სხვ⁴. ეს ისეთი ზმნებია, რომლებიც მეტ-ნაკლებად რაიმე მოძრაობის გაგებას შეიცავს. რა კავშირის გამოყენებას წინადადებაში, როგორც მიუთითებენ, დამოკიდებული წინადადების ჩამოყალიბების მოვლენასთან მიეყავართ. „ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურზე, უნდა ვიფიქროთ, არ არსებობდა დამოკიდებული წინადადება, ისევე, როგორც იგი არაა დღეს აფხაზურ-ადიღურ ენებში. ამ ენათა მსგავსად ქართულშიაც განიჩეოდა ზმნის ინფინიტურ-ფინიტური წარმოებები. ინფინიტურ წარმოებებს უნდა ჰქონოდათ სხვადასხვა საგარემოებო სიტყვა-ნაწილაკები (დროისა, ვითარებისა და სხვ.). საგარემოებო ელემენტთაგან ყველაზე განზოგადებული ჩანს რაა(რა)–(რა+იგი), რომელიც ყველაზე უკეთადაა შემონახული ძველ ქართულში. მიუხედავად ამისა, იგი ნაშთის სახის მატარებელია ძველ ქართულშიაც კი. ძველ ქართულში უკვე ჩამოყალიბებულია ჰიპოტაქსი“⁵.

1 ბ. ჯორბენაძე, მ. კობახიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და ელემენტების ლექსიკონი (ნასალები ქართული ენის სისტემატური კურსისათვის), თბ., 1988.

2 ამის შესახებ ვრცლად გვექნება საუბარი ერთ-ერთ ნაშრომში.

3 შ. ძიძიგური, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის, კავშირები და საკავშირებელი სიტყვები, თბ., 1959, გვ. 57.

4 ა. მარტიროსოვი, ერთი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, კრებული პირველი, თბ., 1959, გვ. 271.

5 ქ. ლომთათიძე, ზმნის ინფინიტური წარმოების კვალი ძველ ქართულში, იან, რ. IX—X, თბ., 1958, გვ. 116.

კიდევ უფრო იშვიათია რა(ა) ე. წ. საშუალ ქართულსა და ახალ სალიტერატურო ქართულ ენაში.

ძველ ქართულში რაა იხმარებოდა კითხვით ნაცვალსახელდაც. მას თანდათან ჩამოსცილდა ა და დამკვიდრდა ენაში რა ნაცვალსახელი. ძველი ქართული ენის წერილობით ძეგლებში რაა კავშირი ფართოდ გამოიყენება დროულობის ფუნქციით: საშუალ ქართულში ა ჩამოცილებულია და ეს ა-ჩამოცილი რა გავრცელებულია ახალ სალიტერატურო ენაშიც⁶.

ირკვევა, რომ რა(ა) მორფემოიდის არქაული ფუნქციები შეჰიონახა როგორც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში⁷, ისე მისმა დიალექტებმაც, მაგ., კ. გვარამაძის მიერ ჩაწერილი ზღაპრების ტექსტიდან ჩანს, რომ რა ნაწილად-მორფემოიდი ქართულ ხალხურ ზეპირმეტყველებაში იშვიათად, მაგრამ მაინც, იხმარება: დათვი ვერ უყურებდა ხეზე აღამიანს და ქვეშ ტოტებზე რა ვერას ხედავდა, მალა, მალა ინაცვლებდა ტოტებზე (სიხ. 144, 36—37).

ამ კონტექსტში რა ვერას ხედავდა (რა ხედავდა გაყოფილია ვერას უარყოფითობის გამომხატველი ნაწილაკით) გამოთქმაში თითქოს რა მორფემოიდ-ნაწილაკი კი არა გვაქვს, არამედ ვერარას „შებრუნებული ვარიანტი“ რა+ვერა, რაც ამ შემთხვევაში გამორიცხული არაა, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ეს რომ მართლაც ასეა, იქიდან ჩანს, რომ იმავე ტექსტში მომდევნო გვერდზე რა მორფემოიდის ხმარება ორჯერ დავადასტურეთ: „ასე დათვი რა მიუახლოვდა წვერს, ველარ აწამა რა ნაცარქეჟიამა“ (სიხ. 145, 1). „რა დამხვრჩალი მოლა ნახა მდეგმა, დააგდო და ილი-მილი გადაიკარგა თვითონ“ (სიხ. 146, 34—35).

ეს ბოლო მავალითი საინტერესოა იმ მხრივ, რომ რა...ნახა გათიშულია რამდენიმე (ორი) სიტყვით, რაც თავისი იშვიათი ხმარების თვალსაზრისით, საინტერესო ფაქტს წარმოადგენს.

რა(ა) მორფემოიდი აბსოლუტივის ფუნქციით⁸ ახლაც გავრცელებულია ქართული ენის იმერულ დიალექტში, კერძოდ, იმერული კილოს მარგველ მუცყველებში, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში შუაიმერულს (ა. შაინიძე, ვლ. ფანჩიძე...) ან თერჯოლურს (შ. ძიძიგური) სახელითაცა ცნობილი: რაი აქ ჩამევესიძე, სახლიკაცებს ველარ ვხვთები (ა. ცხად.). ეგვე გამოთქმა (რაი აქ ჩამევესიძე) შუაიმერულში შეიძლება სხვა ვარიანტითაც შეგვხვდეს — რაი ნაწილაკი მოქვეული იყოს აქ ადგილის ზმნისართა და ზმნის შორის: აქ რაი ჩამევესიძე, სახლიკაცებს ველარ ვხვთები. თანამედროვე სალიტერატურო ქართულ ენაზე ამ კონტექსტში რაი რაც, რაკი კავშირებით გადამოიკვამ: „რაც (რაკი) აქ ჩამოვესიძე, სახლიკაცებს ველარ ვხვდები“. ე. წ. შუაიმერულში მსგავსი შემთხვევები იშვიათი არაა: „რაი შენ გამოჩითი, დედუა, რაღას დევექედ“ (ჩვენნი მასალ). შდრ. „შენ რაი გამოჩითი, დედუა, რაღას დე-

⁶ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 280.

⁷ ფ. ერთელიშვილი, რთული წინადადების ისტორიისათვის ქართულში, 1, პიპოტაქსის საკითხები, თბ., 1963, გვ. 137.

⁸ როგორც ვიცით, ქართულ-ქართველურ ენებს აბსოლუტივი არ მოეპოვება. მის ფუნქციას ქართულში ზმნის პირიან ფორმასთან ერთად რაა მორფემოიდი ასრულებს. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ დროის გარემოებით დამოკიდებულ წინადადების შინაარსი ძველ სომხურში გადმოიკვამ მიმდებარე კონსტრუქციით. ასეთ კონსტრუქციაში გამოყენებულია *ჩოყ* სუფიქსიანი ნაწყოს ვენებით გვარის მიმღობა, რომელსაც აბსოლუტივის მნიშვნელობა აქვს და რუსულ „დეკრიჩასტიკს“ უდრის. ასეთი მიმღობა ადრე ინოვაციობულ ენათა გარკვეულ ჯგუფს ახასიათებდა, რომელიც უშთაერესად განვითარდა სლავურსა და სომხურ ენებში, ხოლო ზოგ ენაში ნაშთის სახით შემორჩა: იხ. ა. მარტიროსოვი, ერთი სინტაქსური მოვლენისათვის ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, კრებული პირველი, თბ., 1959, გვ. 273.

⁹ რაი მორფემოიდის დიალექტურობაზე თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მიუთითებს ფ. ერთელიშვილიც. ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 139, შენიშვნა 1.

ვეძიებ“. თან სალიტ. ქართ.: „რადგან შენ გამოჩნდი...“, „რაც შენ გამოჩნდი...“, „რაკი შენ გამოჩნდი“. რაი შვილებს მეესწარი შენე, რას დეეძიებ გო, თითვან მიხედავენ თავისი თავს“ (ჩვენი მასალ.). შდრ. „შვილებს რაი მეესწარი შენე, რას დეეძიებ გო, ისინი თითვან მიხედავენ თავისი თავს“. თან. სალიტ. ქართ.: „რადამც (ან რადგან) შვილებს მოესწარი, რაღას დაეძიებ, ისინი თვითონ მიხედავენ თავის თავს“.

რაი ზემოიშვრულ კილოკავშიც იხმარება, რამაც ასახვა პოვა გიორგი წერეთლის ნაწერებში: „დამოყნის მთავრობას აზრი აუღია, რომ, რაი იერემია ფოთში გაჩნდა, კონტრახანდის შემოტანამ იმატაო“ (პირვ. ნაბ. 76, 21—22).

როგორც ჩანს, რა(ა) მორფემოიდ-ნაწილაკი ქართული ენის ზოგ დიალექტში გვქონია. მისი ადგილი წინადადებაში განსაზღვრულია: „რააჲრა მხოლოდ წინადადების თავშია, სადაც იგი რაიმე სიტყვით (ან სიტყვებით) ითიშება. ამ თვალსაზრისით ისინი ტემისი ოდინდელი არსებობის ასოციაციას აღძრავს...“

ქართულში რაა მორფემოიდ-ნაწილაკის ფუნქციით გვევლინება რა რომ კავშირი, რომლის ფუნქციაა დროულობის გამოხატვა¹⁰. იგი გავრცელებული საკავშირებელი გამოთქმაა საშუალ ქართულში¹¹. რა რომ გამოხატვაში რა ნაწილაკ-მორფემოიდისა და რომ კავშირისაგან შედგება. რა რომს თავიანთ ნაწერებში იყენებენ თეიმურაზ მეორე, ვახტანგ VI და დავით გურამიშვილი: „მესამეს ჰყრავს, კიდევ ახვეს, რა რომ კარსა გასცილდესა“ (თეიმურაზ მეორე, 68, 605). „ფიტლავიელიან, მასრის ხმა რა რომ მათთანა გავა-და...“ (თეიმურაზ მეორე, 72, 626) „რა რომ შეიტყო, ტარიელ მისთვის გაიჭრა ველადო“ (თეიმურაზ მეორე, 91, 720). „რა რომ დაპირდაპირდნენ, გაუშვან და შეუტონ“ (სამართლ. წ. 50, 24). „აწ მეორედ მეფე ვახტანგ რა რომ ყვენს შეასმინეს, თითქმის ისე განარისხეს, ჰკუევისაგან შეაცდინეს“ (დ. გურამ. 62, 16)¹².

რა რომ საკავშირებელი სიტყვა შეგვხვდა მე-19 საუკუნის ცნობილი საზოგადო მოღვაწე ქალის — პოეტ ბარბარე ჯორჯაძის პოეზიაშიც: რა რომ განვიციდი ცისა სივრცეს განუხსაზღვრელსა, მასხედ მნათობთა მოკამკამეთ მხეს ბრწყინვალესა“ (ბ. ჯორჯ. 26, 24—25).

რა რომ კავშირი დავადასტურეთ აკაკი წერეთლისა და გიორგი შარვაშიძის პროზაულ ნაწერებშიც: „რა რომ ეს ამბავი გაიგო ბ. ფიცი და შეჩვენება დაიწყო“ (აკაკი XI, 5, 14). „ღირსეულ ადამიანებს საკადრისი მანდილოსნები ეჩაღებთან, მას შემდეგ, რა რომ მათაც ლეჩაქი მოიხადეს“ (აკაკი. XII, 211, 8—9). „მოიხეს ნუ მკითხავ, რადგან არც მე ვაძლევ ჩემს თავს ამ გრძნობის განმარტებასა, მარა რა რომ აქ ჩამოველით, პირველ დღიდანვე რალაც სიმძიმე მაწევს გულზედ“ (გ. შარვ. 198, 9—10).

რა რომ ნაწილაკ-მორფემოიდი აგრეთვე გამოყენებული აქვთ ეგნატე ნინოშვილსა და დესპინე ველოვანს: „მარინემ კიდევ განუშეორა თავისი სიტყვები. რა რომ ქმრისაგან პასუხი ვერ მიიღო, ერთი მწარედ ამოიოხრა და, რადგანაც ძლიერ დაღლილი იყო, დაწვა თავის შვილებთან“ (გოგია უიშვ. 30, 9—11). „იი დასაქცევი დღით და ღამით არ ვისვენებ, ჩემი ოფლი მიწას ერთვის და მაინც რომ არ იქნა, რაც არ იავა, წინ არ წეიწია ჩემი ცხოვრებაო“, — დაიწყო გოგიამ საჩივარი თავის თავზე ბოლოს და ბოლოს, რა რომ მეტის მეტად გაუმიძიდა ცხოვრების ტვირთი“ (გოგია უიშვ. 16, 27—28). „რა რომ ლაპარაკით და აღერსით გული შეიჭრა, გოგიამ უთხრა თავის ცოლს“ (გოგია უიშვ. 20, 15). „რა რომ მოვიდა, იმ წუთიდან ბედიანს და ემუხვარს შეპყრობილი ფრინველივით ჰყავდათ ხელში“ (ბან. 283, 27—28).

¹⁰ შ. ძიძიგური, დასახ. ნაშრ., გვ. 338.

¹¹ შდრ. ფ. ერთელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 136.

¹² ეს ბოლო ორი მაგალითი დამოწმებული აქვს ფ. ერთელიშვილსაც.

რა რომ ნაწილაკ-მორფემოიდი ზემორე მაგალითებში როცა კავშირის მნიშვნელობითაა აღჭურვილი.

რა რომ საკავშირებელი სიტყვა დავადასტურეთ ქართულ პრესაშიც: კერძოდ, ვახეთ „კომუნისტში“ ე. ა. შევარდნაძის საგაზეთო სტატიაში: „სამშობლოა თქვენი მეკვლე“, სადაც ვკითხულობთ: „შეიძლებადა ასე თქმულიყო: „**რა რომ** ზნე წახდეს, ერც დაეცეს“.

რა რომ არც თანამედროვე ნათარგმნი ლიტერატურული ძეგლებისათვის არ არის უცხობ: „**რა რომ** შეატყობს, გააზიზებულა, გული ასჩუყებიაო... სავულდავულოდ უმზადებს წარმატებას“ (თ. ჩხ. 186, 36).

რა რომ გამონათქვამი, როგორც ჩანს, მომდინარეობს საშუალო ქართულიდან, როცა დასაბამი მიეცა ახალი სალიტერატურო ენის ჩასახვსა და განვითარებას. რა რომ კავშირი დღემდის შემოინახა ქართული ენის დიალექტებმა და აქედან ასახვა პოვა ზოგ ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში. ჯემალ ნოღაიდელის მიერ ჩაწერილ აჭარულ ტექსტში ვკითხულობთ: „**რა რომ** ქალმა მოშორდა არაბს, ვეზირმა გზა მუუჭრა არაბს“ (ნოღ. IV, 45, 37—38). თუ ზემორე დამოწმებულ საილუსტრაციო მაგალითებს — ამოკრებილს სხვადასხვა მწერლის თხზულებებიდან — (თეიმურაზ მეორე, ბარბარე ჯორჯაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი შარვაშიძე, ეგნატე ნინოშვილი, დესპინე გელოვანი...) გავითვალისწინებთ, მაშინ უნდა ვიგულისხმობთ, რომ **რა რომ** საკავშირებელი სიტყვა, ვარდა აჭარულისა, უცხო არ უნდა ყოფილიყო სხვა ქართული კლოებისათვის: კახური, იმერული, გურული, ლეჩხუმური...

ისმის კითხვა: როგორ გაჩნდა რა რომ კავშირი საშუალო ქართულში? ამ მხრივ საინტერესო ჩვენებს იძლევა თანამედროვე ქართული თარგმანები. ნათარგმნი ლიტერატურული ნაწარმოებების ამა თუ იმ ტექსტში **რა რომ** ერთმანეთისაგან გამოყოფილია მძიმით, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ისტორიულად **რა რომ** გამონათქვამი ორი წინადადების შერწყმის შედეგად უნდა მიგველო: „**მიხვდა, რა, რომ** უდროო დროს **შემოვიდა**, ვრონა დიდხანს აღარ გაჩერებულა“ (6. ძოწ. 461, 32); „ჩვენ რამდენიმე დღეს დავიტოვეთ თქვენი ქუდი და ბატი, — წამოიწყო ჰოლმსმა, — **ვიმედოვნებდით რა, რომ** თქვენ განცხადებას **გამოაქვეყნებდით** ვახეთში და თქვენს მისამართს იქიდან შევიტყობდით“ (ქმერლ. ჰოლმს. თავგ. 581, 32—34).

მართლაც, **რა რომ**ს შორის რაღაც წინადადება საგულვეტელი, რომლის „ცვეთის შედეგად“, ანუ ხშირი ხმარების გამო, კონსტრუქცია (დაქვემდებარება) **რა...რომ** უნდა გამარტივებულიყო. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ ვარდამავალი საფეხური ახალ ქართულში ახლაც გვაქვს: „და **რა შეიტყო, რომ** ახალმა წელიწადმა ზიზლით **შეხედა** მას, საზარელის ღიმილით უთხრა“ (აკაკი. XI, 112, 1—2). შდრ. „და **რა რომ** შეიტყო ახალმა წელიწადმა ზიზლით **შეხედა** მას, საზარელის ღიმილით უთხრა“.

რა რომ რთული კავშირის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ჩვენი ყურადღება მიიქცია გ. ტაბიძის პოეზიაშიც. კერძოდ, პოეტის მიერ 1947 წელს დაწერილ ორსტროფიან უსათაურო ლექსში იკითხება:

მე რომ მკითხონ: — **რა გვინდა, რომ**
ბედნიერი ვახდეს კაცი?
უპასუხებ: — საქართველოს
ეს ბუნება თვალწარბაქი!
კვლავ რომ მკითხონ: — **რა უნდა, რომ**
გაქრეს დარდი გულამკვლები.
ვეტყვი: — სულ თვე მგზავრობისა,
არც მეტი და არც ნაკლებიშ.

ამ სტროფებში ნახმარი რა გვინდა, რომ..., რა უნდა, რომ... კონსტრუქტა
რა რომ რთული საკავშირებელი სიტყვის წინარე ფაზაა: რა გვინდა, რომ...
გახდეს...→რა რომ გახდეს; რა უნდა, რომ გაქრეს...→რა რომ გაქრეს...

ამგვარად, რა რომ რთული კავშირის მიღების გარდამავალი საფეხურია
თანამედროვე ქართულში ახლაც მოქმედა.

„ალიარებდა რა იმას, რომ წამლების საწყობი მისი პირადი მეურნეობის
ქვეშ იყო, რომ იმ წამლებიდან ზევრი საწამლაია, და ამტიცებდა რა იმას,
რომ საწყობის გასაღები არავისთვის მიუტია, ვალიაშუკი ამით თითქოს თავის
თავს აყენებდა ემპქვეშ“ (ნ. ძოწ. 436, 15—16). მიუხედავად იმისა, რომ ქარ-
თველი მთარგმნელი უხეიროდ აგებს ფრაზას და „დღენის ტყვეობიდან“ თავი
ვერ დაუღწევია, რა რომ საკავშირებელი სიტყვის მიღების გზა მაინც ცხადი
ხდება: „ალიარებდა რა იმას, რომ წამლების საწყობი მისი პირადი მეურვე-
ობის ქვეშ იყო“—რა რომ წამლების საწყობი მისი პირადი მეურვეობის ქვეშ
იყო...

საყურადღებოა, რომ რა+ზმნის პირიანი ფორმა+რომ კავშირი (რა რომ)
დავადასტურეთ კ. გვარამაძის მიერ მესხეთში ჩაწერილ ზღაპრებში: „რა დარ-
წმუნდა რომ დათვი მომკვდარი იყო, ჩამოვიდა ძირს და სიხარულით გაიქცა
მდევებისაკენ სახლში“ (სიხ. 145, 5—6). შდრ. „რა რომ დარწმუნდა, ჩამოვიდა
ძირს...“

ამრიგად, რა რომ მორფემოიდ-ნაწილაკი აბსოლუტივის (რა წავიდა ტი-
ბის...) დაჩრდილვის, „ცვეთის“, რღვევა-მოშლის გზითაა მიღებული საშუალ
ქართულში, საიდანაც მან დღემდის მოაღწია როგორც ქართული ენის დია-
ლექტებში, ისე სალიტერატურო ქართულში.

რაც რომ. რაც რომ, როგორც კავშირი, საშუალი ქართულის კუთვნილუ-
ბაა. (აკად. შ. ძიძიგური). აკად. შ. ძიძიგური თავის ზემოთ აღნიშნულ მონო-
გრაფიაში მას საგანგებოდ არ განიხილავს. რაც რომ საკავშირებელი სიტყვა-
დასახელებულია მხოლოდ მონოგრაფიის ბოლოს თანდართულ კავშირთა ტა-
ბულაში. რაც რომ ვარიანტია რა რომ კავშირისა: რა რომ→რა+ც რომ→რაც
რომ. რაც რომ, როგორც კავშირი, რა რომ'ის გვერდიგვერდ გვხვდება საშუ-
ალი ქართულის წერილობით ძეგლებში. კერძოდ, იგი დავადასტურეთ თეი-
მურაზ მეორის პოეზიაში: „მოქმედებს ყოვლი ცხოველი, რაც რომ მათი არს-
წესება“ (თეიმურაზ მეორე. 104, 788). დღისით მოხდების ქორწილის, ძეგლის
რაც რომ რიგია (თეიმურაზ მეორე. 64, 585).

რაც რომ კავშირი უცხო არაა მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული
ზღაპრების ტექსტისათვისაც: „უანზე ჩემი ანბავი, რაც რომ გარდამკვდომოდა“
(მე-17 ს. ზღაპრ. 99, 24—25). რაც რომ მე-19 საუკუნის მწერალთა ნაწარმო-
ებებშიც იხმარება: კერძოდ, იგი დავადასტურეთ რაფიელ ერისთავის ფოლ-
კლორულ ჩანაწერებში და გიორგი წერეთლის რომანში „პირველ ნაბიჯში“:
„ეს მესამე წელიწადია, რაც რომ მეფემ წაიღო, ესე იგი, საჩიჩულებმან და
იტყვიან, რომ უთუოდ მოსავალი და ხორაგობა მრავალი იქმნებაო“ (ერისთ.
ფოლკლ. 40, 26—27).

ზემოთ წარმოდგენილ საილუსტრაციო მასალაში რაც რომ გამონათქვამში,
რომელიც ორი კავშირისაგან შედგება, დაკარგულია ზმნის პირიანი ფორმა.
რომლის თავდაპირველი, არქაული იერსახე ასეთი უნდა ყოფილიყო: „უამზე რა
რს ამბავი, რომელიც თავს გარდამხდომია“. შდრ. ზემოთ წარმოდგენილი მა-
გალითი: „უანზე ჩემი ანბავი, რაც რომ თავს გარდამკვდომოდა“. ან კიდევ: „ეს
მესამე წელია, რაც გვებადა, რომ მეფემ წაიღო. „იერემიამ დაწერილებით უამ-
ბო იმერეთისა და მისი ოჯახის ამბავი, რაც რომ იცოდა“ (პირე. ნაბ. 145, 29).
ამ წინადადების არქაული სახე ასე წარმოგვიდგება: იერემიამ დაწერილებით

უამბო რა იმერეთისა და მისი ოჯახის ამბავი, რომელიც იცოდა: „**რაც რომ** ჩვენ ვერ გავაკეთეთ, რექტორატს დავაბრალეთო, წაგვძლია სულმა და გულმა სახლებში გვეჩქარეთო“ (ნ. მაჭავარიანი, ჩვენი მასალ.). შდრ. ის, **რაც ვერ გავაკეთეთ...**

ამრიგად, ზემოთ განხილულ **რაც რომ** კავშირიან მაგალითებში **რამ** მორფემოდიანი რთული ქვეწყობილი წინადადების მოდიფიკაციასთან გვაქვს საქმე, **რაც** ახალ ქართულსა და მის დიალექტებში ახლაც იხმარება **რამ** კავშირის პარალელურად.

კავშირები, რომელთა შემადგენლობაშიც მომდევნო ადგილი **რომ** კავშირს უჭირავს, როგორც ახალ, ისე საშუალო ქართულში იშვიათი არაა. შ. ძიძიგურის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში ასეთ კავშირებად დასახელებულია, გარდა **რამ** || **რაც რომ** შედგენილობით რთული კავშირებისა, ისეთებიც, როგორცაა: **როცა რომ, როდესაც, რომ, ვინც რომ, თუნდაც რომ, თუ რომ, იმიტომ რომ, ისე რომ, მისთვის რომ...**

ჩვენ მიერ მოძიებული მასალა კიდევ უფრო ამდიდრებს ზემოთ დასახელებულ **რომ** ელემენტის შემცველ საკავშირებელ სიტყვებს. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს:

რადგან რომ. დავადასტურეთ მხოლოდ თეიმურაზ მეორის ნაწერებში. ცხადია, ამ კავშირის ხმარება სხვა მწერალთა თხზულებების ენაშიც მოულოდნელი არ უნდა იყოს: „**რადგან რომ** კაცსა ბოლომდის სიკვდილი არ აცილდების“ (თეიმურაზ მეორე. 106, 794). შდრ. **რადგან ცნობილია, რომ** კაცს ბოლოს მაინც სიკვდილი არ აცდება.

როგორც რომ. დავადასტურეთ როგორც საშუალო ქართულში, ისე მე-19 საუკუნის მწერალთა თხზულებათა ტექსტშიც: „**როგორც რომ** ხარი ღრიალსა დაიწყებს ყვირილობასო“ (თეიმურაზ მეორე. 73, 631). „შენმავე ჩანგმა ეს ციური მადლი მოგფინა, **როგორც რომ** მკვდრეთით თითქმის ისე კვლავ აღგადგინა“ (ბ. ჯორჯ. 40, 2—3). „გარეთ კი ავი თოვლის ქარბუქი **როგორც რომ** მხეცი გაცაპკივოდა“ (გ. შარე. 114, 22—23)“ „დათვი აბღავლეს, ტურა აჭყავლეს, მეგლი გაბერეს, **როგორც რომ** გულა“ (აკაკი. V. 345, 18).

რომელშიაც რომ. ამ კავშირს ხმარობს თეიმურაზ ბაგრატიონი თხზულებაში — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“—ში: „მივედით იმ საყდარში, **რომელშიაც რომ** ეს ფრედერიკოს მარხია და იმისი მამა“ (შოგ. 40, 9). შდრ. „იმ საყდარში, **რომელშიც** [ან: სადაც მივედით], **რომ** ფრედერიკო და მისი მამა მარხია“.

რომელიც რომ, რომელმაც რომ, რომელსაც რომ, რომლიდანაც რომ კავშირებს იყენებენ ზანური ვნის მეგრული დიალექტის ნი კავშირიანი დამოკიდებული წინადადების თარგმნისას¹⁴.

რომელიც რომ: „ჩხომი, ნამუთი შიიცოდე დო გუტუ ნი, მა ვორდა“ = თევზი, **რომელიც რომ** შიიცოდე და გაუშვი, მე ვიყავი. „დათაში მოყვენჯი, ნამუთი დიხასე ზონგნდე ვითოჟირი უღუ კამეჩეფთო დო ნახონა დიხასე ყინტენდენი, თიქ არწორო ხორცი გეყინტე“ = დათას თანხლები, **რომელიც რომ** მიწას ხნავდა თორმეტი უღელი კამეჩებით და ნახნავ მიწას ყლაპავდა, მან მთელი ხორცი გადაყლაპა (ყიფშ. 17, 13). „კოჩი, ნამუთი თინეფშო ზოლოს ცხოვრენდე ნი, თის ძალამი ქიმეწონე თე ძღაბიქ = კაცი, **რომელიც რომ** მათ ახლოს ცხოვრობდა, იმას ძალიან მოეწონა ეს გოგო (ც. ეჯიბია). „**რომელმაც რომ.** ნამუქჯთი ქასაგანი ჟი ცაშა იყოთე დო ჯაში თუდო გითორდე ნი, თიქ

¹⁴ თარგმანსა და საილუსტრაციო მასალას ვიმოწმებთ: ნ. აბესაძე, ჰიპოტაქსის წყერ-კავშირები და კავშირები მეგრულში, თსუ შრომები, ტ. 114, თბ., 1965, გვ. 230—232.

გეოგოფუ ქაშქელი დო ქასაგანი“ = რომელმაც რომ ისარი ზეცისკენ ისროლო და ხის ქვეშ იდგა, იმან აილო შეილდი და ისარი (ყიფშ. 17, 9).

რომელსაც რომ. „დათაში განიშე გგშეელ თი კონქე, ნამუსითი ცა, დიხა, ქუა დო ჯა მეულუდუ ნი, თიქე“ = დათას მხრიდან გამოვიდა ის კაცი, რომელსაც რომ ცა, მიწა, ქვა და ხე მიჰქონდა, ის (ყიფშ. 17, 27).

რომლიდანაც რომ. „ქიმიოღირთეს ართი დიდი თის, ნამუშეთი სინათლე იძირედუნი“ = მიადგნენ ერთ დიდ სამყოფელს, რომლიდანაც რომ სინათლე ჩანდა (ხუბ. 7, 20).

აქ წარმოდგენილ თარგმნილ ტექსტებში რომელიც რომ საკავშირებელი სიტყვა ნამუთი...ნი-ს კალკირებული (resp. ზედმიწევნითი თარგმანი) ფორმაა. ქართულად იგი რომ კავშირის გარეშეც შეიძლება გვეთარგმნა.

თუ რომ. საქმის დროს სიტყვის აყოლა დიდი შეცდომა არის, თუ რომ გინდათ შეიტყოთ, ასარჩევად პირი კარგია თუ ავი, თქვენ მისი ნამოქმედარი ნახეთ“ (აკაი, XII, 266, 5—6).

რა თქმა უნდა, აქ დამოწმებული ფრაზა უფრო ბუნებრივი ქართულით შეიძლება შეცვლილიყო, თუ გინდათ ლექსემას თუ კავშირის შემდგომ დავწრდით, სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ რომ კავშირს ერთმანეთისაგან გამოვაცალკევებდით: საქმის დროს სიტყვის აყოლა დიდი შეცდომა არის, თუ გინდათ, რომ შეიტყოთ... შემდეგ როგორც ტექსტშია.

ვფიქრობთ, როგორც რომ, რადგან რომ, რომელშიაც რომ და მისთ., ისე როგორც, რაც რომ, რა რომ შედგენილობით რთული კავშირები ისტორიულად ჩამოყალიბებულია ორი წინადადების შეერთების გზით: თუ რომ—თუ [გინდათ] რომ [შეიტყოთ]... რომელშიაც რომ—რომელშიაც [მივედი] რომ... როგორც რომ—როგორც [მოგვინა] რომ...

რადგან რომ, როგორც რომ, რომელშიაც რომ, თუ რომ... კავშირები წარმოშობით ორი წინადადების (resp. ორი ზმნის პირიანი ფორმის, აზრის) შერწყმის (ან: ურთიერთგავლენის) შედეგადაა ჩამოყალიბებული.

თუ აქ განხილული რთული შედგენილობის საკავშირებელ სიტყვებში რომს მეორე ადგილი უჭირავს, რა ნაწილაც-მორფემოიდი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი. ამ მხრივ საინტერესოა რაკი, რაჟამს, რახან, რაწამს რა ნაწილაც-მორფემოიდის შემცველი რთული კავშირები, რომლებიც ფართოდ გავრცელებულია ქართულში: „რაკი წახვალ, მოსვლა აღარ არის“ (ბ. ჯორჯ. 77, 30). „რაკი წავლენ სახლში, დასხდებიან სადილზე“ (ერისთ. ფოლკლ. 26, 7—8). „რაკი დასხდებიან სადილზე, სუფრის აღება არა შესაძლო არს“ (ერისთ. ფოლკლ. 25, 32). „ეხლა, რაკი შევიტყუე გლახას ვინაობა და მალვის მიზეზი, შეგვიძლიან გავაგრძელოთ ჩვენი მოთხრობა“ (ა. ყაზბ. 205, 23—24). შდრ. რაც კი: „რაც კი ნასუფრალი მორჩებათ, მცირე ნაწილსაც ვერ წამოიღებენ სახლში, ვითამ ჯვარს ეწყინება“ (ერისთ. ფოლკლ. 28, 38—39).

რაკი||რაც კი საკავშირებელი სიტყვები რა მორფემოიდისა და კი ნაწილაცის შერწყმის შედეგადაა მიღებული, რომლებშიც შენარჩუნებულია რა ნაწილაც-მორფემოიდის ძირითადი ფუნქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზემოთ მოყვანილ საილუსტრაციო მაგალითებში საესებით შესაძლებელია რაკი (||რაც კი) კავშირის ნაცვლად ოდენ რას ხმარება. მაგ., „რაკი წახვალ მოსვლა აღარ არის საჭირო“. შდრ. „რა წახვალ (ან: წახვალ რა) მოსვლა აღარ არის...“, „რაკი წავლენ სახლში, დასხდებიან სადილად“. შდრ. „რა სახლში წავლენ, დასხდებიან სადილად“. „ეხლა, რაკი შევიტყუე გლახას ვინაობა და მალვის მიზეზი, შეგვიძლია გავაგრძელოთ ჩვენი მოთხრობა“. შდრ. „ეხლა, რა შევიტყუეთ (შევიტყუეთ რა) გლახას ვინაობა და მალვის მიზეზი, შეგვიძლია გავაგრძელოთ ჩვენი მოთხრობა“ და მისთ.

რაჟამს (←რა+ჟამს): „**რა ჟამს** ცნა მუხას ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი“ (ასწლ. მატ. 71, 7). „**რაჟამცა** ხორცი კარგად მოიხარ-
შოს, ხორცი და ამისივე წვენი ცეცხლის პირსა თბილად დადგი“ (იად. დაუდ. 222, 24—25). შდრ. „**რა ცნა** მუხას ძემან მოახლება თათართა, მოწუა სრულიად ქალაქი...“

რახან (←რა+ხან): „ვარლამს რომ ხელში წერილი ეჭირა, იმ წერილის შინაარსი აღძრავდა ცნობისწადილს, მაგრამ **რახან** აბიამ წერილი ცივად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო — საშინელი რამ უნდა წერებულებო, შეკითხვაც კი უხერხულად ჩათვალეს აბიას აწლობლებმა“ (აფთარი, 30, 10—16).

რაწამს (←რა+წამს): „და **რა წამსაც** პირველი სიტყვები ამოიკითხა, უღონოდ დაუშვა ხელი“ (ნ. დოლ.). შდრ. „და **რა პირველი სიტყვები ამოიკითხა**, უღონოდ დაუშვა ხელი...“

„**რახაც წამ** დედაკაცმან ქმარი გაიკალა საწვეველს, ფიცხლავ მიჯნურთან კაცი გაგზავნა“ (თიძე, 60, 13—14). შდრ. „**რა დედაკაცმა ქმარი გაიკალა**, ფიცხლავ მიჯნურთან კაცი გაგზავნა“. ეს მაგალითი იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ საშუალ ქართულში **რაწამს** მყარი, მონოლითური კავშირი არ ყოფილა, რადგან მისი პირველი წევრი **რა** ნაწილაკ-მორფემოიდი ბრუნებადი სიტყვა ჩანს: **რაწამს**||**რახაც წამს**.

როგორც ჩანს, **რაცი**, **რაჟამს**, **რაწამს**, **რახან** კავშირებში ძირითადად საკავშირებელი ფუნქცია **რა** მორფემოიდს აკისრია, კი, **ჟამს**, **ხან**, **წამს** სავარაუდოებო ელემენტები უფრო ამძაფრებენ წინადადებაში გამოთქმულ აზრს.

ამგვარად, როგორც ვრცელი საანალიზო მასალიდან ვაიკვავ, **რა(ა)** მორფემოიდ-ნაწილაკი ახლაც იხმარება თანამედროვე სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში. **რაა**საგან დროთა განმავლობაში ე. წ. საშუალ ქართულში ჩამოყალიბდა შედგენილობით რთული საკავშირებელი სიტყვები (**რა რომ**, **რაც რომ**, **რადგან რომ**; **როგორც რომ**, **რომელშიაც რომ...**), რომლებიც ისტორიულად წარმოიქმნენ **რა მორფემოიდ-** ნაწილაკიანი აბსოლუტივის მნიშვნელობის მქონე წინადადებებისაგან, რასაც მხარს უჭერს ძველი და საშუალო ქართულის წერილობით ძეგლებში მათი გვერდგვერდ ხმარება, აგრეთვე XIX—XX საუკუნის მწერალთა ნაწარმოებები და თანამედროვე ქართული ენის დიალექტთა მონაცემები.

წყაროების შემოკლება ნი

1. აკაი. (V. XI. XII) — აკაი წერეთელი, თხზულებათა სრულ კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. XI., XII, პუბლიცისტური წერილები, თბ., 1960.
2. ასწლ. მატ. — ვამთაღმწერელი, ასწლოვანი მატრიანე, ტექსტი გამოსაცემად მოაწინაა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987.
3. აფთარი — ნოდარ წულეისკირი, აფთარი (რომანი), ჟურნ. „ციცქარი“, 1988, № 2.
4. ა. ყაზბ. — ალექსანდრე ყაზბეგი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1962.
5. ა. ცხად. — არისტარხ ცხადაძე, იმერული დიალექტის მარჯული მეტყველება (გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი), თბ., საქანდ. დის. 1953.
6. ბან. — ბანოვანი (დესპინე გელოვანი), შორეული ლანდები, თბ., 1959.
7. ბ. ჯორჯ. — ბარბარე ჯორჯაძე, რჩეული თხზულებანი, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მ. მონიავამ, თბ., 1988.
8. გოგია უიშვ. — გოგია უიშვილი, დაბეჭდ. კრებულში: ეგნატე ნინოშვილი, დაეოკლი დიაშვილი, თხზულებანი, თბ., 1988.
9. გ. შარვ. — გიორგი შარვაშიძე, ლირია, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშვილის რედაქციით და ნარკვევით, მეორე გამოცემა, თბ., 1985.
10. დ. გურამ. — დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., 1955.



11. ერისთ. ფოლკლ. — რაფიელ ერისთავი, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაერთო თ. დანიშვილმა, თბ., 1986.
12. თეიმურაზ მეორე. — თეიმურაზ მეორე, დღისა და ღამის გაბასება, თბ., 1976.
13. თიშ. — თიმსარიანი, გამოსცა, ტექსტი დაადგინა, შესავალი და ლექსიკონი დაერთო თ. გორელიშვილმა, თბ., 1965.
14. თ. ჩხ. — არმან ლანუ, მოპასანი, თარგმნა თენგიზ ჩხაიძემ, თბ., 1988.
15. იაღ. დაუდ. — დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაერთო ლ. კოტეტიშვილმა, თბ., 1985.
16. მე-17 ს. ზღაპრ. — მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები, გამოსცა, გამოკლევა და ვარიანტები დაერთო მ. ჩიქოვანმა, მრავალთაგი, საქართველოს სსრ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების კრებული, I, თბ., 1964.
17. მოგზ. — თეიმურაზ ბაგრატიონი, მოგზაურობა ჩემი ევროპაისა სხვათა და სხვათა ადგილთა, სოლომონ იორდანიშვილის რედაქციით, წერილითა და შენიშვნებით, თბ., 1944.
18. ნ. დოლ. — ნინო დოლიძე, არ გაეცვლი სალსა კლდეებსა, თბ., 1963.
19. ნ. ძოწ. — კრისტინ ზემსკი, „ოქროსი საცეცხი“, თარგმნა ნოდარ ძოწენიძემ, დაბეჭდ. წიგნში: საზღვარგარეთული დეტექტივი, თბ., 1981.
20. პირე. ნაბ. — გიორგი წერეთელი, პირველი ნაბიჯი, თბ., 1988.
21. სამართლ. წ. — ვახტანგ VI, სამართლის წიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ტერმინთა საძიებელი დაერთო თ. ენუქიძემ, თბ., 1955.
22. სიხ. — ქსენია სიხარულიძე, საბავშვო ფოლკლორი, თბ., 1938.
23. შერლ. პოლმს. თავგ. — ართურ კონან დოილი, შერლოკ პოლმსის თავგადასავალი, ინგლისურიდან თარგმნა ელგუჯა მაღრაძემ, თბ., 1985.
24. ჩენი მასალ. — ჩენი მიერ შეკრებილი მასალები.
25. ჯ. ნოდ. — ჯემალ ნოდუდი, ნარკვევები და ჩანაწერები, IV, ქართული ხალხური სიტყვიერება (აპარული მასალები), კრებული გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაერთო ი. მეგრელიძემ, ბათუმი, 1981.

Б. А. ЦХАДАДЗЕ

О РАЗНОВИДНОСТЯХ ПОДЧИНЕНИЯ, ВЫРАЖАЕМОГО МОРФЕМОИДОМ რა(ა) В ЛИТЕРАТУРНОМ ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ И ЕГО ДИАЛЕКТАХ

Резюме

Морфемоид-частица რა(ა), засвидетельствованная в памятниках древнегрузинской письменности, изредко встречается и ныне как в литературном грузинском языке, так и в его диалектах. С течением времени в т. н. среднегрузинском языке именно при помощи რა(ა) образовались сложные (композиционные) союзы: რა რომ, რაც რომ, რადგან რომ (რამდგან რომ), როგორც რომ (რავგარც რომ), რომელშიაც რომ...

Союзы аналогичной структуры представлены и в новогрузинском, и в среднегрузинском, и в новогрузинском языке: რა ჯამს, რახან, რაკი, თუ რომ... Союзы эти сформировались в структуре архаичных предложений, в которых употреблялся морфемоид რა(ა) (განვიღა რა, გან-რა-მ-ვაღა, რა განვიღა).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქოვანის სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა



კითხვან დათუბნილი

რედუქციის საკითხი ვხახვი და ვხვხვი ტიპის ზმნებში

I სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნათა უმეტესობას დაერთვის თემის ნიშანი, რის შედეგადაც ზოგ ფუძეში ხდება ხმოვნის რედუქცია. რედუქციას იწვევს ძირითადად -ავ და -ი თემის ნიშნები. ამათგან -ავ კუმშავს მხოლოდ იმ ფუძეებს, რომლებიც II სერიაში III პირის ფორმებში იკუმშებიან: მო-კლა — კლ-ავ-ს, შე-კრა — კრ-ავ-ს... თუ ფუძე II სერიაში არ იკუმშება, მაშინ ს უკუმშველადვე არის წარმოდგენილი I სერიაში -ავ თემის ნიშნის წინ: მო-პარ-ა — პარ-ავ-ს, და-მალ-ა — მალ-ავ-ს...

რაც შეეხება -ი თემის ნიშანს, ის კუმშავს ყველა ფუძეს, მიუხედავად იმისა, იკუმშებიან ისინი II სერიაში თუ არა. -ი თემის ნიშანი დაერთვის მხოლოდ ა და ე ხმოვნიან ზმნურ ფუძეებს. ამათგან ე ხმოვანს კუმშავს ისეთ ფუძეებში, რომლებიც მეორე სერიაშიც იკუმშებიან: გა-ეჭერ — გა-ჭრა — ჭრ-ი-ს, ხლოა ა ხმოვანს კუმშავს ისეთ ფუძეებში, რომლებიც II სერიაში არ იკუმშებიან: და-ხარ-ა — ხრ-ი-ს, გა-თალ-ა — თლ-ი-ს...

გამონაკლისს წარმოადგენს შემდეგი ფორმები: ვ-ბურტგნ-ე — ვ-ბურტგნ-ი, ე-ჩიჩქნ-ე — ე-ჩიჩქნ-ი... ერთი შეხედვით ამ ფუძეებში ზემოთ წარმოდგენილი წესი ირღვევა: -ი თემის ნიშანი დაერთვის ისეთ ფუძეს, რომელიც არ იკუმშება. მაგრამ აქ გამონაკლისთან არ უნდა გვეკონდეს საქმე. ყველა ამგვარ ფუძეს ბოლოციდურად აქვს -ნ სონორი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ ეს -ნ -ენ სუფიქსის უხმოვნო ვარიანტი უნდა იყოს ([1], 469; [2], 41—42; [3], 307). თუ ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში ნ სონორია -ენ სუფიქსის კუმშვის შედეგად მიღებულად მივიჩნიეთ, მაშინ ეს ფორმები გამონაკლისებად აღარ ჩაითვლება და მიჰყვება იმ ზმნათა რიგს, რომლებშიც -ი თემის ნიშანი უსათუოდ იწვევს ხმოვნის კუმშვას.

აქვე დგება მეორე საკითხიც: -ნ-ზე დაბოლოებული ფუძეების ერთ ნაწილში წყვეტილში ე ხმოვანი აღდგება, მეორე ნაწილში კი — არა. ხმოვნის აღდგენა დამოკიდებულია იმაზე, -ენ სუფიქსი მარცვლოვან ფუძეს დაერთვის თუ უმარცვლოს. უმარცვლო ფუძეებთან -ენ ყოველთვის აღდგება, რადგანაც მათ მწკრივის ნიშანი არა აქვთ, მარცვლოვან ფუძეებს კი დაერთვის მწკრივის ნიშანი და -ენ იკუმშება: ვ-წვრთ-ნი — გა-ე-წვრთ-ენ; ვ-სკენ-ნი — გა-ე-სკენ-ენ; ვ-ფტქენ-ნი — გა-ე-ფტქენ-ენ, ვ-ფშენ-ნი — და-ე-ფშენ-ენ; ვ-ჯღაბ-ნი — და-ე-ჯღაბ-ენ; ვ-ფუთ-ნი — შე-ე-ფუთ-ენ; ე-ჭმუხ-ნი — შე-ე-ჭმუხ-ენ; ე-კორტ-ნი — და-ე-კორტ-ენ...

ჩვენ ამოვიწერეთ ქველ-იდან -ნ-ზე დაბოლოებული მოქმედებითი გვარის ზმნათა ფორმები. ყველა მათგანი მიჰყვება ზემოთ წარმოდგენილ წესს. გამონაკლისი არა გვაქვს. საინტერესოა ერთი და იმავე ფუძის მარცვლოვანი და უმარცვლო ვარიანტების შედარება:

ე-ღრღ-ნი	— გა-ე-ღრღ-ენ;	ე-ღირღ-ნი	— გა-ე-ღირღ-ენ
ე-წვრთ-ნი	— გა-ე-წვრთ-ენ;	ე-წურთ-ნი	— გა-ე-წურთ-ენ
ე-ღრჯ-ნი	— გა-ე-ღრჯ-ენ;	ე-ღიჯ-ნი	— გა-ე-ღიჯ-ენ.

გ. გოგოლაშვილს შესწავლილი აქვს დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ქართულში. ავტორი 4 ყალიბის ზმნებს გამოჰყოფს. თუ ზემოთ წარმოდგე-



ნილ ზმნებში -ენ სუფიქსს აღვადგენთ, მაშინ ეს ფორმები I ყალიბს მიეკუთვნებიან, რომლის შესახებაც მკვლევარი შემდეგ მოსაზრებას წარმოგვიდგენს: „თუ საყრდენი მორფემა არის მარცვლოვანი და ნამყო ძირითადის სუბიექტური მესამე პირის ფორმებში კარგავს ხმოვანს, ზმნური ფორმა დაირთავს „ელემენტს, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან“ ([4], 33). მაშასადამე, უნდა გვქონდეს: და-ვ-ფშვ-ენ-(-ი), გა-ვ-ღრღ-ენ-(-ი), *გა-ვ-თოხ-ენ-(-ი), *და-ვ-ჩხაპ-ენ-(-ი) და ა. შ. შესაძლოა, ბოლო ორი ფორმა და მათი მსგავსი მავალთები ძველ ქართულში გვქონდა კიდევ. ახალ ქართულში ამგვარ ზმნებს დაერთვის მწკრივის ნიშანი -ე, რომელიც კუმშავს -ენ სუფიქსს: გა-ვ-თოხ-ენ-ე, და-ვ-ჩხაპ-ენ-ე და ა. შ.

როგორც ჩანს, ახალ ქართულში ყურადღება ექცევა არა მარტო საყრდენ მორფემას, არამედ ძირის მარცვლოვანებასაც. ამიტომ გ. გოგოლაშვილის ზემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისი შეიძლება ასე დავაზუსტოთ: თუ ზმნას ძირი მარცვლოვანია და ნამყო ძირითადის მესამე პირის ფორმებში კარგავს ხმოვანს, ანდა უმარცვლო ძირს დაერთვის ნულთან მონაცვლე სუფიქსი, მაშინ ზმნის ფორმა ნამყოში დაირთავს -ი ელემენტს, რომელიც თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან. ამ ზმნათა ჯგუფში შემოვა ვფხვნი ტიპის ფორმები.

ვჩხაპნი ტიპის ზმნები კი III ყალიბისანი არიან. ამ ყალიბს გ. გოგოლაშვილი ასე განსაზღვრავს: „მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი“ ([4], 41). ამ ფორმულას შეიძლება დავუმატოთ მეორეც: მარცვლოვანი ძირი + კუმშვადი მორფემა + -ე სუფიქსი.

მაშასადამე, -5 (←-ენ) სუფიქსიანი ზმნები ნამყო ძირითადში შემდეგ სურათს გვიჩვენებენ:

უმარცვლო ძირი + -ენ + (-ი) და-ვ-ფშვ-ენ,

მარცვლოვანი ძირი + -ენ + -ე და-ვ-ჩხაპ-ენ-ე.

ნამყო ძირითადში მწკრივის ნიშნის დართვისას მოქმედებს ერთი ტენდენცია: მთავარია ფუძის მარცვლოვანობის შენარჩუნება. თუ ზმნის ფუძე ორ-მარცვლიანია ანდა ერთმარცვლიანია და უკუმშველი, მაშინ მას დაერთვის მწკრივის ნიშანი -ე (და-ვ-ჩხაპ-ენ-ე → *და-ვ-ჩხაპ-ენ-ე; გა-ვ-თალ-ე...), ხოლო თუ ერთმარცვლიანი ფუძე კუმშვადია (სულ ერთია, ხმოვანი ძირისეულია თუ სუფიქსისეული), მაშინ ასეთ ფორმებს მწკრივის ნიშანი არა აქვს (გა-ვ-ჭერ-და-ვ-ფხვ-ენ).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ახალ ქართულში კუმშვადი ზმნური მორფემებიდან II სერიაში გვხვდება მხოლოდ -ენ სუფიქსი ზემოთ წარმოდგენილ ფორმებში. ძველ ქართულში გვქონდა აგრეთვე ობიექტის მრავლობითობის ნიშანი -ენ (და-ვ-ხატ-ენ) და ვნებითის -ენ (გან-ვ-კაც-ენ). ამგვარი ფორმები ჩვენ მიერ წარმოდგენილ წესს არ მიჰყვება (ორმარცვლიან ფუძეს არ დაერთვის მწკრივის ნიშანი). ამიტომ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ ახალ ქართულში.

შესაძლოა, დავხატენ ტიპის ფორმებში ნამყო ძირითადში მწკრივის ნიშნის დაურთველობა გამოწვეული იყო იმით, რომ -ენ სუფიქსიანი ზმნებს II კავშირებითის ნიშნად ჰქონდათ -ე და ნამყო ძირითადშიც იმავე -ეს დართვა გამოიწვევდა მწკრივთა ფორმების დამთხვევას.

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

1. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 5, თბ., 1942.
2. ვ. თ. ფ. უ. რ. ი. ა., ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებულისა, III, თსუ-ს შრომები, XV, თბ., 1940.



3. პ. ფოგტი, ზმნური სუფიქსები ძველ ქართულში, მიმოხილველი, 4—5, თბ., 1968.

4. გ. გოგოლაშვილი, დრო-კილოთა მერვე სერის ფორმები ახალ ქართულში, თბ., 1984.

К. Т. ДАТУКИШВИЛИ

К ВОПРОСУ РЕДУКЦИИ В ГЛАГОЛАХ ТИПА
vǰarpi и vrxvni

Резюме

В статье представлен вопрос редукции глагольных основ в I и II сериях от суффиксов типа -v и -vc. Редукция основ зависит от того, корень глагола имеет гласную или нет. В связи с этим рассматриваются глаголы типа vǰarpi и vrxvni, где =n←=en.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილება
წარმოადგინა ენათმეცნიერების ინსტიტუტმა

ნუნუ გურბინიძე

რამდენიმე თურქული ნასესხობის შესახებ თუშურ კილოში

როგორც ოდითგანევა ცნობილი, თუშეთის ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად ცხოვრობდა კავკასიის მეზობელი თურქული ტომების წარმომადგენელი ხალხი, რომელმაც შემდგომში ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა¹. ამ ტომებს საუკუნეების განმავლობაში მკიდრო კონტაქტი ჰქონდათ და აქეთ საქართველოს მთის მოსახლეობასთან, მათ შორის თუშებთანაც. ამ კავშირის შედეგია თუშთა ლექსიკაში თურქული წარმოშობის ლექსიკური ერთეულების არსებობა, რაც განსაკუთრებით შეინიშნება მესაქონლეობასთან, კერძოდ მეცხვარეობასთან, დაკავშირებულ საყოფაცხოვრებო, თუ სამრეწველო ტერმინოლოგიაში.

მუშაობის პროცესში ძირითადად დავეფუძნეთ წერილობით წყაროებსა და ისტორიულ-ენათმეცნიერული ლიტერატურის მონაცემებს, რომელთაც ჩვენთვის საინტერესო საკითხებთან პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდათ. ამ კუთხით წარმოებულმა კვლევამ ბრუნვაში შეიტანა მრავალრიცხოვანი მასალა, რომლის სათანადოდ დამუშავების შემდეგ გამოვლინდა საკმარის რაოდენობის აღმოსავლური, კერძოდ თურქული, წარმოშობის ლექსიკა, წარმოჩენილი ფრიად საინტერესო ფონეტიკურ თუ ლექსიკური ცვლილებებით.

წინამდებარე სტატიაში არ შევიტანეთ საყოველთაოდ ცნობილი ის ნასესხობები, რომლებმაც ადგილი დაიკავეს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც: შიშაქი, ჩომბახი (თუშურში, ჩომახი || ჩობახი), ქეჩი, კასნალი, ახალღი (ახალუხი), საჯი, ყალი, ბარიახი (ბაირალი), დამბაჩა, ჩული, ყორული, ტოლღი და სხვ.

ალხაჯი, არხაჯი (თუშ., ქიხიყ.) ცხვრის საყარი, ცხვრის დასასვენებელი ადგილი, შუადღისას, მებატკნის დროებითი ბინა (ალ. ლ., 1, 31).

თურქულ ენათა უმრავლესობაში 'არქა' ნიშნავს "ხურგს" (შდრ. თურქმ., თურქ., ყუმბიხ., ყირგ., ყაზახ. და სხვ.)². თუშეთის მოსაზღვრე ყარაჩაველთა ენაში კი არქა ნიშნავს 'ქედს', 'დაფერდებას', 'ამაღლებულ ადგილს', ასევე მონღოლურში არუქად — უკანა საჩრდილობელი ადგილი, (მთის) ჩრდილის მხარე, ჩრდილოეთი³. 'ალხა-ჯი-ს'-ჯი ნაწილი ჩვენი ფიქრით უნდა წარმოადგენდეს კნინობითობის მაწარმოებელ — ჯიქ აფიქსს, რომლის ბოლოკიდური ქ თანხმოვანი დაკარგულია⁴. ქართულში ინლაუტის ქ → ხ სიტყვის დიალექტურ ფორმაზე მიუთითებს, ხოლო I ვარიანტში (ალხაჯი) ლ დისიმილაციის შედეგია.

შიშლიგ-ი (თუშ.) 1. მწყემსობაში მეცხვარეების მიერ ცხვრის დაკვლის რიგის დაცვა; 2. გაყიდულ ცხვრებზე ერთი ცხვრის საჩუქრად დამატება (ა. ხუბ.), ალ. ლლონტი აღნიშნავს, რომ სიტყვა შიშლიქ თურქული წარმოშობისაა და ნიშნავს საშამფურე ხორცს (ალ. ლ., 1, 634). მართლაც, სიტყვას პირველი შემადგენელი ნაწილი შიშ — ძველი თურქული სიტყვაა და ნიშნავს შამფურს⁵ + ლიქ — სიტყვათმაწარმოებელი აფიქსია; შდრ.: რუსულში შესული шашлык — 'მწვადი'.

როგორც ვხედავთ, თუშურ კილოში სიტყვა "შიშლიგ"-ის მნიშვნელობა ნაწილობრივ გადანაცვლებულია. სიტყვის მეორე მნიშვნელობაში ალბათ იგულისხმებოდა, რომ დამატებით ნაჩუქარი ცხვარი საშამფურედ, ე. ი. დასაკლ-

ვად, იყო გათვალისწინებული. ასევე სიტყვის პირველი მნიშვნელობითაც მუცხვარეების მიერ დასაკლავად გამზადებულ ცხვარს ეწოდებოდა "შიშლიგი".

დეზ-ი (თუშ.) წინდის თვალი, ქსოვის დროს დეზებს ანგარიშობენ (ს. მაკ.); დეზად — სახელდახელოდ, სასწრაფოდ (ს. მენთემ.); დეზდი (ჩ. თუშ.) ერთი ჩხირით მეორე ჩხირზე ერთხელ ამოვდებით ამოტანილი ძაფი (კ. ჭრელ., 967); საქსოვი თვალი, რომელშიც წინდის ჩხირია გაყრილი (პ. ხუბ., აღ. ლ., I, 205).

ჩვენი ფიქრით, თუშურ და ქიზიყურ კილოებში დადასტურებული სიტყვა **დეზ-ი** ძველი თურქული წარმოშობის დიზ სიტყვა უნდა იყოს, რომლის ძირითადი მნიშვნელობებია: აცმა, ასხმა, 'ძაფის გაყრა', მწკრივად დალაგება. ე. სევიორთიანის აზრით, არსებობს დიზ-ის პარალელური ფორმაც მეზ — მეს, რომელიც არსებულ წყაროებში არ ჩანს, მაგრამ იგი უფრო ძველი ფორმა უნდა იყოს, რომელიც შესაძლოა იმ თურქულმა ენამ შემოგვიანახა, საიდანაც თუშურში მოხდა სესხება.

ჩიხრიხ-ი (თუშ.) თოკის საგრეხი (ს. მაკ.; ჭრელ., 266); იარაღია, რომლითაც გრეხენ ძვისა და ბეწვის თოკებს, საბლეს (პ. ხუბ., აღ. ლ., 660); ჩიხრიხ-ი (მაკ., თუშ., 89); „საბლის გრეხა თუშეთში ყველამ იცის და მისი საგრეხი ჩიხრიხი ყველას მოეპოვება“ (მაკ., თუ., 89).

ჩიქრიქ | ჩიხრიხ-ი || ჩიხრიხ-ი თურქული წარმოშობის სიტყვაა: და სხვა მნიშვნელობებთან ერთად (წისქვილის ბორბალი, დოლი, ამწე) აქვს ჯარის, ტარაბუას, საშულოვის, სართავი ჯარას მნიშვნელობები. ჩიქრიქ-სართავი (მუსტ.). ინლაუტისა და აუსლაუტის ქ — ხ || ჩ დიალექტური გამოთქმის შედეგს წარმოადგენს.

ტარაკუად-ი (თუშ.) შიტეს გორგლად ამოსახვევი იარაღი (აღ. ლ., 507), შიტე (თუშ.), შულო, ამოხვეული ნართი (თ. უთურგ.), დამჯდარი ადამიანის მიერ ორივე მუხლზე დახვეული ძაფი (აღ. ლ., 634).

ჩვენი აზრით, თუშურ კილოში არსებული სიტყვა ტარაკუადი, წარმოადგენს დიალექტურ ფორმას ძველთურქულში დადასტურებული სიტყვისა თარაღა > > თარღა, თარაქა (სავარცხელი), რომლის ძირი თარღა ყველა წყაროში ნიშნავს სელის ჩეჩვას, წეწვას; თარა ძირიდან ნაწარმოებ სიტყვათაგან ე. სევიორთიანის სიტყვის სემანტიკური დახასიათებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანდ მიაჩნია შემდეგი: 1. არსებითი სახელი, იარაღის მნიშვნელობით, რომელიც ნაწარმოებია — ქ~ღ აფიქსით: დარაქ — თურქ. დიალ. (DSIV, 1366), დარახ (სავარცხლის მნიშვნელობით ყველა წყაროში)7. თუშებთან დადასტურებული 'ტარაკუადი' უნდა წარმოადგენდეს სახეცვლილ ფორმას, თარღაქ, თარა -- ქაქ > თარღაქ > თარღაქ-ს — იარაღისა და ხელსაწყო მნიშვნელობით. აუსლაუტის -აჟ კი, როგორ ვიცით, თუშურში სახელობითი ბრუნვის ნიშანია. ეგვე სიტყვის ვარიანტი უნდა იყოს ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შესული.

ტარაბუა — შულოს ამოსახვევი ჩარხი, საშულოვე (იხ. ქეგლი, ერთკომეული, 418). შდრ. აპართულ დიალექტში თურქულიდან შესული ტარად-ი (← თ. თარაქ), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა საჩეჩელი.

ტარკოშაყ-ი (თუშ.) ტარიანი სასმისი ლუდისათვის, სამიდან ხუთი ლიტრა ჩადის (თ. უთურგ.; კ. ჭრელ., 260, აღ. ლ., 507); ტარკოში — ტარიანი სასმისი (ნ. ხუბ., 376); „ლუდს ქვაბიდან ტარკოშით იღებენ და კოდში ასხამენ“ (ს. მაკ., თუშ., 120); „ტარკოშით ლუდი ჩამოარიგეს“ (ს. მაკ., თუშ., 216).

ჩვენი ფიქრით, სიტყვა ტარკოში ქართულ-თურქული კომპოზიტია. მისი პირველი ნაწილია ქართული ტარ-ი, მეორე ნაწილს კი წარმოადგენს თურქული წარმოშობის სიტყვა — ქოშ, რომელიც თურქულ დიალექტებში ნიშნავს წყვილს (მუსტ.). ჩაღათურში, ყირგიზულსა და ყაზახურში მონღ. 'ხოშ' ('წყვი-



ლი), კუმ სიტყვის მნიშვნელობა ღვინით სახე წყვილი თასი (ბულ., II, 82) შდრ.: რუსულში დამკვიდრებული კოვშ. როგორც ვხედავთ თუშურ კილოში სიტყვის მეორე ნაწილის მნიშვნელობა ოდნავ არის გადაწეული.

თურქული წარმომავლობის სიტყვებს ვხვდებით აგრეთვე საოჯახო ნაგებობათა დასახელებებში, თვით სახლის, შენობის შემადგენელ ნაწილთა სახელწოდებებშიც.

ბაშტე — გომური, თუშური ძველებური სახლის სარდაფი, სადაც ზამთრობით საქონელს აბამენ, ზაფხულობით კი ხბოებს ყრიან. ბაშტის თავზე ადამიანის სამყოფოა (ქ. დიალ., ლექსიკ., 577); „მემრინასი მრყუყანდეს შინ, შევიდოდ დაბლ ბაშტეშიც, ხუქ უნდ ხეცხოვრ ცამეტ კვირაყემლი“ (ქ. დიალ., თუშ., 105); „ტყვეებს ბაშტების კედელზე ჯაჭვებით აბამდენ“ (ს. მაკ., თუშ., 99); „ზოგთა თქვეს, ბაშტეს შევეყაროთ, მაგრა დავგულოთ კარები“ (ს. მაკ., თუშ., 39). ბაშტე ← თურქ. ბაშ — თავი, მეთაური, დასაწყისი (მუსტ., რადლ, IV, 2); ბაშთე — ის, რაც დასაწყისშია, თავშია (ბაშ — თავი+ — თე) (ადგ. ბრ. 6). თვით გომურის მნიშვნელობით სიტყვა თურქულ ენებში არ დაიძენა. თუშურ კილოში გომურს ეს სახელწოდება დაერქვა, ვინაიდან გომურით იწყება თვით ნაგებობა, სახლი. თუშები გომურის წინ მდებარე ადგილს ბაშტიკარს უწოდებენ (შ. ძიძ., 383), „კვერიაყიძე პირდაპირ შესულიყო ციხის ბაშტიკართან“ (შ. ძიძ., თუშ., 160). გვხვდება აგრეთვე ნადირობასა და ომთან დაკავშირებული ნასესხები ლექსიკაც.

ბაზალაცი (თუშ.). აღ. ღლონტის მიხედვით, „ბაზალაცი თოფია ერთგვარი“. ა. ხუბუტია წერს, რომ ბაზალაცი არის მოვერცხლილი, ვერცხლით მოჭედული დამბაჩა: „ბაბო ეფროს ისთად ბაზალაცი აქვის, რომელ...“.

თუშურ კილოში არსებული სიტყვა ბაზალაცი, რომელიც ვერცხლით მოჭედულ თოფს ნიშნავს, თურქული წარმოშობის სიტყვად მიგვაჩნია. სიტყვის ფუძე ბაზალ ← თურქ. ბეზელ, არის ვნებითი ფორმა beze სიტყვისა, რაც ნიშნავს მორთვას, მოკაზმვას. აქედანვე ნაწარმოები სიტყვა ბეზექ ნიშნავს სამკაულს¹⁰. სიტყვის მნიშვნელობა თუშურ კილოში დავიწროებულია, ვინაიდან აქ იგი მხოლოდ მოჩუქურთმებულ დამბაჩას აღნიშნავს და არა საერთოდ მოჩუქურთმებას, მორთვას, მოკაზმვას, როგორც ეს თურქულშია.

გოზა: ხევისურულ, მთიულურ, გუდამაყურულ და ფშაურ დიალექტებში გოზა ნიშნავს ადგილს მშვილდის სახელურიდან წვერამდე, მშვილდის ფეხს. თუშურში კი გოზა ნიშნავს მშვილდის ნახევარი ხის ბოლოებს, რომლებიც დადილულია ბაწრისთვის, როცა შვილდის ორივე მხარე თანატოლად არ იხრება, იტყვიან „გოზადებ არ მოზდევსატ“ (პ. ხუბ., 84). სიტყვის თუშურში არსებული მნიშვნელობა უფრო ახლოა მისი პირველწყაროს, თურქული სიტყვის გოზ-ის მნიშვნელობასთან. თურქულში გოზ-ს ბევრ სხვა მნიშვნელობებთან ერთად აქვს ხერხლის, ნახვრეტის, ღიობის, ყუნწისა და თოკსამართის მნიშვნელობებიც (მუსტ.). ძველისძველ ტექსტებში სიტყვას მხოლოდ თვალის მნიშვნელობა აქვს, შუა საუკუნეების ძეგლებში კი აღნიშნულია მხოლოდ წყარო¹¹.

ზოგჯერ ადამიანის სხეულის ნაწილებიც თურქული წარმოშობის სიტყვებით აღინიშნება:

ბილ (ინგოლ., თუშ.) კატის ულვაში (მ. ჭან.); ბილებიანი (ფშ.), დიდულვაშე-ბიანი, ბილების მქონე (ვაჟა ფშ., მც. ლექსიკ.). თ. ბიქ-ულვაში, წვერი (მუსტ.).

სპ. ჩანა (ქიზ., თუშ.) ქვედა ყბა. „გაჩუმიდი თორემ ჩანებ ამოგამტვრევ“ (ს. მენთეშ.); ყბა (პ. ხუბ.); თ. ჩენე — ყბა (მუსტ., მაკ.). შდრ.: აჭარულში შესული ჩენგე, სადაც სიტყვის ძველთურქული ფორმაა შემორჩენილი და შენარჩუნებულია ინლაუტის ნგ. თუშურში კი ნგ-ს გ დაკარგულია და გვაქვს ჩანა. ე → ა შესაძლოა თუშური ნიადაგით აიხსნას.

ფრიად საინტერესოა ნასესხებ სიტყვათაგან ქართული პრეფიქს-სუფიქს-ებით ნაწარმოები ზმნები:

გა-ქეჩ-ვა (ქიზიყ., თუშ., ქსნის ხეობა, ფშ.) გზის მიმართულების მიცემა ფარისა ან ჯოგისათვის; ცხვრის ფარას რომ წინ გაუძღვება თხა, ან თვითონ მეცხვარე და გაიყოლებს მთელ ფარას. „ბიჭო, წადი და გაქეჩ ცხვარი!“ (ალ. ლ., 140). გაქეჩვა ზმნის ძირი ქეჩ ← თურქ. ქეჩი — თხა. როგორც ცნობილია, ცხვრის ფარას ზწირად თხა მიუძღვება ხოლმე წინ. აქედანვეა წარმოქმნილი ზმნაც გაქეჩვა, ე. ი. ფარის წინ გაძლოა.

და-თიკ-ვა (თუშ.) დაკერება (ალ. ლ., 173). ზმნის ძირი თიკ ← თურქ. თიღ — ნემსი; აქედან ზმნა დიქმექ კერვა. ანალოგიით თუშურშიც 'და-თიკ-ვა'.

და-თილიმ-ავ-ება (ქიზიყ., თუშ.) — თევზის ასო-ასოდ დაჭრა დასამარილებლად (ს. მენთეშ., ალ. ლ., 173); შდრ. მესხურში არსებული ზმნა დადილიმება — ნაჭერ-ნაჭერ დაჭრა თანაზომიერ და ბრტყელ-ბრტყელ ნაწილებად: „დედამ ყველი დაადილიმა და შვილებს დაურიგა“ (იხ. მის., ალ. ლ., 170). ზმნის ძირი „თილიმ“, „დილიმ“, თურქ. dilim — ნაჭერი, ნატეხი. აქედანვეა ნაწარმოები ზმნა დილიმლემექ — ნაჭრებად დაჭრა (მაგ.). ქართულ დიალექტებშიან დილიმი გვაქვს აჭარულშიც და აქაც ნიშნავს ნაჭერს, ნაწყვეტს¹². შესულია გერულ დიალექტშიც: 'დადილიმება' ('დანაწილება')¹³.

და-ყოინ-ება (ქიზიყ., თუშ., ქართლ.) დამშვიდება, დამოშმინება „აღელვებული კაცი უნდა დაყოინო“ (ს. მენთეშ.); დაცხრომა (ალ. ლ., 193). ჩვენი ფიქრით დაყოინება ზმნის ძირი — ყოინ — თურქული წარმოშობის სიტყვაა: ქოინ — 'ცხვარი'. როგორც ცნობილია, ცხვარი მშვიდი ცხოველია და შესაძლოა აქედან წარმოიქმნა ზმნაც 'დაყოინ-ება', ე. ი. ცხვარივით დამშვიდება.

აღვლილი აქვს მეტყველების სხვა ნაწილთა სესხებასაც, როგორცაა ზედსართავი სახელები (ბოიდაღი, ბაშარა), კავშირები: ანამ, დოსტორივ და სხვ., რომელთა განხილვასაც წინამდებარე სტატიაში არ შევეუდგებით.

შ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

ბუღ. — Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий I, II, СПб., 1869, 1871.

თუშ. — თუშური.

მის. — ი. მისისურაძე, ქართული გვარსახელები, სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია, თბ., 1979.

მაგ. — Магазаник Д. А., Турецко-русский словарь, М., 1945.

მაკ. — ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983.

ს. მენთეშ. — ს. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1943.

მუსტ. — Турецко-русский словарь, мустаფაевის რედაქციით, М., 1977.

თ. უთურგ. — თ. უთურგაძე, თუშური კილო, თბ., 1960.

ქ. დილ. — ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფური, ივ. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961.

ქეგლ. — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთომეული, თბ., 1986.

ქიზიყ. — ქიზიყური.

ალ. ლ. — ალ. დლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986.

კ. ჰრელ. — კ. ჰრელაშვილი, ქსოვის ლექსიკონის ჩაღმა თუშურში, ისუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950, გვ. 264—270.

პ. ხუბ. — პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., 1969.

DS IV — Türkiyede Halk Ağzından Derleme Sözlüğü, IV, ანკარა, 1965.

1. პ. ხუბუტია თუშური კილო, თბ., 1969, გვ. 5; ს. მაკალათია, თუშეთი, თბ., 1983, გვ. 14—19.
2. Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, I, Москва, 1974, გვ. 174; Древнетюркский словарь, Л., 1969.
3. Э. В. Севортян, დასახ. ნაშრ., I, გვ. 174, 175.
4. А. И. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка, М., 1956, გვ. 154.
5. Древнетюркский словарь, Л., 1969, გვ. 524.
6. Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, III, 1980, გვ. 218, 219, 221.
7. Э. В. Севортян, დასახ. ნაშრ., III, გვ. 59.
8. შ. ნიქარაძე, ქართული ენის აპარული დიალექტი, ლექსია, ზათუმი, 1971, გვ. 329.
9. პ. ხუბუტია, თუშური კილო, გვ. 70.
10. Древнетюркский словарь, გვ. 97.
11. Э. В. Севортян, Этимологический словарь тюркских языков, т. III, გვ. 61.
12. შ. ნიქარაძე, ქართული ენის აპარული დიალექტი, გვ. 181.
13. ბ. გურგენიძე, აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აპარულსა და გურულში, თბ., 1973, გვ. 98.

Н. А. ГУРГЕНИДЗЕ

О НЕКОТОРЫХ ТЮРКИЗМАХ В ТУШИНСКОМ ГОВОРЕ

Резюме

Как известно, на территории Тушетии вместе с грузинами издавна жили представители турецких народностей, которые впоследствии мигрировали в северные регионы Кавказа. У этих народов в течение долгого периода были и есть тесные контакты с горным населением Грузии, следствием которых является наличие турецких элементов в лексике горцев, в том числе и тушинцев. Некоторым из этих заимствований и посвящается данная статья.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თურქოლოგიის განყოფილება
წარმოადგინა აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ლილია ჭირთელი

 „მუხის“ სემანტიკური ველის საკითხისათვის კონტური
 ბერძნულის ციხისჯვარულ კილოში

ცნობილია, რომ ძველ ბერძნულში დრვს «ხის», «მუხის» მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა მუხის აღსანიშნავად ბალანოსაც ხმარობდნენ (პოლიბ., 204—122). ბალანოს (ჰომ., ჰეს., არისტ.) სიტყვა, მუხის გარდა, «რკოს», «ფინიკს» ნიშნავდა (პერ., ქსენ.)¹. შეიძლება პარალელი გავავლოთ ლათინურთან. აქ „რკოს“ ვადმოსაცემად არსებობდა ცალკე გლანს ლექსემა (პლინიუს ცეცილიუს სეკუნდუს, 23—79 ახ. წ. ა.), ხოლო რიგ ავტორთან ამ მნიშვნელობით ფიქსირებულია ქვერკუს².

ახალ ბერძნულში ძველი ბერძნული დრვს «მუხას» სამფიგნობრო ენას შემორჩა, დიმორტიკში კი ვალანიდიას ხმარობენ. ამავე წარმოშობისაა ვალანი, ვალანიდი «რკო», რომლის პარალელურად ველანიც იხმარება.

«ტყე» ახალ ბერძნულში სამი ლექსემით ვადმოიციემა: 1. დასოს —, რომელიც შინაარსით ძველ ბერძნულ ჰილე, ჰილას უდრის, 2. ლონგოს, 3. რუმანი³.

ამ უკანასკნელს აკად. სიმ. ყაუხჩიშვილმა პონტოს დიალექტის მასალებზე მუშაობისას მიაქცია ყურადღება და დაუკავშირა საქართველოში, კერძოდ აფხაზეთში, მცხოვრებ ბერძენთა მიერ ხმარებულ ორმანს⁴, რომელაც თურქულ სალიტერატურო ენაში ამ სახითვე დასტურდება და ასევე «ტყეს» ნიშნავს.

ანთიმოზ პაპადოპულოსის მიერ შედგენილი ლექსიკონის მიხედვით, კერასუნტსა და ტრიპოლიში «ტყის» მნიშვნელობით ხმარობენ ორმანის კნინობით ფორმას — ორმანინ, ამესუსში — ორმანი, ხოლო კოტიორაში, სანდაში — სურმენა, ტრაპიზონსა და ქალდიაში — ორმანს⁵.

ლექსიკოგრაფი მიუთითებს, რომ ეს სიტყვა წარმომავლობით თურქულია.

სოფ. ციხისჯვარში, სადაც ჩვენ დიალექტურ მოვლენათა შესასწავლად ტექსტები ჩავიწერეთ, «ტყის» ამსახველად სრულიად განსხვავებული ლექსემა ფიქსირებული. ეს არის სიტყვა მეშან, რომელიც ამ სახით მხოლოდამხოლოდ სოფელ ციხისჯვარის დღევანდელი მკვიდრნი ხმარობენ. საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან ვადმოსახლებული სხვა ბერძენის ლექსიკისათვის ეს სიტყვა უცნობა.

სულხან-საბა ორბელიანის «ლექსიკონი ქართულას» დანართში — უცხო შესატყვისობანი (იტალიურ-თურქულ-სომხური) — ლექსემა «ტყის» თურქულ შესატყვისად მეშა⁶ მოყვანილი. „სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქულ თარგმანებში“ აღნიშნულია, რომ „ლექსიკონი ქართულის“ თურქული თარგმანები XVII საუკუნის დასასრულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის თურქული ენის ცოცხალი გამოთქმებია, თურქული დიალექტური მასალაა⁷.

ვ. ჯანგიძის სტატიაში — „თურქული ლექსიკა იოანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში“ — მოყვანილია სიტყვა მეშა, რომელიც თურქულში ნიშნავს «მუხას», ხოლო აზერბაიჯანულში — «ტყეს». აღნიშნული ლექსემა, წერს ავტორი, აზერბაიჯანულიდანაა შემოსული, „რადგანაც კავკასიაში იყო არა ანატოლიური თურქული, არამედ აზერბაიჯანული თურქული მეტყველება, რომელიც თურქულადვე იწოდებოდა“⁸. ჩვენ მიერ სოფ.



ციხისჯვარში ჩაწერილი მასალა რამდენადმე საეჭვოს ხდის ამ მოსაზრებას.

ბ. სიმეონიდის ნაშრომში აღნიშნულია რომ ქალღიაში «ტყის» ამსახველად სიტყვა ორნაირად გამოითქმის: მეშა და მეშე⁹.

ა. პაპადოპულს აღნიშნავს, რომ ლექსემა მეშე ოფისსა და ქალღიაში, მეშა ქალღიაში — თურქული მეშე ბერძნული დრვს «მუხის» შესატყვისია, მაგრამ ამასთანავე „ტყესაც“ ნიშნავს¹⁰. როგორც ჩანს, ნიშნავს მუხნარს, ფოთლოვან ტყეს. მეშა სალიტერატურო თურქულში «მუხას» ნიშნავს, ხოლო მუხას ნაყოფი «რკო» პალამუტია¹¹.

სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში ვკითხულობთ: „მუხა (ხე) ესე არს კრკოს ხე, მუხად ითქმის, რაჲც ქერქი მქისე და დამშხალული აქვს“. რკოს შესახებ კი შემდეგი გამოთქმაა: «კრკო (ხე) მუხის გული“. ამავე ლექსიკონის უცხო შესატყვისობანის თურქულ ნაწილში რკოც და მუხაც ერთი ძირისაგან მომდინარე სახელებია:

რკო { ფალუტ¹².
მუხა {

პონტოს დიალექტის ციხისჯვარულ კილოში, ისევე, როგორც საბასეულ თურქულ ნაწილში «მუხას» პალიტ ჰქვია, რომელსაც ზუსტად ამ ფორმით სანდაშიც ხმარობენ. ა. პაპადოპულს აზრით, ეს სიტყვა თურქული პელიდ ლექსემიდან მომდინარეობს. ავტორი აქვე გვაძლევს მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებებით პონტოს დიალექტის მატარებელთა მიერ ამ სიტყვის გადმოცემის მთლიან სურათს: პელიტინ (კერ.), პელიტ (ქალდ.), პელიტ (სანდა, ქალღია)¹³.

თურქი პოეტის იუნუს ემრეს ნაწარმოებთა ლექსიკის შემსწავლელი შ. გაბესკირია დამაჯერებლად აღნიშნავს, რომ ამ ლექსიკაში „მრავლად არის არაბულ-სპარსული ნასესხობები. ესენი ძირითადად სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და სამედიცინო ტერმინოლოგიასთან არიან დაკავშირებული“. სპარსულ ნასესხობათა შორის გამოტანილია სიტყვა ბიშე/მიშე „ტყე“, რომელიც „თურქული ენის გავლენით ორგვარად იკითხება“¹⁴.

ლ. ვ. დმიტრიევს ნაშრომში ვკითხულობთ: древне-тюркск. биша „роща“, „лес“ < иранск. бнша, лес, роща, аз. меша; ср. гагаузское меша тур, mese „дуч“¹⁵.

აქ ლაბიალურ თანხმოვანთა მონაცვლობის გარდა, მიმდინარეობს სემანტიკური ცვალების პროცესი: მნიშვნელობის გაფართოება-შემცირება.

1934 წელს დონის როსტოვის ბერძნულმა გამოცემლობამ გამოსცა თ. გრიგორიადის წიგნი სათაურით: „პონტურ სიტყვთა კატალოგი“. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსიკონშიც დასტურდება „მეშა“ სიტყვა ოდნავ ტრანსფორმირებული სახით: messa¹⁶.

ამრიგად, პონტურ დიალექტზე მოლაპარაკე სოფ. ციხისჯვარის ბერძნულში «ტყის» აღსანიშნავად მხოლოდ თურქულიდან მათ მიერ შემოტანილი სიტყვა მეშა(ნ) იხმარება.

„რკოს“ შესატყვისად ციხისჯვარელები ძველი ბერძნულიდან მომდინარე ბალანოს > ველანი > ველანა > ს ხმარობენ. ზემოთ მოყვანილი ლექსიკური პარალელები ყურადღებას იქცევენ ზოგადი ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ამკარაა, რომ ბერძნულ-თურქულ-ქართულ შესატყვისობათა კვლევის შედეგს ზოგჯერ არასწორი განზოგადება შეიძლება მოჰყვეს ბერძნული ენის პონტური დიალექტის ციხისჯვარული კილოს გაუთვალისწინებლად. ჩვენი მოკრძალებული ცდა ამ კილოს მასალები უფრო ფართოდ შემოვიტანათ სამეცნიერო მიმოქცევაში.

1. И. Х. Дворецкий Древнегреческо-русский словарь. М., 1958.
2. И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1986.
3. А. А. Иоанидис, Новогреческо-русский словарь. М., 1950.
4. Турецко-русский словарь, М., 1977.
5. Α. Α. Παπαδόπουλος, *Ιστορικόν λεξικόν της ποικίλης διαλέκτου, Αθήναι 1958—1961.*
6. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1966.
7. ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვების თურქულ თარგმანები, თბ., 1968, გვ. 27.
8. ვ. ჭანგიძე, თურქული ლექსიკა იონანე ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო განმარტებით ლექსიკონში, მაცნე, ვნისა და ლიტერატურის სერია, 1986, № 4, გვ. 110—117.
9. Ch. Symeonidis, *Laulehre der türkischen Lehnwörter im neugriechischen Dialekt des Pontos, Αρχαίον Πόντος XXXI, Αθήναι, 1971—72.*
10. Α. Α. Παπαδόπουλος; დასახ. ლექსიკონი.
11. იჭუე.
12. სულხან-საბა ორბელიანი, დასახ. ნაშრ.
13. Α. Α. Παπαδόπουλος დასახ. ლექსიკონი.
14. Ш. В. Габескирия, *Лексика произведений Юнуса Эмре*, Тб., 1983, გვ. 193.
15. Л. В. Дмитриева, *Названия растений в тюркских и др. алтайских языках*, в кн. „Очерки сравнительной лексикологии алтайских языков, Л., 1972, გვ. 163.
16. Θ. Γρηγοριάδης, *Προξίρον κατάλογος ποικίλων λέξεων που συνήθως χρησιμοποιούνται*, Ροσίοι-Νέων, 1934.

არის. — არისტოტელე.
 კერ. — კერასუნტი.
 პოლიბ. — პოლიბიოსი
 ქალდ. — ქალდია.
 ქსენ. — ქსენოფონტე.
 ჰერ. — ჰეროდოტე.
 ჰეს. — ჰესიოდე.

ჰომ. — ჰომეროსი.
 აზ. — აზერბაიჯანსკი
 დრენე-თურკსკ. — დრენე-თურკსკი
 ირანსკ. — ირანსკო
 სრ. გაგაუზსკო — სრენე გაგაუზსკო.
 ტურ. — ტურეკსკი.

Л. С. ЦЕРЕТЕЛИ

К ВОПРОСУ О СЕМАНТИЧЕСКОМ ПОЛЕ «ДУБА» В ЦИХИСДЖВАРСКОМ ГРЕЧЕСКОМ ГОВОРЕ ПОНТИЙСКОГО ДИАЛЕКТА

Резюме

Рассматривая семантическое поле: *Velanea* — «жёлудь», *paelit* — «дуб», *meša (n)* — «лес» в цихисджварском говоре понтийского диалекта, в статье в отдельности сравнивается каждая лексема с древнегреческими, новогреческими и с турецкими языковыми элементами. На основании сравнительных данных: *velanea* — «жёлудь» (цихджв.) < новогреческого *velani* < др. гр. *balanos*; *paelit*, — «дуб» (цихджв.) < тур. *pelid*; *mësa(n)* — «лес» (цихджв.) < тур. *meşe* — «дуб», которое в свою очередь заимствовано из иранского *biša* «лес», «роща», налицо оказываются два семантических процесса: с одной стороны — расширение, а с другой — сужение значений.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის
 აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილება
 წარმოადგინა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტმა

ცირა ბარამიძე

თაბასარაული ენის ფერთა აღმნიშვნელი
 ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები

ენა წარმოადგენს სისტემათა სისტემას და, როგორც ყოველ სისტემას, მასაც აქვს თავისი სტრუქტურა. ლექსიკაში სისტემურობის ნიშნების აღმოჩენა არის ძალიან რთული ამოცანა. ამ სირთულის დაძლევის ერთ-ერთ გზად აღიარებულია ლექსიკური ფონდის სემანტიკური კლასიფიკაცია და ამ ცალკეული ჯგუფების შესწავლა. ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფი რომელიმე სემანტიკური კომპონენტის საფუძველზე გამოიყოფა. ჩვენს შემთხვევაში ასეთი სემანტიკური კომპონენტი არის „ფერი“.

თაბასარაული ენის (განეკუთვნება დაღესტნური ენების ლეზგიურ ენათა ქვეჯგუფს) ლექსიკოლოგიის შესწავლისადმი მიძღვნილი შრომებია: პ. უსლარის გამოკვლევაში „თაბასარაული ენა“, თაბასარაულ სიტყვათა კრებული, ა. დირის „თაბასარაული ენის გრამატიკულ ნარკვევში“ წარმოდგენილი სიტყვათა კრებული, ა. გენკოს „თაბასარაულ-რუსული ლექსიკონი“, „თაბასარაული ენის ტერმინოლოგიური ლექსიკონი“ ა. გაჯიევის რედაქციით, „თაბასარაული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (შემდგენლები: ა. გაჯიევი, ბ. ხანმაგამდოვი, თ. შალბუზოვი), „რუსულ-თაბასარაული ლექსიკონი“ (რედაქტორი ა. გაჯიევი), ვ. ზაგიროვის „რუსულ-თაბასარაული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი“, მისივე „თაბასარაული ენის ლექსიკა“. ლექსიკოლოგიური გამოკვლევებით თაბასარაული ენა მდიდარი არ არის. ხოლო რაც შეეხება ლექსიკის სემანტიკურ კლასიფიკაციას, იგი ღღემდე არ გამზდარა კვლევის საგანი. აქ განვიხილავთ თაბასარაული ენის ფერის აღმნიშვნელ ლექსიკურ-სემანტიკურ ჯგუფებს.

ბოლო დროის ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევების მიხედვით ცნობილია, რომ ადამიანის თვალი განარჩევს 2—3 მილიონამდე ფერსა და ელფერს, განურჩევლად იმისა, თუ რა ენაზე საუბრობს იგი. ამასთანავე, ყოველ ენაში ფერთა აღმნიშვნელ სიტყვათა და გამონათქვამთა რიცხვი განსაზღვრულია და კონკრეტულ ენაში 150-ს არ აღემატება. ე. ი. ადამიანი ფერებსა და შეფერილობას განარჩევს ენისაგან დამოუკიდებლად. მაგრამ როცა რაიმე ფერსა და ელფერს ამა თუ იმ ტერმინით აღნიშნავს, მაშინ იგი გამოყოფს ამ ფერისა და ელფერის მთავარ ნიშანს და მიაკუთვნებს იმ კატეგორიას, რომელიც მის ფსიქიკაშია ფიქსირებული და რომელიც კონკრეტული ენით ორგანიზებულ ფერთა სამყაროს ერთ-ერთ კატეგორიას წარმოადგენს. ფერთა ტერმინებს ლინგვისტური შესწავლა, მათი სემანტიკის კვლევა ამ ორგანიზაციის გამოვლენის სახავეს მიზნად. ამისათვის საჭიროა მასალის სრულყოფილი შეგროვება, ფერთა აღმნიშვნელი ყოველი სიტყვისა თუ გამონათქვამის ანალიზი.

მიღებულია ფერთა დაყოფა ორ ჯგუფად: ქრომატულ და აქრომატულ ფერებად. სპექტრში არ არის თეთრი და რუხი (ნაცრისფერი) ფერები. ისინი ქმნიან განსაკუთრებულ ჯგუფს. აქვე შემოდის შავიც, რომელიც ასევე არ არის სპექტრში. ეს სპექტრში არ არსებული ფერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ ნათელობით, სინათლის ხარისხით. ერთი ამათგან ნათელია, მეორე — უფრო მუქი, მესამე — კიდევ უფრო მუქი... თეთრი, რუხი და შავი ფერები აქრომატული ფერებია, დანარჩენი ფერები ქრომატული ფერებია.

სპექტრულ ფერებს სამი ძირითადი თვისება გააჩნია. ეს არის ფერის ტონი, ანუ თვისებრიობა (რომელობა), სინათლის ხარისხი (ნათელობა) და ფერის სიმძლვრე, ნაჯერობა. იმ ვაგებით, რომ ფერი შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ ამ სამი მიმართულებით, სპექტრულ ფერთა სისტემა არის სამგანზომილებიანი².

ისმის კითხვა, როგორ აისახება ეს სისტემური ნიშნები თაბასარანულ ენაში? ფერის ტონის არსებობა ყოველი ფერისათვის აისახება იმით, რომ ყოველ ფერთა აღნიშვნა ერთმანდება ფერის ტონის რამდენიმე ჯგუფში. ეს ჯგუფებია: წითელი, ყვითელი, ლურჯი და ა. შ. ფერის ღიაობა აისახება იმით, რომ ყველა ფერთა აღნიშვნა უპირისპირდება ერთმანეთს არა მარტო ტონით, არამედ ღიაობითაც. განსხვავება ღიაობის მიხედვით შეიმჩნევა ჯგუფის შიგნითაც და ჯგუფებს შორისაც. მაგ., ვარდისფერი წითელზე უფრო ნათელია; წითელი უფრო მუქია, ვიდრე ცისფერი და სხვა. განსხვავება ღიაობის მიხედვით წმინდა ლინგვისტურად აისახება იმით, რომ ყოველ ფერის აღმნიშვნელ ზედსართავს ერთვის ღიაობის განმსაზღვრელი „ვაქი“-³. ქრომატული ფერები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან აგრეთვე ნაჯერობით, ფერთა სიმძლვრით. ეს თვისება ლინგვისტურად აისახება იმით, რომ ყოველ ფერის აღმნიშვნელ ზედსართავს შეიძლება დაერთოს ნაჯერობის განმსაზღვრელი „მუქუ“-⁴, „ვაქი“-⁵, „მძღარი“, „მკრთალი“.

თაბასარანული ენა, ისევე როგორც ენათა უმრავლესობა, ფერის სახელწოდებას ფერთი ტონის მიხედვით არჩევს (არსებობენ ენები, სადაც ფერის სახელწოდება სიმუქით ან სინათლის ხარისხით არის გარჩეული...).

ძირითად ფერთა ტერმინების გამოყოფა კვლევის პირველი ეტაპია. საინტერესოა, აგრეთვე არაძირითადი ფერების ტერმინთა კვლევაც, მათი დახმარებით შეიძლება გაირკვეს სწორედ ძირითადი ფერების აღმნიშვნელი სახელება. ისინი, ამასთანავე, ავლენენ ფერისა თუ ელფერის აღნიშვნის მოცემული ენი-სათვის დამახასიათებელ დამატებით საშუალებებს.

ფერთა ძირითად ე. წ. ბაზისურ ტერმინთა შესწავლას ნაშრომი მიუძღვნეს ბ. ბერლინმა და ა. კეიშ⁶. თავიანთ გამოკვლევაში ისინი იძლევიან ბაზისურ ფერთა კატეგორიის განმარტებას და აყალიბებენ ბაზისურ ფერთა ტერმინების გამოვლენის კრიტერიუმებს.

არაბაზისური ტერმინების შესწავლას გამოკვლევა მიუძღვნა ჯ. ლაკოფმა⁷. მან გამოყო არაბაზისურ ტერმინთა 2 ძირითადი ჯგუფი (I. როცა ფერი აღნიშნულია ბაზისურ ფერთა კატეგორიაზე მითითებით, ბაზისური კატეგორიის სახელების გამოყენებით, II. აღნიშნულია ფერთა ნორმალთან მიახლოების ხარისხი, ზოგჯერ ნორმიდან გადახრის მიმართულებაც. ავტორი ვარაუდობს მესამე — ნარევი ტონის არაბაზისური ტერმინების არსებობასაც.

ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკის სემანტიკის კვლევა ენათმეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრავალ საინტერესო, ჯერ კიდევ საკამათო საკითხთანაა დაკავშირებული.

რ. ფრუმკინა⁸ გადაჭრით უარყოფს ფერთა სახელების აღწერას სისტემურობის თვალსაზრისით ფერის ტონის, ნათელობის და სიმძლვრის ნიშნებით. იგი არკვეს ამ კრიტერიუმებს და იმას, თუ რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეთ მათ ფერთა სახელების აღწერისას. ტერმინები: ტონი, ნათელობა და ნაჯერობა, ანუ სიმძლვრე, მოვიდნენ ლინგვისტურ ლიტერატურაში ფსიქოლოგიურიდან, ხოლო ფსიქოლოგიაში — ფერთამცოდნეობიდან. როგორც ცნობილია, ბუნებაში ფერი, როგორც ასეთი, არ არსებობს. არსებობენ მხოლოდ სინათლის ტალღები. განსაზღვრული სიგრძის სინათლის ტალღები მოქმედებენ ადამიანის მხედველობის რეცეპტორებზე და იწვევენ შეგრძნებებს...



შეღერი და მაკრისი¹ შრომაში „პარამეტრული ლინგვისტიკა“ განიხილავს ფერთა სახელების აღწერის შესაძლებლობას კომპონენტებით, პარამეტრებით მთავარი კომპონენტია ტონი (ინგლ. ტერმინი hue), დამოკიდებული კომპონენტებია — სიმაძღრე (ინგლ. shocking pink) და ნათელობა. ავტორები თვლიან, რომ კომპონენტებს შორის არის იერარქიული სტრუქტურული დამოკიდებულება. კერძოდ, ყოველი ფერთა სახელი შეიცავს კონკრეტულ ფერზე მინიმუმს (hue), მაგრამ არ არის ისეთი ფერთა სახელი, რომელიც შეიცავდეს ინფორმაციას ნათელობის ან სიმაძღრის შესახებ ფერის ტონის მითითების გარეშე. ავტორებს მიაჩნიათ, რომ ფერთა სახელები შეიძლება აღიწეროს მითითებული უნივერსალური დიფერენციალური ნიშნებით: ტონი, ნათელობა და სიმაძღრე, ყოველ შემთხვევაში, ევროპულ ენებში მაინც. ი. აპრესიანი² ეთანხმება პე-ლეერსა და მაკრისს იმ განსხვავებით, რომ იგი არ არის დაწმუხნებული ამ ავტორთა მიერ შემოთავაზებული დიფერენციალური ნიშნების უნივერსალობაში. მაგ., ევრდნობა რა ლაფონსის მონაცემებს ხანუო ენის შესახებ, იგი ხაზს უსვამს, რომ რამდენადაც ფერთა სახელები ხანუო ენაში უპირისპირდება იან ერთმანეთს „სიმშრალე-სისველის“ ნიშნებით, შეიძლება სხვა ენაში აღმოჩნდეს სხვა დიფერენციალური ნიშნები.

თაბასარანულ ენაში ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფები შეიძლება გამოიყოს ზემოთ დასახელებული სამი კომპონენტით: ტონი, ნათელობა და სიმაძღრე.

აქრომატული ფერები — შავი. ჩაწერილი მასალების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება ტერმინი კარუ „შავი“. ვანსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ლექსიკური ერთეულის სემანტიკის ფართო არე. კარუ კონკრეტულ ფერს აღნიშნავს, მაგალითად, თაბასარანელი ქალის პორტრეტული დახასიათებისას, „ერხნუ ყალან კარუ ქუშარ, თექ ჯეარანდის ვუვა უხშარ“ — „ზურგზე დაშვებული შავი თმები, ეულ ჭეირანს ჰვაკხარ შენ“ (ხალხ.).

კარუ არის ყველა ფერზე მუქი, ნახშირის ფერი. თაბასარანულ ენაში არის შედარებითი კონსტრუქციები: კარუ შუყსიბ „შავი ნახშირივით“, მაგ., კარუ შუყსდარ ულარ „ნახშირივით შავი თვალები“; კერიღანსი კერურ „ქვანახშირივით შავი“ — ადამიანის ფერზე იტყვიან ხოლმე. კარუ აღნიშნავს მუქ ფერს ადამიანის სხეულის ფერთან მიმართებით: ნეგრსი კერურ „ნეგრივით შავი“ (ხანაღ); სენურსი კერურ ინხან „მურივით შავი ადამიანი“ (ჩრდ. დიალ.); შდრ.: დარგუული შიყ წუთოჲ „მელანივით შავი“, მელანი მზადდება მურისგან; წუფსი კერურ „შავგერმანი“ (ხანაღ).

გამოხატავს სახის სიშავეს: კერი სიჭათ „შავტუხა“, „ზანგელა“, „ყარაჩი“, კარუ აღლარ „შავგერემანი“ (ხუნჩ.), აღლარ- „სახის ნაკეთები“. კარი მავ „შავი სახე“ (ხუნჩ.) გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, მაგ., ევერ ღიხ ხასიოთ თამამ დარაბიშ, ღიხ მანაზ კარუდი ღირიგა! „თუ შენ ჩემს თხოვნას არ შეასრულებ (არ გააკეთებ), ჩემ წინაშე შავი სახით წარმომიდექი!“ (იგულისხმება საიქიოში). კარუ მეამუნ „შავი მაიმუნი“ — ამბობენ როცა სახე ჭუჭყიანია, ან როცა არასასიამოვნოდ შავი ფერისაა. ვთქვათ, საქმრო ირჩევს საცოლეს და სახის ფერის გამო დაიწუნებს, იტყვის — კარუ მეამუნ; კარა შეამტან „შავი ეშმაკი“ — ამგვარად ბავშვებს უწყობიან. შდრ.: დარგუული წუთოჲ დუშმან „შავი მტერი“. ამ ფრაზით გამოხატავენ უარყოფით დამოკიდებულებას.

კარუ აღნიშნავს თვალების ფერს შემდეგი შედარებითი კონსტრუქციებით: კარი წამლარსთან ულარ „ნაპერწყლებივით შავი თვალები“ (წამლულ „ნაპერწყალი“), კარი ჰივარსთან ულარ „მძივებივით შავი თვალები“ (ჰივარ „მძივები“, ხაზი ესმება თვალების ფერის სილამაზეს, უნდა იგულისხმებოდეს გიშერა),

კერი შუყყრ ულარ (|| კარი შუყყუსუე — ტივაკ.) „ნახშირით შავი თვალები“, კარი პანარსარ ულარ „ველური ალუბლისფერი შავი თვალები“ (პაპუნ „ვე-ლური ალუბალი“). შდრ.: დარგუული — ნახუტკან დუხუყუდ ულბე — სიტყვა-სიტყვით — „შავი ლობიოს მსგავსი თვალები“ — აღნიშნავს მრგვალ, შავ თვალებს, ფერთან ერთად მითითებულია ფორმაც (ნახუტკან „შავი ლობიო“, კვ „ცერცვი“).

შავით გადმოიცემა თმის ფერის სილამაზე: კარუ კარარ „შავი თმები“, კარუ კარდინ, კარუ ქუშ ალი „შავთმიანი“. ხალხურ ლექსებში მიცვალბული ხასიათდება როგორც იდეალური ადამიანი, ყველაზე ლამაზი, ყველაზე კეთილი, ყველაზე ძლიერი და ა. შ. ნათლად ინახება მისი პორტრეტი, თმების შავი ფერი, სხეულის სითეთრე სილამაზედ აღიქმება, მაგ., ჯან, ბაბან (ფაზდინ ულერ ატრ), კარუ ქუშარ ალურ (ბალურხინ აქჰარ ალურ). მაჰდინ კურბარ ატრ (ჯჰდრან გარდან ალურ), ჯეგრანდინ ჯან ჯატრ, (მასან ბაჰ, ბეჰანაჰ) — „ჯან, დედისავ (დედის შვილო!), არწივის თვალბავ, შავ თმიანო, თეთრო, (თეთრ ტანიანო), ქარვისფერ ძვლებიანო, წეროს მსგავსი კისრის მქონე, სხეულით ჯეირანო, დედის საყვარელო შვილო!“ (ხალხ.).

შავი ფერის ტანისამოსი სამგლოვიაროა. წყველაა ასეთი — ივუ ალაგზრუ-ვა კერუ! (ხანლ.) „შვეები ჩაგეცას“, მიჰუ ალაგზრვი! (ბრძან. კილო) „იარე შვეებით“, სამგლოვიაროდ, თალხით (მიჰუ ამ შემთხვევაში გამოიყენება თალხის მნიშვნელობით, გარდა ამისა, აღნიშნავს მუქს, ბნელს...). შავით აღნიშნავენ ყოველივე ცუდს, უარყოფითს, უსიხარულოს, უბედურს: კარი ჰიდ || კერი ჰიდ || კარი ჰიჯო „შავი დღე“, „უბედურება“, „დაკარგავის დღე“... გუნჩ კარა ჰიდარ ლღური იხ, დუშმანდი იფი ბიტრუსი უხური იხ „შავი დღეები გვიდება, მტერი გველივით გეწოვს სისხლს“, (ჯარა ჰიდარ „შავი დღეები“) (ხალხ.).

შავი უარყოფით ემოციებს იწვევს: ღირი უჩჰუზ ახუ ზავალ, უყუ ზავარ დუხნუ კარუ! „გეწვიოთ დიდი უბედურება, ლურჯი ცა გავიშავდეთ!“, რჯჰუ-რაჰუზ სიყუჯ ლაღი | კარუ დიქარ წიბ შულადარ „გხედავ მთაზე მძიმე, შავი ღრუბლები არ მცირდებიან“ (ფ. ასლანოვი, გვ. 23). არის გამოთქმა: მიჰი ნიყ-სიბ ჰიშ „სამარესავით ბნელი ღამე“, ნიყ — „სამარე“, მტრის მხედრობის ეკეთებად იხმარება შავი: ხაბარსუხდი გეჰნინ ალარხნუ უჩყინ | კარუ ყუშუმ ზულუმქარ ირან შაჰდინ „დილით მოულოდნელად დაგვესხა თავს ირანის მრისხანე შაჰის შავი მხედრობა“ (მ. მით., გვ. 96); კარუ ყუშუმ სიქთე ვუღი ულარიზ „შავი მხედრობა მაშინვე გხვდება თვალში“ (მ. მით., გვ. 14).

გაბოროტების დროს იტყვიან ხოლმე: კარი ბიტისუე „გველივით შავა“ (ბიტი — „გველი“). ეს ფრაზა ფერზე უფრო მთქმელის უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგ., ჯალატრის ამურ შულ ხანდინ, | ავ დუფნუ ილდან — „ბიტ კარუ“ — ხანმა უბრძანა ჯალათს (სიტყვასიტყვით — ხანისა-გან ებრძანა ჯალათს), იპოვოს ილდანი — „შავი გველი“ (მ. მით., გვ. 25). ბიტ-რან რანგ „გველისფერი“ არ აღნიშნავს შავს, იგი ფოლკლისფერია.

კარუ აღნიშნავს აგრეთვე შედარებით მუქ ფერს ღია ფერის საპირისპიროდ: კარუ ნაქთ „შავი ნავით“, დაუმუშავებელი (нефт, мазут); შდრ.: ლიღი ნაქთ „თეთრი ნავით“, ნავით (керосин); კერუე უღ „შავი პური“.

გლოვა, დატირებაა ასეთი: ჰიზ რჯჰ კარუ ლამშუ „ჩემი გზა შავი გახდა“. არსებობს შავ ფერთან დაკავშირებული წყველათა ვარიანტები: ჰავ ზულყინ კარი კუთჰ დუბსრი! „დაე, შენს სახლზე შავი ყვავი დაჰდეს!“, იგულისხმება ოჯახის ამოწყვეტა; ივუზ ჰადმუ ტუმუტ კარი ზავჰუმ იბშრი! „დაე, ეს ყურძენი შენთვის გახდეს შავ შხამად!“, „შხამად შეეგაროს!“, ჰავ რჯჰ, კარუ იბშრი! „შენი გზა შავი იყოს!“, ჰავ იჰუე ჰიდ კარი იბშრი აჰ! „შენი კარგი დღე შავი



გახდეს!"; ივუ ღწრწზრუვა კერუ ნიყრიზ! „შავ სამარეში წასულიყავი!"; ივუ
 ალავწრუვა კერუ! „შავები ჩავცევას!"; კარუედიცი უჭირუვა! „შავებში ჩავ
 ლულყო!“ — ივულისხმება ტანსაცმელიც, სახლიც...; შავ კერი მაშქარ! „შვე
 დღესასწაული გქონოდეს!“. გაწყრომით იტყვიან — შიკ კერი ივწრიადავ! —
 „გული გაგიშავდეს!“.

არსებობს ცხენის სახეობა **კარუ შავან**, კარუ შავნიქ სავ ხასიდათ ქარარდი
 დარშულ „შავ ცხენს ერთი ცული თვისება რომ არ ჰქონდეს, არ შეიძლება“,
 ივულისხმება, როცა შიავწენებ, აუცილებლად გიმტყუნებს, წაიბორძიკებს, წა-
 იქცევა.

ტივაკში დადასტურდა მსხლისა და ვაშლის ჭიშები: **კარი ჭახარ** „შავი მსხა-
 ლი“ და **კარი ვაჩ** „შავი ვაშლი“. ყურძნის ჭიშია: **კარი ჭყარაყ ტუმუტ** „შავი
 ჭყარაყი ყურძენი“, ჭყარაყ ხმაბაძვით უნდა დარქმეოდა.

ტაოზონიში **კარი შარქურ** „შავი ტყე“ მდებარეობს სოფლებს თინითსა და
 ჭერეს შორის. ამ ტყეში იზრდება წიფელი, რომელიც შავ ფერს აძლევს მას;
კარი შარ „შავი ტყე“ (ტაზ.) მდებარეობს სირტიჩთან ახლოს, შარ — ტყე II ხე,
 ეს ტყე ხშირი, გაუვალი და ბნელია, ამიტომაც დარქვა შავი.

მეტსახელები **კარუ ბაა** და **კარუ ცაა** მათი მატარებლის კანის ფერს უნდა
 მიგვანიშნებდეს.

განსაკუთრებით საყურადღებოა შედარებითი კონსტრუქციები: **კარი წამ-
 ლარსთან ულარ** „ნაპერწყლებივით შავი თვალები“ და **კარი შაპნარსარ ულარ**
 „ველური ალუბლისფერი შავი თვალები“. არც ნაპერწყალი და არც ალუბალი
 შავი ფერის არ არის. შედარების სახით მოცემული შავის გამაძლიერებელი
 სიტყვა, ცხადია, შავი ფერის უნდა იყოს. **ჯილდინ რანგ** „მიწისფერი“ — აქაც,
 მიწა არ არის შავი, არც გველი. **ბიტრინ რანგ** „გველისფერი“, მაგრამ შავ ფერ-
 თან კონტექსტში მათ გამაძლიერებელი ფუნქცია აქვთ და შედარების გზით
 სიშავეზე მიუთითებენ. მაგ., ჯილდინ რანგა ივნუ აა (ტივაკ.) „მიწისფერი დაე-
 დო“, ე. ი. გაშავდა, როცა ადამიანი კვდება, მიწისფერი ედება.

თეთრი: ლიძი „თეთრი“ აღნიშნავს კონკრეტულ ფერს, მაგ.: ალაბხნაზა ლი
 ფალათ უჩუშუბ, | ვალჯად ვუდიზ ლიძიბ, ჭულრა არსრანუბ... „საუკეთესო კაბა
 ჩავიცვი, ჩემი ქაშარი ვერცხლისაა, ხოლო ზემეეთი — თეთრი...“ (ხალხ.).

თეთრი ფერი ითვლება სილამაზის, სინათლის, მშვენიერების განსახიერებად.
 მაგ.: ზავარილან დიჭარ დუშნუ, | ლიძი რილდი ნურ გატაბზუ. | კვყვ აიი
 დერდერ დუშნუ... „ღრუბლებმა დატოვეს ცა (გადაიდარა), | თეთრმა მზემ
 სხივები გვესროლა | დარდებმა დატოვეს გული...“ (ხალხ.).

თაბასარანელი ქალი ადათების მიმდევარია საყუთარი ბედის არჩევისას.
 ლირიკული „მიძღვნა“ ამ თემაზე დიდად გავრცელებულია. ეს „მიძღვნა“ აუცი-
 ნებელია დაიწეროს „თეთრ ქალადზე“, რაც წმინდა სიყვარულისა და ერთ-
 გულბის სიმბოლოა. მაგ.: „უვუ ჰალ ლიძი ქალაზ. | ლაფ შად ვულდ ურხურა-
 ზა... | ლიძი ქალაზ, კარუ წარარ | აჩიშდი დიკ, ჯან, გუხელ შარ „თეთრ ქა-
 ლადს, მე რომ გამომიგზავნენ, | სიხარულით ვკითხულობ... | თეთრი ქალა-
 ლი, შავი სტრიქონები, | გარკვევით წერე, ჯან, საყვარელო“ (ხალხ.).

თეთრი მშვიდობისა და ნათელი მომავლის სიმბოლოა: ტირხურაჰი ლიძი
 ლუჭარ, | საბ გერენდი დავაშ დიხაა! „მფრინავო თეთრო მტრედებო, | შეჩერ-
 დით ერთი წამით!“ (ხალხ.).

თაბასარანულ ენაში თეთრი აერთიანებს შემდეგ ლექსიკურ ერთეულებს:
ნიქჰირინ რანგ „რძისფერი“, **შიქუნ რანგ** „თოვლისფერი“, შედარება **ლიძი**
შიქსიბ „თოვლივით თეთრი“, ძალიან თეთრი, ქათქათა: მაგ., ლეძი შიქსუგ წიპ
 „თოვლივით თეთრი თხა“ (ტივაკ.); კარბინ რანგ „ძვლისფერი“ (კარაბ „ძვალი“),
ჯირიმ ავაა „კრემისფერი“.



თეთრი აღნიშნავს აგრეთვე შედარებით ღია ფერს: **ლიდი ჩახირ** „თეთრი ლვინო (შდრ.: **ირი ჩახირ** „წითელი ლვინო“, სამხრ. დიალ.); **ლიდი მწხ** „თეთრი თიხა“ (წყალში გახსნილი თეთრი თიხა გამოიყენება საღებავად); **ლიდი ნაფი** „ნაფითი“. შდრ.: **კარუ ნაფი** „შავი ნაფით“, დაუმუშავებელი. ლიდი იხმარება ამ ფერის ტანსაცმლის აღსანიშნავად: შიქლიც ლიდი ქსურთარ აღდი, მაშნაც ახარი რილდინ ნურარ „ფოტოსურათზე (იგი) თეთრ კაბაშია. სახეზე ეცემა მზის სხივები“ (ბ. მით. გვ. 154); ლიდი მავდინ ქსურთარა აღდი ჩაინ, კულიც ალღუც ჯადი გულნახნაზიფინ „თეთრი მალდის კაბა აცვია (სიტყვასიტყვით მასზე), თავზე — ყვავილივით ნაზი თავსაფარი“ (მ. მით. გვ. 110); თეთრი აღნიშნავს ჭალარას: ანჯალ ვახთელ ღიბთელ ნაყიშ, — ჯე კულ დუბზნა ბეჟემ ლიდი „მხოლოდ დრომ დაატოვა კვლი — შენი თავი გაჭალარავდა“ (სიტყვასიტყვით, განდა თეთრი) (ფ. ასლ., გვ. 9). ...ბისურ ხილარი, ლიდი მუჭრი ქუტუბყნაფი „ხელში აიღო თეთრი, თანაბარი წვერი (ჭალარა)“ (მ. მით. გვ. 166). შდრ.: ურხბულ ხალაჩირ ჭარარ დუბზნუ ანე წუხი „ამდენი ხალიჩის ქსოვისაგან შენი თმები გაჭალარავდენენ“ (მ. მით. გვ. 166). სხეულის სითეთრე აღიქმება სილამაზედ: გურჩევე კუდიშ დიშაპლისი, ჩან ლიდი ჯან ქაეპქნუ ადრუ „ღამე გახდილი თეთრი ქალავით ლამაზია“ (ფ. ასლ. გვ. 36); ხუნჩასი უთქან დაბალგანა ჯან ლიდი დირყი დუბზნუ აფი, დუბჰუ ქუმისი „თეთრი სხეული, გალამაზებული როგორც ხონჩა, გაყავისფერდა მწიფე კომშივით“ (მ. მით., გვ. 141).

ლიდი ჯანღეინ „თეთრფერვანი“, ადამიანის სახის ფერს აღნიშნავს აგრეთვე **ლედი ცალსი** (მაშ) „ყვედელივით თეთრი (სახე)“, მომაკვდავი ან მკვდარი ადამიანის ფერზე იტყვიან: **ლიდი მაიხი** „თეთრი გვაშივით“, „ფერმკრთალი“; არის გამოთქმა **ლიდი მიქსი** „თეთრი ყინულივით“, აღნიშნავს ძალიან თეთრს, სპეტაკს, ქათქათას. შდრ.: გამოთქმა **მიქსლუ ვაწლინ ვაქ** „ნათელი მთვარიანი ღამე“, სიტყვასიტყვით, „მთვარის ნათელი როგორც ყინვა“. ქვეყანა, ქვეყნიერება **ვაქი დუწინ**-ს პარალელურად გაღმობიემა **ლიდი დუწინ**-თიც.

წყვედა ლედი ქაქნილა (ქაქან) ლირიჯრუეა! „თეთრ სუღარაში გაეხვიოთ!“ აღნიშნავს — შენ მოკვდა!

თეთრი აერთიანებს აგრეთვე **არსრან რანგ** „ვერცხლისფერს“; ახირიძე პილტარ ახრა, დიქარიღან არსი ლიდი „უკანასკნელი წვეთები ცვივან ვერცხლივით თეთრი ღრუბლებიდან“ (ფ. ასლ. გვ. 66).

დუჭიან რანგ „მტრედისფერი“ ჩვეულებრივ შეიცავს ცისფრის გაგებას. ზოგჯერ მტრედის განსაზღვრება თეთრია: ტირხაჲ, ლიდი ლუქარ! „იფრინეთ, თეთრო მტრედებო!“ (ა. ვეზირ. გვ. 6); იშვიათად იხმარება **ყირყინ რანგ** „კანისფერი“ (ყირიყ „კანი“), მაგალითად, ქალის წინდები შეიძლება იყოს ასეთი ფერის.

ლიდი გვხვდება მცენარეთა სახელდებისას. ხორბლის ადგილობრივი ჯიშია **ლიდი დწინ** „თეთრი ხორბალი“, თავთავის ფერის მიხედვით დაერქვა სახელი, შდრ.: **კარი დწინ** „შავი ხორბალი“ და **ღარხი დწინ** „ყვითელი ხორბალი“.

ტომონიმი **ლიდინ მარ** ტივაკში მდებარეობს. ეს ტყე მუხნარია, მაგრამ სახელი ეწოდა ბალახ ლიძარის მიხედვით. ლიძარი ხახვს მოგვაგონებს, ბოლქვები აქვს თეთრი, მისკან ამზადებენ შეჭამანდს. გვხვდება მეტსახელები: **ლიდი კულ** „თეთრთავა“, **წარ კაჲ** „ჭრელთავა“ (შავ-თეთრი); **ჯაშაჯა** (ა.ზ.) „ნიკორა“ (მხოლოდ ერთ ადგილას აქვს თეთრი თმა...).

ამგვარად, თაბასარანულ ენაში თეთრი აერთიანებს შემდეგ სახელებს: **არსრან რანგ** „ვერცხლისფერი“; **იჲჭუნ რანგ** „თოვლისფერი“, **კარბინ რანგ** „ძვლისფერი“, **ნიქსირინ რანგ** „რძისფერი“, **ჯაირიმ ავაჲ** „კრემისფერი“.

რუხი. რუხი თეთრსა და შავს შორის გარდამავალ ფერს წარმოადგენს. **წუხი** აღნიშნავს რუხს, ნაცრისფერს, ამასთანავე ჭალარას. იზუზ წუხი ჩუხაჲ



ქაუნდის „მე მინდა რუხი, ნაცრისფერი ჩოხა“. დუმე შიტან კულ წუხი ხ-უ-ნურ „ამ ქალს თავი გაუქლარავდა“. ფრაზა **წუხი კულ** „ქლარა თავი“ აღნიშნავს უფროსს, ბრძენ, ჰკვიან, გამოცდილ ადამიანს. შეიძლება გამოიყენებოდეს მეტსახელადაც, უფრო კი — წოდებად. **წუხი კარარ** არის „ქლარა თმები“, წუხი ულარ აურ — „ქროლა თვალების მქონე. წუხისთან ნარევი ფერებია: **წუხიშან ალი ჩრუბ** „მორუხი მწვანე“, **წუხზე ჩრუვ** „რუხი მწვანე“, **წუხი ერუვ** „რუხი წითელი“; ელფერები: **ვაქი წუხუბ** „ნათელი რუხი“ და **მიკუ წუხუბ** „მუქი რუხი, ნაცრისფერი“. ამ ფერის ძაფები გამოიყენება ხალიჩების ქსოვისას.

არის გამოთქმა **წუხი ვაშაფურარ ქუშარ** „რუხი (იგულისხმება თეთრნარევი შავი) ვაშაფ-ს მსგავსი თმები“; ვაშაფ ჩიტია, რომლის ფერთან არის შედარებული ადამიანის თმები.

ფუძემბეი **წუხი** და **წარუ** ხშირად თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. წარუ, როცა იგი ნაცრისფერის მნიშვნელობით იხმარება, მიუთითებს უფრო ღია, ნათელ ფერზე. ქაურუ მავნან, წარუ ულარ აიი ჰადმე შურან მამ მიიბ-სანა აჩუკ დუბხ-ნაი „ვიწრო სახით, ნაცრისფერი თვალებით ამ გოგოს სახე სულ უფრო ნათელია“ (ფ. ყას. გვ. 38); **ქუშარ მუქუ**, ულარ წარუ, | მამ აქუ ვუ, არს ულუბხსი „თმები მუქი, თვალები ნაცრისფერი, სახე ნათელი — მოვერცხლილი“ (მ. მით., გვ. 67). ცხოველების მიმართ ეს ფუძე არათანაბრად იხმარება. ჰუდჰუდლი წარუ | ხილინ გაჰსიბ რადრად ალი, | ჩან მუხურ ურუ... „რუხი ოფოფი, რომელსაც აქეს გაშლილი ხელის გულის მსგავსი სავარცხელი, წითელი მკერდი...“ (მ. მით., გვ. 179). მაგრამ **წარუ შაფან** აღნიშნავს არა რუხს, არამედ ამლავს (пегий) „ფერად-ფერადი ლაქებიანი ცხენი“.

რუხი აერთიანებს შემდეგ სახელებს: **რწვინ რანგ** „ფერფლისფერი, ნაცრისფერი“, იგი შედარებით ღია ფერია, მას უფერულსაც უწოდებენ. **რწვინ რანგ ალუვ** „ნაცრისფერი“ || **რანგ ადრუბ** „უფერული“. **რწვინ რანგ** „ნაცრისფერი“, სემანტიკურად ამ ფერთან ახლოს არის **რულუ** || **რული რანგ** „ვეყანი“ (бурый, серый, сизый). მაგ., რულუ ჯანვარ „რუხი მგელი“. რაში რულუ — „რთა რუხი“; იზუხ გუნი რიშ რულარ ვუმი „ჩემი საყვარელი გოგო რთა-რუხი ფერისა“; **უშლან რანგ** „თაგვისფერი“, **ჯანუვინ რანგ** „მგლისფერი“: 1. ნაცრისფერი, 2. ამ ფერს დებულობს ადამიანი მუდამ ტყე-ღრეში ყოფნით, **ბატურინ რანგ** „თიხისფერი“, „ქუჭყისფერი“. ამ ფერის გავებას თან ახლავს უარყოფითი ემოცია, **ჯაუმინ რანგ** „ქვიშისფერი“, **რუჯინ რანგ** „თიხისფერი“, **რუყან რანგ ალი** „რკინისფერი“ ან **რუყაჩ** „ნაცრისფერი“ (რკინისფერი), **ვაქი რუყაჩ** „ნათელი ნაცრისფერი“, **ილდან რანგ** „ფოლადისფერი“, „ნაცრისფერი“, **ხხინ რანგ** „ლოკოკინისფერი“, ნაცრისფერი (ხხან „ლოკოკინა“), **ყამჯორინ რანგ** „მუქი რუხი“ (ყამჯოარ „მწყერი“); **ბუშყალ** „რუხი, უთვალადო, შეუხედავი“, ნაცრისფერს გულისხმობენ შემდეგი ფრაზები: **სემენ შაფან** „ნაცრისფერი, ქუჭყისფერი ცხენი“, **დუმრალ მარჩა** „ყომრალი, სახეობა ცხერი-სა“, **კაბი აღმი** სიტყვასიტყვით არის „მოხუცი ადამიანი“, სემანტიკური მნიშვნელობა კი ქლარაა.

ქრომატული ფერები — წითელი. წითელი აღნიშნავს კონკრეტულ ფერს: **ურუ ქუქუ** „წითელი ყვავილი“, **ურუ ზდლუჯ** „წითელი თავსაფარი“, **ურუ ფადალ** „წითელი დროშა“ და სხვ. დუმე შიტუ შამიშან ერი ფალთარ ილი-ხურდურ „ეს ქალი ყოველთვის წითელ კაბას იცვამს“.

წითლის ჯგუფში შემოდის შემდეგი ლექსიკური ერთეულები: **წქუ ურუ** (რანგ) „ალისფერი“, **თუნთ ურუ** || **ლაფ ურუ** „მეწაბული“, „ძოწეული“ (нарповый); **მუქუ ურუ** „ბორდოსფერი“, „მუქი წითელი“, **ურუშინ ალი** „მოწითალო“, **ელვენ** „წითელი“, „ნათელი წითელი“: ...ჩან ელვენ ბულუშქა აღდი, |



| ჯაქელი გურჩეგ ვუ დუმუ „თავის ნათელწითელ კოფთაში იგი თოჯინასავით-
ლაშაზია“ (მ. მით., გვ. 68). ელენის ელფერია **ჩირი-ელვენ** „მომწევანო-მოწითა-
ლო“, **მიჭი ელვენ** აღნიშნავს „შინდისფერს“, მუქ წითელ ფერს, **ივდინ რანგა**
„სისხლისფერი“ (ტივაკ. ივი „სისხლი“), **ბელიდინ რანგ** „ალუბლისფერი“, **ბა-
ლაიან რანგა** (ტივაკ.) „შეინდისფერი“, „ალუბლისფერი“, **ურხარინ რანგ** „ძახ-
ველის ფერი“, **ხანინ რანგ** „მუქი წითელი“, **ირი ხუნინ** „მუქი წითელი“ (ტივაკ.),
ხუნ მცენარეა, რომლის ძირებისაგან ამზადებენ წითელი ფერის საღებავს, **დი-
ზილგული რანგ** „ვარდისფერი“, ხატოვანი ფრაზა **ბუბლბულ გვეჭერ რანგ** „ბულ-
ბულის ნიავის ფერი“, აღნიშნავს აგრეთვე ვარდისფერს, **ღირმიზი რანგ** „ყირ-
მიზი, ვარდისფერი“, ამავე ფერის აღმნიშვნელია **ბენევეშ, შარკიჰან, განდი-
რიკინ რანგ** „ყანგისფერი“, **დურყუბ** „აგურისფერი“, გადმოიცემა რუსულიდან
ნასესხობითაც **ჭირფირინ რანგ**, **ჭურენ** (შდრ.: ქართ. ქურანი) მხოლოდ ცხენის
ფერია, ნასესხებია აღმოსავლური ენებიდან. ამ ფერის ცხენი ცუდი თვისებე-
ბით ხასიათდება.

წითელი გადმოიცემა შედარებითი კონსტრუქციებით: **ურუ არუალსიბ** || **ერი**
არუალსი „ნაკვერჩხალივით წითელი“. ამ ფერს ადარებენ ადამიანის სახეს, ყინ-
ვისაგან გაწითლებულ ცხვირს, დაბრაწულ პურს და სხვ. მაგ.: კასინ დალდიქან
ურუ არუალსიბ რილდი ჩან მამნან მიჭი ქაზაბგუ „მერე მთიდან ნაკვერჩხალი-
ვით წითელმა მზემ გამოაჩინა თავისი სახის ნაწილი“ (ფ. ყას., გვ. 58); **ურუ**
წასიბ „ცეცხლივით წითელი“, მაგ.: ურუ წასიბ ღვან აბგურზა, | ჩაზ ბარაბარ
ლაფ ბაჰაინ „ცეცხლივით წითელ ქვას ვიპოვი, ტოლფასს, შესაფერს, ძალიან
ძვირფასს“ (ბ. მით., გვ. 122); **ურუ ვიჩარსი** „ვამლივით წითელი“, მაგ.: ურუ
ვიჩარსი დაბალგნაი გარწლარ „წითელი ვამლივით გალამაზებულა ლოყები...“
(მ. მით., გვ. 142).

წითელი თაბასარანულ ენაში იყო ოქროს აღმნიშვნელი (ღირებულების სა-
ზომი), მაგ.: კა, ბალიზინდი დიშლადი, დირჩრუ საბ-ყუბ ურუ ღიხილ „ხოლო
ბიქს უცბად ვადაუგდეს ერთი-ორი წითელი ოქრო“ (მ. მით., გვ. 20). ფრაზამ
ურუ ღიხილ შეიძინა გადატანითი მნიშვნელობა — ღირებული, მოულოდნელა.
მნიშვნელოვანი; ...ურუ ღიხილ ჩხუტრ ალი მიღ, | ხალყდინ იჭი უდუბზუ მიღ
„წითელ ოქროდ წოდებული დღე, | დღე, როცა დაიღვარა ხალხის სისხლი“
(ბ. მით., გვ. 39).

წითელი აღნიშნავს ადამიანის სახის ან თმის ფერს: **ირი მამ** „წითელი სახე“,
ირი ქუშარ „წითელი თმები“. დასტურდება მეტსახელები: **ირი კულ** „წითელ-
თავა“ (ტივაკ.), რიჟა, მუქი წითელი თმების მქონე; ასევეა მეტსახელი **წუხაა**
„წითურა“; არის მსხლის ჯიში **ირი ჯახარ** „წითელი მსხალი“ (ტივაკ.). ფრაზეო-
ლოგიური გამოთქმა მიზ მამ ურუ დარიბშირი „ჩემი სახე არ გაწითლდეს“ აღ-
ნიშნავს — „არ შევრცხვე“; მიზ მამ ურუ ხიბდარიზ „ჩემი სახე არ გაწითლ-
დება“, თავს არ შევირცხვენ, სინდისი სუფთა მექნება.

ყვითელი. ღათხუ || **ღარხუ** „ყვითელი“ ერთ-ერთი ძირითადი ფერია. მიკლუ
ტუბჩივრუ მარქურ — კულის არაღან, ღათხუ რანგნან იჩიი მურსალ ლიტინლუ
„ტყეში, რომელსაც ნიავი არხვედა, თხელი, ყვითელი სხივები (ძაფები) გამო-
ჩნდნენ“ (ფ. ასლ. გვ. 5).

ყვითლის ელფერებია: **ვაჭი ღარხუბ** „ღია ყვითელი“ და **მიჭი ღარხუ** „მუქა
ყვითელი“. ყვითლის გუფვის წევრებია: **დურყუ რანგ** „ყვითელი“, „ნარინჯის-
ფერი“, „აგურისფერი“; **თემბექუ რანგ** || **თემბექინ რანგ** „თამბაქოსფერი“, **მიშ-
მიშინ რანგ** „ჭერმისფერი“, **მიხიქ** (რანგ) „ყავისფერი“, **მედიონ რანგ** „ყვითელ
„მკვდრისფერი“ (მედიონ „მკვდარი“), **ზირტინ რანგ** „ზირტისფერი, ყვითელი“,
ზირტი არის მომწაშლავე, ყვითელი მცენარე, **ნარინჯ** „ნარინჯისფერი, ნარინჯი“;
ნუქდინ რანგ (ტივაკ.) || **ნიკრინ რანგ** „თივისფერი“ (ხუჩ.), **ლემბეინ რანგ** „ჩა-



ლისფერი“, ქრემდინ კამუ რანგ „კარაქის კრემის ფერი“, ჯოღორიინ რანგ „ქერმისფერი“, ღიზილინ რანგ „ოქროსფერი“, ჯუბყი დნზინ რანგ „მწიფე ხორბლის ფერი“, ხენე „ნარიჩისფერი“, წინ რანგ ალდი || წილ რანგ ალურ „ცეცხლისფერი“, ანუ ყვითელი — მოწითალო, **აიჩუენ რანგ** „თაფლისფერი“ (აიჩუე „თაფლი“), „ქარვისფერი“, **წოხინ რანგ** „ტრაწისფერი“ (წოხ „ტრაწი“), **შარჯიშან** „ნარიჩისფერი“, **შაბალუთდინ რანგ** „წაბლისფერი“.

ყვითელი გვაქვს შედარებით კონსტრუქციაში: **მამ დარხი ქუქუშ** „ყვითელი ყვავილის მსგავსი სახე“. ამ ფრაზას აქვს გადატანითი მნიშვნელობა და აღნიშნავს მომაკვდავი, ავადმყოფი ადამიანის ფერს. ყვითელი ფერი გამოყენებულია მკვლარეთა სახელდებისას: **დარხი ჯახარ** „ყვითელი მსხალი“, ჯიშია ასეთა; **დარხი დნზინ** „ყვითელი ხორბალი“, ამ ჯიშს თავთავის ფერის მიხედვით უწოდებენ სახელს, იგი (ისევე როგორც კარი დნზინ და ლიძი დნზინ) ადგილობრივი ჯიშია და დღეს გადამენების გზაზეა; **ჩოღორი ჯახარ** „ატამა მსხალი“, იგი მწიფე ატმის ფერის მქონეა, სახელიც ფერის მიხედვით დაერქვა; **მიშიში ჯახარ** „ქერმისფერი მსხალი“, ეს ჯიშიც სახელდებულია ყვითელი ფერის მიხედვით, **ანა ღირმიში** „მსხლის ჯიშია, მოწითალო-მოყვითალო“, **შაქრან ვაჩ** „ხაფრანა ვაშლი“, ყვითელია.

დარხი ზარდსიბ (ზარდ || ზურტ || ზერტ „შქერი, დეკა, рододендром“) ძალიან ყვითელი, საზიზღარი ყვითელი ფერი, შხამიანი ფერი“, იტყვიან მკვდრისფერ, გაფერმკრთალებულ ან კიდევ შეშინებულ ადამიანზე. ტანსაცმელიც შეიძლება იყოს ამ ფერისა... **დარხი შურსუბ** „ძალიან ყვითელი“, აღნიშნავს ავადმყოფის ფერს, გაფერმკრთალებულსაც. ამ ფერს ადარებენ მწიფე ხილის ნაყოფს. **შურ** სიტყვის მნიშვნელობა დღეისათვის უცნობია. იგი შემორჩა მხოლოდ ამ შესიტყვებაში.

მწვანე, ჩრუ „მწვანე“ არის ნეღლი ბალახის, ფოთლის და მისთ. ფერა. ბუნების მშვენიერების აღწერა თაბასარანული ლირიკისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია: ჩრუ უყენ ჩიგ ილმიდი, | ჩიგ ილმიდი რიდ ალაჯნუ, | | კურ გუზენინ ტკ ილმიდი, | ტკ ილმიდი რიდ ალაჯნუ „ცვარი დევს მწვანე ბალახზე, | ცვარი ბალახზე, მზე ჩავიდა, | ვიდრე სიყვარული მათთან იყო, | | მწვანე ბალახიდან მზე წავიდა“ (ხალხ.). ლილიგუნზა ტყუბ ტერეძ დალარჩი | — ჩრუ ჩუღლერ, ბაბაბან ვუ ჰარ ტერეძ „მიმოვიხედე მთების ოთხივე მხარეს, მწვანე მინდვრები, ყველაფერი ირგვლივ მშვენიერია“ (ბ. მით., გვ. 152).

ჩრუ-ს, გარდა მწვანე ფერის აღნიშვნისა, აქვს ახლის, ნეღლის სემანტიკურა მნიშვნელობა. ღიბცი დაქ მუჯარ ჩირი დაქ ტუბჯ „გამხმარ ხორცს ნუ შეწვა, ახალი შეწვი“; ჩირი ბალურ „ნეღლი თევზი“ (პ. უსლ., გვ. 968).

მწვანე ფერის ელფერებია: **ვაქი ჩრუბ** „ნათელი მწვანე“, **მიჭი ჩრუბ** „მუქი მწვანე“. მწვანეს ჯგუფში შემოდის: **ვარუდინ რანგ** „ქინჭრისფერი“, **მანჭუნ კაჯნ რანგ** „მუხის ფოთლის ფერი“, „მუქი მწვანე“. შედარებითი კონსტრუქცია **ჩრუ მარკსინ** „ძალიან მწვანე“, აღნიშნავს ფერის მეტ ინტენსივობას. **მარკ** სიტყვის მნიშვნელობა დღეისათვის უცნობია. იგი შემორჩა მხოლოდ ამ შესიტყვებაში. მწვანე ფერი ხაზგასმით აღნიშნება თვალეუბის ფერად: **ჩრუ მარკარ ულარ** „ძალიან მწვანე თვალეუბი“, **ჩირი ჩურჩულსურარ ულარ** „ხვლიცივით მწვანე თვალეუბი“, **ქათდინსი ჩირი ულარ აიბ** „კატასავით მწვანე თვალეუბის მქონე“. რამდენიმე ადგილას გვხვდება ტოპონიმის აღნიშვნა **ჩირი კულარ** „მწვანე გორები“. ტივაკში არის ვაშლის ჯიში **ჩირი ვაჩ**.

ლურჯი. უკუ — „ლურჯი“ აღნიშნავს კონკრეტულ ფერს: აჩუხ მარცი ვუთაბიბთ, | ხავ უკუ ვუ, ქუმ აღდარდი „უსასრულო და სუფთაა ბუნება, ცა ლურჯია, უკვამლო“ (მ. მით., გვ. 24).

უკუ-ს, გარდა ლურჯისა, აქვს რუხის მნიშვნელობა: დუღან ქურიქ ტუკი



ჰატირნარ ქაქ „მის ურემში რუხი ცხენებია“ (პ. უსლ., გვ. 633). ლურჯის ხმა-
 რების არე თაბასარანულ ენაში შეუზღუდველია, ძალიან ხშირად წყლის, უფრო
 ზღვის ზედაპირის ან მოწმენდილი ცის აღწერისას იხმარება: დიდინ უკუ ლე-
 ფაირო მიზ უკ თაზავალიხნა ხურა „მისი ლურჯი ტალღები ჩემს გულს აახლ-
 ვაზრდავებენ“ (ფ. ყას., გვ. 86); ჰულ უუუუუ შულ „ზღვა ლურჯია“ (პ. უსლ-
 რი, გვ. 633).

ლურჯის ელფერებია: ვაქი უკუ „ღია ლურჯი“ და მიქი უკუ „მუქი ლურ-
 ჯი“. ლურჯი ფერის ჯგუფში შემოდის: ბენევშ || ბენევშ რანგნან „იისფერი“,
 ზავუნ რანგ || ზავარინ რანგ „ცისფერი“, ლუჭრან რანგ „მტრედისფერი“,
 „ცისფერი“, უანგარ || უენგარ „ცისფერი“, ზავარ უანგარ შულა, ამსარ აღდარდი
 „ცა ზდებოდა ცისფერი, უღრუბლო“ (მ. მით., გვ. 132). უკი ჯენგერ „მოლურ-
 ჯო-ცისფერი“ (электрик), ხიმიქ || ხამიქ რანგ || ხიმიჩესკი || ჯიმიჩესკი რანგა
 (ტივაკ.) „იისფერი“ (ამ ფერის საღებავს სახლში ამზადებენ, ასეთი ფერის ძაფი
 გამოიყენება საშინაო ხალიჩების ქსოვისას), ქიჩირგინ (რანგ) „იისფერი“, სი-
 რენდინ რანგ „იასამნისფერი“, რუჭადინ რანგ ალი „ეკუყანი“ (синий), უკი ლა-
 ზურ აღნიშნავს „ლაჟვარდს“.

შედარებითი კონსტრუქცია უკი ლწყხი || უკი ლწყხუჯ (ტივაკ.) „მუქი
 ლურჯი“ გამოიყენება სილურჯის მეტი ინტენსივობის გამოსახატავად, როცა
 ადამიანი ხველებისაგან ან სიცივისაგან გალურჯდება. ლწყხ-ს სემანტიკური
 მნიშვნელობა დღეისათვის უცნობია. იგი ამ შესიტყვებამ შემოინახა. უკი
 ხხხხხი ნიშნავს „ლურჯს, კლდიდან ჩამოშლილი ქვიშის მსგავსს“, იტყვიან
 ხოლმე როცა ადამიანს სხეული დაულურჯდება ან შეცივდება. უკი რუგუ არის
 „ლურჯი თიხა (მიწა)“, რომელსაც წყალში ხსნიან და იატაკისა და კედლების სა-
 ლებავად იყენებენ.

განხილული ტერმინები შეადგენს ფერის აღმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულ-
 თა მხოლოდ ნაწილს. სრული სემანტიკური ანალიზი, ფერთან დაკავშირებულ
 ყოველი სიტყვისა თუ გამონათქვამის შესწავლა კვლევის მომდევნო საფეხუ-
 რია.

ლიტერატურა

1. Алексеев С. С., Цветоведение, М., 1952, გვ. 17.
2. Шемякин Ф. М., К вопросу об отношении слова и наглядного образа (Цвета и его названия), Изв. АПН РСФСР, 1960, вып. 113, გვ. 6.
3. Berlin B., Key P., Basic color terms: their universality and evolution, Berkley and Los Angeles, University of California Press, 1969.
4. Lakoff A., Hedges: A study in meaning criteria and the logic of fuzzy concepts. journal of Philosophical Logic, 2, გვ. 458—508.
5. Фрумкина Р. М., Цвет, смысл, сходство (аспекты психолингвистического анализа), М., 1984.
6. Heller L., Macris G., Parametric linguistic. The Hague; Paris, 1967.
7. Апресян Ю. Д., Лексическая семантика: Синонимические средства языка, М., 1974, გვ. 59.

შემოკლებანი:

- ა. ვეზირ. — Асланбер Везиров, Ватадин сес, Махачкала, 1978.
- ბ. მით. — Багъаудин Митаров, Хабар тув ихъ дустариз, Махачкала, 1973.
- მ. მით. — Муталиб Митаров, Поэмйир, Махачкала, 1973.
- პ. უსლ. — П. К. Услар, Этнография Кавказа, языковедение, VII, Табасаранский язык, Тбилиси, 1979.

ფ. ყას. — Пирмячьяммед Қъасумов, Деккучимрин халачи, Махачкала. 1987.

ტივაკ. — ტივაკის თქმა; ხანალ. — ხანალის თქმა; ხუჩნ. — ხუჩნის თქმა; ხალხ. — ხალხური; ჩრდ. დიალ. — ჩრდილო დიალექტი.



Ц. Р. БАРАМИДЗЕ

ЦВЕТООБОЗНАЧАЮЩИЕ ЛЕКСИКО-СЕМАНТИЧЕСКИЕ ГРУППЫ В ТАБАСАРАНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

Рассмотрен вопрос семантики цветообозначающих терминов в табасаранском языке. Для анализа привлекаются данные диалектов и говоров табасаранского языка.

Выявлены основные группы, обозначающие цвета: *ḳaḡi* — «черный», *liḡi* — «белый», *ḡixi* — «серый», *ḡi* — «красный», *ḡaxḡi* — «желтый», *ḡi* — «зеленый», *uḡi* — «синий».

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
კავკასიურ ენათა კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
ქ. ლომთათიძემ

პ რ ი ბ ი კ ა დ ა ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა

„საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონი“

ვისაც ერთხელ მაინც დასვირგებია საარქივო მასალაზე მუშაობა, კარგად მოეხსენება საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონის აუცილებლობა.

ჯერ კიდევ 1927 წ. გამოცემულ ნაშრომში „არქივთმცოდნეობის შესავალი“ პროფ. შ. ჩხეტია აუცილებლად მიიჩნევდა საარქივო ტერმინოლოგიაში ერთსახეობის დამკვიდრებას.

1978 წ. ვ. გურგენიძის რედაქციით გამოიცა „საარქივო ტერმინოლოგიის მოკლე ლექსიკონი“ (მოსკოვი-ლენინგრადი, 1968 წ.) თარგმანი, რომელსაც დემატა ქართული ტერმინოლოგიის ისტორიული ექსკურსი და აგრეთვე ივ. ჭავჭავაძის შრომებიდან ამოკრფილი და შედგენილი საარქივო ტერმინები და მათი განმარტება. და აი, 1987 წ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს თანამშრომლების მიერ მომზადდა და გამოიცა „საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონი“.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, ლექსიკონის შედგენის მიზანი იყო ქართულ ენაზე საარქივო საქმეში ხმარებულ ტერმინებისა და ძირითადი გამოთქმების დადგენა, მათი შინაარსის დაზუსტება, ცნებების კლასიფიკაცია, არასწორი ტერმინების ხმაარებიდან ამოღება და ტერმინების მრავალმნიშვნელობებისა და სინონიმურობის თავიდან აცილება.

ლექსიკონი გათვალისწინებულია სპეციალისტთა და მკითხველთა ფართო წრისათვის (თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ წიგნი გამოცემულია გრიფით „სამსახურებრივი სარგებლობისათვის“), წარმოადგენს ქართული საარქივო ტერმინოლოგიის შექმნის პირველ ცდას; ამიტომ, აქედან გამოძინარე, იგი არ შეიძლება დაზღვეული ყოფილიყო ნაკლოვანებებისაგან. ვასაუბრება შემდგენელთა თხოვნაც: ყველა საქმიან შენიშვნას და წინადადებებს მივიღებთ და გაითვალისწინებთ. აი, ზოგიერთი მათგანი:

საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონი შედგება სამი ნაწილისაგან: ქართული განმარტებითი, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონებისაგან. ქართულ-რუსულ და რუსულ-ქართულ ლექსიკონებში ტერმინები და გამოთქმები განლაგებულია ინვერსიის წესით, ხოლო განმარტებებში ანბანური თანმიმდევრობით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქართულ-რუსული ლექსიკონის ინვერსიული წესით გამოცემა, ხშირად, რუსულიდან ქართულს დაკვირებისას ქართლის თვალსაზრისით იწვევს აზრობრივ გაუმართაობას (სმე მაგ., „ძალა დოკუმენტისა იურიდიული“, „სისტემა საქმისწარმოებისა ერთიანი სახელმწიფო“, „ზეგზური არქივის (არქივების) ფონდების თემატიკა“ და სხვ.). მართალია, შესავალში ავტორები აღნიშნავენ, რომ ქართული საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონის ძირითადი მარაგი ამოკრფილია რუსულიდან და ამდენად ქართული ტერმინები ეკვივალენტურია რუსულისაო, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, რომ იმ შემთხვევებში, სადაც გვაქვს მოცემული, მაგალითად, სახელი და ზნა და ამდენად რუსულისათვის ბუნებრივია, ვთქვათ, სიტყვათა შემდეგი თანამიმდევრობა: *Опубликование документов, использование документов, обзор архивного фонда...* — ქართულ-რუსულ ლექსიკონში კი არ ვაღმოვევებანა ინვერსიული წესით (გამოცემა დოკუმენტების, გამოყენება დოკუმენტების, მიმოხილვა საარქივო ფონდისა...), არამედ დავეულოდებინა საგნობრივი (ანბანური) საძიებლების თანმიმდევრობის პრინციპით. ეს უფრო ადევილსა და მოხერხებულს გახდოდა მას და, რაც მთავარია, არ დაირღვეოდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული და სემანტიკური ნორმები.

განმარტებითი ლექსიკონის ძირითად ტერმინებად მიჩნეულია: ჭკუფი საქმისწარმოების ტერმინებისა, ტერმინები მომიჯნავე სამეცნიერო დისციპლინებიდან, კინო, ფოტო, ფონო და სამეცნიერო ტექნიკური დოკუმენტაციის სფეროდან, აგრეთვე საარქივო საქმეში შედარებით გავრცელებული ტერმინები. განმარტებით ლექსიკონში შესული ტერმინების (სულ 638) ძირითადი ნაწილი ამჟამად მოქმედი ტერმინებია, მასში შეტანილია ზოგიერთი ძველი ტერმინიც. თუმცა, ერთგვაროვნება ამ შემთხვევაში დატული არ არის (მაგ., განმარტებულია: ქროთამი, გოლორა, ეტრატი... მაგრამ არ არის წარმოდგენილი: დაეთარი, სიგელი, რაყამი... ანდა წმინდა ქართული ისტორიულ-ლიტერატურული ტერმინები: უწყება, ცხოვრება, წამება და სხვ.). იქნებ ეს მოხდა იმიტომ, რომ, როგორც შემდგენლები აღნიშნავენ, „ლექსიკონში არ შევიდა ტერმინთა ის ჭკუფი, რომელიც შეტანილია „დოკუმენტების სახეობებისა და ნაირსახეობათა მოკლე ტერმინოლოგიურ ლექსიკონში“. მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ლექსიკონი არაა გამოცემული. ასეთივე სურათია, მაგ., წყაროთმცოდნეობითი ციკლის სპეციალური ისტორიული

დისციპლინების განმარტებისას (წარმოდგენილია: არქეოგრაფია, დიპლომატიკა, კოდოლოგია, მეტროლოგია, პალეოგრაფია..., მაგრამ არ არის მოცემული: ეპიგრაფიკა, ეპისტოლოგრაფიკა, ნეპოზმატიკა...).

ყოველივე ამის აღწერა დაგვირდა იმ მიზნით, რომ მომავალში სასურველი გამოიცეს აღნიშნულ ტერმინთა სრული კორპუსი, რაც სახმარად უფრო მოხერხებულს და სრულყოფილს გახდის საარქივო ტერმინოლოგიურ ლექსიკონს.

სარეცენზიო ნაშრომის ზოგიერთი ტერმინის განმარტება დაზუსტებას, შესწორებას მოითხოვს.

ნაშრომის შესავალში ვითხოვლობთ: „საარქივო საქმის შემდგომმა განვითარებამ, კერძოდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაღრმავებამ, საარქივო პრაქტიკის გამოცდილებების გაზიარების აუცილებლობამ, დარგობრივი ლექსიკონების გამოცემამ დღის წესრიგში დააყენა ეროვნულ ენებზე საარქივო ტერმინოლოგიის შესწავლის აუცილებლობა“. აქედან გამომდინარე, კარგა იქნებოდა, რომ რაც შემთხვევებში რუსული ტერმინების განმარტება პირდაპირ კი არ გვეთავაზნა რუსულიდან, არამედ მოგვეცია ქართულ სინამდვილეში არსებული მათი ეკვივალენტები, რადგან, როგორც ივ. ჭავჭავაძის შენიშვნადა: „მოთლი ჩვენი შედგომა, როდესაც ახალ ქართულ ტერმინოლოგიას ვქმნიდით მეცნიერების ყველა დარგში, უმოთავსად ტექნიკური დარგებისათვის, იმაში მდგომარეობდა, რომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით მას, რაც ხალხშია შემკვივრებით დარჩენილი ძველი ქართული ტერმინების მარაგის სახით და ხელოვნურად ესაზღვრავდით და ეთარგმნიდით (უმეტესს ნაწილად რუსულიდან) სრულიად მექანიკურად, მაშინ როდესაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში მოგვეპოვებოდა ქართულად“ (იხ. ივ. ჭავჭავაძის წერილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, ნაწ. 1, თბ., 1946, გვ. 93). სარეცენზიო ნაშრომში „ასომთავრული“ განმარტებულია როგორც „ძველ ხუნაწურთა (უნდა იყოს დამწერლობათა. — ნ. დ.) სახეობა, რომელიც ხასიათდებოდა მსხვილი, ოთხკუთხედი, საგულდაგულოდ გამოყვანილი ასოებით და მიტყუებულ სიტყვებით“ (გვ. 14), ხოლო 42-ე გვერდზე შემდეგნაირადაა განმარტებული ხელოვნურად მოგონილი, ქართულისათვის უცნობი ტერმინი „ნახევრადმოთავრული“ — დამწერლობის სახეობა, რომელსაც შეეკვალა ასომთავრული და ხასიათდებდა სტრიქონიდან ამოტანილი წერის ასოების უსწორო მოხაზულობით. ეს ტერმინები სარეცენზიო ნაშრომის ლექსიკონებში (ისევე, როგორც ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ 1982 წ. გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში) ასეა თარგმნილი: ასომთავრული — устав, ნახევრადმოთავრული — полуустав, რამაც ქართველი მკითხველი შეიძლება დააბნოს, რადგანც устав არის «Почерк древних славянских рукописей, написанных кириллицей с четким геометрическим рисунком букв... с 15 в. он вытесняется полууставом...» (БСЭ, т. 27, гв. 121). მაშინ როცა ასომთავრულითა შესრულებული უძველესი ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები, ასომთავრულითაა შესრულებული აგრეთვე ქართული ხელნაწერი ძეგლები XI ს-მდე. XI ს-დან გაბატონდა კუთხოვანი ნუსხური დამწერლობა. შემდგომ საუკუნეებში კი ასომთავრულს იყენებდნენ როგორც ეპიგრაფიკული წარწერებისათვის, ასევე ხელნაწერებში სათაურებისა და სახელთა ასოების შესარტულებად, რის გამოც დამწერლობის ამ სახეს უმკვიდრებდა სახელწოდება „ასომთავრული“ (სხვათა შორის ქართულ ფილოლოგიურ, ლინგვისტურ თუ ისტორიულ მეცნიერებაში ცნობილი ქართული დამწერლობის სახეობები: ნუსხური (ხუცური), მხედრული „საარქივო ტერმინოლოგიურ ლექსიკონში“ საერთოდ არაა შეტანილი). რაც შეეხება ქართულ ასომთავრულს, რუსულად ის ითარგმნება, როგორც заглавная письмо (იხ. Грузинская Советская Энциклопедия, Грузинская ССР, гв. 253).

რუსული სინამდვილიდანაა აგრეთვე მოცემული ტერმინი „მინაწერის“ განმარტება — „იხ. იმ თანამდებობის პირის ხელმოწერა, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტის შედგენაზე, მინაწერი ეთდება დოკუმენტის მეორე მხარეს, ფურცლების მიმაგრების ადგილებზე და ტექსტის ბოლოს (XVI—XVII ს. საქმისწარმოებაში)“ (გვ. 41). ქართულ დიპლომატიკაში მინაწერს უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. ის იყო საბუთების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. XVI—XVIII სს-ში გავრცელებული იყო ქართულსა თუ ქართულ-პარსულ (ორნოვან) დოკუმენტს არსაზე ან ზურგზე გავრცელებული ჰქონდა სხვადასხვა სახის მინაწერები: საბუთის მინაწერი — სათაური, მინაწერი დამტკიცებანი მომდევნო მეფეების მიერ და სხვ.

რუსულად გამოცემული „მოკლე საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონიდანაა“ (გვ. 52) გადმოთარგმნილი სიტყვა „ქარაგმას“ განმარტება — „სტრიქონზედა ნიშანი ძველ დამწერლობაში, რომელიც ისმებოდა ციფრის აღნიშვნელი შემოკლებულად დაწერილი სიტყვის ან ასოს შემოთ“ (გვ. 72). უნდა იყოს: ძველ ხელნაწერებში, წარწერებში შემოკლებული სიტყვის თავზე დანართი ნიშანი, „ასონაკლების ნიშანი“ (ს. ს. ორბელიანი), მაგ., ღვ=ღმრთივ, ქქს=ქორონიკონსა და სხვ.

ჩვენი აზრით, ზუსტი არ უნდა იყოს „სტრაგისტიკის“ განსაზღვრება, როგორც დამხმარე საისტორიო დისციპლინისა, რომელიც შეისწავლის ბეჭდების დროებით სახელმწიფოებრავ,

ტერმინოლოგიის, საუწყებო, საგარეულო ან პირად კუთვნილებას (გვ. 64). უფრო უპირანაა სფრაგისტიკის განმარტება, როგორც ისტორიის დამხმარე დისციპლინისა, რომელიც შეისწავლის ზეგლებს და საბეჭდავებს.

„ტექსტოლოგია“ განმარტებულია, როგორც საისტორიო-ფილოლოგიური დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ტექსტების ისტორიას, მათ ნამდვილობას, სიზუსტესა და ავტორობას (გვ. 68). მეცნიერებაში მიღებული განმარტებითი ტექსტოლოგია არის ფილოლოგიის დარგი, ლიტერატურათმცოდნეობითი დისციპლინა, რომელიც კრიტიკულად შეისწავლის დამწერლობის, ლიტერატურისა და ფოლკლორის ტეგლებს მათი მეცნიერულად გამოცემის მიზნით.

„საარქივო ტერმინოლოგიური ლექსიკონის“ შემდგენლებს ჩაუტარებიათ დიდი და შრომატევადი სამუშაო, რაც აუცილებლად დაინტერესებს სპეციალისტებს.

ნუზუარ ფუნდუა

D. MENEGHINI CORREALE, THE GHAZALS OF HAFEZ,
CONCORDANCE AND VOCABULARY, ROMA, 1988.

В последнее время специалисты, занимающиеся изучением памятников персидской литературы классического периода, все чаще стали обращаться к компьютерной технике. Использование новейших персональных компьютеров открывает перед иранистами самые широкие возможности для автоматической обработки обширного массива персидских литературных текстов и более тщательного анализа разнообразной информации, содержащейся в исследуемых письменных памятниках. Весьма активную и плодотворную работу в этом направлении ведут итальянские ученые. Из последних значительных исследований итальянских иранистов для нас особый интерес представляют, в частности, теоретические работы проф. Р. Дзиполи (университет в Венеции), посвященные проблеме анализа персоязычных поэтических текстов с применением персонального компьютера¹.

Важно отметить, что проф. Р. Дзиполи разработал не только новую теоретическую модель, но одновременно также четкую программу для ее практической реализации на конкретном текстовом материале. В рамках этой программы в университете Венеции в настоящее время ведется интенсивная работа по формированию постепенно пополняемого фонда автоматизированных банков данных персидских поэтических текстов эпохи средневековья, т. е. по созданию первичной «материальной» базы, необходимой для дальнейшего успешного решения исследовательских задач (лингвистических, литературоведческих и др.). Первым важным практическим результатом этой работы явилась книга молодого исследователя Даниелы Менегини Корреале, посвященная компьютерной обработке лирических стихов (газелей) великого Хафиза (XIV в.) — одного из крупнейших персидских поэтов средневековья. Работа выполнена в Венеции и издана в 1988 г. в Риме в серии публикаций культурного центра Исламской Республики Иран в Италии.

Книга Д. Менегини Корреале открывается кратким предисловием проф. Р. Дзиполи (с. 9—11) и состоит из трех частей.

В первой, вводной, части (с. 12—46) автор поясняет цель и задачи публикации, ее план и структуру, знакомит читателей с принятой в книге системой транслитерации озвученного арабграфического поэтического текста персидской газели, с принципами индексации, лемматизации, компиляции и т. д.

¹ В развернутом виде концепция проф. Р. Дзиполи представлена в его монографии, опубликованной в начале 1988 г, см: Riccardo Zireli. Encoding and Decoding Neopersian Poetry. Roma, 1988. Однако основные положения и принципы были предварительно изложены автором в докладах прочитанных в 1985—1987 гг. в ряде университетов Европы и США, а также на Международной конференции по проблемам перевода (Нью-Йорк, ноябрь, 1986 г.) и Первой европейской конференции иранистов (Турин, сентябрь, 1987 г.).

По справедливому замечанию автора, исследованию любого поэтического текста непременно должно предшествовать его предварительное точное описание. Только пройдя этот первичный этап «внутритекстового анализа», можно подняться на более высокий уровень комплексного «общетекстового» исследования.

В введении Д. Менегини Корреале особое внимание уделяет проблеме выбора текста, которая, по ее словам, является «самой ключевой в поле новоперсидской поэзии». Имеется в виду необходимость наличия филологически тщательно установленного научно-критического текста, ибо научная ценность и степень достоверности результатов, полученных на описательном уровне анализа текста, зависят от надежности исходного материала.

Далее, в вводной части тщательно изложен лемматизационный критерий подхода к изучаемому тексту. Здесь же рассмотрен вопрос о выборе принципа для подготовки машиночитаемого варианта текста с целью его ввода в ЭВМ. Перед автором стояла дилемма: сохранить арабграфический текст или заменить арабскую графику транслитерацией на основе латинского письма. Д. Менегини Корреале избрала второй путь, разработала четкую систему метрической транслитерации ации текста персидской газели, а также иерархически организованную индексацию для формализованного представления норм, функциональных для новоперсидского лингвистического строя.

В результате кропотливой работы Д. Менегини Корреале на компьютере Apple Macintosh SE сформировала автоматизированный банк данных газелей Хафиза, представляющий собой совокупность ряда взаимосвязанных баз данных (полнотекстовой, общей словарной и нескольких специальных баз) для разноаспектных информационно-поисковых и исследовательских задач пользователя. Наиболее важные материалы из указанного банка данных опубликованы (в виде распечаток) во второй и третьей частях рассматриваемой книги.

Во второй части (с. 49—326) издан базовый материал, т. е. полный текст 486 газелей Хафиза (в транслитерации) с указанием размера стиха для каждой газели. Полнотекстовая база снабжена указателем, в который включены первые полустихия в алфавитном порядке (с указанием порядкового номера соответствующей газели).

В третьей части (с. 329—887) представлены результаты обработки лексического инвентаря полнотекстовой базы — различные списки и таблицы, показывающие состав и статистическую структуру лексики: 1. конкорданс всех словоформ (7227 ед.) перенесенного на машинный носитель текста 486 газелей с указанием частоты встречаемости в тексте, а также соответствующего «адреса» (т. е. в каких газелях и в каких бейтах внутри газелей засвидетельствована данная словоформа); 2. инверсионный словарь тех же словоформ; 3. частотный словарь, в котором словоформы расположены по рангу их убывающей частоты; 4. сводная таблица частотной дистрибуции словоформ; 5. алфавитный список «внутренних слов» (т. е. лексических форм, являющихся частью составных слов-композигов, но не занимающих начальную позицию в слове) с указанием их частоты и «адреса»; 6. частотный словарь, в котором вышеуказанные «внутренние слова» расположены по рангу их убывающей частоты; 7. алфавитный список лемм (4810) с указанием для каждой леммы конкретных словоформ, зафиксированных в самом тексте (как леммы, так и конкретные словоформы снабжены показателями их частоты); 8. частотный словарь лемм; 9. сводная таблица частотной дистрибуции лемм.

Книга Д. Менегини Корреале представляет несомненный научный и практический интерес для иранистов и заслуживает самой высокой оценки. Материалы и выводы, содержащиеся в этой ценной публикации, будут способствовать дальнейшему углубленному изучению не только творческого наследия самого Хафиза, но и ряда общих проблем персидской лирики классического периода.

ფასი 1 მან. 20 კპ.

682/12

ინდექსი 76198

